

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ლიტერატურის მიმართულება

დეკანოზი მიქაელ (მერაბ) გალდავა

ქრისტიანული ზნეობის პარადიგმები „ვეფხისტყაოსანში“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის  
დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნესტან სულავა  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ლაურა გრიგოლაშვილი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



თბილისი 2009

## ს ა რ ჩ ე გ ი

შესავალი	3 გვ.
ქრისტიანული ზნეობის საწყისი და „გეფხისტყაოსნისეული“ სიყვარული	21 გვ.
ა) სიყვარული ღვთისადმი	25 გვ.
ბ) მოყვასის სიყვარული	37 გვ.
გ) მტრის სიყვარული	51 გვ.
დ) სამყაროს სიყვარული	55 გვ.
ღვთივსათნო ასკეზის წინაპირობა ზნეობითი სრულყოფისათვის	61 გვ.
განაჩენი სიცრუისადმი და „საუკუნო სირცხვილის“ პარადიგმა „გეფხისტყაოსანში“	73 გვ.
სინდისი, როგორც ზნეობითი კატეგორია „გეფხისტყაოსანში“	87 გვ.
„ხამს“, ანუ ზნეობითი სჯულდებანი „გეფხისტყაოსანში“ —	109 გვ.
ქრისტიანული სასოება და „გეფხისტყაოსნისეული“ იმედი	124 გვ.
წმინდა წერილი კეთილგონიერების შესახებ	151 გვ.
კეთილგონიერების გამოვლენის ერთი ასპექტი „გეფხისტყაოსანში“	159 გვ.
დასკვნა	176 გვ.
დამოწმებული ლიტერატურა	206 გვ

## ზ გ ხ ა ბ ა ლ ო

ლიტერატურის, მწერლობის არსებითი ნიშანი სულიერი ხედვაა და სწორედ ეს ნიშანი ანიჭებს მას ცხოველმყოფელობას საუკუნეთა მანძილზე.

ჭეშმარიტების სულიდან ამოზრდილი, კეთილად გაცხადებული და მართლად წარმართული სიტყვა ადამიანის სულისმიერ და გრძნობისმიერ ტალანტთა დახვეწას, მის ინტელექტუალურ ამაღლებასა და ცოორილი წარმოდგენების ნეიტრალიზებას ემსახურება.

სიტყვიერების კეთილშობილი მიზანი ადამიანის სრულყოფილებისაკენ სწრაფვაა, ხოლო თვით სიტყვიერება – ამ სრულყოფილებისაკენ წარმმართველი ერთ-ერთი საშუალება. ამდენად, დროსა და სივრცეში განწონილი სიტყვის მნიშვნელობა უაღრესია და ფრიად დირებული.

ლიტერატურა სიტყვიერი ფენომენია, რომელსაც თავისი ძირი აქვს, ის ნიადაგი, რომლიდანაც ამოიზარდა იგი. ამ საწყისის ძიება არ არის რთული – ეს არის წმიდა წერილი, საღმრთო ჭეშმარიტება, რომელიც სიტყვაში იქნა გაცხადებული. ბიბლია მოიცავს ისტორიას, პოეზიას, ფილოსოფიას, ეთიკას, და ბოლოს, ყველაფერზე უსასრულოდ მეტს–ღვთაებრივ გამოცხადებას. სიტყვის უმაღლესობა, მისი ცნობიერი და ქვეცნობიერი შრეები, აღუნუსხავი მიმოქცევადობა, სრულად წმიდა წერილში გამოჩნდა, რომელიც წყაროა ყოველგვარი მაღლისა, სულიერი და გონებრივი სიკეთეებისა, იგია მეუფე სიტყვიერ სამყაროში, სიტყვიერების ტახტზე აღსაყდრებული პირველი და ბოლო პატრიარქი.

თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორია თავისი საუკეთესო, მაღალმხატვრული ქმნილებების გამოჩინებით ცხადყოფს უმაღლესი რანგის თხზულებათა შესაქმნელად ღვთისმეტყველებითი განსწავლულობის აუცილებლობას და ცოცხალი ღმერთის მცოდნეობით რწმენას.

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, მწვერვალი ქართული მწერლობისა, არის ნაყოფი იმ დიდი სარწმუნოებრივი და ღვთისმეტყველებითი ზეობისა, რომელიც წინ უსწრებდა გენიალური მწერლის ეპოქას, დიდებულმა თავის წიაღში დიდებული შვა.

პოემის შინაარსობრივი მხარე ცხადყოფს, რომ რუსთველის მაღალი ინტელექტუალიზმი, დახვეწილი აზროვნება, სიტუაციათა უბადლო ანალიზი და ლრმა ფსიქოლოგიური წიაღსლვები დათისმეტყველების ცოდნამ განაპირობა. „ვეფხისტყაოსანი“ ეს არის წყობილ სიტყვას პლუს დათისმეტყველება. სხვა საკითხია პოემაში ცხადჩენილი პოეტური ტექნიკა, ფართოდ განვენილი აზრის ერთ წერტილში კონცენტრირება, რომლის მაგალითად პროლოგი ვს პირველივე სტროფიც კმარა, სადაც საღმრთო შესაქმე, ნიგორი სამყაროს სახით რეალიზებული, ოთხად-ოთხი სტრიქონითაა გადმოცემული:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსხი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,  
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“ (1. პოემის ციტატები აქაც და ყველგან დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემის მიხედვით,- მ.გ.).

მეტი სიცხადისათვის ნიმუშად მოვიხმობთ „ავთანდილის ლოცვას“:

“იღოცავს, იტყვის: მაღალო, დმერთო, ხმელთა და ცათაო,

ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,

უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,

მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო“ (809).

ეს არის პიროვნული დიალოგი შემოქმედთან, კავშირის დამყარება ტრანსცენდენტურ სამყაროსთან, მარადიულ მშვენიერებასთან. აქ დაუნჯებულია წმიდა მამათა ლოცვითი მოღვაწეობის საღვთო ნაყოფი. ამ ლოცვის წარმოთქმა არ შეეძლო მწერალს, რომელსაც არ უცხოვრია ამგვარი ლოცვით.

ამჯერად ჩვენი ყურადღება ექცევა „ვეფხისტყაოსანში“ ცხადჩენილ ქრისტიანული ზნეობის ზოგიერთ პარადიგმას, რომლის არსებობის უცილობლობას შეგვახსენებს თუნდაც ცნობილი „ავთანდილის ანდერძი“, რომელიც, შესაძლოა, ითქვას, რომ წარმოადგენს ზნეობითი დათისმეტყველების მცირებანიან სახელმძღვანელოს.

რუსთველის პოემაში წარმოჩენილი ყველა პრობლემა კოორდინირებულია ქრისტიანული ეთიკის ნიშნით. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ყოველი სიტყვა და ქმედება, უმეტესწილად, მათი შინაგანი, სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობის შესატყვისია.

ქრისტიანული ზნეობა, რომელიც თავისი არსით დგთივმომდინარეა, ჭვრებს რა ადამიანის არსებობის რეალობას ეთიკური ხედვით, გვამცნობს, „...რად-იგი არს ნებად დმრთისად, კეთილი, სათნოდ და სრული“ (რომ.12,2), რათა, ამის კვალობაზე, დვთის ნების შემცნობელთ ვუწყოდეთ, „...ვითარ-იგი ჯერ-არს სახლსა შინა დმრთისასა სლვად, რომელ არს ეკლესიად დმრთისა ცხოველისად, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისად“ (1გიმ.3,15).

აქედან გამომდინარე, ქრისტიანული ზნეობა ადამიანს უთვალისწინებს ეთიკური იდეალის შინაარსსა და ფორმას, „რავთა სრულ იყოს დმრთისად კაცი იგი, ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებულ“ (2გიმ.3,17). და, რათა ადამიანი წარემართოს ზნეობრივ-მორალურ ღირებულებათა მართებული არჩევანისაკენ.

ადამიანის არსებობა თავის თავში აღიბეჭდავს ორ უმთავრეს ელემენტს: მსოფლედვასა და რეალურ ცხოვრებას. ეს ორი ელემენტი არის სწორედ ქრისტიანული ზნეობის წინაპირობა. მსოფლედვა განისაზღვრება აღზრდითა და განათლებით, ანუ ინტელექტუალური, ზნეობრივი და რელიგიური ფორმირებით. რაც შეეხება რეალურ ცხოვრებას, იგი განისაზღვრება იმგვარი ქმედებით, რომელიც ადგევატია სარწმუნოებისა და ზნეობითობის შეზავებულობისა (გამოცდილება 1914:1).

ადამიანის საქციელის კრიტერიუმი დვთივბოძებული ზნეობითი კანონია, რომლისკენაც უნდა იქნეს მიმართული ადამიანის პიროვნული ნება. ამგვარი ნებელობა უცილობლად გამოვლინდება გარეგნულად და სწორედ ეს გამოვლინება იქნება ტვიფარი იმისა, თუ რა ზნეობითი ხარისხითაა აღბეჭდილი პიროვნების შინაგანი სამყარო. სახარებისეული იგავის მოხმობით, ადამიანი ამ დროს ემსგავსება ხეს, რომელიც მისივე ნაყოფით შეიცნობა: „ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიდის, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიდის“ (მთ.7,17); „ნაყოფთა სამე მათთაგან იცნეთ იგინი“ (იქ.7,20).

ადამიანის შინაგან განწყობილებას მისივე გარეგნული საქციელი ცხადყოფს, ყოველი კონკრეტული ქმედება განპირობებულია ზნეობრივი მდგომარეობით. ამის კვალობაზე, ადამიანის საქციელი მისი სულისმიერი განწყობილების მესიტყველი. პრაქტიკულად, იგია „სანთელი გუამისად“ (იქ.6,22), რომლის მეშვეობითაც განიჭვრიტება ადამიანის ზნეობრივი მდგომარეობა.

ამგვარად გაგებული ზნეობითობა მკვეთრად იმიჯნება იმ ზნე-ჩვეულებათაგან, რომელიც ყოველ ხალხს გააჩნია. თითოეული ადამიანი

შესაბამის ზნე-ჩვეულებათა გარემოცვაში იზრდება. ამგვარ გარემოცვაში ადამიანის პიროვნული ნებისათვის კრიტერიუმია ის, რაც გარემომცველ სინამდვილეშია მიღებული და აღიარებული. ხოლო ქრისტიანული ზნეობითობა არ ეფუძნება იმ ზნე-ჩვეულებებს, რომლებიც აქცენტირებულია ცხოვრების გარეგნულ წესებზე, ხილულ ქმედებებზე, არამედ ეყრდნობა ადამიანის ნების შინაგან განწყობილებას, ანუ მას, რაც სწორედ არსებითად წარმოადგენს ზნეობას. ზნე-ჩვეულება, რომელიც ჩამოყალიბებულია ადამიანთა საზოგადოებაში კონკრეტული ეპოქის შესაბამისად, თვით საზოგადოების თანხმობითა თუ რომელიმე ცნობილი ისტორიული პიროვნების კარნახით, ადამიანის ნებისათვის მხოლოდ და მხოლოდ შექმნილ ნორმას წარმოადგენს, მაშინ, როცა ზნეობის ჭეშმარიტი საწყისი მდგომარეობს არა გამოცდილებაში ან პრაქტიკაში, არამედ იგი თვითვეა უპირობო ნორმა, კრიტერიუმი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. ყოველივე ეს განსაზღვრავს ადამიანის ყოვიერებას, რომლის მარადიული მიზანიცაა შეიმოხსოს “ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული, სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისადთა”(ეფ.4,24). ადამიანის პიროვნული ნების საბოლოო მიზანია სიკეთე. სიკეთე ის არის, რაც კარგია, ხოლო კარგი ის არის, რაც შეესატყვისება თავის მიზანს, თავის დანიშნულებას. პავლე მოციქულის თქმით, ზნეობითობა ადამიანებს გულთა შინა აქვთ დაწერილი (იხ.რომ.2,15), ამიტომაც ბუნებითად შეუძლებელია, მათ არ იცოდნენ ამის შესახებ და არ აღასრულებდნენ მას.

ქრისტიანული ეთიკის დასაწყისი იმ პერიოდს განეკუთვნება, როცა წარმართობამ ქრისტიანულ რელიგიას ყველა ის ზნეობითი ღირსება დაუპირისპირა, რაც კი საუკუნეებისაგან იმემკვიდრა. ქრისტიანული ზნეობითი სწავლება, როგორც ცოცხალი ხატი განკაცებული მაცხოვისა, წარმართობასთან დაპირისპირებისას საცნაურყოფდა თავისი მსოფლეოდვის სიმაღლესა და აღმატებულებას.

ეკლესიის მამათა ზნეობითი მჯგრეტელობიდან მონაყოფებულმა ნააზრევმა ცხადყო აღმოსავლეთი და დასავლეთი ქრისტიანობის ის გონებითი საუნჯე, რაც მეტ-ნაკლებად წინ უსწრებდა რუსთველის ეპოქას და, საიდანაც ადვილად შესაძლებელი იყო, “ვეფხისტყაოსნის” ავტორს ზნეობითი ღვთისმეტყველების სულიერი ფასეულობანი და აზროვნების მონაპოვარი ამოეკრიბა. თუმცა ზოგ ღვთისმეტყველს, ეპოქალური სიახლოვისა და სივრცითი სიშორის პრობლემის გამო, შესაძლოა, რუსთველი არც იცნობდა, მაგრამ ეს უცნობობა დიდ

ფილოსოფოსთა მჭვრეტელობით თანაზიარობას, რასაკვირველია, ხელს ოდნავაც არ უშლის.

ჩვენი მიზანი არ არის ზნეობითი ღვთისმეტყველების პრობლემათა კლასიფიცირება. განვიხილავთ მხოლოდ ქრისტიანული ზნეობის ზოგიერთ პარადიგმასა და ასპექტს, რომელიც აისახა “ვეფხისტყაოსანში“.

უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ ადამიანის თავისუფალი ნება, როგორც მისი ზნეობითი ბუნებისა და საქმიანობის წინაპირობა. ღვთისაგან ბოძებული თავისუფლება ის ძალაა, რომელიც ზნეობითად განსაზღვრავს ადამიანს. იგი ყოველივე კეთილმოღვაწეობის შემოქმედებითი საწყისია. ჭეშმარიტი თავისუფლება, ღვთისმეტყველთა აზრით, ზნეობითი თავისუფლებაა, რომელიც სრულყოფისაკენ, უმაღლესობისაკენ მიისწრაფვის.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებიც, ზენა ხელობათა მბაძველნი, ამგვარი თავისუფლების ნიშნით არიან აღბეჭდილნი. ყოველი მათი ზნეობითი საქციელი აუცილებლად გულისხმობს თავისუფალ ქმედებას, რომელსაც ამ ქმედების მართებულობის შეგნება წარმართავს. თუ მოღვაწეობაში არ იგულისხმება და არც არის ამგვარი თავისუფლება, იქ, ამ აზრის პირდაპირი გაგებით, არც შეიძლება მოვიაზროთ ზნეობითობა. თავისუფლება პიროვნების თვითდამკვიდრების ძალაა, რომელიც ნებას წარმართავს ან მოქმედებისაკენ, ან პირიქით – უმოქმედობისაკენ (გამოცდილება 1914:72). სწორედ ამ თავისუფლების შეცნობა აუწყებს ტარიელს თუ ავთანდილს, თინათინსა თუ ნესტან-დარეჯანს მათივე ქმედების მორალურ ხასიათს, ამკვიდრებს მათ პიროვნებას. რუსთველი იზიარებს იმ აზრს, რომ თავისუფლება არ არის ნების, როგორც სურვილთა ერთობლიობის საკუთრება, არც გონებითისაა იგი, როგორც მცოდნეობათა ერთობლიობისა, და არც – გულის, როგორც გრძნობათა შესაკრებელის, საკუთრებაა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ “მესი“, პიროვნებისა, რომლისთვისაც წადილიც, ცოდნაც და გრძნობაც ოდენ იარაღია ზნეობრივი ცხოვრებისათვის. სამშვინველი ერთგვარი პერიფერიაა, მაგრამ – არა ცენტრი ადამიანის შინაგანი ცხოვრებისა, იგი წარმოადგენს ადამიანის “მეს“ სულიერ ორგანიზმს, მაგრამ – არა თვით “მეს“, წარმოადგენს პიროვნების ორგანიზმს, მაგრამ არა არსებითად თვით პიროვნებას. თავისუფლების გარეშე ადამიანი მხოლოდ ინდივიდია და არა – პიროვნება, ცოცხალი ქმნილება, მაგრამ არა – ადამიანური არსება, რადგან პიროვნულობა არა მხოლოდ ცენტრია

ცნობიერებისა, არამედ მარადის მზარდი ძალა თვითდამკვიდრებისა (გამოცდილება 1914:74-75).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავისუფლება არა მხოლოდ ამკვიდრებს პიროვნებას, არამედ მაუწყებლობს კიდევაც პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებს. თითოეული პიროვნული სული, რომელიც თავისუფლად ახორციელებს თავის ცხოვრებისეულ მიზანს, ამასთანავე იმკვიდრებს საკუთარ განსაკუთრებულობას – თავის განსხვავებულ პიროვნულობას. ამ განსაკუთრებულობას ადამიანის სული ბუნებისაგან კი არ იღებს, არამედ განიპირობება თავისუფლებით, კონკრეტულ სივრცესა და დროში მოღვაწეობით, თავისუფალი შემოქმედებით (გამოცდილება 1914:75).

თავისუფალი ნების მქონე ადამიანის ცნობიერებაში ძევს ის შინაგანი ზნეობითი კანონი, რომლის მეშვეობით იგი არკვევს, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი – არა. პავლე მოციქული ამბობს: “რომელნი გამოაჩინებენ საქმესა შჯულისასა, დაწერილსა გულთა შინა მათთა...“ (რომ.2,15).

პიროვნება მოიცავს როგორც აწმყოს, ისე წარსულ ცხოვრებას, ზნეობითი ცხოვრების ყველა მოვლენას. ამგვარ მოვლენათა სიუხვე ქმნის დრმა და ინტიმურ სფეროს, რომელიც განსაკუთრებული ზნეობითი ცნობიერების აღმნიშვნელ ტერმინადაა სახელდებული – “სინდისი“. მასში ინტეგრირებულია პიროვნების მიერ ზნეობითად გაცნობიერებული მთელი მოღვაწეობა. სინდისი ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების თითოეული მომენტის შემაჯამებელი მსაჯულია.

ამგვარი ცნობიერებითაა აღბეჭდილი თუნდაც “ავთანდილის ანდერძი“ – „მრთელცნობისა“ და სინდისის „მანიფესტი“.

სინდისი კაცობრიობის ზნეობითი გამოცდილების დრმა და ნათელი გამოვლინებაა. ის თავის თავში განასახოვნებს სულის იმ მშვენიერ შესაძლებლობას, რომლის დახმარებით თითოეულ კონკრეტულ პიროვნებაში მოდულდება ზოგადსაკაცობრიო ზნეობითი ცნობიერება ჭეშმარიტი ზნეობითი სჯულის აქსიომებით. „ვეფხისტყაოსანი“ სინდისის ამგვარი გაგების თანამებმეა.

შიში იმისა, რომ მოყვასს დააღალატებს და ამის გამო შერცხვენილი იქნება საუკუნო სამართლის წინაშე, ავთანდილს მის მომლოდინე ტარიელის შესახებ ათქმევინებს:

“ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა,

პირისპირ მარცხენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“(797).

აქ შემოდის სირცხვილის გრძნობა, რომლის მეოხებით ყალიბდება ყოველი კონკრეტული ადამიანი ზნეობით პიროვნებად. ავთანდილის მიერ განცდილი და ნაგრძნობი სირცხვილი სწორედ ის გარანტიაა, რომელიც იფარავს მას ბუნებით-მგრძნობელობით წიაღში, მხოლოდ საკუთარი ბედნიერების სიმშვიდეში ჩაძირვისაგან (ავთანდილს შეეძლო არ დაბრუნებულიყო ტარიელთან და მიჯნურთან დარჩენილიყო) და მაორიენტირებელია იმ არჩევანისაკენ, რომელიც საშუალებას აძლევს რაინდს მოიქცეს სინდისისა და გონების შესაბამისად.

როგორც ჭეშმარიტად ზნეობითი პიროვნება ავთანდილი მოვალეა ტარიელისა, როგორც მიჯნური – მიჯნურისა, ღვთის ხატი – ღვთის ხატისა. ეს მოვალეობა მისი შინაგანი მოთხოვნილებაა და არა რაიმე აუცილებლობით გამოწვეული. მოვალეობა, „ვალი“, ზნეობითი ღვთისმეტყველების მიხედვით, არის პიროვნების ზნეობითი შეგნების ერთ-ერთი უმაღლესი ფორმა.

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი მოტივი სიყვარულია. “საზეო საქმედ“ სახელდებული მიჯნურობა, პოემის პროლოგშივე ფორმულირებული და შემდგომ თვით პოემაში მხატვრული სახეებით ხორცშესხმული, სასიყვარულო გრძნობების ღვთაებრიობასთან წილნაყარობას გვითვალისწინებს. სწორედ ღვთაებრიობაა, რომელიც ამ გრძნობას დასაზღვრულობიდან უსაზღვრობისაკენ წარმართავს, აღბეჭდავს საწუთროში განფენილ სიყვარულს მარადიულობის ნიშნით. ამგვარი სიყვარული კი ცოდვით დაცემული და განრღვეული სამყაროს მამრთელებელია.

სწორედ სიყვარულია ქრისტიანული ზნეობის უმთავრესი საწყისიც. სჯულისმოძღვრის შეკითხვაზე: “რომელი მცნებად უფროდს არს სჯულსა შინა?“ – მაცხოვარი მიუგებს: “...შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებად. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინააღმდეგულებული დამოკიდებულ არიან... მაგას იქმოდე და სცხოვნდე“ (მთ. 22,35-40. შდრ.ლ.კ. 10,25-28).

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს უყვართ შემოქმედი ღმერთი, ადიდებენ მას, ლოცულობენ და მადლობენ უფალს. ავთანდილი: “...მადლი ღმერთსა შემოქმედსა, არსთა მხადსა ...“ “...უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების...“, ნესტანი (ტარიელს): “არ დავიჯერებ მე შენსა დალატსა,

ორგულობასა, უარის ქმნასა დმრთისასა, ამისთვის არ მაღლობასა.“, ასმათი: “...ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა... გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელო სმენითა...“, და რასაკვირველიძი – “ავთანდილის ლოცვა“. საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ პოემის პერსონაჟები, უმეტესწილად და არსებითად, ევქარისტიულ მიმართებაში იმყოფებიან შემოქმედთან.

ლვთის სიყვარულითაა ნასაზრდოები მოყვასის სიყვარულიც, – საღვთო წიაღის ცხოველმყოფელობის მარადიული მენიშე. მაგალითთა სიუხვე ამ მხრივაც უცხადესია. ავთანდილი: “...კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა...“, „...რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა, მე რად გავწირო მოყვარე, მმა უმტკიცესი მმობისა?!“, „არ-დაგიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა...“, რუსთველისეული თქმა: “...ოდეს კაცსა დაქვიროს, მაშინ უნდა მმა და თვისი.“, თინათინი აქებს ავთანდილს მოყვასობისათვის: “შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა, ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა...“, ავთანდილს მეგობრის მონატრება ამგვარ რამეს ათქმევინებს: “...ცხადად ნახვასა არ დირს ვარ, ნეტარმცა სიზმრივ გნახეო!...“ და მრავალი სხვა.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნისეული“ სიყვარული იმგვარი გრძნობის მესიტყვეა, რომელიც ქრისტიანული ზნეობის საფუძველთა-საფუძველია. იაკობ მოციქული თავის ეპისტოლეში ამბობს: “უკუთუ სჯულსა აღასრულებო სამეუფოსა, მსგავსად წერილისა: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჯსი, კეთილად ჰყოფთ“ (იაკ.2.8). ამასვე ეხმიანება პავლე მოციქულიც: ~siyuuarulman moyuassa ḤT̄sssa ბოროტი არა უყვის; აღმასრულებელი სჯულისად სიყუარული არს“ (რომ. 13,10). ან: “...ყოველი სჯული ერთითა სიტყვთა აღესრულების: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჯსი“ (გალ.5,14). სიყვარული “სიმტკიცეა სრულებისა“: “...სიყუარული, რომელი იგი არს სიმტკიცე სრულებისა...“ (კოლ. 3.14).

სიყვარული ჭეშმარიტებისაკენ ისწრაფვის. ის არის საწყისი ლვთის შეცნობისა. ამიტომაც მხოლოდ სიყვარულით აღვსებულმა პიროვნებამ „იცის ღმერთი“. იოანე ლვთისმეტყველი თავის პირველ ეპისტოლეში წერს: “საყუარელნო, ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი. რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს“ (1იოან. 4,7-8).

თითოეული ადამიანი თავისი არსებით განუსაზღვრელი ღირებულებისაა და მარადიული დანიშნულებისთვისაა მოწოდებული. იგი “ზეციური იერუსალიმის შვილია” (გალ. 4,16), “ჩინებისა მის ზეცათავსა ზიარია(ეპრ. 3,1), “სასუფეველის მკვიდრია” (იაკ. 2,5), “შვილია ღმრთისა (1რომ. 8,16-17). ამიტომაც ადამიანს, როგორი ზნეობითი ხარისხიც არ უნდა გააჩნდეს მას, არ შეუძლია სიყვარულის საგანი არ იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის. ადამიანს სიყვარულის ყოვლისმომცველობა გამუდმებით ახსენებს თავს. ამიტომაც ბრძანებს პავლე მოციქული: “სიყუარული სულგრძელ არს და ტპბილ, სიყუარულსა არა ჰშურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლადნის, არა სარცხინელ იქმნის, არა ემიებენ თავისასა, არა განრისხნის, არად შეპრაცხის ბოროტი, არა უხარის სიცრუესა ზედა, არამედ უხარის ჭეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესაგნ, ყოველსა მოითმენ. სიყუარული არსადა დავარდების...” (1კორ. 13,4-8).

ზემოთ მოხმობილი მაგალითები, ვფიქრობთ, საცმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა უდევს საფუძვლად „ვეფხისტყაოსნის“ ეთიკურ პრინციპებს. პოემის ეთიკური სივრცე ქრისტიანული ზნეობის სამყაროა. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ეს არის პოემა, რომელმაც აზროვნებითი სიმაღლის მეტროვე მკითხველის გონება ზნეობის არითმეტიკიდან ზნეობის ალგებრამდე ადიყვანა.

რუსთაველოლოგიური მეცნიერება, რომლის ფუძემდებელად ვახტანგ მეექვს მოიაზრება, დასაბამიდანვე დიდ ყურადღებას აქცევს “ვეფხისტყაოსნის” მორალურ მხარეს. პოემის ზნეობით მნიშვნელობას. ამ ასპექტით, ისტორიულად, ნაწარმოებს არაერთგვაროვნად აფასებდნენ. “ვეფხისტყაოსნის” ჰყავდა თავისი “ოპოზიცია”, რომელსაც, ზნეობითი თვალსაზრისით, პოემა ყოვლადუსარგებლოდ მიაჩნდა, თხზულების მოწინააღმდეგენი “...სამედაოდ თარგმნიდნენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა...”(ვახტანგ მეექვს 1979:7).

“ვეფხისტყაოსნისადმი” ზნეობით ბრალდებათა ერთგვარი შესაკრებელია განჩინება ტიმოთე გაბაშვილის “მიმოსლვიდან”: “ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განრჲყუნა ქრისტიანობა... აღწერა ქალისა ვისთვისმე თვალი მელნისა, პირი ბროლისა, დაწვი ძოწისა და ამის გამო დედანი საქართველოსანი ხატად დვთისა

შექმნილისა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბმენ საფრთხედ სულისა” (გაბაშვილი 1956:19).

მიზეზი ასეთი მძიმე ბრალდებისა პოემის უარყოფელთათვის უთუოდ თხზულების უჩვეულო თავისუფლებაში მდგომარეობდა. ნაწარმოებში მაღალ დვთისმეტყველებასთან ერთად თანაარსებობს რომანისათვის დამახასიათებელი ინტრიგა. პოემის პერსონაჟები (მათ შორის - რჩეულებიც) ცრუობენ, ეცემიან სიძვის ცოდვით, კლავენ უდანაშაულოთ და ამ ყველაფრის ჭირისუფლად თითქოს ავტორი გვევლინება. პაგიოგრაფიულ თუ პიმნოგრაფიულ, დოგმატურ თუ ასკეტურ თხზულებებს მიჩვეული მკითხველი სულისთვის უსარგებლოდ მიიჩნევდა “ვეფხისტყაოსანს” და მის შემქმნელს ამაოდ დაშვრომის გამო (ანტონ I) თანაუგრძნობდა. პოემის მოწინააღმდეგებს მნიშვნელოვანი რამ გამორჩათ. მიუხედავად იმისა, რომ რუსთველი “სიბრძნის დარგად” და “საღმრთოდ გასაგონად” მოიაზრებს პოეზიას, “ვეფხისტყაოსანს” (რაც სავსებით ბუნებრივია) არასოდეს პქონია პრეტენზია ჩანაცვლებოდა რომელიმე საღვთისმეტყველო თხზულებას. პოემისადმი უარყოფითად განწყობილმა საზოგადოების ერთმა ნაწილმა ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩაიბარა პროკრუსტეს “საჭრეთელი” და წმინდა დვთისმეტყველების სარეცელზე დადო “ვეფხისტყაოსანი”. სწორედ ამის გამო წერდა ერის მწყემსმთავარი: “შოთა პოეტია და არა მქადაგებელი ან დვთისმეტყველი, რომელთათვის სავალდებულოა საღვთო წერილის ტექსტის უცვლელად მოყვანა. ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ რუსთველი გვიხატავს სამუსულმანო მსოფლიოს, რის გამო განცხადებულად, პირდაპირ საქრისტიანო სწავლის პირველწყაროს ადგილების მოყვანა შეუფერებელი იქნებოდა. შოთას სტროფებს და საღვთო წერილის ტექსტებს შორის არის, უმეტეს შემთხვევებში, არსებითი შინაგანი მსგავსება და თუ საღვთო წერილის გარდა შოთა სარგებლობს და მოყვავს სხვადასხვა ფილოსოფოსთა, მწერალთა და მოძღვართა აზრები, ეს საზოგადო ქრისტიანულ მსოფლმხედველობას არ უშლის: შოთამ ყოველივე ცნობა... პავლე მოციქულის თანახმად, წარმოსტყუენა დამორჩილებად ქრისტესა” (ეგაშვილი 1966:248).

საბედნიეროდ, პოემისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, მკითხველის მხრიდან არც საბოლოო და არც მასშტაბური არ აღმოჩნდა, თუმცა ქართველთა ცნობიერებას, უფრო კი მეხსიერებას მწარე მოგონებად შემორჩა. მით უმეტეს, როცა ბრალმდებლად ზოგიერთი სასულიერო პირი (თვით იერარქებიც კი) გვევლინებოდნენ (ჭაბაშვილი 2003:264-265). კორნელი კუკულიძე ზედმიწევნითი

სიზუსტით აფასებდა ზემოხსენებულ ისტორიულ რეალობას: “ვეფხისტყაოსანს” საუკუნეთა განმავლობაში გარკვეული წრეები, უფრო კი კლერიკალურად განწყობილი, ალმაცერად უყურებდა, ბრძოლასაც კი აწარმოებდნენ მის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ბრძოლა იყო წარმოებული იმდენად არარელიგიურ ნიადაგზე, რამდენადაც მორალურზე: პოემას ებრძოდნენ იმიტომ, რომ ის თითქოს სამებაო ხასიათისა იყო, ხორციელი სიყვარულის აპოთეოზით თითქოს ხელს უწყობდა საზოგადოებაში ზნეობრივი სიწმინდის შებლალგას და ქორწინებრივი მორალის შერყვნას” კეკელიძე 1952:145).

ვახტანგ მეექვსე “ვეფხისტყაოსნის” მოწინააღმდეგებს „უცოდინრებსა“ და „სოფლის ნივთთა შემსჭვალულებს“ უწოდებდა (ვახტანგ მეექვსე 1979:7).

ზეიად გამსახურდია სამართლიანად მიიჩნევდა, რომ “ვეფხისტყაოსნისადმი” „...სამდვდელოების ერთი ნაწილის ოპოზიცია... განპირობებული იყო ცალკეულ სამდვდელო პირთა შეზღუდულობით და იმ მცდარი ეთიპური ინტერპრეტაციით, რომელიც შემუშავდა ვეფხისტყაოსნის ამბავთან დაკავშირებით...“ (გამსახურდია 1984:7).

რევაზ თვარაძე, აანალიზებს რა “სიბრძნის დარგისა” და “ამაოდ დაშვრომის” პრობლემებს, მიუთითებს, რომ “ვეფხისტყაოსნის” ვერგაგების მიზეზი იმ ეპოქისათვის, რა დროსაც თავი იჩინა პოემისადმი დაპირისპირებამ (მე-17 საუკუნე), ცოდნის სიმწირეში მდგომარეობს: “რუსთაველის მსოფლმხედველობის შესაცნობად, მთელი სიღრმით საწვდომად, სულ მცირე, ორი წინაპირობა ივარაუდებოდა: ქრისტიანობის არსების არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ რელიგიურ-ფილოსოფიური გააზრება და ანტიკური სიბრძნის, კერძოდ, უწინარეს ყოვლისა, პლატონის მოძღვრების საფუძვლიანი ცოდნა, ხოლო ამ პირობათა დაცვა ვეღარ ხერხდებოდა “აღორძინების” ხანის საქართველოში, როდესაც ანტიკურ კულტურასთან კავშირიც გაწყდა და ქრისტიანული რელიგიური ფილოსოფიის საკმაო სისრულით ათვისებაც ერთობ საძნელო შეიქნა უბრალო მიზეზის გამო – ცოდნის დონე დაჭვეითდა” (თვარაძე 2000:186).

უცილობლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოემისადმი ცალკეულ სასულიერო პირთა უარყოფითი დამოკიდებულება არანაირად არ ნიშნავდა იმას, რომ უკლესია ებრძოდა გენიალურ თხზულებას. “რუსთაველს, “ვეფხისტყაოსანს” იმდენად ეკლესია არ ებრძოდა, რამდენადაც ეკლესის სახელით ებრძოდნენ ცალკეული სასულიერო პირნი...” (თვარაძე 2000:187).

ასე რომ, შეხედულება, თითქოს ეპლესია არ იწყნარებდა “ვეფხისტყაოსანს” მისი ზნეობითობის (ან აღმსარებლობის) გამო, მცდარია. მცდარია წარმოდგენა იმის შესახებაც, თითქოს პოემას, უდგომ სწავლებების ბრალდებით, წვავდა და ანადგურებდა ეპლესია: “ვეფხისტყაოსნის” მიმართ კლერიკალური საზოგადოების მიერ წარმოებულ პოლემიკას გამძაფრებული ბრძოლის ხასიათი არ მიუღია და არც ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურების ფაქტი მტკიცდება დოკუმენტურად” (გუგუშვილი 1966:56).

იგივე რუსთველოლოგი თავის ნაშრომში “სასულიერო საზოგადოების დამოკიდებულება ვეფხისტყაოსნისადმი” წარმოაჩენს იმ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, რაც საქართველოში გააჩნდათ სასულიერო პირებს უკვდავი პოემისადმი. სასულიერო მწერლობის წარმომადგენლები რუსთველურ შაირს იყენებდნენ, გადაწერდნენ “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერებს, ლრმად და საფუძვლიანად იცნობდნენ პოემას.

“სასულიერო საზოგადოების მხრივ ვეფხისტყაოსნის დევნისა და განადგურების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს სასულიერო მწერლობის ძეგლებზე (ბერთას სახარება, სადღესასწაულო) და ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე წარწერილი ვეფხისტყაოსნის სტრიქონები. იოანე ბატონიშვილის “კალმასობაში” საეკლესიო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლის იონა ხელაშვილის მიერ რუსთველი და მისი პოემა შეფასებულია როგორც “ზნეთსწავლულება” (გუგუშვილი 2000:256).

იმუხედავად იმისა, რომ “ვეფხისტყაოსანში” ასე აშკარად “ზნეთსწავლულება”, გარკვეულ “ჭოჭმანს” იწვევს ზოგიერთი არაეთიკური ქმედება პოემის “რჩეულ” პერსონაჟთა მხრიდან: სიცრუე, ბილწისიტყვაობა, მკვლელობა, სიძვა, მშობლისა და მეფის უპატივცემულობა, რასაც, ქრისტიანული თვალსაზრისით, გამართლება არ სჭირდება. ცოდვების გამართლება, მცოდველთა “რეაბილიტირება” (როგორც სახელდებენ რუსთველოლოგები) ამორალური საქციელის ასახსნელად ყოვლად შეუსაბამოა ქრისტიანული აზროვნებისათვის. რაც არაეთიკურია, უცილობლად უნდა აღინიშნოს. ცოორილებათა მიჩქმალვა პერსონაჟთა თვითმიზნური ზნეობითი პორტრეტის დასახატავად არც მეცნიერული იქნებოდა, არც – ეთიკური. ამიტომაც სახელდებს უზნეობას “უზნეობად” საქართველოს კათალიკოსი და დიდი რუსთველოლოგი კალისტრატე ცინცაძე. მაგ.: ხვარაზმელი სასიძოსადმი ნესტანისა და ტარიელის მიმართებას იგი უწოდებს: ცრუობას, ურცხვობას,

ვერაგობას, მშობელთა უპატივცემულობას, მეფის დამცირებას – შეურაცხყოფას, ქვეყნისა და სამშობლოს განწირვას, თავმოთნეობას... ცოომილებამ თავისი ნაყოფი გამოიღო: “...ბოროტად დაწყებული საქმე ბოროტადვე გათავდა – ნესტანი გადაკარგეს, ტარიელი გაიჭრა “ძებნად მისა” და ინდოეთი ჩაუვარდა მტერს ხელში” (ეკაშვილი 1966:243-244).

პოემის აღნიშნული ეპიზოდის (ხვარაზმელი სასიძოს მოკვლის) ამორალური ხასიათის შესახებ აღნიშნავს, აგრეთვე, კორნელი კეკელიძე, მიუთითებს რა უშუალოდ რუსთველის დამოკიდებულებას “უბრალო სისხლის” დაღვრასთან დაკავშირებით (კეკელიძე 1968:268).

მარიამ კარბელაშვილს თავის ნაშრომში, კალისტრატე ცინცაძისა და კორნელი კეკელიძის თვალსაზრისთან ერთად, მოხმობილი აქვს “ტარიელის რეაბილიტაციის თეზის” ასევე, პრინციპულად უარმყოფელი რუსთველოლოგის ვიკტორ ნოზაძის შეფასება ზემოაღნიშნული ეპიზოდისადმი: „1. ხვარაზმშას შვილს არავითარი ბრალი არ ედება. 2. ტარიელმა ჩაიდინა მკვლელობა... 3. ეს მკვლელობა მოამზადა ნესტანმა 4. ეს მკვლელობა გამოწვეულია განსაზღვრული მიზეზით: სიყვარულის ნიადაგზე. 5. ეს მკვლელობა “მკვლელობაა ვნებადი”... 6. ამ “ვნებადი მკვლელობის” მსხვერპლი გახდა უდანაშაულო... ხვარაზმშას ვაჟი...”(კარბელაშვილი 2000:36).

აქვე უნდა აღინიშნოს არსებითი რამ: ერთია ცოდვის ობიექტური ხედვა, მაგრამ მეორეა – თუ რა მდგომარეობამდე მივიდა ამის შემდგომ მცოდველი. ცოდვის შედეგად ან სრულად ბნელდება ადამიანის არსება (ვერ მაღლდება რა სინანულამდე), ან სინდისის ქენჯნით, სინანულის “წვრთნით” იბრუნებს დაკარგულ სიწმინდეს. ასეა ყოველთვის. ასევე “ვეფხისტყაოსანშიც” და ასეა, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ხვარაზმელის წინაშე შეცოდებისას, არამედ ყველგან, სადაც კი კეთილად და მართებულადაა გაცნობიერებული ამორალური საქციელი. ამიტომაც მიუთითებს კალისტრატე ცინცაძე სიწმინდეში დამაბრუნებელ სინანულზე: ნესტან-დარეჯანი, უმთავრესი მიზეზი და ავტორი ხვარაზმელის სიკვდილისა, განსაცდელთა სიმბიმე, სინდისის ქენჯნამ, ჭეშმარიტმა სინანულმა “...გამოაფხიზლა და დააწერინა მსოფლიო ლიტერატურაში სწორუპოვარი ჰიმნი მონანისა... მონანულთა და ტვირთმმიმეთა თავშესაფარი ხომ ქრისტიანობაა” (ეკაშვილი 1966:246).

“უცოდინართა” და “სოფლის ნივთთა შემსჭვალულთა” საპირისპიროდ ვახტანგ მეუქვე დიდად აფასებდა “ვეფხისტყაოსნის” ზნებით დირსებებს. მისი

აზრით, პოემის მორალური სულისკვეთება სრულ შესატყვისობაშია წმიდა წერილთან. რუსთველი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და სულის წარსაწყმედელად არც “დაშვრებოდა”. ის ფაქტი კი, რომ ძველ საქართველოში “ვეფხისტყაოსანს” უფრო მეტად კითხულობდნენ, ვიდრე წმიდა მამების თხზულებებს, ამ უკანასკნელთა დამცრობას კი არ მიუთითებს, არამედ იმას, რომ წმიდა წერილით ნასაზრდოები წყობილი სიტყვა, “სიბრძნისა და კეთილისა ერთი დარგი”, გონიერთაგან ისევე იმსახურებს სიყვარულს, როგორც წმინდა მამების თხზულებები: „...ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს, რომ ესევითარი კაცი (რუსთველი, მ.გ.) არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელად და, რადგან ქრისტიანი იყო, არცა აღუდგებოდა ესე ოდენსა ხანსა ამას წინ, რომელი იტყვის: “რომელმან მიხედოს დედაკაცს გულის თქუმად” შემდგომითურთ. მაგრამ ამად თქუ: თუცა [არა] ეთქვა წმინდათა წერილთაებრ, ვინ გაუშვებდა გრიგოლის და ოქროპირისა და სხვასა ესე ვითარსა და ამას შეიყუარებდა? აწ ამის მიზეზისათვის ესე თქვა. უსწავლნი და უმეცარნი სოფლის საშვებლად და სიბრძნედ შერაცხს და მათ სიხარულად შეიტყობის, ხოლო რომელი არიან მეცნიერ, სცნობენ ესრეთ, ვითარ განიმარტვის და რომ არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი დარგი...“ (ვახტანგ მეექვსე 1979:7).

ვახტანგის თქმით, “ვეფხისტყაოსანი” რომ უზნეობის მასწავლებელი ყოფილიყო, რუსთველის დროში მცხოვრები წმინდა მამები თავად შეუშლიდნენ ხელს პოემის ეპოქალურ მსლველობას, თანამედროვეთა მხრიდან რუსთველის ნამუშაკევის შეწყნარება კიდევ ერთი დიდი არგუმენტია პოემის სულიერი დირსებისა: “თავათ რუსთაველის დროს ქალი ბატონობდა და ამგვარი მეძაობის სიტყვა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიც და როგორ არ უწყენდა? და მეორედ: ორი კათალიკოზი, რამთონი სამღვდელო წმინდა და დირსნი კაცნი იყვნენ და ამთონი უდაბნო აშენებული იყო. ისინი, თუმცა რუსთველს მოენდომებინა, როდის აქნევინებდენ და ნათქვამს დაუხეველს როდის გაუშვებდნენ !”(ვახტანგ მეექვსე 1979:8).

რუსთველის ნათქვამი, საბედნიეროდ, სამარადისოდ “დაუხეველი” აღმოჩნდა, როგორც ეს ცხადყო კულტურულმა ისტორიამ.

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი, რუსთველოლოგი, პარიზის სააზიო საზოგადოების და პუტერბურგის აკადემიის საპატიო წევრი თეიმურაზ ბაგრატიონი წერდა: “ვეფხისტყაოსანი” ყოველთა ქართველთა სიბრძნის მოყვარეთა შორის უმეტეს ყოველთა ზედა სხვათა ბევრთა

თხზულებისაგან არს უმეტეს მოწონებული, ვინაიდან ქართულსა ხარაკტერსა ზედა არს „შეწყობილი” (ბაგრატიონი 1979:68).

ბაგრატიონის მიერ ნახსენები ქართული ხასიათი და მასთან „ვეფხისტყაოსნის” მსგავსება ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელ სულიერ-ზნეობით ფასეულობებთან პოემის შინაგან შესატყვისობას მიუთითებს.

მეცნიერი იმავე ნაშრომში განავრცობს ამ აზრს: “...წიგნი ესე „ვეფხისტყაოსანი”...ფრიადისა ხელოვნებითა შეწყობილ არს... სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა, ენისა ჩვენისასა“ (ბაგრატიონი 1979:70).

თეიმურაზ ბაგრატიონი, მიმოიხილავს რა პოემაში ცხადჩენილ სათნოებებს, გვაწვდის მხატვრული სახეებით რეალიზებული ზნეობითობის საოცრად ზუსტ ანალიზს. ეს ანალიზი, პრაქტიკულად, „ვეფხისტყაოსნის” ზნეობითი დვთისმეტყველების რეზიუმეს წარმოადგენს და იმდენად მნიშვნელოვნად მივიჩნევთ წინამდებარე საკითხის განხილვისათვის, რომ მოგვყავს ვრცელი ციტატა ზემოხსენებული ნაშრომიდან: რუსთველოლოგის მიხედვით, პოემა “ასწავებს, თუ ვითარ თანა აცხო საყვარელთა ურთიერთისა მიმართ მიჯნურობაი, რომელნიცა განემზადებიან სჯულიერად შეუდღებისათვის კეთილ-წესიერებით და არა უწესოისა სიყვარულითა და თუ სურვილისა ტრფიალებასა და ჭირთა შინა რაი უხმსო ყოფად და დაშორვებასა შინა ვითარ თანამდებ არიან ურთიერთისა, რათა დატყვევებული სიყვარული თვისი, ანუ დაკარგული თუ ვითარისა გულსმოდგინებითა და შრომითა მოპოვოს და ვითარ პმართებსთ თავისა თვისისა შეწირვა და განწირვა სიცოცხლისა თვისისა მოპოვებისათვის მისისა. ყმათა მეფეთა მიმართ რაი თანააძსთ და ვითარი ერთგულება პმართებსთ და სიყვარული და მათთა სამსახურისათვის სისხლისა დათხევაი, ვინაიოგან მეფეთა ერთგულება არს ერთგულება მშობელისა მამულისა თვისისა. ხოლო მეფეთა, ვითარ ჯერ არს მზრუნველობა ქვემე სკიპტრისა თვისისა, მყოფთა ერთათვის ერთგულთა მისთა და სახმართა კაცთა, ვითარ განსხვავებული პატივისცემაი და სიყვარული და წყალობისა ნიჭებად უხვად ყოველთა ერთა, კვალად სიყვარულთა განთავისუფლების ქამსა ვითარი პმართებსთ სიხარული, ანუ მეგობართა მეგობრისა თვისისა ჭირსა შინა და განსაცდელთა შეწევნაი და ძიებად მათთვის სარგებლობისა და მეგობრობისათვის თავის თავის დადებისა...

ვითარ ჯერ არიან... ლხინისა უამსა მეფეთა მიერ წყალობანი, თუ ვითარ განიცემიან, ანუ ქვეშევრდომთა ზედა მეფისათა წყალობანი, ვითა გარდაუფინებიან, გლახაკთა და უდონოთა მოწყალება ვითარ ჯერ არსს, ანუ მონათა მიერ ძღვნობა მეფეთა და მეპატრონეთა წინაშე, ანუ კაცთა ჭირთა შინა ვითარი მოთმინება ჰმართებსთ, ანუ ლხინთა შინა ვითარი წესიერება და გულითა კეთილითა და სიყვარულითა მოყვასთა თვისთა თანა შვება, ანუ ვეზირთა და მრჩეველთა მეფეთა წინაშე განზრახვანი და რჩევანი ვითარ ჰმართებსთ, ანუ მეფისა განრისხებისა უამსა, ვითარ ჯერ არს მახლობელთა მონათა მორიდება და გაფრთხილება მისთვისს. ანუ კეთილის ყოფისათვის, ვითარ ჯერარს ნაცვალი ესე და სხვანი უმრავლესნი კეთილნი ზნეობანი ისწავლებიან წიგნისა ამისაგან..." (ბაგრატიონი 1979:71).

ყოველივე ამის გამო თეიმურაზ ბაგრატიონი ასკვნის, რომ "ვეფხისტყაოსანი" არის ფრიად სახმარ ზნეობათა შინა ქართულთა" (ბაგრატიონი 1979: 71).

მარი ბროსეც აღნიშნავს "ვეფხისტყაოსნის" 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში პოემის ზნეობით სიმაღლეს. ბროსეს მიხედვით, "ვეფხისტყაოსნის" პოპულარობას პოეტურ ხელოვნებას, აზრებსა და "ჭეშმარიტების მაღალფილოსოფიურ მხატვრობასთან" ერთად ქმნის "კმასაყოფელი აღწერა... ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა" (ბროსე 1979:74).

ყურადღება გამახვილებულია მოყვასთა ურთიერთშეწევნაზე: "...ესე ვითარი ლირსებაცა აქვს "ვეფხისტყაოსანსა", რომელშიც მრავალნი პირნი მოქმედებენ და ერთმანეთზედ დამოკიდებული არიან, ვითარ თინათინ ავთანდილზე, ფატმან ავთანდილზე და ნესტან-დარეჯანზე, ავთანდილ, ფრიდონ და ასმათ ტარიელზე და მის საყვარელზე" (ბროსე 1979:74).

საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, აკაკი წერეთელი, რომელსაც რამდენიმე ლექცია აქვს მიძღვნილი "ვეფხისტყაოსნისადმი," ქართველობისათვის პოემის ზნეობით მნიშვნელობას ისტორიული რეალობით ცხადყოფს: "...ხალხს "ვეფხისტყაოსანი" მიაჩნდა რაღაც დიდებულ და საკვირველ განძაო, უმისოთ დიდებული ოჯახი დიდებულათ არ იწოდებოდა, რაც უნდა სიმდიდრით სავსე ყოფილიყო; ის ქორწილი საქებრად არ ჩაითვლებოდა, თუ რომ მზითვის სიაში პირველათ "ვეფხისტყაოსანი" არ იქნებოდა მოხსენებული" (წერეთელი 1979:89).

იგივე პოეტი თავის სახელგანთქმულ “ბაში-აჩუკშიც” აღნიშნავდა “ვეფხისტყაოსნის” მნიშვნელობას: “საუკუნეების განმავლობაში, დიდი და პატარა, ყველა იმას ეწავებოდა; კაცები ტარიელ-ავთანდილსა პბაძავდნენ, ქალები ნესტან-თინათინობას სცდილობდნენ, მეფე და კარისკაცები – როსტევან-სოგრატობაზე სდებდნენ თავს, მსახურნი შერმადინობდნენ და მოახლე – გამდელები კი ასმათობას სჩემობდნენ”(წერეთელი 1989:136). აქ მოხმობილი სიტყვები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ იმას, თუ როგორ „შენივთებული“ ჰქონდა ერს “ვეფხისტყაოსნის” სულიერ-ზნეობითი ფასეულობანი.

“ვეფხისტყაოსნის” მეტრფეთა ხომლს ერთვის, აგრეთვე, ქართველთა უდიდესი მასწავლებელი – იაკობ გოგებაშვილიც. მისი სიტყვებით, პოემის “მსმენელთ... ძლიერ მოსწონდათ მიმართულება პოემისა, რომელშიაც ნათლად იყო დახატული მაშინდელი ქართველების ღირსებანი: პატივისცემა ქალისა, მფარველობა დაბალი წოდებისა, ძვირად დაფასება ნიჭისა, სამაგალითო ქმობა ჭირსა და ლხინში, ძლიერება სულისა... და სხვანი” (გოგებაშვილი 1979:142).

პოემაში ცხადჩენილ მაღალ ზნეობით პრინციპებზე ამახვილებს ყურადღებას კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ფუძემდებელი საუბრობს „ვეფხისტყაოსნისეული“ სასოების, ღწვისა და მოქმედების, სიყვარულისა და მეგობრობის, სიმდიდრისა და მეფეთა წინაშე კრძალვის შესახებ (კეკელიძე 1952:126-127).

ღრმა ღვთისმეტყველება, მიუწვდომელი პოეტური ხლოვნება, პოემის პერსონაჟთა ზნეობითი მშვენიერებანი რუსთველს აკუთვნებს “... ისეთ გენიოსთა რიცხვს, რომლებიც ხდებიან შემდგომი თაობების აზრთა და გრძნობათა მფლობელად”(კეკელიძე 1952:152}.

“ვეფხისტყაოსანი” ყურადღებას იპყრობს... ადამიანის სულის ცოდნით... მართლის თქმით” (კეკელიძე 1952:155).

ვიკტორ ნოზაძე დიდად აფასებდა “ვეფხისტყაოსნისეულ” მსოფლხედვას და ზნეობით ღირსებებს მსოფლიო კულტურის ისტორიაში და მიიჩნევდა, რომ „უტოლო შემოქმედება თვით ვეფხისტყაოსანია – მსოფლიო კულტურასთან ქართული კულტურის და ქორწინების გენიოსური ქმნილება. ვეფხისტყაოსანი – ქართული ეროვნული სულის გამჟღავნებაა” (ნოზაძე 2004:77). ერის სული კი მხატვრულ ნაწარმოებებში სწორედ მათში ასახული მსოფლხედვითა და ზნეობით ცხადდება.

დიდი რუსთველოლოგი „ვეფხისტყაოსნის“ ზნეობით-კულტურულ მნიშვნელობას კიდევ უფრო აკონკრეტებს: “ვეფხისტყაოსანი საერთო ეროვნულ სულიერ სალაროდ შეიქმნა... იგი მთელი ერის სულიერ გამომსახველად გარდაიქცა, ერთგვარ “დაბადებად”, ანუ ბიბლიად გახდა... ზეპირი ვეფხისტყაოსანი ხალხის სულიერი საუნჯე იყო, ხოლო დაწერილი – სამზითვო წიგნი, გასათხოვარი ასულის უმშვენიერესი განძი: და აღარაა გასაკვირი, რომ ვეფხისტყაოსნის არ დაფასება უკულტურობის ნიშანად ითვლებოდა...” (ნოზაძე 2004:78-79).

ვიკტორ ნოზაძისეული ანალიზით, „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავებას მასში ცხადჩენილი ზნეობითი მშვენიერებანი განაპირობებს. ემიგრანტი რუსთველოლოგის აზრით, თუ რუსთველის პოემა უმაღლესი ხელოვნების ნიმუშია, ეს სწორედ “იმიტომ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველი უმდერის სიცოცხლეს, ადამიანს, ბრძოლას... სიყვარულს... მეგობრობას, ვაჟაცობას, თავდადებას... ძმობას, ძმადნაფიცობას, თავგანწირულობას... სილამაზებს, შვენიერებას... გონებას, სიბრძნეს... სიკეთეს, სიმართლეს, სამართლიონობას... თანასწორობას, თანასწორუფლებიანობას, სოციალურ პარმონიას... სამშობლოს დაცვას... დაუნდობელ წუთისოფელს და სხვა და სხვა ამოუწურავ პანგებს გვასმენს იგი...” (ნოზაძე 2004:80).

მარადიული ზნეობითი ფასეულობანი (ვიკტორ ნოზაძის თქმით, “ამოუწურავი პანგები”) “უკვდავია, ყოველი ხანისა და ცალკეული დროის გარეშეა არსებული...” (ნოზაძე 2004:80). მსოფლხედვა განაპირობებს ზნეობას, თავის მხრივ კი, ზნეობა ცხადმყოფელია მსოფლმხედველობისა. უკვდავ ზნეობით იღებზე “აგებული ვეფხისტყაოსანი” (ნოზაძე) ის პოემაა, რომელშიც “დაიბადა ერის მსოფლმხედველობა... ერის მსოფლგაგება, მსოფლჭვრეტა...” (ნოზაძე 2004:80).

“ვეფხისტყაოსნისეული” ზნეობითი პრობლემატიკისათვის, პრაქტიკულად, არცერთ რუსთველოლოგს არ აუვლია გვერდი. აქედან გამომდინარე, საკითხის ისტორია მეტად მასშტაბურია და მისი სრული სახით წარმოჩენა სცილდება წინამდებარე ნაშრომის მიზანს. ეს საკითხი, კვლევის მთელი კორპუსის გათვალისწინებით, ცალკე განხილვის საგანია. ამჯერად შემოვიტარგლებით მცირედით და აღვნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი “ზნეოსწავლულების” ცხადყოფისა და არგუმენტირების მხრივ, ზემოდასახელებულ ავტორთა გარდა, სხვა რუსთველოლოგებიც გვესიტყვებიან:

ალექსანდრე ბარამიძე, ნოდარ ნათაძე, სარგის ცაიშვილი, ელ.ხინთიბიძე, რევაზ ბარამიძე, ნესტან სულავა, ქეთევან ბეზარაშვილი, ლელა ალექსიძე, თამარ ხვედელიანი და ა. შ.

## **ქრისტიანული ზნეობის საწყისი და „ვეფხისტეაოსნისეული“ სიყვარული**

ქრისტიანული ზნეობა პიროვნული თავისუფალი ნებით აღსრულებული ზნეობითი სჯულის გამოხატულებაა, ამიტომაც მისი საწყისი თავისუფლების ნიშნით უნდა იყოს აღბეჭდილი. ეს საწყისი არის სიყვარული, რომელსაც ადამიანს ვერავინ აიძულებს.

სიყვარული თავის თავში მოიცავს სარწმუნოებასა და სასოებას, რადგან იგი ყოველი სათნოების უცილობელი პირობაა. „მიუხედავად რწმენისა და იმედის უპტველი დადებითი მნიშვნელობისა ქრისტიანობის ზნეობითი სრულყოფილებისათვის, სიყვარული მათზე მაღლდება, სიყვარული აღემატება მათ, რამეთუ რწმენა და იმედი წარმოადგენენ უმეტესად ამქვეყნიურ ცხოვრების სიქველეთ, ისინი მხოლოდ ამზადებენ ადამიანს იმქვეყნიური სანეტარო ცხოვრებისათვის, მაგრამ თვითონ იმქვეყნიურ ცხოვრებაში არ გადადიან. მაშინ, როცა სიყვარული არის როგორც აწინდელი, ისე მერმინდელი ცხოვრების სიქველე, ის არა მარტო აქ არსებობს, არამედ იქაც იარსებებს, იარსებებს მარად...რწმენის საშუალებით ადამიანი რწმუნდება დვოის არსებობაში, იმედის საშუალებით— იგი აღიძვრის სათნოებითი ცხოვრებით, სიყვარულის მეშვეობით კი წვდება ღმერთოან ერთობის საიდუმლოს, ემსგავსება შემოქმედს.

ქრისტიანულ სიყვარულში არის არსი და საფუძველი მთელი ქრისტიანული ზნეობითი შჯულისა. სიყვარულმა არ იცის დროისა და სივრცის საზღვრები... მისი სასიკეთო გავლენის წყალობით, მთელ კაცობრიობას შეუძლია ერთიანი გახდეს, მთელ ორგანიზმად იქცეს“ (მატგევი 1988:160-161).

მაკარი დიდი სიყვარულს სულიწმიდის მადლად სახელდებს: „რამეთუ სიყუარული არს სულიწმიდავ“ (ფსევდომაკარის... 1982: 112).

წმიდა იოანე სინელი ამბობს: „...უფროდს ყოვლისა სიყუარული, რამეთუ ღმერთ ეწოდების“ (იოანე სინელი 1986:30). იმავე მამის თქმით, სიყვარული „...არა

დავარდების, არცა ოდენ დასცხების სრბისაგან, და მის მიერ მოწყლულსა გულსა არღარა უტევებს განსვენებად ტრფიალებისა მისგან საღმრთოსა...სიტყუა სიყუარულისა ანგელოსთა მიერ ოდენ საცნაურ-არს და მათ მიერცა ძალისაებრ ბრწყინვალებისა მათისა, სიყუარული ღმერთი არს...სიყუარული ბუნებით მსგავსება არს ღმრთისა, რაოდენ კაცთა მიერ შესაძლებელ არს და მისაწომელ“ (სინელი 1986: 32).

წმიდა იოანე სინელის ამ სიტყვებს პროფესორი დეკანოზი სტელეცი ამგვარ კომენტარს ურთავს: სიყვარული... არის... ადამიანური სულის გამუდმებული სწრაფვა, მიაღწიოს ერთობას ღმერთთან, როგორც ერთადერთ უმაღლეს ჭეშმარიტებასთან, სიკეთესთან და მშვენიერებასთან, როგორც მთელი გულისმიერი სურვილების საბოლოო მიზანთან, გულისა, რომელიც მწყურვალეა მარადიული, უცვლელი ნეტარებისა და ბედნიერებისა (გამოცდილება... 1914:302)..

სიყვარულის არსი მეტრფესა და სატრფოს („ქებათა ქება“) შინაგან ერთობაში მდგომარეობს. ისინი თანაზიარნი ხდებიან, ერთი სულით გამთლიანებულნი და გამსჭვალულნი: „...შეიყუარა იგი იოანათან, ძემან მეფისამან, სიყუარულითა დიდითა, ვითარცა თავი თვისი...ეგრა“(1მეფ.18,1). ქრისტიანული სიყვარულის უმთავრესი ნიშანი სულთა სრული ერთობაა, მსგავსად მამისა და ძის არსებითი ერთობისა: „რაითა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამი და მე შენდამი...“ (1იოან. 17,21).

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, ღვთისადმი სიყვარული არის განმაპირობებელი მოყვასისადმი სიყვარულისა. იოანე მახარებელი თავის პირველ ეპისტოლეში წერს: „ღმერთი სიყუარული არს....“(იქ. 4,16) და ადამიანიც, ღვთის მსგავსად შექმნილი, სულში ინახავს ამ სიყვარულის ტვიფარს. ღვთისადმი სიყვარულით გამსჭვალული „...შობილ არს ღმრთისაგან“ (იქ. 3,9) და მიემსგავსება უფალს, „რამეთუ თესლი მისი მის თანა დადგრომილ არს“ (იქ.). იმავე ეპისტოლეში მახარებელი ბრძანებს: „ყოველსა, რომელსა პრწმენეს, ვითარმედ იესო არს ქრისტე, იგი ღმრთისაგან შობილ არს და ყოველსა, რომელსა უყუარდეს მშობელი, უყუარს შობილიცა იგი მისგან. ამით უწყით, რამეთუ გვიყვარან შვილნი ღმრთისანი, რაჟამს ღმერთი გვიყვარდეს და მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ“ (იქ. 5,1-2).

ყოველივე ამის კვალობაზე, ცნაურდება ის ჭეშმარიტება, რომ ღვთის სიყვარული არის მიზეზი მოყვასის სიყვარულისა. სწორედ ამის შესახებ ბრძანებს მახარებელი: „უკუთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და

ძმად თვისი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს ძმად თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებად?“ (იქ. 4,20).

„უთვალავი ფერით“ ცხადჩენილი სამყაროც სიყვარულის მშვენიერებით სუნთქავს. ყოველ ქმნილებაში ჰარმონია და წესრიგი განიჭვრიტება. საგანთა თანხმიერების მიღმა უფალი იხილვება: „...შენ ყოველივე ზომით, თვლითა და წონით განაწესე, რადგან დიდი ძლიერება მარადის შენთანაა“ (სიბ. სოლ. 11,20-21) – დაღადებს სოლომონი. მთელი სამყარო იმ სიყვარულის განსხვეულებაა, რომელიც სამყაროს შექმნამდე იყო. ქმნილებათა განხორციელებული მშვენიერება განუწყვეტლივ აღასრულებს სიყვარულის სჯულს: „ცანი უთხრობენ დიდებასა და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხობს სამყარო“ (ფს.18,1).

დასაზღვრული ქვეყნიერება უსაზღვრო სიყვარულის უცილობელი დასტურია. მთელი სამყარო ევქარისტიულ კავშირში იმყოფება ღმერთთან. იგი თითქოს საქორწინო სამოსლითაა შემოსილი და ზეციური ნეფისთვის განმზადებული. მცენარეულ საფარში ყოველივე მზისკენ, სინათლისაკენ ისწრაფვის, ღრმად ნიშნეულია სიყვარული ცხოველთა სამყაროსთვისაც და ის, რაც „უგონო“ და თავისუფალი ნების უქონელ სამყაროში ინსტინქტურად ცხადდება, ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანებში განიწმიდება და მაღლდება თავისუფალ, გაცნობიერებულ სწრაფვამდე – სიყვარულამდე ადამიანი რომ განიბრძნოს, უნდა უყვარდეს. ჭეშმარიტი სიბრძნე კი ღმერთია. ამიტომაცაა, რომ ღვთის „ცნობა“ ხელეწიფებათ მხოლოდ მათ, რომელთაც უყვართ: „საყუარელნო, ვიყუარებოდეთ ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი. რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი“ (იოან. 4,7-8). სიყვარული განაპირობებს ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობასაც, საგულისხმოა, აგრეთვე, ისიც, რომ ადამიანის გული ესწრაფვის, პირადი ბედნიერება ახლობელთაც გაუზიაროს.

ასე რომ, ღვთივექმნულ სამყაროში ყოველივე სიყვარულის ნიშნითაა აღბეჭდილი. დავით წინასწარმეტყველის თქმით, ყოველი სული უფალს აქებს(ფს. 150,6). ქმნილებათა შინაგანი და გარეგანი ჰარმონია ქმნის კოსმიურ მთლიანობას, ერთობას. ამგვარი ღვთაებრივი თანხმობა, წესრიგი და დაურღვეველი ურთიერთკავშირი ათქმევინებს ვაჟა-ფშაველას:

„ხევი მთას ჰმონებს, მთა ხევსა,  
წყალნი – ტყეთ, ტყენი – მდინარეთ,  
ყვავილნი – მიწას და მიწა –  
თავის აღზრდილთა მცინარეთ,  
და მეც ხომ ყველას მონა ვარ,  
პირზე ოფლგადამდინარედ“ (ვაჟა-ფშაველა 1979:107).  
ამ დვოივქმნული პარმონიის შეგრძნება აპირობებს უფლის  
ცხოველმყოფელი მადლით განახლებული ადამიანის სულიერ მდგომარეობას:  
„მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,  
უფალო, დაუმონია,  
ამაზე ტურფა და კარგი  
მე სხვა ადარა მგონია!...“ (ვაჟა-ფშაველა 1979:107).  
„ვეფხისტყაოსნისეული“ სიყვარული „ღმერთთან მიმყვანებელია,“  
(ბეზარაძვილი 2003:73). მისი რუსთველისეული კონცეფცია „პავლესეული  
სჯულის ახალ ცნებას ეფუძნება“ (ბეზარაძვილი 2003:73). ეს არის პოემის  
„თავსაკიდური ლოდი“ (ფსანმუნი), რომლითაცაა შეკრული რუსთველის  
„სასახლე“. „ავთანდილის ანდერძისა და ნებრანის წერილის სულისკვეთება  
გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ სიყვარული ერთადერთია სათნოებათა  
შორის, რომელიც არ დაიხსნება, ანუ არ გაუქმდება სამყაროს დასასრულისას,  
რადგან იგი მოიცავს ყველა სათნოებას თავის თავში“ (ბეზარაშვილი 2003:78).  
სოფლისა და ზეშთასოფლის მამთლიანებელი სიყვარული  
„ვეფხისტყაოსანში“ მთელი თავისი სისავსით ცნაურდება, რომლის კვალობაზე,  
ზნეობითი დვთისმეტყველების ასპექტით, შესაძლებელი ხდება მისი ამგვარი  
კლასიფიცირება: ა). სიყვარული დვთისადმი; ბ). სიყვარული მოყვასისადმი; გ).  
მტრის სიყვარული; დ). სამყაროს სიყვარული.

## *ა) ხიდგარ ული ღვთობა და მიზანი*

დვთისადმი სიყვარული, რითაც ასე ნიშანდებულნი არიან „გეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები, განაპირობებს პოემის მაღალ „ზეთსწავლულებას“, იგია საღვთო საფუძველი, რომელზედაც „დაშენებულია“ „გეფხისტყაოსნისეული“ სათხოებანი.

მართლმადიდებელი ქრისტიანობა, როგორც ამას წმიდა მაქსიმე აღმსარებელი გვეუბნება თავის „ჭეშმარიტ აღსარებაში“, აღიარებს ღმერთს „ცისა და ქუჯანისა და ზღვისა არა არსისაგან არსად მომყვანებელსა, შემოქმედსა და დამბადებელსა, რომელმან დაბადნა პირველად ზეცისა ძალნი და მხედრობანი ბევრეულნი აურაცხელნი, სიტყვით დაბადნა და სულითა წმინდითა სრულ ჰყვნა“ (ჭეშმარიტი...1882:1). ქრისტიანული თეიზმისათვის ღმერთი არის უზენაესი და ყოვლადსრულყოფილი პიროვნება, არქეტიპი ყოველგვარი პიროვნული ყოფისა.

მცნებათა შორის უპირველესი დვთისადმი სიყვარულის მცნებაა. მათეს სახარებაში მაცხოვარი გვაუწყებს: „...შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებათავ“ (მთ. 22, 37-38; შდრ. მარკ. 12, 29-30: „პირველი ყოველთა მცნებათავ ესე არს: ისმინე, ისრაელ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს: და შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ესე არს პირველი მცნებათავ“).

დვთისადმი სიყვარული განპირობებულია დვთისავე მხრიდან ჩვენდამი სიყვარულით. იოანე მახარებელი გვამცნობს: „ჩუენ გპყუარს იგი (ღმერთი – მ.გ.), რამეთუ მან პირველად შემიყუარნა ჩუენ“ (1 იოან. 4,19).

ცოდნა იმისა, რომ უფალს ვუყვარვართ, სულიწმინდისეული ნიჭია. ეს ცოდნა სარწმუნოების თანამდევია. სიყვარულში განმტკიცებული უფალთან

მკვიდრობს, რადგან უფალია მასთან. ასეთია სიყვარულის სამკვიდრებელი: „...ჩუენ გცანთ და გურწმენა სიყუარული, რომელი აქუს ღმერთს ჩუენდა მომართ. ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა პგიეს და იგი ღმრთისა თანა” (1 იოან. 4,16).

ღვთისადმი სიყვარულს არა მხოლოდ მისდამი უშუალო მიმართება ცხადყოფს (ლოცვა, სასოება და ა.შ.). არამედ მოყვასისადმი სიყუარულიც. ასე რომ, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული მმათმოყვარება, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებანი ღვთისადმი სიყვარულის წარმოჩენაა. პოემის პერსონაჟები მოყვასობის მაღალი იდეის რეალიზებით, ღვთისადმი თავიანთ სიყვარულს წარმოაჩენენ. მათი ცხოვრების წესი წმინდა წერილის სიტყვებით იკითხება: “უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და მმავ თჯსი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს მმავ თჯსი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებად? და ესე მცნებად მოვიდეთ მისგან, რათა რომელსა უყუარდეს ღმერთი, უყუარდეს მმავცა თჯსი” (1 იოან. 4, 20-21).

უფლის მოწაფეობაც მოყვასის სიყვარულით იცნობება. რადგან ღვთის სიყვარული, წმ. იოანე ოქროპირის მიხედვით, გონების საქმეა, ანუ იგი ხორციელად არ იხილვება. ადამიანთა ურთიერთსიყვარული კი ამ დაფარულის ცხადყოფაა. ოქროპირი განგვიმარტავს: “ვინავთგან სიყუარული მმათავ მცნებავ არს საღმრთო, ვითარმედ: “ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, რაჟამს იყუარებოდეთ ურთიერთას.” და კუალად, საზღურად სიყუარულისა თჯსისა ესე დაუც: “რომელსა უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეს.” ამიერ ცხად არს, ვითარმედ სიყუარული მოყუსისად აღსრულებად არს მცნებისად. და აღსრულებად მცნებისად სასწაული არს სიყუარულისა მისისად... ხოლო თჯნიერ მმათა სიყუარულისა იქადოს თუ ღმრთისმოყვარე ყოფად, ტყუვილი დაესაჯების, რამეთუ სიყვარული ღმრთისად საქმე არს გონებისად, და დაფარული გონებისად ამით იხილვების, რაჟამს სიყუარულისათვის ღმრთისა აღვასრულოთ მცნებად მისი და ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ ყოველი გარდამავალი მცნებისად უცხო არს სიყუარულისაგან ღმრთისა” (განმარტება... 2000:145).

უფლის მცნებათა აღსრულება, ასევე, მიუთითებს ღვთისადმი ჭეშმარიტ სიყვარულს: „...ესე არს სიყუარული ღმრთისად, რათა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ” (1 იოან. 5,3). “მცნებათა დამარხვა” სარწმუნოების საქმით, პრაქტიკულ რეალიზებას გულისხმობს. სათხოებათა გამრავლებით ცხადდება

უფლის სიყვარული: “რომელთა სარწმუნოებასა თანა მართალსა საქმენიცა სათხოებისანი წარპმართნენ, ესევითარნი იგი ღმრთისაგან იშვებიან, და ღმრთისაგან შობილნი იგი ამით საყუარელ იქმნებიან, რათა სიყუარულითა მათითა ცხადვეოთ სიყუარული მშობლისა მის მათისა ღმრთისად, რომლისა სიყუარულ არს დამარხვად მცნებათა მისთა...” (განმარტება...2000:145).

ღვთის სიყვარული ადამიანს ანიჭებს უდიდეს ძალას, რათა უყვარდეს, მორჩილად ადასრულოს ნებისმიერი მცნება: “...და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და იყვნენ სიტყუანი ესე, რომელთა მე გამცნებ შენ დღეს, გულსა შინა შენსა და სულსა შინა შენსა” (2 სჯ. 6, 5-6).

მეორე სჯულის წიგნში არაერთგზის არის მოცემული ღვთის მცნებათა მორჩილების მოწოდება: “და აწ, ისრაელ, რასა უფალი ღმერთი შენი ეძიებს შენგან? არამედ რათა გეშინოდის უფლისა ღმრთისა შენისა, ხჯდოდი ყოველთა გზათა მისთა და გიყუარდეს იგი და პმსახურებდე უფალსა ღმერთსა შენსა ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა (იქ. 10,12-13). “შეიყუარო შენ უფალი ღმერთი შენი და დაიმარხნე მცნებანი მისნი და წამებანი მისნი და სამართალნი მისნი და მსჯავრნი ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა” (იქ. 11,1).

ღვთის სიყვარული მასთან თანაზიარს ხდის ადამიანს. ამ უკანასკნელისათვის უფალია სიცოცხლე, დღეპეთილობის ნამდვილი მიზეზი. არსებობს ორი გზა: სიცოცხლისა და სიკვდილისა. თავისუფალი ნება არჩევანსაც თავისუფალს ხდის. მაგრამ უფალი მშობელია მოსიყვარულე და არჩევანის წინ ადამიანს რჩევის გარეშე არ ტოვებს: “...სიცოცხლე და სიკუდილი მივეც წინაშე პირსა თქეენსა, კურთხევად და წყევად. გამოირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხლო შენ და თესლმან შენმან” (იქ. 30, 19).

სიყვარულის მოციქულიც გვაუწყებს: “...ამით უწყით, რამეთუ ვიცით იგი, უკუთუ მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ” (1 იოან. 2, 3) ღვთის ცოდნას, ღვთისმეცნიერებას სიტყვით აღიარება კი არა, არამედ მხოლოდ საღვთო საქმეთა აღსრულება რომ განაპირობებს, ამას წმინდა წერილი ხშირად გვამცნობს. ვინც საუფლო მცნებებს ვერ მისდევს, ვინც საქმით არ ემსგავსება უზენაესს, მან არ იცის უფალი, აქედან გამომდინარე კი არც უყვარს იგი. წმინდა იოანე ოქროპირი გვაუწყებს: “წმინდა წერილნი უმრავლესსა ადგილსა არა ლიტონსა რასმე ქონებასა მეცნიერებისასა, არამედ საქმითსა თვესებასა და

მსგავსებასა უწოდენ ღმრთისმეცნიერება. აწ უკუკ, რომელი საუფლოთა მცნებათა არა იმარხვიდეს, არცა საქმით ემსგავსებოდეს ძალისაებრ მამასა თუსსა ზეცათასა, ესევითარსა მას არდა უცნობიეს ღმერთი, ვითარ-იგი ჯერ-არს, არცა ცნობილ არს მის მიერ” (განმარტება...2000:427).

იოანე მახარებელი ამხელს მათს სიცრუეს, ვინც ამბობს, რომ უყვარს უფალი, მაგრამ მცნებებს კი არ აღასრულებს. ცრუნი არიან ასეთი ადამიანები. ჭეშმარიტებისგან გაუცხოებული. მოციქული განავრცობს მსჯელობას და კიდევ უფრო აკონკრეტებს: “რომელმან თქუას, ვითარმედ ვიცან იგი (უფალი – მ.გ.) და მცნებათა მისთა არა იმარხვიდეს, მტყუვარ არს და ჭეშმარიტებად არა არს მის თანა. ხოლო, რომელმან დაიმარხნეს სიტყუანი მისნი, ჭეშმარიტად სიყუარული ღმრთისად აღსრულებულ არს მის თანა, ამით უწყით, რამეთუ მის თანა ვართ” (1 იოან. 2, 4-5).

მეორე ეპისტოლეშიც მსგავს აზრს გვიცხადებს ღვთისმეტყველი, როცა ურთიერთსიყვარულის შესახებ საუბრობს და ასე მიუწერს ადრესატს: “და აწ გიკითხავ შენ, დედოფალო, არა ვითარცა მცნებასა ახალსა მივსწერ შენდა, არამედ რომელი მაქუნდა დასაბამითგან, რათა ვიყუარებოდით ურთიერთას და ესე არს სიყუარული, რათა ვიდოდით მცნებათაებრ მისთა...” (2 იოან. 1, 5-6).

მოციქულის სიტყვის გავრცობის კვალობაზე საღვთო კომენტატორიც განავრცობს: “...სიყუარულით ურთიერთას მცნებათა ღმრთისასა აღვასრულებთ და მცნებისა საღმრთოსა აღსრულებითა მოყვარე ღმრთისა გამოვჩნდებით, რამეთუ მან გვამცნო დასაბამსა ჩუენსა მოწოდებისასა: “მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რათა იყუარებოდეთ ურთიერთას.” და ვინავთგან მან გვამცნო, არღარა ახალი არს, არამედ ქრისტესაგან მიუდებიეს დასაბამი, რომელმან იგი სიყუარულისათვის, რომელ აქუნდა ჩუენდა მომართ, სული თუ დადვა ჩუენთვის, და ჩვენგან ამასვე ეძიებს, ვითარმედ: “რომელსა უყვარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეს” (განმარტება... 2000:455).

ღვთისმოყვარეობა განაპირობებს საუკუნო სიხარულს, რადგან უფალი მკვიდრობს ღვთისმოყვარეთა შორის და საღვთო შეებას ანიჭებს მათ: “და იშუებდენ ყოველნი, რომელნი გასვენ შენ [უფალო], უკუნისამდე იხარებდენ და დაიმკვდრო მათ შორის. და იქადოდიან შენდამი, რომელთა უყუარს სახელი შენი” (ფს. 5, 12).

რა იქნებოდა ავთანდილის ლოცვა მისეული მოყვასობის რეალიზების გარეშე! ავთანდილის მიმართება ღვთისადმი, უფლის სახელის ოდენ ბაგეებით

მოხმობა, საქმით კი განსაცდელში ჩავარდნილი მმის განწირვა ყოველგვარ მადლს განაშორებდა მის ლოცვას, პრაქტიკულად ის არც იქნებოდა ლოცვა, არამედ მხოლოდ ლამაზი სიტყვების გროვა, ყალბი და უსულო, რაღგან, სადაც ძმათმოყვარება არ არის, იქ არც დვთისმოყვარებაა. ავთანდილმა თავისი “სული დასდო” მეგობრისთვის და ამით დაამტკიცა დვთისადმი ჭეშმარიტი სიყვარული. რაინდის მოღვაწეობას საღვთო უწყების ნათელი ახლავს თან: “...ჩუენცა თანა-გუაც ძმათათვეს სულთა ჩუენთა დადებათ. უკუეთუ ვისმე აქუნდეს საცხორებელი სოფლისათ ამის და იხილოს ძმათ თვესი, რომელსა ეტმარებოდის რაღმე და დაპკშებ ნაწლევნი თვესი მისგან, ვითარ-მე პგიეს მის თანა სიყუარული დმრთისათ“ (1 იოან. 3, 17).

ყოველი სათხოება, საქმით ცხადყოფილი, ბუნებრივია დვთის სიყვარულს წარმოაჩენს, მაგრამ უპირველესად ერთმანეთის სიყვარულით ვემსგავსებით შემოქმედს და მისდამი სიყვარულს ცხადვეოფთ. ურთიერთსიყვარული დვთისაგან “შობილობას” განაპირობებს, მოყვარულს ძალუბს იხილოს დმერთი. ვისაც არ უყვარს, იგი არ იცნობს შემოქმედს, რადგან დამბადებლის ცნობა მხოლოდ სიყვარულითაა შესაძლებელი: “საყუარელნო, ვიყუარებოდეთ ურთიერთას, რამეთუ სიყუარული დმრთისაგან არს, და ყოველი, რომელსა უყვარდეს, დმრთისაგან შობილ არს და იცის დმერთი. რომელსა არა უყვარდეს, მან არა იცის დმერთი, რამეთუ დმერთი სიყუარლი არს” (იქ. 4,7-8).

ურთიერთსიყვარულს ძალუბს ადამიანთა შორის დვთის დამკვიდრება, უხილავი სიყვარულით იხილვება. იოანე მახარებელი ამბობს: “დმერთი არასადა ვის უხილავს. უკუეთუ ვიყუარებოდით ურთიერთას, დმერთი ჩუენ შორის პგიეს და სიყუარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ არს” (იქ. 4,12). იოანე ოქროპირის მიხედვით, რადგანაც უფალი უხილავია და უხილავად მკვიდრობს, კაცთა შორის მის მყოფობას სწორედ ადამიანთა ურთიერთსიყვარული მოწმობს: “ვინათეგან არა თუალით ხილულად, არამედ უხილავად და საცნაურად იქმნების ჩუენ შორის დამკუდრებად დმრთისად, ამისთვის ამას მოგუცემს მაუწყებელად, რათა უწყოდით ჩუენ შორის ყოფად მისი, უკუეთუ ვიყუარებოდით ურთიერთას და გვბაძავდით მისსა მას ჩუენდა მომართ სიყუარულსა და ძალისაებრ გარდავიკდიდეთ თანა-ნადებსა მოყუასთა და ძმათა ჩუენთა მიმართ ჩუენებითა სიყუარულისათა” (1 იოან. 4,12).

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ ცხადჩენილი მოყვასობა, გმირთა ურთიერთსიყვარული, მათი დწვა მოყვასის საკეთილდღეოდ, არა მხოლოდ მათს

ძმათმოყვარებას წარმოაჩენს, არამედ, ამასთანავე, ღვთისადმი სიყვარულს ასაცნაურებს.

ღვთის სიყვარული “მცველობის” თვისებითაა აღბეჭდილი. ამიტომაც გვმოძღვრავს იუდა მოციქული: “თავნი თქუენნი სიყუარულითა ღმრთისავთა დაიცვენით” (იუდა, 1, 21).

ადამიანის სულიერ სავანებს, ითანე თქროპირის მიხედვით, სართულად სიყვარული აქვს: “...სიყუარული სართულ ყოფად სულიერსა მის სახლისა ჩუენისა...”(განმარტება... 2000:474). ღვთისმოყვარე ამ სართულს ქვეშ მოელის უფლის წყალობას: “მოელოდეთ წყალობასა უფლისა ჩუენისა...” (იუდა. 1,21).

ღვთისმოყვარულნი, რასაკვირველია, უპასუხოდ არ რჩებიან: ისინი უყვარს უფალს. იგავთა წიგნში შემოქმედი მის მოყვარულებზე ბრძანებს: “ მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან და, რომელნი მემიებენ მე, მპოვონ” (იგ. 8,17). ამ სიყვარულს თან ახლავს წყალობაც: “...უფალი ღმერთი შენი ესე არს ღმერთი სარწმუნო დამცუელი აღთქუმისა მისისად და წყალობისა მოყუარეთა თვისთათვის და დამცუელთა მცნებათა მისთასა ათასამდე ნათესავად...” (2 სჯ. 7,9).

მსგავსად ამისა დანიელ წინასწარმეტყველიც ცხადყოფს ღვთის წყალობას მისი მოყვარულებისადმი: “...უფალო ღმერთო, დიდო და საკვირველო და დამცველო აღთქუმასა და წყალობასა მოყუარეთა შენთა და დამცველთა შენთასა...” (დან. 9,4).

უფალი არა მხოლოდ მოსიყვარულე და მწყალობელია ღვთისმოყვარეთა მიმართ, არამედ იგი მათი მცველი და მფარველი. ფსალმუნი ამბობს: “...დაიცვნეს უფალმან სულნი წმიდათა მისთანი და კელთაგან ცოდვილისათა იქსნეს იგინი” (ფს. 96, 10); სხვაგანაც იმეორებს დავითი: “დაიცვნეს უფალმან ყოველნი მოყუარენი მისნი” (იქ. 144, 20).

ექვთიმე ზიღაბენი განმარტავს: “ვისაც სურს, უყვარდეს უფალი, იგი თვით უნდა მიემსგავსოს ღმერთს ბოროტის უკუგდებით და სიკეთის სიყვარულით, რათა მსგავსი მსგავსს შეუერთდეს” (განმარტებითი ...1883:29).

რადგანაც მცველია უფალი, ამიტომაც ღვთისმოყვარეს იხსნის იგი ყოველგვარი შეჭირვებისაგან. ესეც უწყებულია დავითის პირით სულიწმიდის მიერ: “რამეთუ მე მესვიდა, და ვიგსნა იგი და დავიფარო იგი, რამეთუ იცნა სახელი ჩემი” (ფს. 90, 14).

ყოველი ლოცვა როდი აღიწევა უფალთან, ყოველი სავედრებელი როდია სათხო უფლისათვის, რადგან ლოცვას, უპირველეს ყოვლისა, სიწრფელე და სიყვარული უნდა ახლდეს თან. ასეთი ლოცვა ხელეწიფებათ დვთისმოყვარულთ და ამიტომაც მათს თხოვნას უფალი იწყნარებს: “იშუებდ უფლისა მიმართ და მან მოგცეს შენ თხოვად გულისა შენისავ” (ფს. 36,4).

შემთხვევითი როდია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა წრფელ ლოცვას, სასოებით აღსავსე სავედრებელს და სიყვარულით გაჯერებულ თხოვნას პასუხად ყოველთვის მოსდევს დვთის წყალობა და შეწევნა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მოყვასის სიყვარულით, დვთის მცნებების აღსრულებით იცნობება დმერთი. დვთისმოყვარეობით, დვთის ცოდნით კი დვთისაგან იცნობება დვთისმოყვარე. ამის შესახებ პავლე მოციქული მოწმობს: „...რომელსა უყუარს დმერთი, იგი (ადამიანი, მ.გ.) ცნობილ არს მის (დვთის, მ.გ.) მიერ.” (1 კორ. 8,3). აქ ცხადყოფილია დვთის მოყვარული ადამიანის სიდიადე: „მას იცნობს თვით დმერთი, სამყაროს მეუფე, მსგავსად იმ ცნობისა, რაც აქვთ ხოლმე მეფეებს გამორჩეულ ქვეშევრდომთა მიმართ. “ცნობა” ამ შემთხვევაში ნიშნავს: ადიარებას, დაფასებას, სიყვარულს”(განმარტებითი... 1913:58).

გალატელთა მიმართ ეპისტოლებიც ამ “ცნობის” შესახებ საუბრობს პავლე მოციქული: “ხოლო აწ იცანთ დმერთი, უფროვსდა გიცნნა თქუენ დმერთმან...” (გალ. 4,9). ასევეა ტიმოთეს მიმართ მიწერილ ეპისტოლებიც: “ხოლო მტკიცე იგი საფუძველი დმრთისად ჰგიეს, და აქუს ბეჭედი ესე: “იცნის უფალმან, რომელნი იგი არიან მისნი...” (2 ტიმ. 2,19).

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს, ცხოვრებისეული წესიდან გამომდინარე, უყვართ უფალი. ისინი იცნობენ მას, და დვთის წინაშე ისინიც გამორჩეულნი არიან, როგორც კურთხეული შვილები, აღთქმის ძეები და უფალი იცნობს მათ.

ადამიანის კაცობრიობისადმი სიყვარულის დვთივსათხო, მაცოცხლებელი წყარო არის განუწყვეტელი სულიერი ერთობა დმერთან. მხოლოდ მაცხოვრის სიყვარულით იმკვიდრებენ ქრისტიანები ურთიერთსიყვარულს.

დმერთან განუწყვეტელი სულიერი ერთობის აუცილებელი პირობა კი ლოცვაა, ანუ გონებითი საუბარი შემოქმედთან, უზენაეს არსებასთან. დვთისადმი სიყვარული ლოცვის შედეგია. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები ლოცვის ნათლით არიან განშვენებულნი. მათი „ტკბილმოუბრობა“, შინაგანი სიმდაბლე და ქველი საქმეები მიმანიშნებელია იმ სულიერი ზრდისა, რაც კეთილად და გონივრულად წარმართულ ლოცვას მოსდევს. „ნაყოფი ჭეშმარიტისა და გულს-მოდგინებითისა

ლოცვისა არს სულიერი წარმატება, უმჯობესობა, სულიერი სისრულე კაცისა“ (ქადაგებანი... 1913:30).

ლმერთი მხოლოდ განუწყვეტელი ლოცვითი მდგომარეობით განიჭირიტება. წმიდა იოანე ოქროპირის სიტყვებით: „ლოცვა წარდგომა არს წინაშე დმრთისა“ (იოანე ოქროპირი 1996:13). „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სიტყვა და საქმე მართლაც რომ გაბმული „წარდგომა“ უფლის წინაშე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლოცვა არ გულისხმობს მხოლოდ ერთ რომელიმე კონკრეტულ დროით მომენტს მორწმუნე პიროვნების ცხოვრებაში. ლოცვა არის მუდმივი განწყობილება ლმერთთან ურთიერთობისა, განუქარვებელი სურვილი უფალთან საუბრისა როგორც სიტყვით, ასევე გონებითა და საქმით, რადგან ოდენ სიტყვით დიდებისმეტყველებას დვთისას არ ძალუბს ადამიანის განდმრთობა. წმიდა ბასილი დიდის მიხედვით: „არა სიტყით ოდენ ადასრულებ ლოცვასა, არამედ ყოველთავე მოქალაქებითა ცხორებისა შენისათა შეგიერთებიეს თავი შენი დმრთისა მიმართ და არს ყოველივე ცხორებად შენი შეერთებული და დაუცადებელი ლოცვა“ (ბასილი... 1993:44). „არა სიტყით მიერ გვიხმს აღსრულებად ლოცვისად, არამედ უფროსად გონებითა სულისათა და საქმეთა მიერ სათნოებისათა, რომლისა შემკულ იყოს ცხორებად ჩუენი“ (ბასილი... 1993:44).

ლოცვა განაპირობებს დვთის ხილვას, ჭვრებას. ლოცვით აღსავსე ცხოვრება მჭვრეტელობითად მოიაზრება. „ღირსი ისააკ ასურის სიტყვებით, მოსაგრის მოღვაწეობა, რაც ცხადჩენილია საღვთო აზროვნებასა და განუწყვეტელ ლოცვაში, მჭვრეტელობითად იწოდება“ (ზარინი 1996:444).

სწორედ აქედან გამომდინარე ითქმის, რომ ლოცვა უახლოეს კავშირშია ჭეშმარიტ ცოდნასთან, რადგან დვთის „ჭვრება“ იმავდროულად „ცოდნას“ ნიშნავს. ლოცვის გზით ადამიანი სიყვარულით უერთდება ლმერთს. ლოცვა არა მხოლოდ განმაპირობებელია სიყვარულისა, არამედ ის არის ამ უკანასკნელის მზრდელი და სრულყოფელი ძალა. „სიყვარული ლოცვისაგან... აქედან გამომდინარე, ლოცვა იმისთვისაა, რომ მოვიხვეჭოთ დვთისადმი სიყვარული, რადგანაც ლოცვის შედეგად მოიპოვებიან მიზეზები დვთის სიყვარულისა“ (ზარინი... 1996:444).

„ლოცვა ეს არის არა მხოლოდ ადამიანის ურთიერთობა ლმერთთან, არა მხოლოდ საღვთო ჯილდო, არამედ ეს არის აგრეთვე სულიერ-ზნეობითი

დგაწლი, რომლისთვისაც საჭიროა განსაკუთრებული და გამუდმებული მზადება“ (მატვეევი 1988:192).

პავლე მოციქული ტიმოთეს მიმართ ეპისტოლეში ასახელებს ლოცვის რამდენიმე ტიპს: „...ვედრებასა, ლოცვასა, თაყუანის-ცემასა და მადლობასა...“ (1ტიპ. 2,1).

ლოცვის სახეები მჭიდრო ურთიერთკავშირშია, თუმცა მათი ერთიანობის, მთლიანობის გაგება არ ეწინააღმდეგება მათ გარკვეულ სხვაობასაც, მლოცველის სხვადასხვა სულიერი განწყობილების შესაბამისად.

ლოცვა სულიერი საზრდოა. იგი არის ბუნებრივი და აუცილებელი მოთხოვნილება სულისა და სხეულის განსამტკიცებლად. მისი შემწეობით გონება მტკიცდება ჭეშმარიტების შემეცნების გზაზე, ჩვენი ნება მყარდება სიკეთ ეში, ხოლო გული განიწმიდება ბიწისაგან.

„ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით ლოცვის რამდენიმე ტიპს:

1.დვთისადმი მიმართული იმგვარი ლოცვა, რომელიც გამოწვეულია უზენაესი ძალის გაცნობიერებით და რომელიც მიმოიხილავს ადამიანის მთელ შინაგან დაფარულ სამყაროს, იცის მისი ყოველი სურვილი და ზრახვა ( შდრ. „დილის ლოცვიდან“ „უფალო ყოვლისა მყრობელო, მეუფეო ძალთაო და ყოვლისა ხორციელისაო, რომელი მაღალთა შინა ხარ და ყოველსავე მდაბალთა ხედავ, რომელი დაფარულთა კაცოასა მეცნიერ ხარ და გულთა და გონებათა მოქმედებანი უწყნი...“ ლოცვანი 1994:25);

2. თხოვნითი (ვედრებითი);
3. სამადლობელი;
4. სადიდებელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო პერსონაჟთა ლოცვითი განწყობილება არ შემოისაზღვრება რომელიმე კონკრეტული ადგილითა და დროით, ისინი ამ ღვთაებრივ მდგომარეობას მოელი არსებით არიან შემსჭვალულნი, რაც საცნაური ხდება მათივე მოქმედების კვალობაზე.

„ლოცვა... მხატვრულ ნაწარმოებში გმირის შინაგანი მონოლოგია, რომლითაც მთელი სიდიადით წარმოჩნდება როგორც მისი სულიერი სამყარო, ისე მიმართება ღმერთთან— უზენაეს არსებასთან, გარესამყაროსთან, საკუთარ თავთან. მლოცველი ადამიანი ღვთის წინაშე წარმოთქვამს ლოცვას, ერთგვარ აღსარებას, რაც ღმერთთან ზიარების, მისი წვდომის შეგრძნებით, საკუთარი თავის განწმენდის აუცილებლობით არის განპირობებული“ (სულავა... 1999:201).

უცხო მოყმის უეცარი გამოჩენით და მისი ასევე უეცარი გაუჩინარებით შეშფოთებული და შეწუხებული როსტევან მეფე, რომელსაც სულიერი სიმშვიდე დაუკარგავს, გონებითი შეჭირვების უამს განსაცდელში დვთის ნებას ჭვრეტს და დათმენის სათნოებით ამაღლებული შემოქმედს სამადლობელს აღუვლენს:

„ბრძანა: „დმერთსა მოეწყინა აქამდისი ჩემი შვება,  
ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანავდლება,  
სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერგის ძალ—უც განკურნება,  
მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება“ (99).

ავთანდილი, თინათინის – მიჯნურისა და მეფის, დავალებით, უცხო მოყმეს ეძებს, რომელსაც არაბეთის მთელი სამეფო კარი აუფორიაქებია. ძებნიდან განკუთვნილი სამი წელიწადიდან ორი თვე დარჩენია. წარუმატებლობით სასოწარკვეთილ რაინდს ჩივილის სიტყვები დასცდება ერთხანს: „იტყვის, დმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ? მე ეზომნი სიარულნი კიდე რად, გლახ, გამიცუდენ...“ (189), მაგრამ მეყსეულად გონებით სიფხიზლეს მოეგება იგი და განსაცდელის მორჩილად დათმენას ირჩევს: „კვლავცა იტყვის: „დათმობა სჯობს, და თავსავე ეუბნების... უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების, განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების...“ (190)

ავთანდილის მხრივ, ყოველი ადამიანური შესაძლებლობა— მოიძებნოს უცნობი ყმა – ამოწურულია: „ყოვლი არსნი ცათ ქვეშეთში ერთობ სრულად მომივლიანო,— ამბობს არაბი ჭაბუკი, მაგრამ, როცა იგი ძლევს სასოწარკვეთილებას და საკუთარ წარუმატებლობაში დვთის ნებას გააცნობიერებს, მეყსეულად უჟღლება სიმშვიდე. იგი მთელი არსებით მიენდობა ღმერთს და ამგვარი მდგომარეობისათვის ჯილდოვდება კიდეც – სამი ხატაელისაგან შეიტყობს უცხო მოყმის ადგილსამყოფელს.

„დათმობის“ სათნოებას, პერსონაჟთა მიერ პრაქტიკულად ხორც შესხმულსა და რეალიზებულს, არაერთხელ ვხვდებით ვეფხისტყაოსანში.

ავთანდილი დვთისაგან ითხოვს: „მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო.“ ეს სიტყვები დიდი შინაგანი ძალისხმევისა და იძულების შედეგადაა წარმოთქმული. რაინდი პიროვნული ემოციებისა და სურვილების დათმობის ნებელობით ამკვიდრებს თავის თავს, ვითარცა დვთის ხატსა და მსგავსს.

„ავთანდილის ლოცვაში...თვით ღმერთია დროც და სივრცეც. დვთისადმი მიმართვები მარადიული არსებისადმი მიმართვებია. მასში არეკლილია კოსმოგონიური ჟამი და სივრცე: „მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,“ „რომელი პფლობ ქვენათ ზესსა“. ღმერთი დროითი და სივრცული განზომილების მიღმა დგას, იგი მარადიულია, ყოველივეს შემოქმედია. მის წინაშე მდგომი ავთანდილი, როგორც მიკროკოსმოსი, მიისწრაფვის სრულყოფილებისაკენ, რაც მას განლმრთობის საფუძველს მოუმზადებს, იგი იბრძვის მიკროკოსმოსში თავისი დირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის“ (სულავა...1999 :213).

ტარიელიც, ნესტანის ხილვით გონდაკარგული, თავისი სურვილის დათრგუნვას შესთხოვს უფალს: „თმობა ვთხოვე შემოქმედსა... ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯა ჩემი შეისმინე, მომეც ძალი დათმობისა...“(354)

დათმენის აუცილებლობას შეახსენებს ავთანდილი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფ ტარიელს: „რაც არა გწადდეს იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა.“ დათმობის სათნოება დვთივსათნო მეტრეთა მშვენებაა. სადგომ სიყვარულით აღძრულს „თმობაცა პქონდა მრავალთა წყენათა.“ მიჯნურს, რუსთველის თქმით, „დათმობა“ მართებს, „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა,“ „დათმოს წყრომა“ და ა. შ.

ავთანდილის მეოხებით მეკობრებს მშვიდობით განრინებული ვაჭართა ქარავანი ღმერთს ადიდებს: „თქვეს: უფალო, მადლი შენდა!“(1048), იქვე – ავთანდილი: „მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა, ვისგან ძალი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა“(1050). ჭირსა და განსაცდელში ადამიანს, ავთანდილის თქმით, ღმერთი მოწყალეობს.

მოყვასის სიხარულით გულშეძრული ასმათი ასე დიდებისმეტყველებს უფალს:

„ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,  
შენ ხარ სავსება ყოველთა, აღგვავსებ მზეებრ ფენითა,  
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელო სმენითა!“ (317)

ავთანდილმა, მიაკვლია რა ფატმანის დახმარებით ნესტან-დარეჯანის ადგილსამყოფელს, „შესწირა ღმერთსა მადლობა...“ რაინდი „გულითა ღმერთსა ადიდებს“ და სამდლობელს აღუვლენს შემოქმედს:

„თქვა: „ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი,  
ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი...“ (1250)

ავთანდილი არა მხოლოდ „გულით ადიდებს ღმერთს“, არამედ – ცრემლითაც: „ცრემლით ღმერთსა ადიდებდა...“

ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხიდან ასე წერს მოულოდნელად გამოჩენილ მიჯნურს:

„შენმან მზემან აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე...“

აწ რა მესმა შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე,

ჩემი ყველა აქამდისი ჭირი ლხინსა შევაწონე“ (1296).

აი, ასეა გამოწრთობილი დვთისადმი სიყვარული არა მხოლოდ განსაცდელში, არამედ დიდ სიხარულშიც.

ფრიდონმა, იხილა რა დიდი ხნის უნახავი მეგობრები, „ღმერთსა ხელ-ალპყრობით უსაზომო მადლი მისცა“ (1381).

ზღვათა მეფემ, ტარიელის ბედნიერების შეტყობინების შემდეგ, „მისცა მადლი და დიდება ღმერთსა, მართლისა მბრჭობელსა“ (1432). თვით ფატმანიც კი, რომელიც ისეთ ზნეობით სიმაღლეზე ვერ დგას, როგორიცაა თუნდაც თინათინი, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მაღალი სიყვარულითა და დვთის განგებულების სიდიადით ტრანსფორმირებული, უფლის მხევლობის მოსწრავე ხდება:

„იტყვის, ღმერთო, რა გმსახურო, განმინათლდა რადგან ბნელი!

ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“ (1435).

ასე ერთიანდებიან „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები დვთისადმი სიყვარულის ნიშნით. მათ გამუდმებით ახსოვთ ღმერთი. შვებისა და სიმძიმილის, ბედნიერებისა და განსაცდელის, ჭირისა და ლხინის მიღმა ისინი საბოლოოდ ყოველთვის მოიაზრებენ დვთის ნებას, საღვთო განგებულებას, რომლის გარეშეც არაფერი ხდება სამყაროში.

d) *∂ m y g s b o b b o y g s s m y g s n o*

„ღვთისადმი სიყვარულმა უნდა გამსჭვალოს ადამიანის მთელი არსება, მთელი მისი შესაძლებლობა და ძალა... და წარმართოს ისინი ღვთისა და მოყვასის სამსახურებლად“ (ვეტერევი...1970:105). სწორედ ღვთისადმი სიყვარული აპირობებს „გეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მოყვასისადმი სიყვარულს.

ადამიანების საკეთილდღეოდ მსახურება დვოისადმი სიყვარულის რეალიზაციაა. ჭეშმარიტი სიყვარული უფლისა ფსიქოლოგიურად აუცილებლად განაპირობებს და აპურებს მოყვასისადმი სიყვარულს. სიყვარულის ამ ორი ფორმის ზრდა და სრულყოფა ერთდროულად და განუყოფლად მიმდინარეობს. ამის პალობაზე, მართებულია მამათა სწავლებისმიერი ფორმულა: ღმერთში ქრისტიანს უყვარს მოყვასი, მოყვასში – ღმერთი.

ღვთისადმი სიყვარულის შემდგომ მაცხოვარი უმნიშვნელოვანეს მცნებად მოყვასისადმი სიყვარულს სახელდებს: “შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი” (მთ. 22,39), – ასწავლის იგი მის გამომცდელ სჯულის მოძღვარს, როცა ეს უკანასკნელი ეკითხება, თუ რომელია სჯულში ყველაზე დიდი მცნება (შდრ. მარკ. 12,31).

იაკობ მოციქული სათხოებად რაცხს (სამეუფო სჯულის შესაბამისად) მოყვასისადმი სიყვარულის აღსრულებას: “უკუეთუ სჯულსა აღასრულებთ სამეუფოსა, მსგავსად წერილისა: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი, კეთილად ჰყოფო” (იაკ. 2,8). რაც სხვისგან სურს ადამიანს, მსგავსად ამისა, თვითვე ასეთ დამოკიდებულებაში უნდა იყოს სხვის მიმართ. თუ იმას ვუკეთებთ მოყვასს, რაც არასასურველი იქნებოდა მათი მხრიდან ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სჯულის დარღვევა იქნებოდა. იაკობ მოციქულის ზემომოხმობილ სიტყვებს იოანე ოქროპირი ამგვარად განმარტავს: “სიტყუად ესე... სახედ გუამცნებს შეყუარებად მოყუასთა, მსგავსად თავისა თვისისა, რათა, რომელიცა ჩუენ განდეს, რათა გუეყოს მოყუასთა მიერ, მასვე ჩუენ უყოფდეთ მოყუასთა თვისთა. ხოლო უკუეთუ წინაუკუმო სხუად განდეს თვით მოყუასთაგან და სხუასა

უყოფდეთ მოყუასთა, მყის ვიმხილებით, ვითარცა გარდამავალნი შჯულისანი” (განმარტება...2000:353).

იოანე მახარებელიც გვესიტყვება: “...ყოველმან რომელმან არა ქმნეს სიმართლე, იგი არა არს ღმრთისაგან და რომელსა არა უყუარდეს მმავ თვისი, რამეთუ ესე არს აღთქუმავ, რომელი გესმა პირველთაგან, რავთა ვიყუარებოდით ურთიერთას” (1 იოან. 3,10-11) .

დიდი გონიერი სიღრმისკენ პვალავს გზას პავლე მოციქული. გალატელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში იგი მთელი სჯულის აღსრულებად მიიჩნევს მოყვასისადმი სიყვარულის საქმით ცხადჩენას: “...ყოველი სჯული ერთითა სიტყვთა აღესრულების: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი” (გალ. 5,14).

ამასვე მოწმობს პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეშიც. ურთიერთსიყვარულის გარდა ადამიანებს ვალი არ უნდა ჰქონდეთ. ყველა მცნება ერთი სიტყვითაა მოცემული, ერთის აღსრულება ყოველივე მათგანის კეთილგანსრულებას მოწმობს: “ნურარადმცა ვისი თანა-გაც, გარნა ურთიერთას სიყვარული. რამეთუ რომელსა უყუარდეს მოყუასი თვისი, მან სჯული აღასრულა. ვითარმედ: არა იმრუშო, არა კაც-ჰქონდა, არა იპარო, არა გული გითქუმიდეს, და სხუად თუ რამე მცნებად არს, ამითვე სიტყვთა აღესრულების, ვითარმედ: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. სიყვარულმან თვისა ბოროტი არა უყვის; აღმასრულებელი სჯულისად სიყვარული არს” (რომ. 13,8-10).

დვთისმიერი სჯულდება მოყვასის შეყვარებისა ძველ აღთქმაში, კონკრეტულად, ლევიტელთა წიგნშია მოცემული: “...შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი” (ლევ. 19,18). როგორც ვხედავთ ეს არის მარადიული სჯულდება, მცნებათა დასაწყისიც და დასასრულიც: “...დასასრული მცნებისად არს სიყვარული...” (1.ტიმ. 1,5).

მოყვასისადმი სიყვარული უცილობლად გულისხმობს სიწრფელის თანხლებას: “ქმათა-მოყუარებითა ურთიერთას მოწლედ მოსურნე იყვნით, პატივის-ცემასა ურთიერთას უსწრობდით” (რომ. 12,10).

სიწრფელე თავისთავად გულისხმობს გულითადობას. პეტრე მოციქული სწორედ გულითად სიყვარულს შეაგონებს მსმენელს და იქმე შენიშნავს უფლისეულ წყალობას, რომ სიყვარულს ძალუძს დაფაროს ცოდვათა სიმრავლე: “ყოვლისა წინა ურთიერთას სიყვარული განმარტებული გაქუნდინ, რამეთუ სიყვარულმან დაფარის სიმრავლე ცოდვათავ” (1 პეტ. 4,8).

მოყვასის სიყვარულის ერთადერთი მიზეზი ღმერთია. მისგან მომდინარეობს და მისითაა ცხოველყოფილი ძმათმოყვარება: “საყუარელნო, ვიყუარებოდით ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს...” (1 იოან. 4,7). უფალი არა მხოლოდ მიზეზი და მომნიჭებელია ამგვარი მადლისა, არამედ იგი მზრდელი და მაცოცხლებელია მოყვასობისა: “ხოლო თქუენ უფალმან გარდაგრიენ და გარდაგმატენ სიყუარულითა ურთიერთას...” (1 თეს. 3,12), ამცნობს ოესალონიკელებს პავლე მოციქული.

ძმათმოყვარება, ისევე როგორც სიყვარულის სხვადასხვა სახე, სულის ნაყოფია: “...ნაყოფი სულისად არს სიყუარული...” (გალ. 5,22). სულით ნაუწყებ სიყვარულზე ესაუბრება პავლე მოციქული კოლასელებს – მისმა მეგობარმა ეპაფრამ, მოციქულის თქმით, აუწყა “...სიყუარული სულითა” (კოლას. 1,7). ტიმოთესაც სიყვარულის სულიერი წარმომავლობის შესახებ მიუწერს პავლე: “რამეთუ არა მოცა ჩუენ ღმერთმან სული მოშიშებისად, არამედ ძლიერებისა და სიყუარულისა და სიწმიდისად” (2 ტიმ. 1,7).

აქ მოყვანილ მუხლებში, სადაც სულის ნაყოფადაა სახელდებული სიყვარული, “სულში შესაძლოა ვიგულისხმოთ ადამიანური სულიც და, იმავდროულად, დვთის სულით გამსჭვალვაც... სიყვარული სულიწმიდით პგიებს, ამიტომაცაა მტკიცე და უზაპველი”(განმარტებითი...1913:227,306).

პავლე მოციქული არაერთგზის გვაუწყებს, რომ მოყვასის სიყვარულის განმაპირობებელი სარწმუნოებაა. სარწმუნოებისაგან იშვება სიყვარული. ისინი თანამოსაგრეობენ. წარმოუდგენელია სარწმუნოება სიყვარულის გარეშე და, პირუკუ, ჭეშმარიტი სიყვარული სარწმუნოების გარეშე. მოციქული ხარობს სარწმუნოებისაგან შობილი სიყვარულით: “ამისთვის მეცა მესმა თქუენი გვე სარწმუნოებად უფლისა იესოს მიერ და სიყვარული იგი, რომელ გაქუს ყოველთა მიმართ წმიდათა” (ეფ. 1,15), – სწერს იგი ეფესელებს. მსგავსად ამისა ესიტყვება მოციქული კოლასელებსაც: “გუესმა სარწმუნოებად გვე თქუენი ქრისტე იესოს მიმართ და სიყუარული ყოველთა მიმართ წმიდათა” (კოლას. 1,4).

აღორძინებული სარწმუნოების შედეგად მიიჩნევს თესალონიკელთა ურთიერთსიყვარულს იგივე მოციქული: “...უმეტესად აღორძნდების სარწმუნოებად გვე თქუენი და განმრავლდების სიყვარული კაცად-კაცადისა თქუენისად ურთიერთას” (2 თეს. 1,3). მოყვასისადმი სიყვარულისა და დვთისადმი სარწმუნოების განუყოფლობას ცხადყოფს ფილიმონის მიმართ მიწერილი

ეპისტოლაც: “მესმის შენი ეგე სიყუარული და სარწმუნოება, რომელი გაქუს უფლისა მიმართ იესო ქრისტესა და ყოველითა მიმართ წმიდათა” (ფილიპ. 1,5).

იოანე მახარებლის მიხედვით, სარწმუნოება მაცხოვრის მიმართ მორწმუნის დვთის შვილობას მიუთითებს და, ვისაც მშობელი, ანუ ღმერთი, უყვარს, რასაკვირველია, უყვარს, დვთისაგან შობილიც, ანუ მოყვასი: “ყოველსა, რომელსა პრწმენეს, ვითარმედ იესო არს ქრისტე, იგი დმრთისაგან შობილ არს და ყოველსა, რომელსა უყუარდეს მშობელი, უყუარს შობილიცა იგი მისგან” (1 იოან. 5,1). აქ დვთისა და მოყვასისადმი სიყვარულის განუყოფლობა კონკრეტული ასპექტით ცხადდება: “ღმერთი და მორწმუნები, რომელთაც მოციქული “დვთისაგან შობილად” სახელდებს, ისე მჭიდრო და ზნეობით ურთიერთკავშირშია, რომ დვთისადმი სიყვარულმა... უნდა განაპირობოს დვთისაგან შობილთა სიყვარულიც. “თუ ჩვენ მისგან ვიშვით, მაშინ უცილობლად, კუთვნილი უნდა მივაგოთ მშობელს, ანუ გვიყვარდეს მისგან შობილიც. თუკი ჩვენ ყველა, მორწმუნენი, ვიშვით მისგან, მაშინ უნდა გვიყვარდეს კიდეც ერთმანეთი, როგორც ძმები და მისგან (დვთისაგან, მ.გ.) დაბადებულები...” 9განმარტებითი...1913:336).

ეფესელთა მიმართ ეპისტოლეშიც ძმათმოყვარეობისა და სარწმუნოების განუყოფლობაა მოცემული: “მშვიდობად ძმათა და სიყვარული სარწმუნოებითურთ დმრთისა მიერ ძმისა და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა” (ეფ. 6,23).

სარწმუნოებასა და სიყვარულს სულიერ საჭურველად რაცხს მოციქული, როგორც ერთიანსა და მთლიან საფარველს: “...შევიმოსოთ ჯაჭვ იგი სარწმუნოებისათ და სიყუარულისათ...” (1 თეს. 5,8).

სარწმუნოებითა და სიყვარულით აღორძინებულ მადლს ცხადყოფს ტიმოთესადმი მიმართული ეპისტოლე: “...უფროის გარდაემატა მადლი იგი უფლისა ჩუენისათ სარწმუნოებითურთ და სიყუარულით ქრისტე იესოს მიერ” (1 ტიმ. 1,14).

საღვთო სიტყვა, მოციქულის პირით უწყებული, სარწმუნოებითა და სიყვარულითაა შეზავებული: “სახედ გაქუნდინ ცოცხლებისა სიტყვად იგი, რომელი გესმა ჩემგან სარწმუნოებითა და სიყუარულითა ქრისტე იესოსითა”... (2 ტიმ. 1,13).

ასე, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება და წრფელი სიყვარული მოყვასისადმი განუყოფელ ურთიერთკავშირშია. თანაზიარია ეს ორი საღვთო ნიჭი და მათი მთლიანობა არის უცილობელი წინაპირობა შემოქმედთან მიახლებისა.

განუზომელია მაღლი მოყვასისადმი სიყვარულისა. თუ ამ ნიჭისაგან დაცლილია ადამიანი, თუ გაუცხოებულია მისთვის ძმათმოყვარეობის მცნება, ვერანაირი სიწმინდე ვეღარ გაამართლებს მას. ანგელოზებრივი “უბნობა”, წინასწარმეტყველების ნიჭი და თვით სარწმუნოებაც კი არაფერია და ამაოა, როცა ადამიანს არ ძალუმს სიყვარული და მოკლებულია ამ გრძნობას: “ენათა-და თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი, ხოლო სიყუარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ გინა წინწილანი, რომელი კმობედ. და მაქუნდეს დათუ წინავსწარმეტყუელებად და უწყოდი ყოველი საიდუმლოდ და ყოველი მეცნიერებად, მაქუნდეს დათუ ყოველი საწრმუნოებად ვიდრე მთათა ცვალებადმდე და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არავე რაღ ვარ” (1. კორ. 13, 1-2).

მოყვასისადმი სიყვარულის გარეშე არც მოწყალება შეიწირება დვთის მიერ, არც მოწამებრივი აღსასრული იქნება დვთივსათნო: “და შე-დათუ-ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე ჭორცნი ჩემნი დასაწუკელად და სიყუარული არა მაქუნდეს, არარავე სარგებელ არს ჩემდა” (იქ. 3).

სულიერ-ზნეობითი სრულყოფისაკენ სლვა ყოველთვის გულისხმობს სათნოებათა მრავალგვარობას. მოყვასისადმი სიყვარული კი სრულყოფილების სიმტკიცეა: “...სიყვარული, რომელ-იგი არს სიმტკიცე სრულებისად” (კოლას. 3,14).

ურთიერთსიყვარული ადამიანებს ამთლიანებს და ისინიც, ერთსულოვნებით ურთიერთშემტკიცებულნი, თანაზიარნი ხდებიან ერთმანეთისა. “ერთსულ და ერთზრახვა იყვენით” (ფილიპ. 2,2), – მოძღვრავს პავლე მოციქული ფილიპელებს, რითაც მოყვასობის უცილობელ შედეგს ცხადყოფს.

რომაელებსაც ერთ საღვთო ზრახვას უსურვებს მოციქული, რათა მათ, სიყვარულში თანაზიარო, შეეძლოთ ერთხმად ერთი პირით დიდება დვთისა: „ხოლო ღმერთმან მოთმინებისამან და ნუგეშინისცემისამან მოგეცინ თქუენ იგივე ზრახვად ურთიერთას ქრისტეს იესოს მიერ, რათა ერთბამად ერთითა პირითა ადიდებდეთ ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა” (რომ. 15,5). ერთი ზრახვა და ერთი პირით დვთის დიდება ადამიანთა შინაგან ერთობას გულისხმობს, რაც, უპირველესად, ძმათმოყვარების თვისებაა.

იგივე ერთობის, ერთსულოვნების, თანაზიარების მოწოდება ხმიანებს კორინთელთა მიმართ ეპისტოლეშიც, სადაც პავლე მოციქული ერთობის შეგონებით ცნობიერების გახლებისა და წვალებისაგან განარიდებს ადრესატთ და ერთი გონებითა და ცოდნით განმტკიცებას ასწავლის მათ: "...ნუ იყოფინ თქუენ შორის წვალებად, არამედ იყვნით განმტკიცებულნი მითვე გონებითა და მითვე მეცნიერებითა" (1 კორ. 1,10).

"ერთ-ზრახვისათვის" დოცულობს პეტრე მოციქული: "ხოლო დასასრულსა ყოველნი ერთ-ზრახვა იყვნით, მოწყალე, ძმათ მოყუარე. შემწყნარებელ, მდაბალ" (1 პეტ. 3,8). კეთილი ერთზრახვის ნაყოფი ყოველთვის ამგვარი მრავალგვარი სათნოებაა "...ზოგად ყოველსა პასაკსა ყოველთა კაცთასა პლოცავს სიყუარულით ერთ-ნება ყოფისათვს, რომელ არს ძირი ყოველთა კეთილთავ: რამეთუ ამისგან აღმოეცენებიან მოწყალებად გლახაკთავ და სიყუარული ძმათავ, შეწყნარებად უცხოთავ და სიმდაბლე ყოველთა მიმართ", – განმარტავს წმინდა ოქროპირი (განმარტება...2000:389).

ძმათმოყვარება შეჭირვებას ამსუბუქებს. ურთიერთსიყვარულით ხდება განსაცდელთა ძლევა. მოყვასისადმი სიყვარულს წარმოაჩენს მისდამი შეწევნა, ჭირში ნუგეშინისცემა, თანადგომა. პავლე მოციქული ხმობს: "...შეუძლოთ ჩუენცა ნუგეშინის-ცემად ყოველთა მათ ჭირვეულთა ნუგეშინის-ცემითა მით, რომლითა ნუგეშინის-ცემულ ვართ ჩუენ ღმრთისა მიერ" (1 კორ. 1,4).

ძმათმოყვარება, უპირველესად, მოყვასისადმი კეთილისყოფით იცნობება, რასაც საღვთო მოციქული ცხადყოფს: "...მარადის კეთილსა შეუდეგით ურთიერთას და ყოველთა მიმართ" (1 თეს. 5,15).

"ვეფხისტყაოსნის" მოყვასობა ძმათმოყვარების ყველა იმ ნიშნითაა აღბეჭდილი, რასაც წმიდა წერილი სრულად ცხადყოფს. პოემის გმირებს სტკიფათ ერთმანეთის ტკიფილი, მძაფრად განიცდიან ერთმანეთის პრობლემებს, იღწვიან ურთიერთსიყვარულში, უმსუბუქებენ ერთმანეთს ტანჯვასა და მწუხარებას, მათი გონება, სული და გული ერთია. ასეთი ცხოვრების წესით ისინი ქრისტიანული სჯულის აღმსრულებელნი ხდებიან. მათი ცნობიერება წმიდა წერილითაა აღბეჭდილი: „ურთიერთას სიმძიმე იტპროეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი" (გალ. 6,2). მსგავსად ამისა, „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებიც არ არიდებენ მხრებს მოყვასის წილ ტვირთს. ისინი, სამოციქულო სწავლების მიხედვით, შეეწევიან ერთმანეთს სიმდაბლით, სიმშვიდით, სულგრძელებით. მშვიდობის სულით კრავენ სულიერ ერთობას და,

როგორც ერთხორცად და ერთსულად ჩინებულნი, თანაზიარი სასოებით იხილვებიან: “ყოვლითა სიმდაბლითა და სიმშვდითა და სულგრძელებითა, თავს-იდებდით ურთიერთას სიყვარულითა, ისწრაფდით დამარხვად ერთობასა, მას სულისასა საკრველითა მშვიდობისათა. ერთ ჭორც და ერთ სულ, ვითარცა-იგი იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისათა” (ეფ. 4,2-4).

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ინაწილებენ ერთმანეთის სისუსტეებს, ნაკლულევანებათა თავსდება დამახასიათებელია მათი ურთიერთობისათვის. “თავს იდებდით ურთიერთას და მიჰმადლებდით თავთა თუსთა, უკუეთუ ვისმე აქუნდეს ვისთვსმე ბრალი” (კოლ. 3,13), – კოლასელთა მიმართ მიწერილი ეს სიბრძნე უცხო როდია ავთანდილისა თუ ასმათისათვის.

მოყვასისადმი სიყვარულის ერთ-ერთი დიდი თვისება და დირსებაა სხვისი ცოდვების დაფარვა. ამის შესახებ, უპირველესად, იგავთა წიგნი გვაუწებს: “რომელნი არა მახლობელ იყვნენ, დაფარნეს სიყუარულმან”(იგ. 10,12). სიყვარულის მიერ ცოდვათა დაფარულობას ცხადყოფს პეტრე მოციქულიც: “...სიყუარულმან დაფარის სიმრავლე ცოდვათავ” (1 პეტ. 4,8).

„ვეფხისტყაოსანში“, ერთგან, ასევე პფარავს ტარიელის ერთგვარ “ცოდვას” ასმათი (თავი “წასლვა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ”). ავთანდილი ასმათთან, საყვედურს გამოთქვამს ტარიელის მიმართ, რადგან ამ უკანასკნელმა პირობა დაარღვია და დათქმულ ადგილს არ დახვდა არაბეთიდან მობრუნებულ მეგობარს. მიუხედავად იმისა, რომ ასმათი არ ამტყუნებს ავთანდილს და არც მის საყვედურს მიიჩნევს უსაფუძვლოდ, განსაცდელში ჩავარდნილი, მწუხარე მოყვასის სიყვარულით სულით ხორცამდე გამსჭვალული ტარიელის საქციელის გამართლებას ეძიებს და ტარიელის “შესაძრწენი” მდგომარეობის მოხსენიებით აღძრავს მისდამი სიბრალულს, რაც სიყვარულის ნაყოფია, და ამ სიყვარულის გამოხატვით პფარავს კიდეც ინდოელი მჯმუნვარე რაინდის “ბრალს” ავთანდილის წინაშე. ტარიელის გამართლების ასმათისეული არგუმენტები მხოლოდ და მხოლოდ ტარიელისადმი დრმა სიყვარულის შედეგია. აი, ეს არგუმენტებიც:

“იგი უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა” (847);

“უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცოაგან განაკიდიან.

შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლნი სწვიდიან” (848);

“ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად ჰსმენია:

არა თუ კაცოა, სასჯელი ქვათაცა შესაძრწენია,

დიჯლადცა კმარის, მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია” (850).

სულგრძელია ასმათი. სულგრძელებას კი მხოლოდ დიდი სიყვარული განაპირობებს. ამის შესახებაც გვაუწყებს წმიდა წერილი: “სიყუარული სულგრძელ არს...” (1 კორ. 13,4); “...გლოცავ თქუენ...რამთა დირსად ხდოდით ჩინებისა მის, რომლითა იჩინენით... სულგრძელებითა...” (ეფ. 4,2). “შეიმოსეთ უკუე... სულგრძელებად.” (კოდ. 3,12); “...სულგრძელ იყვნით ყოველთა მიმართ.” (1 თეს. 5,14).

მოყვასისადმი სიყვარულს ცხადყოფს ერთმანეთისათვის ლოცვაც. მოყვასის საკეთილდღეოდ დვთისადმი ვედრება მოყვარული სულის დღესასწაულია. იაკობ მოციქული გვასწავლის “...ულოცვევდით ურთიერთას...” (იაკ. 5,16.). „ვეფხისტყაოსანში“ გმირები ხშირად ლოცულობენ და ლოცულობენ არა მხოლოდ თავიანთი თავისათვის, არამედ, იმავდროულად, ზოგჯერ კი უფრო მეტადაც, სხვისთვის.

პოემის პერსონაჟები თავს სწირავენ მოყვასს, მთელს შესაძლებლობებს იყენებენ ძმათმოყვარების მსახურებისათვის. მაგალითებად ავთანდილისა და ასმათის მოხმობაც საკმარისია. ეს თავშეწირვაა, როგორც პავლე მოციქული ამბობს, მოყვასისასთვის “განლევა”, წმიდა წერილითაა უწყებული: “ხოლო მე ჯეროვნად განვილიო და განვკუდე სულთა თქუენთათვს...” (2 კორ. 12,15). ასევეა “განკაფული” თუნდაც ავთანდილი ტარიელის მიმართ.

მოყვასისადმი “სულის დადების” მზადყოფნას ასაცნაურებს პავლე მოციქული თესალონიკელებისადმი მიმართულ ეპისტოლეში: “ეგრეთ მოსურნე ვიყვენით თქუენდა და ჯერ-გზნდა მიცემად თქუენდა არა ხოლო სახარებად იგი ღმრთისად, არამედ თჯსთაცა სულთამ, რამეთუ საყუარელ ჩუენდა იქმნებით” (1 თეს. 2,8).

“ეგრეთ მოსურნეობა” მოყვასისადმი განაპირობებს ჭირთა დაომენას: “ამისთვის ყოველსა დავითმენ რჩეულთა მათთვს...” (2 ტიმ. 2, 10). აღსანიშნავია, რომ მოყვასის სიყვარულის გამო არაერთგზის დაუთმენიათ ჭირი ანუ განსაცდელი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს.

იოანე მახარებელიც გვესიტყვება ძმათმოყვარებისადმი თავშეწირვის უცილობლობას: “...თანა-გუაც ძმათათვს სულთა ჩუენთა დადებავ” (1 იოან. 3,16).

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთათვის დამახასიათებელია თანალმობა და თანაგრძნობა. ზიარია მათი ღიმილიც და მათი ცრემლიც. სიხარულიც და მწუხარებაც. მწუხარე და სასოწარკვეთილი ტარიელის სამყოფელი უდაბური

ადგილია. იგი ნანადირევით იკვებება, განშორებულია სამშობლოს და ყოველგვარ მატერიალურ დღეპეთილობას. მისი ამგვარი ყოფის სრული მოზიარეა ასმათი, რომელსაც შეეძლო სამშობლოში დარჩენაც და განცხომით ცხოვრებაც. ტირის ავთანდილი ტარიელის გამო და ტირის ფრიდონიც. თხემით ტერფამდეა შეძრული ნესტან-დარეჯანის უბედურებით ფატმან-ხათუნი და ყველასთან ერთად ხარობს იგი ქაჯთა ძლევას და ნესტანის საბოლოო გამოხსნას. “გიხაროდენ მოხარულთა თანა და ტიროდეთ მტირალთა თანა”, – გვმოძღვრავს პავლე მოციქული. ერთის ტკივილი მეორის ტკივილია, ერთის სიხარული – მეორის სიხარული, ორივე ერთი მთლიანობაა. მოყვასობა სწორედ ეს ერთი მთლიანობაა, ხოლო ურთიერთმოყვარული ადამიანები – ნაწილები ამ მთლიანობისა. ამ მთლიანსა და ნაწილს პავლე მოციქული ადამიანის ორგანიზმის სახით წარმოაჩენს: “...თუ ევნებინ რად ერთსა ასოსა, მის თანა ელმინ ყოველთა ასოთა, და თუ იდიდებინ ერთ ასოდ, მის თანა იხარებენ ყოველნი ასონი” (1 კორ. 12,26).

თანამოზიარეთა ხსენება თანამოზიარებითაა დგთივსათნო: “მოიჯსენენით კრულნი იგი, ვითარცა მათ თანავე კრულთა”... (ებრ. 13,3).

„ვეფხისტყაოსანში“ მოყვასს „ძმა“ და „მოყვარე“ ეწოდება. ამ ტერმინთა ქრისტიანული გაგება მჭიდრო ურთიერთკავშირშია. პრაქტიკულად, ისინი სინონიმური ტერმინებია. „ძმობა“ ქრისტიანობაში განპირობებულია სარწმუნოებრივ-ზნეობითი მიმართებით მამა-ზეციერისადმი („რამეთუ რომელმან ყოს ნებად მამისა ჩემისა ზეცათავსად, იგი არს ძმად და დად და დედად ჩემი“/მთ. 12,50/) და ქრისტესადმი („ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმა ხართ“/მთ. 23,8/). ქრისტიანული საძმოს შემაკავშირებელი საწყისია სარწმუნოება და სიყვარული ამას განსაკუთრებით ცხადყოფს 1გმ. 6,2, სადაც „ძმები, „მოწმუნენი არიან საყვარელნი და ქველის საქმისა შემწენი“), ქრისტიანული მოწოდების საერთო სასოება („...ვითარცა იგი იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისავთა“/ეფ. 4,4/), ერთი უფალი, ერთი სარწმუნოება, ერთი ნათლისლება, ერთი ღმერთი და მამა ყოველთა (იქ. 5-6). აქედან გამომდინარე, ქრისტიანული „ძმობის“ წევრები მისტიკურად განასხეულებენ ერთ ხორცს და ერთ სულს. ამ მისტიკური კავშირით განისაზღვრება ზნეობითი მოვალეობაც – შეინარჩუნონ სულის ერთობა მშვიდობით: „ისწრაფდით დამარხვად ერთობასა მას სულისასა საკრველითა მით მშვიდობისავთა“ (იქ. 4,3). ამიტომაც იწოდებიან ქრისტეს

მისტიკური სხეულის წევრები, როგორც „სახლეულნი სარწმუნოებისანი“ (გალ. 6,10. შდრ.: 1კორ. 7,12; 5,11), სხვაგვარად – „მმები“ (საქ. 9,30; იოან. 21,23; რომ. 16,11).

„ვეფხისტყაოსნისეულ“ „მოყვარეს“ (ერთი გარკვეული ასპექტით) შეესატყვისება წმიდა წერილში მრავალგზის ჩენილი „მმათმოყვარება“: „...სულითა მმათმოყვარებისათვის შეუორგულებულ იყვენით გულითა წმიდითა...“ (1პეტ. 1,22), ...და ღმრთისმსახურებასა შინა მმათმოყუარებაი და მმათმოყუარებასა შინა – სიყუარული“ (2პეტ. 1,7. შ რ. რომ. 12,10; 1ოქს. 4,9; ებრ. 19,1).

მმა, მოყვარე, მეგობარი, მოყვასი – ეს არის პიროვნების მეორე, სხვა „მე“ ადამიანი მოყვასში ჭვრებს საკუთარ თავს, მათი ინტერესების სფერო თითქმის ერთია, მთლიანია. აქედან გამომდინარე, ერთის ინტერესები მეორის ინტერესები ხდება. ჭეშმარიტი მეგობარი მოყვრის სიხარულსაც და უბედურებასაც თანაბრად იზიარებს. ცხოვრების ამგვარი წესით იგი დვთივსათნო ხდება და დირსეულად მოწაფეობს მოციქულის სიტყვებს: „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრულ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალ. 6,2).

მეგობრობა ასაჩინოებს ადამიანური ბუნების საუკეთესო მხარეს. „იგი ასუსტებს...თავნებობას, უხეშობას, ეგოიზმს და აღებს მეგობართა გულის კარს არა მხოლოდ ერთმანეთისთვის, არამედ სხვათათვისაც. მეგობრობის ზნეობითი ბუნება დიდად ფასობდა უძველესი დროიდანვე. ანტიკური სამყაროდან შემორჩა სიყვა მეგობრობაზე... არისტოტელე ამბობდა, რომ მეგობრებს იმის მეტი არაფერი სურთ, ვიდრე განუწყვეტელი ურთიერთობა, ერთობა ჭირსა და ლხინში... ციცერონიც ამბობდა, რომ მეგობარი ეს არის სხვა „მე“. ადამიანს ძმობაში თავისი თავიც უყვარს და ემიებს სხვასაც, ისწრა ფვის რა სულიერად ისე ძალუმად მისკენ, რომ თითქოს ორისაგან ერთებად გარდაინივთოს“ (ვეტელევი... 1970:153).

ასეთი უნდა იყოს, ზოგადად, ქრისტიანის მიმართება მოყვასისადმი. ამ მაღალი მოწოდების რეალიზებაა „ვეფხისტყაოსნისეული“ მეგობრობაც.

რუსთველი დრმად იხედება ადამიანის შინაგან სამყაროში და ჭვრებს მისი სულის შესაძლებელი მიმღეობის სიდიადეს საღვთო სიკეთეებისას.

მოყვასისადმი სიყვარული „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა დახვეწილი სულის მოთხოვნილებაა და თანაბრად ემსახურება როგორც პიროვნულ, ასევე

საზოგადოებრივ კეთილდღეობას. სარწმუნოებრივი ძმათმოყვარების  
მაღალადამიანური გრძნობა რუსთველის მიერ ამგვარადაა ფორმულირებული:

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:

პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,

მიცემა და არა შური, ჩუქებისა არ მოწყენა,

გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“ (777).

„კეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს, მოყვასისადმი სიყვარულით  
გამსჭვალულთ, გამუდმებით თან სდევთ „ნდომა სიახლისა.“ სამი წლის  
განმავლობაში ნახეტიალებ, განსაცდელთა და იწროებათა დამთმენ ავთანდილს,  
ტარიელის პოვნისა და ნახვის შემდეგ ძლიერ უნდა დაჩქარებოდა სამშობლოში  
დაბრუნება და თავის მიჯნურთან – თინათინთან შეუდლება, მაგრამ, როდესაც  
ტარიელმა დაასრულა საკუთარი თავგადასავლის მოყოლა და უთხრა: „...აწ  
წადი, ნახე შენი მზე, ნახვისა მოჟამებულმან,“ ავთანდილმა უპასუხა: „თუ  
გაგეყრები, თვალთაგან ცრემლიცა დამედინების.“ უცხო ადამიანის მიერ  
ამგვარად განცდილმა სხვისმა ტანჯვამ განაცვიფრა ტარიელი და ისიც  
გაკვირვებით კითხულობს: „უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი.“

საერთოდ კი, ავთანდილი, რუსთველის მიერ დეფინიცირებული  
მოყვრობისეული სამი თვისების უცილობელი მატარებელია. ამ სამი თვისების  
ჯეროვნად გამოჩინებისათვის რაინდმა დათმო პირადი კეთილდღეობა და  
მოყვრის შესაწევნად გაემგზავრა. იგი ტარიელის უბედურებას მთელი არსებით  
განიცდის და იზიარებს. შეჭირვებაში მყოფი მოყვასის ცრემლი მასაც ცრემლს  
აღვრევინებს. „...ცრემლთა მათ მიერ, რომელთა დასთხევდენ მმისთვის,  
სიხარულსა მას უფლისასა დირს იქმნებიან. ამისთვისცა ნეტარ იყვნენ, რომელი  
ტიროდინ და ნეტარ იყვნენ, რომელი იგლოვდენ, რამეთუ იგინი  
ნუგეშინისცემულ იყვნენ და იგინი იცინოდინ...და კუალად მოციქული მტირალთა  
თანა ტირილსა გვიბრძანებს, რამეთუ ესევითარი იგი ცრემლი, ვითარცა თესლ  
და სესხება იქმნების საუკუნოსა მის სიხარულისა“ (ბასილი...1993:35).

„სიახლის ნდომა,“ „სიშორის ვერ მოთმენა“ წრფელი ცრემლებით ატირებს  
ფრიდონს, როცა იგი ავთანდილთან შეხვედრისას ასე მოთქვამს ტარიელის  
უნახაობის გამო: „რა მოგეშორვე, მას აქეთ სიცოცხლე მომძულვებია, ოხერ  
სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმებია“(1008).

ავთანდილის ცხოვრება, მისი სიტყვა და ქმედება მოყვასობის უმაღლესი  
იდეალების ხორცშესხმაა. მისი „ანდერძი“ გმირის ცხოვრებისეული კრედოს

გამომხატველი კოდექსია, მმათმოყვარეობის აპოლოგიაა. ავთანდილი მოყვასისათვის თავდადებული სამსახურით, მის საკეთილდღეოდ პირადი ინტერესების დათრგუნვით ამკვიდრებს თავის პიროვნულ „მეს.“ ავთანდილის ცხოვრებისეული წესი ქრისტიანული სწავლებიდან ამოზრდილი რუსთველისეული სიბრძნის შეხმიანებაა: „რასაცა გასცემ შენია, რასც არა, დაკარგულია.“ ავთანდილიც, უშურველად გასცემს რა სხვათათვის პიროვნულ ენერგიას, ამკვიდრებს თავის მზისებრ ადამიანობას. მას სრული უფლება აქვს განაცხადოს:

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად,  
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“ (786).

ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვები როდია, არამედ ეს არის ის დვთივების ქვაგუთხედი, რომელზედაც დაშენებულია ავთანდილის პიროვნული მოდვაწეობა.

ქრისტიანულ ოიკუმენაში ქრისტესთან თანაჯვარცმა გულისხმობს არა მხოლოდ უფლის სახელისათვის მოწამებრივად აღსრულებას, არამედ დვთის მცნებებით ცხოვრებასაც. ავთანდილიც ჯვარცმულია მოყვასისთვის. მან იცის, რომ შესაძლოა, მოკვდეს, დაკარგოს დვთივბოძებული სიცოცხლე, მაგრამ მას არ აშინებს ხორციელი მოკვდინება, რადგან მისი ცნობიერება სწორედ ქრისტესმიერი მცნებებითაა დაპურებული და მარადიული სიცოცხლის ნიშნით აღბეჭდილი.

„გეფხისტყაოსანში“ მმათმოყვარების ერთ-ერთი სპეციფიური ნიშანია ე. წ. „ბედის ერთიანობა.“ თინათინის სიყვარულმა გადააგდო ავთანდილი ტარიელის საძებნელად, მაგრამ, როდესაც ავთანდილმა იხილა მიჯნურობით დასხეულებული ტარიელი, მმასავით შეიყვარა იგი. რაინდებმა სულთა ნათესაობა იგრძნეს და ურთიერთს ძმებად შეემტკიცნენ.

მაგრამ „ბედის ერთიანობა“ მხოლოდ ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) ნიშანია მეგობრობისა. ფრიდონისა და ტარიელის ბედში თითქოს არაფერია საერთო, მაგრამ იხილა რა ტარიელმა დაჭრილი მოყმე, შეიყვარა იგი, განკურნა ჭრილობათაგან და შემდგომში მის მტრებსაც შეებრძოლა. თავად ფრიდონის სულიერ ცხოვრებაში კი დიდი მღელვარება შეიტანა ნესტან-დარეჯანის დაკარგვამ და ტარიელის ტანჯვამ.

ასმათის თანადგომა ტარიელისადმი პირადი კუთილდღეობის ასეთივე მსხვერპლად მიტანად შეიძლება დავსახოთ მოყვასობის მაღალი იდეალისათვის.

„ვეფხისტყაოსანში“ მმათმოყვარება არა მხოლოდ ვიწრო, ინტიმური გრძნობაა, არამედ საზოგადოების წესრიგისა და პარმონიის საფუძველია. იგი, ერთგვარად, სოციალურ, წოდებრივ საფეხურებსაც აახლოებს ერეთმანეთთან და პატრონთა და ყმათა ურთიერთმიმართებას აღამაზებს (როსტევანისა და ავთანდილის, ავთანდილისა და შერმადინის მაგალითი).

მაკარი დიდი მოყვასობის შესახებ ბრძანებს: „ვერ შესაძლებელ არს წარსლვად გზასა მას ქალაქისასა (იგულისხმება ზეციური იერუსალიმი, სასუფეველი, მ. გ.), არა თუ თანაგივიდოდის თქუენ სიყვარული“ (ფსევდომაკარის...1982:139).

„ვეფხისტყაოსნიდან“ მოვიხმობთ მოყვასისადმი სიყვარულის უაღრესად მკაფიო ნიმუშებს:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“(703);

„შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა,

ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“ (706)

„კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“ (789);

„რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა,

მე რად გავწირო მოყვარე, მმ ა უმტკიცესი მმობისა“ (790);

„ვერ ვეცრუები (მოყვარეს, მ. გ.), ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა“ (797);

„არ დავიწყება მოყვრისა აროდეს მოგვცემს ზიანსა...“ (798); „....მმა გამოაჩენს ძმობასა; და ა. შ. შესაძლოა დასახელდეს უამრავი მაგალითი ძმათმოყვარებისა.

საგულისხმოა, აგრეთვე, ფატმანის მიერ გამოჩენილი მოშურნეობა მოყვასის კეთილდღეობისადმი. ნესტან-დარეჯანისადმი გაწეულმა მისმა დედობრივმა მზრუნველობამ ათქმევინა ქაჯეთის შემმუსრველ გმირებს სამადლობელი: „თქვეს: „ფატმან ვნახოთ, მუქაფა გვაც მისი გარდუხედელია“ (1427).

მოყვასისადმი სიყვარულით აღძრული და სიკეთისმოქმედი ადამიანი, მსხვერპლად მიაქვს რა საკუთარი თავი ამ სათხოების წინაშე, სულიერი ძალებისა და ენერგიისაგან როდი იცლება, პირიქით, თავისი სიყვარულის საგანში ჭვრეტს საკუთარ თავს და მდიდრდება უფრო სრული, ამაღლებული ცხოვრებით. ამგვარ ღწვას მხოლოდ დროებითი, არა არსებითი, ამქვეყნიური სიკეთენი თუ შეიძლება ემსხვერპლოს, ხოლო ჭეშმარიტად ადამიანური,

სარწმუნოებრივ-ზნეობითი არსება ამ შეწირვის შედეგად მაღლდება – პიროვნება იხვეჭს მარადიულ ღირსებას, რადგან, როგორც მოციქული იტყვის: „სიყუარული არასადა დავარდების“ (1კორ.13,8). აქედან გამომდინარე, სარწმუნოებრივ-ზნეობითი თვალსაზრისით, ნაყოფიერია მხოლოდ იმგვარი ცხოვრება, რომელიც თვითშეწირვითაა გამსჭვალული. ამ სიბრძნეს თავად უფალი იესო ქრისტე გვაუწყებს: „რამეთუ ესე არს მცნებად ჩემი, რათა იყუარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ. უფროისი ამისა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თჯის დადგას მეგობართა თჯსთათჯს (იოან.15,12-13).“

„მართლმადიდებელი სარწმუნოება მოგვიწოდებს უმაღლესი ღწვისაკენ, თვითშეწირვისაკენ, სიმდაბლისაკენ“ (ანტონი 1967:586).

ამგვარი თვითშეწირვა აუცილებელი პირობაა მარადიულ ცხოვრებასთან ზიარებისათვის: „რომელსა უყუარდეს სული თჯის, წარიწყმიდოს იგი; და რომელსა სძულდეს სული თჯის ამას სოფელსა, ცხოვრებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი“ (იოან. 12,25). ასეთია ორგანული ცხოვრების კანონი: „... უკუეთუ არა მარცუალი იფქლისად დავარდეს ქუეყანასა და არა მოკუდეს, იგი მარტო ხოლო ეგოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს“ (იქ. 12,24). ამის კვალობაზე, მკვიდრდება ის აზრი, რომ, თუ ადამიანი არ შეიყვარებს მოყვასს, იგი ვერ გააცნობიერებს – როგორ შეიყვაროს საკუთარი თავი, ანუ – როგორ მოეპყრას საკუთარ თავს. „დვთის სასუფლებლით განსულიერება და მისთვის ღწვა გულისხმობის სიყვარულს ადამიანებისადმი, კაცობრიობისადმი“ (მარტენსენი 1890:28). „ყოველგვარი სიყვარული, ქრისტეს მსგავსად, არის სიყვარული მსახურებითი, რომელიც თვითშეწირვას ესწრაფვის სხვათა საკეთილდღეოდ“ (მარტენსენი 1890:211). „...ყოველგვარი სიყვარული ადამიანებისადმი, ქრისტეს კვალზე შედგომილი, უნდა განცხადდეს ჭეშმარიტებასა და სამართლიანობაში, სხვარიგად სიყვარული არის არაწმიდა, უკანონო, ანტინომიური თავისუფლება“ (მარტენსენი 1890:211).

## *გ) ხიდების მოწოდება*

ქრისტიანული მოძღვრება მტრის სიყვარულსა და შემცოდეთა მიმართ შენდობას განაჩინებს. „მოვიგოთ უკუკ საქმე ესე, საყუარელნო, რამეთუ არა რავ ესრეთ მოწყალე პყოფს ღმერთსა ჩუენ ზედა, ვითარ სიყუარული და მოთმინება, და არა ბოროტის ყოფა მტერთა“ (იოანე ოქროპირი 1905:93). „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ამ საონოებითაც არიან ნიშანდებულნი. ძლეული მტრისადმი „არა ბოროტის ყოფას,“ მის მიმართ გამოჩენილ სულგრძელებასა და მოწყალებას განსაკუთრებული სიცხადით წარმოგვიჩენს პოემის ერთ-ერთი თავი: „წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა.“

ხატაელთა მეფე – რამაზი, რომელიც თავის პატრონს – ინდოეთის მეფეს უურჩა, ინდოთა ამირბარის – ტარიელის მიერ ძლეული და დატყვევებული იქნა. შფოთისა და ამბოხისათვის რამაზი უნდა დაისაჯოს. ურჩი და თავხედი ყმისადმი პატრონი უნდა მრისხანებდეს, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად ვითარდება. ხატაელთა მეფის დასჯას წინ არაფერი ეღობება, ნაცვალგება ინდოელთა მხრიდან ძალზე იოლია, მაგრამ ქრისტიანული ზნეობა ამ შემთხვევაში უმჯობესს გამოირჩევს. რამაზი „ტკბილად ნახა ხელმწიფემან (ინდოთა მეფემ-მ.გ.), ვითა შვილი სააკვანე“(468).

დამარცხებულ ყმას შესაძლებლობა აქვს მიცემული – ჩახვდეს საკუთარ დანაშაულს მათ წინაშე, ვინც ასე სულგრძელიდ მის მიმართ. გამარჯვებულის მაღალი ზნეობისაგან უნდა განისწავლოს ხატაელი და განისწავლა კიდეც.

ურჩება მორჩილებით იცვლება, ქედფიცხელობა – სინანულით. „ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე“ (იქ), – ამბობს რამაზის შესახებ ტარიელი.

ორგულისა და მოღალატის მოყვრად შემობრუნება, დამარცხებულის შეწყალება და შეცოდებათა მიტევება, რუსთველის თქმით, „მამაცისა მეტისმეტი სიგულვანეა,“ ანუ მტრის შეწყალება რაინდული ეთიკის მწვერვალია, აქედან გამომდინარე, რაინდობის განმსაზღვრელი მხოლოდ ფიზიკური ძალმოსილება კი არა, სულიერი და ზნეობითი დიდბუნებოვნებაა. მხოლოდ ამგვარი სიკეთით გამდიდრებული ადამიანია ჭეშმარიტი რაინდი და ლმერთს მიმსგავსებული, რადგან უფალს „არათუ ძლიერებად ცხენისავ უნდა, არცა სხვილბარკალნი მამაკაცისანი სთნდეს, არამედ სთნდეს... მოშიშნი მისნი და რომელნი ესვენ წყალობათა მისთა“ (ფს.146,10-11). რაინდი სწორედ უფლის მოშიში და მისი წყალობის მსასოებელია, რადგან მებრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია ორგული და მოღალატე „ნამსახურსა დააგვანოს.“ ეს „დაგვანება“ შიშითა და იძულებით როდია შესაძლებელი. შიშისა და იძულების ნაყოფი მოჩვენებითია, დროებითი და ხანმოკლე. მტრის ჭეშმარიტ მოყვრად შემოქცევას მხოლოდ სიყვარულში აქვს ფეხვები გადგმული. მტრისადმი სრული სიყვარული კი მხოლოდ ქრისტიანულ სარწმუნოებაშია მოცემული: „უგუეთუ ულოცვიდე, აკურთხევდე ბოროტის-მყოფელსა შენსა, მიემსგავსები ლმერთსა, ვითარცა იტყვს უფალი, ვითარმედ „ულოცევდით ბოროტის მყოფელთა თქუენთა, რადთა იყვნეთ მსგავს მამისა თქუენისა ზეცათავსა.“ ხედავაა, რაოდენსა კეთილსა შევიძენთ, უკუეთუ ვინებოთ (მოთმინება) ბოროტის მყოფელთა ჩუენთა მიერ? რამეთუ არა რა ესრეთ მხიარულ პყოფს ლმერთსა ჩუენ ზედა, ვითარ არა მიგებად ბოროტის ბოროტის წილ“ (ოქროპირი 1905:90).

რამაზის შეწყალება, ინდოელთა მეფის – ფარსადანის მიერ, თვალთმაქცობა როდია. მეფე მეამბოხის მიმართ წრფელია და „ტკბილი,“ იგი „სააკვანე შვილივით“ ეპყრობა ხატაელს, „მასპინძლობს“ და „უალერსებს“ მას.

შემდგომ ჯერი ტარიელზე დგება. ინდოელთა ამირბარია უშუალოდ გამარჯვებული ჯარის მეთაური და მას აქვს განსაკუთრებული ხელმწიფება დამარცხებულ მტერზე.

ტარიელს ეკითხებიან, შეუნდობს თუ არა რამაზს – „აქანამდის შენამტერსა?“ რაინდის წინაშეა ძლეული მტერი, გუშინ უტიფრობითა და ცინიზმით სავსე, რომელსაც განზრახული პქონდა ტარიელის ლალატით მოკვდინება, და დღეს კი – ინდოელთა მეფის სულგრძელებით გონს მოსული.

მისი ეს მდგომარეობა დრმადა აქვს გაცნობიერებული ტარიელს, რომლის სულგრძელებითაც საბოლოოდ იქნა შეწყნარებული რამაზ მეფე. ამირბარის დასკვნითი განაცხადი ამგვარად ხმიანებს:

„...ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა,

უყავით ოქვენცა წყალობა მას დონე გაცუდებულსა“ (470).

ვინ არის ღმერთი, რომელიც შეცოდებულს შეუნდობს და ამასვე ასწავლის ადამიანებსაც? რომელი სარწმუნოებრივი წიაღიდანაა ამოზრდილი ტარიელის სიტყვები, რომელშიც ასე ნათლად არის ფორმულირებული მისი ზნეობითი კრედო? „გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმდლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ. რათა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათავსა; რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტოა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა. უპათუ გიყუარდენ მოყუასნი ხოლო თქუენნი, რავ სასყიდელი გაქუს? რამეთუ მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან. და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს იქმთ? ანუ არა მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან? იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათავ სრულ არს“ (მთ.5,44-48).

როგორც ცნაურდება, ტარიელი ქრისტესმიერი სჯულით სიბრძნისმეტყველებს. მტრისადმი გამოჩენილი ლმობიერება, მისი ამგვარი ზნეობითი ლირსება კონკრეტული სარწმუნოებრივი წიაღიდან მომდინარეობს და მისითაა განპირობებული.

თავის მხრივ, რამაზიც ლირსეულად აფასებს ასეთ სულგრძელებას. მოწინააღმდეგის კეთილშობილება მისი შინაგანი ტრანსფორმაციის მიზეზი ხდება:

„ხატაელმა დაუმადლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა,

მოახსენა: „ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა,

თუდა ოდეს შეღა-გცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა!“ (472).

ინდო-ხატაელთა ეს ამბავი, ურჩთა შეწყალებისა და შენდობის მხრივ, ძალიან ჰგავს „მეოთხე მეფეთას“ წიგნში მოყვანილ ერთ ეპიზოდს: ასურასტანის მეფე ებრძვის ისრაელს. ელისე წინასწარმეტყველი აფრთხილებს ამის შესახებ ისრაელის მეფეს. ასურელებმა გაუგეს ულისეს და მისი შეპყრობა მოიწადინეს. ელისემ ილოცა და უფალმა დაბრმავა ასურელები. დაბრმავებულები წინასწარმეტყველმა სამარიაში ჩაიყვანა. ისრაელის მეფე ეპითხება ელისეს,

დახოცოს თუ არა ურჩი ასურელები. წინასწარმეტყველი მათს შეწყალებას ურჩევს და, მართლაც, ამ შეწყალებამ დიდი შედეგი გამოიღო: არამელებმა ისრაელში თარეში მოიშალეს: “ვითარცა იხილნა იგინი (ასურელები-მ.გ.) მეფემან ისრაელისამან, პრქუა ელისეს: მოსრვით მოსრნე იგინი, მამაო. და პრქუა ელისე: ნუ მოსრავ, რამეთუ რომელნი არა სტყუენგენ მახდლითა შენითა და არცა მშკლდითა შენითა. აწ დაუგე პური და წყალი, და ჭამონ და სვან და წარვიდენ უფლისა თვისისა. და დაუგო მათ დიდად და ჭამეს და სვეს და წარვიდეს უფლისა თვისისა და არდარა შესძინეს ასურთა მათ მოსლვად ქუეყანასა მას ისრაელისასა”(4მეფ.6,21-23).

წმინდა წერილის მიხედვით, დეთისაა შურისგება. ადამიანი კი მოწოდებულია კეთილი მიაგოს ბოროტის წილ, სიკეთით სძლოს ბოროტებას, რადგან ბოროტისადმი ბოროტების მიგება არა თუ სპობს, არამედ აორმაგებს ბოროტებას. იგავთა წიგნში მტრისადმი კეთილისმიგებაზეა საუბარი: “თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე იგი და, თუ სწყურია, შეასვი წყალი, რადგან ნაკვერცხლებს აგროვებ მის თავზე და უფალი მოგიზდავს შენ” (იგ.25,21-22). ძველ აღთქმაში მოცემული ეს სწავლება, პრაქტიკულად, უცვლელად ხმიანებს ახალ აღთქმაშიც: “... პშიოდის თუ მტერსა შენსა, პური ეც მას და სწყუროდეს თუ, ასუ მას, რამეთუ ესე რა პყო, ნაკვერცხალი ცეცხლისად შეჰკრიბო თავსა მისსა. ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ სძლე კეთილითა მით ბოროტსა მას” (რომ. 12, 20-21). კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეშიც მსგავსად გვმოძღვრავს მაცხოვრისეული სწავლებით პავლე მოციქული: “... მაგინებელთა ჩვენთა ვაკურთხევთ; ვიდევნებით და თავს ვიდებთ, მგმობართა ჩვენთა ულოცავთ...” (1კორ. 4, 12-13). ბოროტისადმი კეთილისმყოფელობას გვამცნებს პეტრე მოციქულიც: “ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტის წილ, ნუცა გინებასა გინების წილ, არამედ წინააღმდეგომსა აკურთხევდით და უწყოდეთ, რამეთუ ამისთვის მებრ იჩინენით, რათა კურთხევად დაიმკუდროთ” (1 პეტ. 3,9). პეტრე მოციქული ამ სწავლებით, როგორც წმინდა იოანე ოქროპირი განგვიმარტავს: “...ზოგად ყოველსა პასაკსა ყოველთა კაცთასა პლოცავს სიყვარულით ერთ-ნება ყოფისათვს, რომელ არს ძირი ყოველთა კეთილთავ; და სიყუარული ძმათავ, შეწყნარებად უცხოთავ და სიმდაბლე ყოველთა მიმართ. ამათ შეუდგს აღსრულებად მცნებათა ქრისტესათავ: არა მიგებად ბოროტისა. არცა გინებისად, არამედ წინაუკუმო – კურთხევევად მწყევართავ, და მაგინებელთავ, რომელთა

დავიმგვიდრებთ კურთხვევასა მცნებისა აღმასრულებელთასა”  
(განმარტება...2000:389).

ამ კურთხევის მემკვიდრეა „ვეფხისტყაოსნის“ სულისკვეთებაც. მტრისადმი „არა ბოროტის ყოფა”, ბოროტის წილ კეთილის მიგება, შენდობა – შეწყალება, ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი, ძალზე მახლობელი და ნაცნობი მდგომარეობაა პოემის პერსონაჟთათვის. ისინი რაინდები არიან არა მხოლოდ ბრძოლის ველზე, არამედ ბრძოლის შემდეგაც, არა მხოლოდ ფიზიკური ძალგულოვნების ასპარეზზე, არამედ სულიერ და ზნეობით დვაწლშიც.

## დ) ხამერობები ხოყვარულობის

დვთივმომდინარე „აგაპეს“ კიდევ ერთი სახეობაა „ვეფხისტყაოსანში“ – სიყვარული სამყაროსადმი.

„უთვალავი ფერით“ გაშლილი ქვეყანა, როგორც რუსთველი ბრძანებს, „ვეფხისტყაოსნის“ personajTatvis ოდენ ესთეტიკური ფენომენი როდია. ეს არის დვაწლისა და ბრძოლის არენა, სადაც ასტრონომიული დრო მარადისობის შესამზადებელი ფენომენია.

ადამიანის მიმართებას სამყაროსადმი დვთისა და მოყვასის სიყვარული განაპირობებს. იგი (ადამიანი) შემოქმედის მიერ დადგენილია ყოველი ამქვეყნიური არსებისა და საგნის მეუფედ, ყოველივე მას ემორჩილება. მისი აღმატებულება ჩანს იქიდანაც, რომ კაცი შესაქმის უამს ყველაზე ბოლოს არის შექმნილი, როცა უკვე შემზადებულია მთელი სამყარო. წმიდა გრიგოლ ნოსელი თავის ნაშრომში „კაცისა შესაქმისათვის“ წერს: „ არდა იყო ჯერერთ დაბადებული ესე და პატიოსანი, კაცსა ვიტყვი, პოვნილ შუენიერებასა შინა არსთასა, რამეთუ არა ჯერ-იყო, რაითა გამოჩნდეს მთავარი უწინარეს სამთავროსა მისისა, არამედ ჯერ-იყო ჭეშმარიტად, რაითა განემზადოს სამეუფოი პირველ და მაშინ-და გამოჩნდეს მეფე. და ვითარ განმზადა დამბადებელმან ყოველთამან საუნჯეი სამეუფო ამისა შემდგომად გამოაჩინა სოფელსა შინა (ადამიანი, მ.გ.), რაითა იყოს მხედველ საკვირველებათა მათ,

რომელნი არიან მათ შინა, და იყოს ქვეთილთა მათ ზედა უფალ...“ (თქუმული...1979:72).

ადამიანი, დგთის მოწყვალებით, ყოველივე არსებულის მეუნჯე გახდა. ეს მეუნჯეობა ნიშნავდა სამყაროს ჭვრეტას, ცოდნას, შემოქმედებით პროცესს.

ღმერთმა ადამიანი შექმნა, რათა ამ უკანასკნელმა „...გულისხმა-ყოს მოცემული იგი მისი, რომლითა იშუებდეს და ცნას ძალი შემოქმედისა თვისისაი, რომელი მიუთხოვდეს არს ხილულთა მათგან და შუენიერთა დაბადებულთა და დიდებულთა. და ამისთვის შეიყვანა კაცი სოფლად უკანაისკნელ დაბადებულთა, არა თუ შეურაცხებისა მისისათვის უკანა მოაქცია, არამედ, რაითა იყოს მეფე დაბადებითგანვე მისით, ვითარცა-იგი ვის პნებავნ სერისა ყოფაი, თანა-აც მას, რაითა განკმზადოს პირველად, რაი-იგი უხმს საჭმლად და მაშინდა მოუწოდოს ჩინებულთა მათ. და კუალად, რაითა შეამკოს სახლი თვისი და ტაბლაი ჯეროვნად, და მაშინდა შეიყვანების სტუმარნი ჭამად პურისა თვისისა. და ამით ესევითარითა სახითა ყო მზრდელმან მან ბუნებისა ჩუენისამან მდიდარმან და მეუფემან, რაჟამს შეამკო დაბადებული ყოვლითა შუენიერებითა და განკმზადა საყოფელი ესე დიდებული და პატიოსანი, მაშინდა შემოიყვანა კაცი და მისცა მას საქმედ მონაგები რჩეული, პოვნილი და მომზადებული“ (თქუმული ...1979:72). სამყაროში ყველაფერი მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. პირველქმნილი პარმონია, გარკვეულწილად, დაცემულ მდგომარეობაშიც კი იხილვება.

დადგენილია რა ამქვეყნიურ ქმნილებათა მეფედ, ადამიანმა თავისი თვითმყოფადი ცხოვრება უნდა დაუქვემდებაროს დგთის ნებას, რათა იდიდოს შემოქმედი. ადამიანი უნდა ისწრაფდეს, გამოიყენოს ყველა მიწიერი სიკეთე საკუთარი ზნეობის სრულყოფისათვის.

„მაღალია დანიშნულება ადამიანისა: იგი მოწოდებულია იყოს რელიგიურ კავშირში ღმერთთან, იცხოვროს დგთისათვის და სათხო ეყოს მას; იგი მოწოდებულია, ეტაპობრივად წარმოაჩინოს და განუწყვეტლივ სრულყოს თავისი სულიერი ძალები, და ამის საშუალებით მიაღწიოს ნეტარების სხვადასხვა ხარისხს; ადამიანი მოწოდებულია იყოს მეფე და მეუფე მისდამი დაქვემდებარებული ყოველი ბუნებისა: დე, გამუდმებით ჩანდეს ჩვენს თვალთა წინაშე ეს მაღალი მიზანი, რომლისკენაც ვალდებული ვართ ვისწრაფოთ, და, დე, გვინათებდეს იგი ცხოვრებისეულ ჩაბნელებულ გზას, როგორც გზისმპავლევი ვარსკლავი“ (მართლმადიდებლურ-დოგმატური.. 1895:513-514).

სხვაგან ვკითხულობთ: ზნეობითი განათლებისათვის აუცილებელია საკუთარი პიროვნულობის გაცნობიერება, ანუ გაცნობიერება (ადამიანის-მ.გ.) ზნეობითი ბუნების აღმატებულებისა, რომლის კვალობაზე ის (ადამიანი-მ.გ.) არის საკუთარი ფიქრების, ზრახვებისა და მიზნების სრული გამგებელი. როცა ადამიანი აცნობიერებს თავის შინაგან ზნეობით ლირსებას, მაშინ იგი სწავლობს არა მხოლოდ საკუთარი „გადახრების“ ალაგმვას, არამედ გაცნობიერებულად წინააღმდეგება მრავალ ვნებასა და დანაშაულს. ლირსება ადამიანისა კი ის არის, რომ: იგი 1) აღემატება უტყვ არსებებს გონიერი ბუნებით; 2) არსებობს საკუთარი თავისთვის, მაშინ, როცა მცენარეულობა და ცხოველები მისთვის არიან შექმნილნი; 3) აქვს უნარი ჭეშმარიტების შეცნობისა; 4) აქვს უნარი გამუდმებით ისწრაფოს ზნეობითი სრულყოფილებისაკენ“ (ბუნებრივი...1858:57-58).

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ცოდვით დაცემის შემდგომ საყაროსეული სახეც შეირყვნა და მიწიერება, გარკვეულწილად, სატანის მეუფებას შეუერთდა, კოსმოსი მაინც არ არის მთლიანად ცოდვისა და ბოროტების სამყოფელი. იგი თავის თავში შეიცავს კეთილ ელემენტებაც და ღვთივსათნო თვისებებსაც. ეს თვისებები ცნაურდება „ვეფხისტყაოსანში.“ პოემა ცხადყოფს, რომ სამყაროს შეუძლია ღვთის სიტყვის შემწყნარებელი იყოს, რომ იგია სოფელი, შეყვარებული ღვთის მიერ, რომელმაც ამ სიყვარულის გამო „...ძღვა თვისი მხოლოდ შობილი მისცა მას, რათა ყოველსა, რომელსა პრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებად საუკუნო“ (იოან. 3,16-17)..

იესო ქრისტემ კაცობრიობის, „სოფლის“ ცოდვები „ადიხვნა.“ სამყარო, საწუთო, სოფელი ღმერთს შეარიგა: „რამეთუ ღმერთი იყო ქრისტეს თანა, სოფელი დააგო თავსა თვისსა და არა შეურაცხნა მათ ცოდვანი მათნი, და დადვა ჩუენ თანა სიტყუად იგი დაგებისად“ (2 კორ. 5,19).

აქედან გამომდინარე, სოფელი „უიმედო ბოროტება“ როდია. მას შეუძლია გარდაიქმნეს ღვთის სასუფეველში. ის არის კეთილისა და ბოროტის, მადლისა და ცოდვის ასპარეზი. სოფელი, საწუთო თავისთავად როდი შეეწევა ადამიანს, რადგან დემონური ძალის მსახვრალი ტვიფარი ღრმადა აქვს თავის თავში აღბეჭდილი. ამის კვალობაზე, სამყაროს წარმავალობას მინდობილი ადამიანი საბოლოოდ იმედგაცრუებული რჩება. სოფელი განსაცდელთა მრავალგვარობას განუმზადებს მას, მაგრამ ამ უკანასკნელს ასეთი დისპარმონის ძლევასა და პარმონის აღდგინებაში ყოვლადსახიერი უფალი შეეწევა. სამყაროსადმი ამგვარი გაცნობიერებული მიმართება ცნაურდება ავთანდილის სიტყვებში:

„გა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!  
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა!  
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!  
მაგრამ დმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“ (951).

„ვეფხისტყაოსანში“ დმერთის მიერ შექმნილი სამყარო მშვენიერია, ვინაიდან იგი სრულყოფილია, იგი მთელი თავისი მრავალფეროვნებით უსასრულოა, მარადიულია, დიადია, ამაღლებულია, ხოლო „უთვალავი ფერით“ შემკული, ლამაზი და მშვენიერი სამყაროს გვირგვინი ადამიანია. შემოქმედი და შექმნილი მშვენიერია, ვინაიდან შექმნილი ვერ იქნება, თუ თავად შემოქმედს მშვენიერების ქმნადობის უნარი.. არა აქვს. სამყარო მოძრავია, ცვალებადია, განახლებადია, სხვაგვარად იგი მრავალფეროვნებას მოაკლდებოდა. სამყაროს შექმნისა და მისი იერარქიულობის დვთავებრივი ჩანაფიქრი მოწესრიგებულია, სისტემურია, ამასთან, მარადიულია და უწყვეტია, „უჟამო ჟამია“, რაც აბსოლუტური სრულქმნილების საფუძველს ქმნის. სამყაროს ყოველი ნაწილი, ყოველი ელემენტი პარმონიულად უკავშირდება მთელს, რაც სისრულეს, ამაღლებულობას, მშვენიერებას წარმოშობს“ (სულავა...2004:81-82).

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთათვის დამახასიათებელია სამყაროს მართებული ჭვრება. პოემისათვის უცხოა ამქვეყნიურობის სამგვარი გაუკუდმართებული გაგება: 1. თეოკრატია (იგულისხმება დვთის სასუფევლის განხორციელება დედამიწაზე); 2. სატანოკრატია (როცა მთელი სამყარო ბოროტების სადგურად მიიჩნევა); 3. ე. წ. ანთროპომეტრული პუმანიზმი (როცა სამყაროში გაღმერთებულია ადამიანი და დვთის არსებობის აუცილებლობა იგნორირებულია).

არათუ თეოკრატიას არ გულისხმობს რუსთველის მსოფლმხედველობა, არამედ ავტორი თვით „საზეო სიყვარულზეც“ კი არ გველაპარაკება, რადგან ენაც ამაოდ დაშვრება და მსმენლის ყურიც „დავალდება.“

სატანოკრატიის „გარდამკვეთი“ თვით პოემაა. ნიმუშად ორიოდე მაგალითიც კი საკმარისია: „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა,...“ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია...“ და სხვა უამრავი მაგალითი.

რაც შეეხება ანთროპომეტრულ პუმანიზმს, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა დვთისადმი მიმართება (რის შესახებაც ზემოთ სპეციალურად აღვნიშნავდით) სრულიად გამორიცხავს ამ ურეტიკულ მიმართებას სამყაროსადმი.

მოციქულებრივი სწავლების მიხედვით, სამყარო, ამქვეყნიური არსებობის პირობებში, არათუ ბოროტებას არ წარმოადგენს, არამედ ადამიანის სარწმუნოებრივ-ზნეობითი სრულყოფილების აუცილებელი სარჩულია, რათა კაცობრიობის ცხოვრება ქრისტეს ცხოვრების მსგავსად გარდაიქმნას. იოანე ღვთისმეტყველი თავის ეპისტოლეში ამის თაობაზე აღნიშნავს: „...აღსრულებულ არს სიყვარული ჩუენ შორის, რათა განცხადებულებად გუაქუნდეს დღესა მას სასჯელისასა, რამეთუ ვითარცა იგი იყო, და ჩუენცა ვართ სოფელსა ამას შინა“(იოან.4,17).

ავთანდილი და ასმათი, როგორც გამოკვეთილი პერსონაჟები მოყვასთა შეწევნის ასპექტით, „სარგებლობენ“ სამყაროთი, ოდონდ ისე, რომ თვით არ „სარგებლობენ:“ „...რომელნი იმსახურებდენ სოფელსა ამას, ვითარმცა არა იმსახურებენ“(1კორ.7,21). პოემის აღნიშნული გმირები მზად არიან და კიდევაც აღასრულებენ ამ მზადყოფნას საქმით – გაწყვიტონ კავშირი „ამქვეყნიურობასთან,“ როცა ამას მოვალეობა მოითხოვს და მოყვასის სიყვარულს საკუთარი სიცოცხლეც კი შესწირონ.

ამგვარად, როგორც ამას აღნიშნავს პროფესორი ს. ზარინი თავის წიგნში „ ასკეტიზმი,“ წმიდა წერილის მიხედვით, ქრისტიანობა არ უთვალისწინებს ადამიანს სამყაროს უარყოფას, „მოკვეთას.“ ის მხოლოდ კრძალავს – მიღებულ იქნას სოფელი, როგორც თვითმყოფადი სიცოცხლის მქონე, ქრისტიანული მოძღვრება განარიდებს ადამიანს უღვთო მიმართულებას, რათა ის, მცხოვრები ამქვეყნაზე, იყოს არა „ამ სოფლისაგანი,“ არამედ „დმრთისაგანი“(ზარინი 1996:516).

„ვეფხისტყაოსანში“ სამყარო მთლიანია, ადამიანი მისი ნაწილია. ადამიანში სულიერის, მშვენიერისა და სხეულებრივის ერთიანობა, შერწყმა-შეზავება ბადებს მშვენიერებას, სილამაზეს. რუსთველის პერსონაჟები საკუთარ თავში განავითარებენ სამყაროს მთლიანობის შეგრძნებას, რომელშიც ადამიანი-პიროვნება მიკროკოსმოსია“ (სულავა 2004:87).

სამყაროს ღვთისმიერობა, პირველქმნილი პარმონია ხატისებრ აღდგენილია პოემაში, როცა ავთანდილს ამდერებს რუსთველი. ადამიანის გულიდან დაძრული სიტყვა, შინაგან სამყაროში მოდუღებული და განსაცდელთა სიმრავლით დაწმენდილი, მთელ სამყაროს განეფინება. სიტყვიერი არსების სულიერი მოძრაობა უსიტყვო არსებათა სამყაროში აღწევს და მყარდება მათი მჭიდრო

კავშირი. წაშლილია ჩვეული ზღვარი ადამიანსა და დანარჩენ ქმნილებათა შორის, აღდგენილია დაკარგული პირველხატება:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,  
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,  
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,  
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“ (967).

„ქრისტიანული ხედვაა, რომ ბუნებაში მყოფ ხანმოკლე არსებებში ვჭვრებდეთ შემოქმედის ღვთაებრიობისა და მარადიული ძალის ნაკვალევს (რომ.1,20). ბუნება, რაც უფრო ღრმად ვეცნობით მას, უფრო მეტად წარმოგვიჩენს სულიერი სამყაროს სახეებსა და მსგავსებებს, კეთილისა და ბოროტის სახეს, მშვიდობასა და ბრძოლას. ბუნებაში ჩაბრუნებით ვიგსებით შინაგანი სინათლითა და თავისუფლებით, რომელიც განაახლებს გულსა და ცხოვრებას... ბუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ესთეტიკური აღზრდისათვის, მის კვალობაზე კი ზნეობისათვის“ (მარტენსენი 1890:286)

ამგვარია „ვეფხისტყაოსანში“ კოსმოსისადმი მიმართება. სამყაროს მეტრფენი „არა ამ სოფლისაგანნი“ არიან, რადგან მათოვის ეს სამყარო, მასში მოცემული მშვენიერებათა კრებულით, ღვთის სასუფევლის ანარეკლია და თავის თავში მარადიულობის ტვიფარს აღიბეჭდავს.

## **ღვთივსათნო ასკეზის წინაპირობა ზნეობითი სრულყოფისათვის**

„ვეფხისტყაოსანში“ ერთგან ტარიელი ავთანდილს ეუბნება:

“...ვინცა კაცმან ძმა იმმოს თუ დაცა იდოს,

ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და თავი ჭირსა არ დაპრიდოს,

დმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს...“ (306).

მოყვანილი სტროფის პირველი ორი სტრიქონი უაღრესად ნათელია და საგანგებო კომენტარს არ საჭიროებს. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მესამე სტრიქონი, კონკრეტულად კი – მისი საღვთისმეტყველო, სულიერ–ზნეობითი შინაარსი.

ძველი ქართული ენის ლექსიკონები „ცხოვნება (ცხონება)– წარწყმედას (წაწყმედა)“ შემდეგნაირად განმარტავენ: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, ცხონება ნიშნავს „დღეგრძელობას,“ „წაწყმედა–დაკარგვას;“ ილია აბულაძის მიხედვით, „ცხოვნება, ცხონება, ცხომება“ იგივეა, რაც „განცოცხლება, განრინება, ხსნა გადარჩენა, ცოცხლება“, ხოლო წარწყმედა –

„მოსრვა, მოსპოლვა, მოსპობა, განხუება, მოწყდომა, დაკარგვა, გამოლევა, ცოომა“.

ცნაურდება ცხოვნება-წაწყმედის ორგვარი მნიშვნელობა: ცხოვნება, ერთის მხრივ, ნიშნავს დღეგრძელობას, ჩვეულებრივ, ამქვეყნიურ სიცოცხლეს, მეორეს მხრივ, აღნიშნავს ადამიანის სულიერ მდგომარეობას გარდაცვალების შემდგომ; შესაბამისად, წაწყმედა ნიშნავს: 1) რაღაცის მოსპობას, განადგურებას; და 2) სულის საუკუნო დალუპვას, ჯოჯოხეთურ მდგომარეობას. ძველქართულ მწერლობაში (და „ვეფხისტყაოსანშიც“) ცხოვნება-წაწყმედა (წარმოდგენილი ნუმერაციით) უმეტესწილად პირველი მნიშვნელობითაა ცხადჩენილი.

აღნიშნულ ტერმინთა ორგვარი შინაარსის შესაბამისად, სპეციალურ, რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ ზემომოხმობილ პრობლემატურ სტრიქონს ორნაირი გააზრება აქვს. ვიკტორ ნოზაძეს თავის „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველებაში „დამოწმებული აქვს სხვადასხვა მოსაზრებანი იმ ავტორთა, რომლებიც უშუალოდ ეხებიან ცხოვნება-წაწყმედასთან დაკავშირებულ საკითხს:

„ღმრთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს.“

ვახტანგ VI: „რა კაცი გაუმუსაიბდეს და საყვარლად შეექნას, იმისთვის სასიკვდილოდ არ უნდა დაზოგოს. ეს იგავად მოუყვანია, თუ ღმრთი კაცს არ წასწყმედს, მეორეს რა შიში ექნება, რომ ცხონდეს“;

თეიმურაზ ბატონიშვილი: „როდესაც კაცი თავსა თვისეა სრულიად გამოიმეტებს სიყვარულისათვის და მოყვისა თვისეა გამოხსნისათვის ჭირისა, განსაცდელისა და სიკვდილისაგან, იგი თუმცა თვისეა ხორცეა წაწყმედს, მაგრამ სულსა კი ღმრთი აცხოვნებს კეთილისა მოქმედებისა მისისათვის და თუ თავის თავს არ გამოიმეტებს კაცი მოყვისათვის, მაშინ ვითარდა ძალ უცს შეწევნად მისესა. ასე არის საღმრთო წერილში ბრძანებული: „მეგობარმან მეგობრისა თვისეათვის დასდვის თავი თვისი“-ო.“

ნიკო მარი: „ღმრთს შეუძლია ცოცხალი დასტოვოს ერთი მეგობართაგანი, ერთი ძმად-შეფიცელთაგანი, თუ მეორეს დაღუპავს იგი“ (ნოზაძე 1966:424-425).

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ გიორგი ნადირაძეს თავის წიგნში „რუსთაველის ესთეტიკა“ მოყვანილი აქვს კორნელი კეკელიძის მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომ რუსთველის სტროფში „ლაპარაკია არა საიქიო ცხონება-წაწყმედაზე, როგორც ზოგიერთსა პგონია. ამ შემთხვევაში აღნიშნულია კავშირი ორ კონტრასტულ მოვლენას შორის: სიცოცხლესა

(„აცხოვნოს“) და სიკვდილს („წაწყმიდოს“), სიცოცხლე-არსებობა განპირობებულია მოსპობა-სიკვდილით. ეს აზრი, რომელიც პროკლეს ასე პქონდა გამოთქმული: „სიკვდილი ერთისა არის წინამძღვარი და აუცილებელი პირობა მეორის სიცოცხლისა,“ ხოლო ნემესიოს ემესელს—„სხვისა ქმნასა სხვისა ხრწნად იტყვიან და კუალად სხვისა ხრწნასა სხვისა ქმნად...“ გამეორებაა მოციქული პავლესი, რომელიც ამბობს: „შენ, რომელი დასთესი, არა ცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკუდის“... ესე იგი ჯეჯილის აღმოცენება-სიცოცხლე დამყარებულია მარცვლის სიკვდილსა და ხრწნაზე.“ პ. კეკელიძის კომენტარს გ ნადირაძე „ზუსტ განმარტებად“ სახელდებს (ნადირაძე 1958:159).

თვით ვიკტორ ნოზაძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებულ სტრიქონში „ვით“ ფორმა საცილოა. „ვით“ ანუ „როგორ“ კონტექსტში აუცილებლობას გულისხმობს: დმერთმა ერთი როგორ აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს, ე. ი. ე+რთის ცხონებისათვის მეორეს წაწყმედაა საჭირო თითქოს. ამ შემთხვევაში ცხონების მიზეზად წაწყმედა უნდა ჩაითვალოს, რაც, დვთის ყოვლადსახიერებიდან გამომდინარე, ქრისტიანული მოძღვრებისათვის სრულიად მიუღებელია. ამასთან ერთად, მკლევრის აზრით, პრობლემა „როგორ“ დვთის ყოვლისშემძლეობის წინაშე არ დგას: „დმერთისათვის არ შეიძლება იდგეს საკითხი იმისა, თუ როგორ გადაარჩინოს ერთი, თუ მეორე არ დაღუპოს! რატომ? რისთვის? რა დააშავა ერთმა და რა წაახდინა მეორემ?.. დმერთისათვის არ შეიძლება იდგეს საკითხი: როგორ?“ (ნოზაძე 1966:424).

„ვეფხისტყაოსნის“ არსებული ხელნაწერების მიხედვით, წინამდებარე განსახილველ სტრიქონში ვით-ის გარდა იკითხება, აგრეთვე, რით? (რა საშუალებით?) და რათ? (იგივე-რად?).

გ. ნოზაძის აზრით, მართებულია წაკითხვა – რად? (რისთვის? რატომ?), ხოლო ფორმა „ვით“ და „რით“ მიუღებელია, რადგან დვთის ყოვლისშემძლეობა ყოველგვარი ხასიათის დაბრკოლებას სრულიად გამორიცხავს.

ამგვარად, მკლევრის მიხედვით, პოემის სტრიქონი ასე უნდა იქნას წაკითხული : „ დმერთმა ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს.“

შემოთავაზებულ სტრიქონს გ. ნოზაძე ორგვარი მნიშვნელობით განმარტავს.

პირველი: „ამ ქვეყანაზე დმერთმა ერთი რად აცხოვნოს, რად აცოცხლოს, რისთვის ადღეგრძელოს, თუ მეორე არ დაღუპოს, არ დაკარგოს, არ მოჰკლასო... ეს ლექსი თავისი შინაარსით განგების შინაარსშია მოქცეული – დმერთის

ხელშია ადამიანის სიცოცხლის ვადა. ღმერთმა იცის, თუ ერთს რატომ უნდა მისცეს გრძელვადიანი სიცოცხლე, იყოს დღეგრძელი, თუ მან მეორეს რატომ უნდა მისცეს სიკვდილი. ეს არის დვთის გამგეობაში“ (ნოზაძე 1966:425).

თავის პირველ განმარტებას ვ. ნოზაძე „დამაკმაყოფილებლად“ მიიჩნევს, თუმცა იქვე (და სამართლიანადაც) აღიარებს, რომ სტრიქონში გამოყენებული კავშირი „რად“ „თავის სრულ გამართლებას ვერ პოულობს.“

პოემის სტრიქონის ამგვარი კომენტარი მაუწყებლობს, რომ „ცხოვნება-წაწყმედა“ ამ შემთხვევაში იაზრება მიწიერ პლანში, ამქვეყნიური სიკვდილ-სიცოცხლის ჩვეულებრივი მნიშვნელობით.

მეორე: ვ. ნოზაძის მიხედვით, აქ არის „პრედესტინაციოს, წინარი განჩინების საკითხი, რაც საიქიოში ცხონებასა და წაწყმედას ეხება.“

მეცნიერი მიიჩნევს, რომ „ტარიელი ამბობს: ღმერთმა ერთს გადაუწყვიტა ცხონება, მიანიჭა მას ნეტარი სიცოცხლე საიქიოში, ხოლო მეორეს გადაუწყვიტა წარწყმედა, საუკუნო წამება საიქიოშიო“ (ნოზაძე 1966:4245). მკლევარი განაგრძობს: „ამის მიზეზი ის არის, რომ ღმერთმა წინასწარ იცის, თუ ვინ იქნება კეთილი და ვინ ბოროტი, ვინ ისარგებლებს მისი წყალობით და ვინ – არა. და, რადგან ღმერთმა ეს წინასწარ იცის, ამიტომ ერთის ცხონებით და მეორეს წარწყმედით შესრულებულია ღმერთის სამართლიანობა. ღმერთმა ერთი რად უნდა აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმიდა? თუ მეორე არ წარწყმიდა, მაშინ იგიც ხომ უნდა აცხოვნოს ღმერთმა. ღმერთი ამას არ იზამს, რადგან დარღვეული იქნებოდა მისი სამართლიანობა...“

ყველაფერი...ღმერთმა წინასწარ იცის (რომ კაცობრიობის ერთი ნაწილი, ადსრულებული, რეალიზებული სიკეთის გამო ცხონებას მიემთხვევა, ნაწილი კი, უკეთურებათა გამო – წაწყმედას, მ. გ.), ამიტომ ერთს წინასწარ ცხონებას, ხოლო მეორეს წინასწარ წაწყმედას გადაუწყვეტს, რადგან მან ერთისა და მეორისაც წინასწარ იცის“ (ნოზაძე 1966:425).

ასეთია, ვ. ნოზაძის მიხედვით, რუსთველისეული სტრიქონის მეორენაირი გააზრება, რომელიც, მისივე სიტყვებით, „უფრო მისაღებია, ვიდრე პირველი.“ ამგვარი გააზრებით, სტრიქონში საუბარია არა ამქვეყნიურ დღეგრძელობა-დაღუპვის შესახებ, არამედ აქ არის უწყება კაცობრივ სულთა მარადიულ ხვედრზე, რომელიც ღმერთს წინასწარ განუჩენია.

რას გულისხმობს ეს დვთისმიერი წინასწარი განჩინება? ხომ არ მოიაზრება იგი, როგორც ბედისწერა, რომელზედაც მთლიანად არის

დამოკიდებული ადამიანის ამქვეყნიური ხვედრი პიროვნული ნებისა და უოველგვარი მცდელობის მიუხედავად?

ბედისწერა ნიშნავს „უზენაესი ძალის“ მიერ ადამიანის მიმართ დადგენილ უპირობო წინასწარგანჩინებას. რაც არ უნდა იღვაწოს პიროვნებამ, რაც არ უნდა მოიმოქმედოს - წინასწარ განჩინებულს ვერ განერიდება. ბედისწერის გაგება გამორიცხავს ადამიანის ნების თავისუფლებას, არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია პიროვნული თავისუფალი ნება, რას მოიმოქმედებს - მაინც ისე მოხდება, როგორც გადაწყვეტილია. ამის კვალობაზე, შეუძლებელია აღსრულებული კეთილი რამ საქმის ან ჩადენილი ბოროტების გამო ადამიანი პიროვნულ მისაგებელს დაუქვემდებაროს, რადგან მისი ნებისმიერი ქმედება განხორციელდა არა საკუთარი ნებით, არამედ პიროვნებისაგან დამოუკიდებელი აუცილებლობით, ხოლო, ვისაც არ ეკისრება პიროვნული პასუხისმგებლობა, ის არც ისჯება, არც ჯილდოვდება..

„ის, რაც აუცილებლობის მიხედვით კეთდება, არც სათნოებაა, არც ბოროტება. ამიტომ, თუ არც სათნოებას ვფლობთ, არც ბოროტებას, ადარც ქებისა და სასჯელის დირსნი ვყოფილვართ, დმერთიც უსამართლო ადმონიდება მაშინ, ზოგისთვის სიკეთე უბოძებია, ზოგისთვის კი გაჭირვება.

ამრიგად, თუ აუცილებლობის მიხედვით წარიმართება და მდინარებს უოველივე, მაშინ ვედარც დმერთი ვერ აღასრულებს წარმმართველობასა და თავისი ქმნილებების წინაგანმგებლობას. მოაზროვნეობაც ზედმეტი იქნებოდა ჩვენთვის, რადგან, თუ არანაირი საქმის უფროსები აღარ ვიქნებით, ზედმეტადდა განვიზრახავთ რასმე. მაგრამ მოაზროვნეობა უთუოდ იმიტომ მოგვეცა ჩვენ, რომ გავიზრახავთ კიდეც, აქედან, ყოველი მოაზროვნე თვითუფლებრივიცაა“ (იოანე დამასკელი 2000:68). „არ არის სათნოება ის, რაც იძულებით კეთდება“ (იოანე დამასკელი 2000:80). „...თვით ადამიანი უნდა იყოს თავისი საქმეების სათავე და მათზე უფლებამოსილი...თუ ადამიანი არანაირი საქმის სათავე არ არის, ზედმეტი ყოფილა მისთვის განმზრახველობა, რადგან რაში გამოიყენებდა იგი განზრახვას თუ არანაირი საქმის ბატონ-პატრონი არ იქნებოდა? ყველა განზრახვის საგანი ხომ საქმეა“ (იოანე დამასკელი 2000:97).

მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრება დვთისმიერი წინასწარი განჩინების შესახებ გვაწვდის უაღრესად ნათელ დოგმატურ სწავლებას, რომელიც დიამეტრალურად სხვაობს ბედისწერის გაგებისაგან.

წინასწარგანჩინება არ გულისხმობს იმას, რომ ის, ვინც წაწყმდა ან ცხონდა, წაწყმდა ან ცხონდა იმის გამო, რომ ასე იყო წინასწარ გადაწყვეტილი. დვთის არსების ერთ-ერთი თვისებაა ყოვლადსახიერება, ყოვლადპეთილობა. შეუძლებელია, მან ვინმე წაწყმიდოს, წაწყმედა გადაუწყვიტოს. ადამიანის სულის წაწყმედა განპირობებულია თვით იმავე ადამიანის უკეთურებით, დვთისაგან განდგომილებით. ადამიანი თვითვე უპირობებს საკუთარ თავს წაწყმედას. მაშ რატომ ითქმის, რომ დვთის მიერ წინასწარგანჩინებულია ცხონება-წაწყმედა?

დვთის არსების ერთ- ერთი თვისება არის, აგრეთვე, ყოვლისმცოდნეობა. ადამიანის მსგავსად როდი ელოდება იგი საქმეთა აღსრულებას, არამედ წინასწარ ჭვრებს ამ აღსასრულს და რადგანაც ჭვრებს, წინასწარ იცის, ვინ როგორ მოეპყრობა ზეცით ბოძებულ მაღლს, ამიტომ უფალმა ისიც იცის, ვინ ცხონდება და ვინ წაწყმდება. ამ გაგებით ითქმის სწორედ, რომ ადამიანთა სამომავლო, საუკუნო ხვედრი წინასწარგანჩინებულია.

აღნიშნული წინასწარგანჩინება არ აბრკოლებს ადამიანის თავისუფალ ნებას. ეს უკანასკნელი არ არის შეზღუდული დვთის აბსოლუტური უპირობო ნებით. წინასწარგანჩინება თვით ადამიანთა საქმეებიდან გამომდინარეობს, რომელიც შემოქმედმა, როგორც ყოვლისმხედველმა და ყოველგვარ დროით კატეგორიაზე აღმატებულმა, წინასწარ განჭვრიტა.

დმერთმა ყოველივე წინასწარ იცის, შემდგომ წინასწარ განაჩინებს, ასე რომ, ჯერ წინასწარჭვრება, შემდგომ – წინაგანჩინება (განმარტება...1882:342). წინასწარგანჩინება არ არის აბსოლუტური. იგი დაფუძნებულია წინარე განსაზღვრულ პიროვნებათა თვისებების წინასწარჭვრებაზე (განმარტებითი...1911–1913:476).

დვთისმიერი წინაგანჩინება პირობითია (მართლმადიდებლურ-დოგმატური...1868:216). ყველამ თავისი საქმეების შესაბამისად მოინაყოფა (მართლმადიდებლურ-დოგმატური...1868:217).

დვთისმიერი წინაგანჩინება აღესრულება ადამიანთა დამსახურების პირობიდან გამომდინარე, რომელიც შემოქმედისათვის წინასწარ არის ცნობილი (მართლმადიდებლურ-დოგმატური...1868:217).

თუ წმიდა წერილი ამბობს, რომ დმერთმა ერთ ნაწილს ნეტარება განუსაზღვრა, მეორეთ კი – წაწყმედა, ეს სავსებით არ ნიშნავს იმას, რომ მას მთელი კაცობრიობის ხსნა არ სურს, რომ ყველას არ სწყალობს და უმიზეზოდ განუკუთვნებს სამსჯავროს საკუთარი ნებით. ეს ნიშნავს იმას, რომ დმერთი

წინასწარ ხედავს, ვინ მოისურვებს ცხონებას და ვინ – არა, ამის შესატყვისია წინაგანჩინებაც (მართლმადიდებლურ-დოგმატური.. 1868:192).

არათუ წაწყმედას არ თანაეზიარება უფალი, არამედ ნებისმიერი სახის ბოროტებას... რომელსაც ღმერთი მხოლოდ წინასწარ ჭვრეტს და უშვებს, მაგრამ იგი მის განგებულებაში არ მოიაზრება, რადგან მას არც შეუქმნია იგი (მართლმადიდებლურ-დოგმატური... 1868:513).

უპირველესად, ზნეობითია ბოროტება – ღვთისმიერი ზნეობითი სჯულის დამარღვეველი. იგი შემოქმედის მიერ კი არის განპირობებული, არამედ ზნეობით არსებათაგან, რომელთა მიმართ, განუბოძა რა მათ თავისუფლება, უფალი უშვებს ცოდვის ქმნას, მაგრამ სრულებით არ თანაეზიარება და არ თანამოქმედებს მათთან (მართლმადიდებლურ-დოგმატური...1868:532).

წმიდა ბასილი დიდი ჯოჯოხეთისეული მდგომარეობის შესახებ ამბობს: „...ბოროტთა მათ ჯოჯოხეთისათა არა ღმერთი აქუს მიზეზად, არამედ თვით ჩუენ, რამეთუ დასაბამი და ძირი ცოდვისათ არს ჩუენი ნებად და თვითმფლობელობად“ (ბასილი...1993:356).

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ღმერთმა კი არ გადაუწყვიტა ვინმეს სასუფეველი ან ჯოჯოხეთი და აქედან გამომდინარე კი არ ცხონდა ან წაწყმდა ვინმე, არამედ ადამიანი თავის თავს თვითვე გადაუწყვეტს საკუთარი სულის საუკუნო მდგომარეობას თავისუფალი ნების მეშვეობით და ეს „გადაწყვეტა“ არის სწორედ წინდაწინ დანახული ღვთის მიერ, აქედან კი შედეგიც – „წინარგანჩინებული.“

ღმერთი არავის წაწყმედს. და, თუ ითქმის, რომ „ღმერთმა წაწყმიდა“, ეს თქმა პირობითია, გადატანითი მნიშვნელობისაა და არა – პირდაპირი გაგების მქონე. ამას ცხადყოფს ფსალმუნი: „რამეთუ, აკა ესერა რომელთა განიშორნეს თავნი თვესნი შენგან, იგინი წარწყმდენ, და მოსრენ ყოველნი, რომელნი შორს განდგეს შენგან“ (ფს.,72,27). ეს უაღრესად მკაფიო თქმა წინაგანჩინების მწვდომელობას გვიადვილებს. აქედან ცნაურდება, რომ წაწყმდა ის, ვინც საკუთარი ნებით განდგა უფლისაგან, ხოლო ღვთისადმი მიმართული ფორმა „მოსრენ“ პირობითობის გაგებას შეიცავს. ესე იგი მიზეზი წაწყმედისა თვითონ ადამიანია, რადგან ყოვლადსახიერი შემოქმედი საუკუნო სატანჯველს როდი განუმზადებს მას, ვინც ცხონებისათვის შექმნა. ფსალმუნს ეხმიანება პავლე მოციქულიც, რომელშიც სწორედ ადამიანის პიროვნულ ნებაში მოცემული

მიზეზობრიობაა ცხადჩენილი: „კაცად კაცადმან თვისი სასუიდელი მიიღოს თვისისაებრ შრომისა“ (1კორ., 3, 8).

ამავე მიზეზს წაწყმედისას ასაჩინოებს წმ. იოანე დამასკელიც: „...სრული მიტოვებაა (ლგოსაგან, მ.გ.), როდესაც ღმერთი ყოველივეს მოიმოქმედებს ადამიანის გადასარჩენად, ის კი, უგრძნობი და უექიმებელი, უფრო კი უკურნებელი დარჩება საკუთარი მოწადინებისამებრ და მაშინ სრულ წარწყმედას გადაეცემა იგი 9იოანე დამასკელი 2000:101).

ამგვარად, ერთნი საკუთარი საქმეების გამო ცხონდებიან, მეორენი წაწყმდებიან.

ვ. ნოზაძის მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონში რუსთველი სწორედ ამ წინაგანჩინების შესახებ გვხსიტყვება. ღმერთმა ნაწილი უკათურებათა გამო თუ არ დასაჯა, მეორეს რიდასთვის აცხოვნებს, მაშინ ხომ წარსაწყმედლებიც უნდა ეცხონებინაო.

„ღმერთმა ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“.

როგორც ვხედავთ, წინადადება პირობითია (პირობითობა კი ყოველთვის გულისხმობს ერთის ადსასრულებლად რადაც მეორეს, მიზეზს, გარკვეული პირობის არსებობის აუცილებლობას). რა თქმა უნდა, მართალი შეწყალებულია, ცოდვილი – დასჯილი, მაგრამ დვოის ყოვლადსამართლიანობა არ გულისხმობს ერთის ცხონებისათვის მეორეს წაწყმედის აუცილებლობას, ამ სტრიქონიდან კი (თუ ნოზაძის მოსაზრებას გავიზიარებთ) სწორედ ეს აუცილებლობა გამოსჭვივის: ერთი თუ არ წაწყმიდა, მეორე რისთვის აცხოვნოს.

მკვლევრის თქმით: „ამისი (ცხონება–წაწყმედის, მ.გ.) მიზეზი ის არის, რომ ღმერთმა წინასწარ იცის, თუ ვინ იქნება კეთილი და ვინ – ბოროტი, ვინ ისარგებლებს მისი წყალობით და ვინ – არა. და რადგან ღმერთმა ეს წინასწარ იცის, ამიტომ ერთის ცხონებით და მეორეს წარწყმედით შესრულებულია ღმერთის სამართლიანობა“ (ნოზაძე 1966:425).

მიუხედავად ასეთი განმარტებისა, რუსთველისეული სტრიქონის შინაარსობრივი პირობითობა მაინც გაურკვევლად გვესახება.

თუ ჩვენ მიერ განსახილველ პრობლემატურ სტრიქონში საუკუნო მისაგებელზეა საუბარი, სტროფის შინაარსობრივ ალოგიკურობას, პირველ ყოვლის, ასაჩინოებს თვით კონტექსტი: თუ ადამიანი ადამიანს ექმობა, „ჯერ არს“, მისთვის არც ჭირს და არც სიკვდილს არ შეეპუოს, მოყვასისათვის თავი გაწიროს, რადგან ეს არის მოყვასებრივი სიყვარულისა და ზნეობითი შჯულის

ზედმიწევნითი განსხვაულება. ამის შემდეგ კი სავსებით მოულოდნელი ჩანს საუკუნო ხვედრის, წინაგანჩინების მოხსენიება, ანუ, ერთის მხრივ, წარმოჩენილია ზნეობითად მოღვაწე ადამიანის ცხოვრებისეული კრედო, მოცემულია ქრისტიანული ზნეობითი სჯულდება, მეორეს მხრივ კი – პირველიდან გამომდინარე(?), სადგოისმეტყველო თეზა დვთის მიერ წინარგანჩინებული ადამიანის სულის ცხონება-წაწყმედის შესახებ.

ვფიქრობთ, რომ სინამდვილეში საქმის ვითარება სხვაგვარია.

პირველ ყოვლის, აღვნიშნავთ, რომ ვ. ნოზაძის მითითება („ღმერთისათვის არ შეიძლება იდგეს საკითხი როგორ“) გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს, რადგან ქრისტიანული მოძღვრება ამ საკითხს გარკვეული სახით იცნობს.

საქმე ის გახდავთ, რომ, თუ ადამიანს ცხონება არ სურს და არ იღვწის შესაბამისად, უფალი მისი ნების საწინააღმდეგოდ მას „ვერ აცხონებს,“ თუმცა კი ცხონება ადამიანს დვთის შეუწევნელად არ ძალუბს. ამგვარი გაგებით მოაზრებული ტერმინი „როგორ“ სრულდებით არ ნიშნავს დვთის უძლურებას, პირიქით, აქ კიდევ ერთხელ ცნაურდება, რომ შემოქმედი ადამიანისადმი ერთხელ ბოძებულ თავისუფალ ნებას არანაირად არ ზღუდავს და, თუ ადამიანს „არ სურს ღმერთი“, ღმერთი ამ „სურვილს“ ვერ აიძულებს მას, თუმცა კი შეეწევა (რაც აურაცხელი სახით შეიძლება გამოვლინდეს), რათა უღმერთო სინანულად მოვიდეს და თავის პირველხატს დაუბრუნდეს („კუალადგებაი“).

ქრისტიანული მოძღვრებით, ყოველი კეთილი საქმე დვთისგანაა, მაგრამ იგი თვით ადამიანმა უნდა ადასრულოს პიროვნული, თავისუფალი ნებით. მას უშუალო, კონკრეტულ ღწვაში ვერავინ ჩაენაცვლება, თუმცა კი, რადგანაც ყოველი კეთილი დვთისაგანაა, ამიტომ ითქმის, რომ ეს სიკეთე ღმერთმა ადასრულა. თეიმურაზ ბატონიშვილის გამარტებას წაწყმედის შესახებ: „კაცი თვისსა ხორცსა წარწყმედსო“, ვ. ნოზაძემ „უსაფუძვლო“ უწოდა (საუბარია, რომ ღმერთი წაწყმედს და არა – კაციო, მ. გ.), მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ბატონიშვილი ახლოს დგას მართებულ მოსაზრებასთან (თუმცა მისეული განმარტება ტერმინოლოგიურ დაზუსტებასა და კონკრეტულ არგუმენტებს მოითხოვს).

ღმერთი მოაკვდინებს ხორციელ ვნებას თუ კაცი, ეს საბოლოოდ ერთსა და იმავე სადგოისმეტყველო შინაარსს ექვემდებარება. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ რა გაგებით ვამბობთ, კონკრეტულად რა შინაარსს ვდებთ მასში. თუ ვამბობთ, რომ ღმერთმა მოაკვდინა ხორციელი ცოდვა,

ვგულისხმობთ, რომ ყოველი ვნების დათრგუნვა ადამიანში დგთისმიერი თანადგომით ხდება, რადგან ღმერთია ყოველივე კეთილის სათავე, მაგრამ ვინ უნდა დათრგუნოს კონკრეტულად ვნება, თუ არა თვით ადამიანმა? ანგელოზთაც ხერავე იერარქია და წმინდანთა მთელი დასიც რომ იყოს მისი მეოხი, კონკრეტული საქმის აღსრულებაში ადამიანს ვერავინ ჩაენაცვლება. ამიტომაც ითქმის, რომ ვნება „კაცმა წაწყმიდა“.

ამას მოწმობს თვით „ვეფხისტყაოსანიც.“ ტარიელი მის ძებნაში დამაშვრალ ავთანდილს ასე მიმართავს: „ღმერთმა ქმნა და გიპოვნივარ, შენცა ცდილხარ მამაცურად.“ ე. ი. პოვნა ღმერთმა ქმნა, ანუ ეს დგთის ნება იყო, დგთისაგან იყო, მაგრამ პრაქტიკულად იგი ავთანდილის მცდელობით განხორციელდა.

მიგვაჩნია, რომ სტრიქონის მართებული წაკითხვაა: „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“.

აქ ხსენებული „ერთი“ და „მეორე“ ნიშნავს არა სხვადასხვა, ორ ადამიანს, არამედ ერთსა და იმავეს.

საღმრთო წერილში უფალი მოსეს პირით ბრძანებს: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ და არა არს ღმერთი ჩემსა გარეშე. მე მოვაკუდინი და მე ვაცხოვნი, მე მოვწყლი და მე განვგურნი“ (2შჯ. 32,39. შდრ. 1 მეფ. 2,6 – „უფალი მოაკვდინებს და აცხოვნებს, შთაიყვანებს ჯოჯოხეთად და აღმოიყვანებს“). მოკვდინება ამ კონტექსტში იგივეა, რაც შემუსრვა, წაწყმედა. წმიდა წერილის ამ სიტყვებთან რუსთველისეული სტრიქონის სიახლოვე აშკარად. ქვემოთ ვნახავთ, რომ ტექსტობრივთან ერთად სახეზეა საღვთისმეტყველო შინაარსის იდენტურობაც.

წმინდა ბასილი დიდის კომენტარი სჯულის წიგნის ზემოთ მოხმობილ მუხლთან დაკავშირებით ნათელს პფენს „ვეფხისტყაოსნის“ ამ ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხსაც.

წმ. ბასილი დიდი: „მე მოვაკუდინი და მე ვაცხოვნიო“...., მე მოვაკუდინო ცოდვისაგან“, ესე იგი არს, ვითარმედ სრულიად მოვსწყვიდო მისგან და ვაცხოვნო სიმართლითა, რამეთუ „რაიზომცა გარეგანი კაცი განიხრწებოდის, შინაგანი განახლდების“, ხოლო არა თუ სხვასა მოაკვდინებს და სხვასა აცხოვნებს, არამედ მასვე. რომლითა-იგი მოაკვდინებს, მით აცხოვნებს და რომლისა მიერ მოსწყლავს, მით განკურნებს მსგავსად იგავისა მის, რომელიც იტყვის, ვითარმედ: „შენ მოსწყლა იგი კუერთხითა, ხოლო სული მისი იხსნა

სიკუდილისაგან. აწ უპუ მოიწყვლიან ხორცნი, რათა განიკურნოს სული და მოკუდების ცოდვისაგან, რათა ცხონდეს სიმართლითა“ (ბასილი...1993:59).

ღმერთი, „რომელსა უოველთა პნებავს ცხოვრებავ“, მოკვდინებს ადამიანს ცოდვების ქმნისაგან და ააღორმინებს სიმართლით. ეს მოკვდინება-ცხონება სხვადასხვა ადამიანს კი არ ეხება, არამედ ზოგადად ერთს, ასე რომ ადამიანში დვთისგან „ცხონებული ერთი“ („ერთი ვით აცხოვნოს“) ეს არის „შინაგანი კაცი“, სულიერება, ხოლო წარწემედული მეორე („მეორე-წაწყმიდოს“) – „გარეგანი კაცი“, ცოდვით დასნეულებული ხორციელება, ქვენა ეგოიზმით დაავადებული სამყარო.

ზემოაღნიშნულის კვალობაზე, ნათელი ხდება „ვეფხისტყაოსნის“ კონტექსტი: ცხონებისათვის მოწოდებული ადამიანი დვთის მცნებებით უნდა ცხოვრობდეს, ხოლო მოყვასის სიყვარულით („მმა იმმოს თუ დაცა იდოს“), ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, აღესრულება დვთის სიყვარული: „უპავთუ იყვარებოდეთ ურთიერთას, ღმერთი ჩუენ შორის დადგრომილ არს და სიყვარული მისი აღსრულებულ არს ჩუენ შორის“ (ფხევდომაკარის...1982:142. შდრ.:10თან.4,12). ვინც ამ მცნებით („იყვარებოდეთ ურთიერთას“), ცხოვრობს, იგი ზნეობითად მოვალეა, რომ მოყვასისათვის სიკვდილსაც კი არ შეუდრკეს, რადგან სიყვარული საქმით უნდა აღსრულდეს. ეს კი ვერანაირად ვერ მოხერხდება, თუ ადამიანში არ შეიმუსრა თვითმოყვარეობა, მდაბალი ეგოიზმი. სიყვარული მოყვასისადმი ვერ აღსრულდება, თუ მსხვერპლად არ იქნა მიტანილი პირადი კეთილდღეობა. ადამიანი უნდა გამოთავისუფლდეს (რამდენადაც ეს შესაძლებელია) ცოდვისაგან, რომელიც სხვათადმი უგულისხმოებასაც ნიშნავს. ამიტომაა, რომ შემოქმედი შემუსრავს, „წაწყმედს“ ადამიანში ცოდვას, „გარდაკვეთს“ მას მცნებებითა და შეწევნით და „აცხოვნებს“ მასში სულიერებას, მოჰქმადლებს მოყვასისადმი თავგანწირვას, დღეგრძელ-პყოფს მის ზნეობით მშვენიერებას.

„სიკუდილითა ხორცთათა მოგვეცემის ჩუენ შობად სულისად, ვითარცა უფალი იტყვის, ვითარმედ: „მე მოვაკუდინი და მე ვაცხოვნი“ (ბასილი...1993:140).

ხორცის სიკვდილი აქ გულისხმობს არა ფიზიკურ გარდაცვალებას, არამედ სწორედ ცოდვების მოკვდინებას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სტრიქონი: „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“ პირობით გაგებას შეიცავს, ერთის მისაღწევად მეორეს არსებობის აუცილებლობაა მოაზრებული.

წმ. ბასილი დიდი ეკლესიასტეს კომენტირებისას – „ქამი არს შობისად და უამი არს სიკუდილისად“ (ეკლ. 3,2), – მიუთითებს, რომ „შობის“ „სიკვდილზე“ უწინარესად მოხსენიება ეკლესიასტეში ნიშნავს ხორცი (ელ დაბადებასა და სიკვდილს). შემდგომ წმ. მამა გვთავაზობს ამგვარ ფორმულას: „ქამი არს სიკვდილისად და უამი არს შობისად.“ სიტყვათა გადანაცვლებას ბასილი დიდი ამგვარ კომენტარს ურთავს: „იგი (სოლომონ მეფე – მ.გ.) შობათა მათ განხერწნადთათვის იტყოდა და ამისთვის ბუნებისა მისებრ ხორციელისა შობად თქუა უწინარეს სიკუდილისა (რამეთუ შეუძლებელ არს სიკუდილისა გემოხსხილვად, რომელი არა პირველ იშვას, ხოლო მე რომელსა-ესე სულიერისა შობისათვს მეგულების თქუმად, სიკუდილსა განვაწესებ უწინარეს ცხორებისა, რამეთუ სიკუდილითა ხორცთავთა მოგვეცემის ჩუენ შობად სულისად, ვითარცა უფალი იტყვს, ვითარმედ, „მე მოვაკუდინი და მე ვაცხოვნი“. მოვკუდეთ უკუა, ძმანო, რავთა ვცხონდეთ (ბასილი...1993:140).

ამგვარად, სულიერი შობისათვის აუცილებელია უკეთურ, ხორციელ გულისთქმათა მოკვდინება. როგორც ფიზიკურ გარდაცვალებას უსწრებს წინ ხორციელი დაბადება, ასევე სულიერი შობის უცილობელი წინაპირობაა ხორციელი ვნებების მოკვეთა. ამას გულისხმობს პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ თავის მეორე ეპისტოლეში: „რაღომცა გარეგანი კაცი განიხერწნებოდის, შინაგანი კაცი განახლდების“ (2კორ.4,16). გარეგანი კაცის, ხორციელის დათრგუნვა, „განხერწნა“, მოკვდინება, წაწყმედა შინაგანი კაცის, სულიერი სამყაროს განახლებას, განცოცხლებას, ცხონებას ნიშნავს. როგორც ვხედავთ, სავსებით ცხადია ერთისათვის მეორის არსებობის აუცილებლობა.

ეგვენ აუცილებლობაა „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონშიც, წინადადების მოცემული პირობითობაც სავსებით ნათელი და გასაგები ხდება.

კოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სტროფში –

„ვინცა კაცმან ძმა იძმოს თუ დაცა იდოს,

ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს,

ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს,“

– საუბარია ადამიანის ზნეობით მოვალეობაზე („ხამს“). ვინც ჭეშმარიტი მოყვასის მძიმე ტვირთს თავს იდებს, მან „ძმისთვის“ თავი არ უნდა დაზოგოს, არ უნდა შეეპუოს თვით ჭირსაც და სიკვდილსაც კი, მაგრამ ეს სიყვარული მოყვასისა ვერ აღსრულდება, ვერ იქნება ღვთის მიერ სიცოცხლეკურთხეული

(„ერთი ვით აცხოვნოს“), თუ უფალმა, პირველ ყოვლის, არ შემუსრა („თუ მეორე არ წარწყმიდოს“) ადამიანში „გიწრო ეგოისტური თვითობა, ქვენა-მე“ (გამსახურდია 1984:91). რომელიც ოდენ საკუთარი ბედნიერებით ტკბობას, ოდენ საკუთარი თავის მამებლობას გულისხმობს. თუ წაწყმედული, მოკვდინებული არ იქნა მდაბალი ხორციელი გულისთქმანი, თუ არ აღსრულდა პიროვნული ლვთივმომდინარე თვითშეწირვა მოყვასობის სამსხვერპლოზე, შეუძლებელია დღეგრძელ, კურთხეულ, ცხოვნებულ იყოს ადამიანში ზნეობითი სჯულისა და სიყვარულის მარადის მოყურადე – შინაგანი კაცი.

## **განაჩენი სიცრუისადმი და „საუკუნო სირცხვილის“ პარადიგმა „კეფხისტყაოსანში“**

„კეფხისტყაოსნის“ დამოკიდებულება სიცრუისადმი, როგორც ცოდვისადმი, სრულიად ნათელია: სიცრუე ყოვლად შეუწყნარებელია რჩეულ პერსონაჟთათვის და ეს უკანასკნელნიც ერთხმად განაჩინებენ ამგვარი უკეთურების უარყოფას და, თუმცა თვით რჩეულნიც ეცემიან ამ ცოდვით, ეს ცოდვა მათთვის ორგანულად დამახასიათებელი არ არის, იგი არა არსებითია.

ზნეობითი ცნობიერება ადამიანის პიროვნების, როგორც დვთის ხატის, უცილობელი და განუყრელი თანმხლებია. პიროვნებისეულ სტრუქტურაში ზნეობითი ცნობიერება აღიქმება როგორც უპირობო რამ, რომელიც არ ითხოვს ფაქტების დასაბუთებას, რადგანაც ის არის ნათელი და დვთის დრმად აღბეჭდილი ხატება ადამიანში. აქ გათვალისწინებული უნდა იქნას, აგრეთვე, ისიც, რომ ზნეობითი ცნობიერების ბუნება იდეალურია (პლატონი 1994:63).

პიროვნების ყოფიერებაში ზნეობითი ცნობიერება დომინირებს. იგი თავისთავში გულისხმობს ადამიანის შემოქმედებით მიმართებას ყოფიერებასთან,

რომელშიც შემოქმედებითად აღემუნება და გარდაიქმნება თვით ადამიანი – დამთხვეს დამსგავსებისაკენ მსწრაფი.

ზნეობითი ცნობიერება პიროვნების ერთ-ერთი ყველაზე ღრმა, ყველაზე ინტიმური გამომავლინებელია. მისი წყალობით ადამიანი ჭკრეტს და ამ ჭკრეტელობით ფონზე მოიაზრებს საკუთარ თავს. პიროვნება აცნობიერებს საკუთარ ორიგინალურობას, აფასებს თავს თვითშეფასების კატეგორიებით და საკუთარი „მეს“ ამგვარ შეფასებაში მოადუდებს თავისსავე თვითმყოფადობას.

გარშემო არსებული რეალობის მიმართ საკუთარი თავის შემცნობელი „გადის საკუთარი საზღვრებიდან,“ მიემართება ირგვლივ მყოფთ, მაგრამ არ აღერევა მათ, არამედ არკვევს მხოლოდ ზნეობით ურთიერთმიმართებას.

ზნეობითი ცნობიერების ერთ-ერთი მახასიათებელია სირცხვილის გრძნობა. იგი გამოწვეულია საკუთარი უზნეო საქციელის ანალიზით, შეფასებით. სირცხვილის განცდა ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში ეუფლება ადამიანს, თუ იგი შეიგნებს, გააცნობიერებს, გამოუტყდება საკუთარ თავს, რომ მისი კონკრეტული საქციელი არ აღიქმება ეთიკურად, ანუ, როცა გააცნობიერებს, რომ არ გააჩნია მორალური უფლება – ისარგებლოს ზნეობითი აღიარებითა და პატივისცემით.

სირცხვილი არის ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერება ზნეობითი სჯულის ფონზე. ადამიანს ბუნებითად აქვს დამთხვესგან მომადლებული, განიცდიდეს დანაშაულს, ქენჯნიდეს სინდისი, ამხილოს საკუთარი თავი უდირსებო მოქმედებაში, ყოფაქცევითი სტანდარტის დარღვევაში, როცა ქმედება არ შეესაბამება ეთიკურ ნორმებს. ეს შეუსაბამობა იწვევს დანაშაულის გაცნობიერებას, ფორიაქსა და სხვათა წინაშე შერცხვენის შიშს.

სირცხვილის გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დანაშაულის განცდა განიხილება როგორც სხვის თვალში პატივისცემის დაკარგვის შიში. ჩადენილ დანაშაულს ადამიანის სამყაროში შეაქვს შინაგანი დისონანსი, დისპარმონია.

სირცხვილი ცოდვით დაცემის შედეგია. ამ გრძნობას უპვე ვხვდებით პირველ ადამიანებთან. სირცხვილი ცრუ მოლოდინის ნაყოფია. ადამიანი დაეცა და დაცემისთანავე განიცადა სირცხვილი. (პლატონი...1994:64-67).

სირცხვილი არ არის მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის განცდა. ადამიანს შესაძლოა ჰქონდეს უზნეოდ მოქცევის შიშიც, რომლის სასირცხვილო შედეგიც

მომავალს განეკუთვნება. „მომავალში“ იგულისხმება ამქვეყნიური დროც და მარადისობაც.

ყოველ ცოომილებას, უზნეობის ყოველგვარ გამოვლინებას სინდისის კეთილმოქმედების შემთხვევაში, სირცხვილის განცდამდე მიჰყავს ადამიანი. „ვეფხისტყაოსანში“ სიცრუის შესაძლებლობა არც თუ იშვიათად აყენებს პოემის პერსონაჟებს სირცხვილის საშიშროების წინაშე. მორალური დაცემის საფრთხე აძრწუნებთ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს და ისინიც, კეთილგონიერების წყალობით, მაქსიმალურად ერიდებიან სულის წარმწყმედელ, ღვთის წინაშე შემარცხენელ საშიშროებას. ეს სიფრთხილე და გონებითი მღვიმარება, რაც პოემის პერსონაჟებს ახასიათებთ, სრულ იდენტურობაშია წმინდა წერილში მოხსენიებულ ღვთის მოქენეთა სულიერ მღვიმარებასთან. წმინდა წერილის სულისათვის სრულიად უცხოა და შეუწყნარებელი სიცრუე. უზნეობის ამ ერთერთი ასპექტისაგან ყოვლითურთ გამიჯნული არიან ძველი აღთქმის პატრიარქები თუ წინასწარმეტყველები, ახალი აღთქმის მოციქულები თუ მოციქულთა მოწაფეები, ანუ სიცრუე ყოვლად მიუდებელია ღვთივსათნო მოსაგრეთათვის.

მართალი იობი, სრულიად გამიჯნული სიცრუისაგან, თავის თავს უმძიმეს წყევლას განუჩინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი დაცემულია ამ ცოდვით: „ უკუეთუ სრულ ვიყავ მე მღადობელთა თანა, გინათუ ისწრაფა ფერხმან ჩემმან ზაკუასა? რამეთუ ვდეგ უდელსა ზედა მართალსა, და იცის უფალმან უმანკოებად ჩემი. უკუეთუ გარდა-სადა-აქცია ფერხმან ჩემმან გზისაგან მისისა, გინათუ მისდევდა თუალთა ჩემთა გული ჩემი, ანუ თუ ხელითა ჩემითა შევახე ქრთამსა? მითესავსმცა და სხუანი ჭამენ, და უძირომცა ვარ ქუეყანასა ზედა“(იობ.31,5-8).

სოფონია წინასწარმეტყველი სიცრუისადმი საღვთო უწყებას ცხადყოფას: “ნეშტნი ისრაელისანი და არა იქმოდიან უსამართლოსა, არცა იტყოდიან ამაოთა. და არა იპოოს პირსა შინა მათსა ენავ მზაკუარი...” (სოფ. 3,13).

სიცრუისგან თავის დასაღწევად აუცილებელია ლოცვა, ლოცვითი განწყობილება, რათა ადამიანმა ღვთისაგან გამოითხოვოს ცოომილებაზე ძლევა. მხოლოდ ადამიანური შესაძლებლობებით ყოვლად შეუძლებელია უზნეობისაგან თავის არიდება. ამის გამო ლოცულობს უფლის მიმართ დავით წინასწარმეტყველიც: “გზავ სიცრუისავ განმაშორე ჩემგან და შჯულითა შენითა შემიწყალე მე...” (ფს. 118, 29).

იგივე შინაარსის ლოცვაა მოცემული იგავთა წიგნშიც: „სიტყუათა ცრუთა, ამაოთა განმაშორე ჩემგან...“(იგ.,30,8).

არა მხოლოდ იმისათვის ლოცულობები მართალი ადამიანები, რომ განირიდონ სიცრუის ნებისმიერი გამოვლინება, არამედ ისინი იღტვიან მათგანაც, ვინც სიცრუის მოქმედია, ვისაც თავისი ცხოვრების წესად გაუხდია უსჯულობა: “რომელი იტყვნ სიცრუვესა, არა წარემათა წინაშე თუალთა ჩემთა,” – ამბობს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 110,7). დიდია ტყუილის ცოდვა, რადგან სულიწმინდა ცხადყოფს მის თავზარდამცემ მასშტაბს. წმ. იოანე სინელი ამბობს: “ნუ ვინ გონებენ, რომელსა აქვს ცნობა, ვითარმედ ცოდვა ტყუილისა მცირე არს, რამეთუ სულმან წმინდამან საშინელად სთქუა მისთვის პირითა დავით წინასწარმეტყველისათა, ვითარმედ რომელი იტყვინ სიცრუვესა მას არა წარემართოს წინაშე თუალთა ჩემთა“ (იოანე სინელი 1996:123). ცრუ ადამიანთაგან დახსნას თხოვს დავით წინასწარმეტყველი უფალს სხვა ფალმუნშიც: “მიკსენ და განმარინე მე ჭელთაგან შვილთა უცხო თესლთავსა, რომელთა პირი იტყოდა ამაოებასა, და მარჯუენე მათი იყო მარჯუენე სიცრუვისა” (143, 11).

სიცრუე შეუძლებელია სიწრფელემ შეიწყნაროს. სიწრფელის სათნოებაში წარმატებულებს სძულო სიცრუე, როგორც ზაკვის პირმშო. უფლის მცნებათა ნათელს ზიარებულნი სიცრუის გზებს არ იწყნარებენ: “მცნებათა შენთაგან (ღვთის მცნებებისაგან, – მ.გ.) გულისკმა-ვყავ; ამისთხვის მოვიძულე ყოველი გზად სიცრუვისა” (ფს. 118,104). ტყუილისადმი მართალთა სიძულვილს ასაცნაურებს იგავთა წიგნიც: “სიტყუად ცილისა სძულს მართალსა...” (იგ. 13,5).

როცა ზნეობითი სიწმინდე ადამიანური ყოფის კრიტერიუმია, სიცრუით მოპოვებულ ხორციელ დღეპეთილობას, მატერიალურ უზრუნველობაში მცხოვრებ ცრუს სიდატაკეში მყოფი ადამიანი სჯობს: “...უმჯობეს გლახაკი მართალი, ვიდრე მდიდარი მტყუანი” (იგ. 19, 22).

სიცრუე სძაგს უფალს და მოსპობს მას: “...თუალნი მაგინებელნი და ენაი ცრუ... მოისრნენ...” (იქ. 6, 17), რადგან ამ უსჯულოების (ისევე როგორც ნებისმიერი ცოდვის) მამა სატანაა – ყოველივე კეთილის წინააღმდეგი. სწორედ ამის შესახებ მიუთითებს მაცხოვარი მისდამი სიძულვილით გონებადაბნეულ იუდეველებს: “თქუენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულის თქუმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად; რამეთუ იგი კაცის-მკვლელი იყო დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა დაადგრა, რამეთუ ჭეშმარიტებად არა არს მის თანა. ოდეს

იტყვან ტყუვილსა, თვისისაგან გულისა იტყვან, რამეთუ მტყუვარ არს და რამეთუ მამავცა მისი მტყუვარ არს” (იოან. 8,44).

სიცრუის მიზეზი ყოველთვის ეშმაკია, იგი უბიძგებს ადამიანს ამგვარი უსჯულოებისაკენ. “მოციქულთა საქმეში” ეკლესიის წინაშე სიწრფელისა და ქველმოქმედების ნიღბით წარმდგარ ანანიას ასე ამხილებს სულიწმიდით ამეტყველებული პეტრე მოციქული: “...რავსათვს აღაპსო გული შენი ეშმაკმან ცრუებად სულისა წმიდისა...” (საქ. 5,3). აქ ნათლად ჩანს, რომ ანანიას უკეთურებას ეშმაკი წარმართავდა.

გარდა იმისა, რომ ბოროტი ძალა გამუდმებით ცდილობს ადამიანზე ზემოქმედებას, თვით ადამიანის ბუნებაც ცოდვით არის დაცემული და, ამის კვალობაზე, ცრუა ისიც. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო ამბიმებს ადამიანს და, ბუნებრივია, რომ ბრძოლაც უზნეობის ამ გამოვლინებასთან უფრო მძიმე ხდება. ადამიანის ბუნების სისუსტეს ფსალმუნი გვიმხელს: “...ყოველი კაცი ცრუ არს” (115,2). პავლე მოციქულიც, რომაელთა მიმართ ეპისტოლეში, დვთის აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და ადამიანის ბუნების სიცრუეს წარმოაჩენს, მოიხმობს რა ორმოცდამეათე ფსალმუნში მოცემულ იმავე სიმართლეს: “...იყავნ ღმერთი მხოლოდ ჭეშმარიტ, და ყოველი კაცი ცრუ, ვითარცა წერილ არს: რათა განკმართლდე სიტყვათა შენთა და სხლო სჯასა შენსა” (რომ. 3,4).

სჯული ცოდვის გამოსაჩენად მიეცათ ადამიანებს. დვთის სიტყვა კრძალავს სიცრუეს: „... არა სტყუოთ, არცა ცილი შესწამოს კაცად-კაცადმან მოყუასსა“ (ლევ. 19,11).

“ძველი კაცის” განგმდებელი და “ახლის შემმოსველი” ყოვლად წარმოუდგენელია სიცრუესთან განშორების გარეშე. ღმერთში დაბადება ყოველთვის გულისხმობს სიმართლეს, ჭეშმარიტების ერთგულებას. სიცრუის აკრძალვის განჩინება უცვლელია: “...განიშორეთ ტყუილი, იტყუოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი მოყუსისა თვისისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთას ასოებ” (ეფ. 4,25), – ამბობს პავლე მოციქული. ამასვე მიუწერს იგი კოლასელებსაც: “ნუ უტყუვით ერთი-ერთსა, განიძარცულეთ ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ” (კოლ. 3,9).

არა მხოლოდ ის არის ცრუ, ვინც აშკარად დასხეულებულია ამ ცოდვით, არამედ ისიც, ვინც ფიქრობს, რომ იცნობს ღმერთს, მოზიარეა დვთისა მისი მცნებების აღსრულების გარეშე. თუ უსჯულოების ბნელში იმყოფება ადამიანი, სიტყვით კი დვთის ერთგულებას მოწმობს, ტყუის იგი ამგვარი მოქმედებით და

არც უფალია მასთან: “უპუეთუ ვთქვათ, ვითარმედ ზიარებად გვაქვს მის (ღმერთის, – მ.გ.) თანა და ჩუენ ბნელსა შინა ვიდოდით, ვტყუვით და არა ვიქმო ჭეშმარიტებასა” (1 იოან. 1,6). ამავე ეპისტოლები იგივე აზრია მოცემული: “რომელმან თქვას, ვითარმედ ვიცან იგი, და მცნებათა მისთა არა იმარხვიდეს, მტყუგარ არს და ჭეშმარიტებად არა არს მის თანა” (იქ. 2,4). ცრუობს, აგრეთვე, ადამიანი, როცა ფიქრობს, რომ უცოდველია და არანაირი ბიწი არ გააჩნია, რადგან ასეთი ფიქრი და დარწმუნებულობა, ეპლესიის მამათა მიხედვით, ქედმადლობისა და სულიერი ხიბლის ნაყოფია (შდრ: “უპუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ცოდვად არა გუაქუს, თავთა თჟსთა ვაცოუნებთ, და ჭეშმარიტებად არა არს ჩუენ თანა” (იქ. 1,8).

ერთობ მძიმეა ცრუთა საბოლოო ხვედრი. დახშულია სიცრუის მთქმელი პირი: “...დაიყო პირი, რომელი იტყოდა სიცრუებესა” (ფს. 62,11); მოიკვეთება ცრუთა ენა: „...ენად უწესოდ შეიმუსროს“ (იგ. 10,31).

სინანულით განუბანელი და საკუთარ უზნეობას გადაუჩვეველი ცრუ ვერ იმკვიდრებს საღვთო წიაღს, სასუფეველს, რადგან უცხო იქნება მისი სულისათვის უფლისეული ნეტარი მდგომარეობა: “...არა შევიდეს მუნ (სასუფეველში, მ.გ.) ყოველივე შეგინებული და მოქმედი... ტყუვილისა...” (გამოცხ. 21,27); “გარე (სასუფევლის გარეთ, მ.გ.) იყვნენ ...ყოველი მოყუარე და მოქმედი ტყუვილისა...” (იქ. 22,15).

ცრუთა “გარეთმყოფობა” კი სხვა არაფერია, თუ არა დაუსრულებელი ტანჯვა, ჩაუმქრალი ცეცხლი მტანჯველი სინდისისა, სულიერ-ხორციელი წვა: “...ყოველთა მტყუგართად ნაწილი მათი იყოს ტბასა მას ცეცხლითა და წუმწუბითა მოტყინარესა...” (იქ. 21,8).

ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულია და განჩინებულია ცრუთა სასჯელი: “წარსწყმიდენ შენ ყოველნი, რომელნი იტყოდინ სიცრუებესა” (ფს. 5,6), – მიმართაგს დავითი უფალს. ცრუთა მზვაობრობა ხანმოკლეა, დღეს არის და ხვალ განქარდება: „...მოწამესა მოსწრაფესა აქუს ენად ცრუ“ (იგ. 12,19). ცრუ ვერ გაექცევა სასჯელს: მოწამე მტყუარი არა უტანჯველი იყოს, ხოლო რომელი აბრალებდეს ნაწილად, იგი ვერ განერეს საშჯელსა“ (იქ. 19,5).

იერემია წინასწარმეტყველი სიცრუის სულის შესახებ დათის დამოკიდებულებას გვამცნობს. სიცრუის გზით მაგალნი მზაკვრობენ, მათი ენა ისარივით ბასრია. მოყვასის წინაშე პირვერობენ, მაგრამ ზურგს უკან მახეს უგებენ. ამიტომაც დაისჯებიან ისინი და მოოხდებიან. აი, ეს ცრუთა მიმართ

განჩინება უფლისა: “მათი ენა ბასრი ისარია, მზაკვრობას ლაპარაკობს, პირით მშვიდობას ეუბნებიან თავიანთ მოყვასს, გულში კი მახეს ეუბნებიან. ამათ გამო არ დავსაჯო ისინი ?” – სიტყვა უფლისა, – “ასეთ ხალხებზე არ იძიებს შურს ჩემი სული ? მთებზე ავამაღლებ ტირილს და ქვითინს და უდაბნოს საძოვრებზე – მოთქმას...” (იერ. 8-10).

ასეთია ბუნება სიცრუისა და ასეთია მისი სავალალო შედეგიც, რომელიც ამქვეყნამდვე ცნაურდება ნაწილობრივ და სიცოცხლის შემდგომ სრული სახით გამოვლინდება. კეთილგონიერი ადამიანი, რომელმაც იცის, რომ არ რჩება უნანელი ცოდვა დაუსჯელი, ფრთხილობს და გაურბის სიცრუეს, როგორც ეშმაკის კარნახს, როგორც წარმწედელ ვნებას, – ჯოჯოხეთში ჩამყვანებელს და ღმერთს დამაშორებელს. საღვთო ზნეობითი სჯულის მეუნჯე, განიმშვენებს რა სათნოებათა აღსრულების გზით სულიერ სამყაროს, სრულიად მოიკვეთს სიცრუეს, როგორც მიუღებელ, შეუწყნარებელ ვნებას და ამ ღვაწლით მაცხოვნებელ სარწმუნოებაში მყოფობას ცხადყოფს.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა დამოკიდებულება სიცრუის მიმართ, როგორც აღვნიშნეთ, სრულიად ნათელია. ავთანდილის სიტყით, სიცრუე არა მხოლოდ თვითონაა ცოდვის ერთ-ერთი სახე, არამედ იგია ყოვლგვარი უბადრუკობის, ყოველგვარი ცომის მიზეზი. “...თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა...” (790), – ამბობს არაბი რაინდი. ზემოთ დავიმოწმეთ იოანეს სახარების ის მუხლი, რომელიც სიცრუის მამად ეშმაკს წარმოაჩენს (იოან. 8,44). სიცრუეა ის ცოდვა, რითაც სატანა წარსდგა პირველად ადამიანების წინაშე, მოიგერაგა რა ისინი ტყუილის სამჭედურით (დაბ. 3.1-5). ეს სიცრუე სიმართლედ მიიღო ადამიანმა, რასაც მოჰყვა სწორედ ცოდვით დაცემა, დაცემას კი ხრწილება, სიკვდილი და ცოდვათა მრავალგვარობა. ამიტომაც სიცრუე “თავია ყოვლისა უბადობისა.” ეს ცოდნა წმინდა წერილის ცოდნაა. უსაღვთოესი ოქროპირიც ტყუილის მამად ეშმაკს სახელდებს, განმარტავს რა პეტრე მოციქულის პირველი ეპისტოლის ერთ-ერთ მუხლს. მოციქული მსმენელს კეთილი ცხოვრებისაკენ უხმობს, რისთვისაც უცილობელ მიზეზად სიცრუისაგან განშორებას წარმოაჩენს: “რომელსა პნებაგს სიყუარული ცხოვრებისათ და ხილვად დღენი კეთილნი, დააცხვრენ ენავ თვისი ბოროტისაგან და ბაგენი მისნი ნუ იტყვედ ზაგუვასა...” (1 პეტ. 3,10). მოვუსმინოთ წმ. იოანე ოქროპირს: “ვინავთგან იგი ოდენ არს ჭეშმარიტი ცხოვრებავ, რომელი პგიეს საუკუნოდ, და დღენი კეთილნი – იგი ოდენ, რომელთა შინა ყოვლად მოისპობგის კუალი

სიბოროტისად, ამისთვის ძიებით იძიებვის ეგევითარი კაცი და მნიად საპოვნელ არს, რომელსა შეურაცხევოს საწუთორო საუკუნოებისა მისთვის და აღურ-ასხმიდეს ენასა, ვითარცა მალე მიმდრექელსა ბოროტისა მიმართ, და ბაგენი მისნი არა იტყოდინ ზაკუვასა, რომელ არს ტყუილი, საყვარელი ტყუილისა მამისა ეშმაკისად”. (განმარტება...2000). ექვთიმე ზიღაბენიც მეხუთე ფსალმუნის მეექვსე მუხლის განმარტებისას (“წარწყმიდნე შენ ყოველნი, რომელი იტყვნ სიცრუვესა”) გვხსიტყვება: “სატანაა სიცრუის მამა” (განმარტებითი...1883:29).

სიცრუე არღვევს როგორც ხორციელ, ისე სულიერ სიმრთელეს. იგი აზიანებს ადამიანს, რადგან განშორებულია სულიწმინდის მადლს. ზიანი თავდაპირველად ხორციელებაზე აისახება, სიცრუის შედეგი ფიზიკურად ვნებს ადამიანს და ეს უკანასკნელიც, ცხადად მხილველი ცოომის ნაყოფისა, სულიერადაც ილახება: “სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა” (78)

რუსთველის მიერ პერიფრაზირებული პლატონისეული “სწავლა-თქმული” (“სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა”), თავისი “სულიერი წარმომავლობით” (მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად იცნობს ანტიკური სამყარო (სოკრატე, პლატონი და ა.შ.)) წმიდა წერილისეულია (ასეთი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა როგორც ზემოაღნიშნული ადგილები ბიბლიიდან, ასევე საღვთისმეტყველო აზროვნების და წმიდა წერილის ცოდნის ერთ-ერთი უდიდესი მეტრის წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელის დამოკიდებულებაც /სტრომატები, მეხუთე წიგნი/ ანტიკური სიბრძნისადმი).

“ვეფხისტყაოსნის” ამ სტრიქონის ზნეობითი შინაარსის, ეთიკური მოწოდებისა თუ სჯულდების შესახებ სავსებით მართებულად შენიშნავს ლელა ალექსიძე: “...სიცოცხლეშივე ნაცვალგების პრინციპი უფრო სხვის გასაგონად არის თქმული, იგი განსაკუთრებულია უსამართლობის ჩამდენისათვის, ან იმისთვის, ვისაც ამ დებულებისა არა სწამს, რადგან სამართლიან, პატიოსან და მართალ კაცს, პლატონი იქნება იგი, სოკრატე თუ ავთანდილი, ეს ეთიკური მცნება არა სჭირდება: მან იცის სიკეთის ფასი და არსი თავისთავად, ნაცვალგების გარეშეც. კარგი კაცისათვის სიკეთის ქმნა თავისთავადვე ჯილდოა და რეალური საფასური – რა ბედიც უნდა ელოდეს ამ კეთილის ქმნისათვის” (ალექსიძე...1990:107).

იმ სულიერ მდგომარეობას, როცა ადამიანი არ ცრუობს (ან არ სურს, იცრუოს), „...საფუძვლად უდევს უმაღლესი ზნეობრივი პრინციპი – სიკეთის

ღირებულების ისეთი რწმენა, როცა ადარ არსებობს განსხვავება სიკეთის ქმნასა და ანაზღაურებას „შორის“ (ალექსიძე...1990:108).

მკაცრია საღვთო განჩინება ცრუთადმი, ასევე მკაცრია „ვეფხისტყაოსნისეული“ განჩინებაც: “კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად” (162), სიცრუისადმი ავთანდილის ამგვარი დამოკიდებულება, ზოგადად, პოემის პერსონაჟთა ზნემაღალ განწყობილებას საცნაურყოფს. „ავთანდილი... მკვეთრად ემიჯნება სიცრუებს, როგორც ბოროტებას, ცოდვას, სიკვდილს, სიბნელეს, გულგრილობას“ (ბეზარაშვილი 2003:79).

პოემის გმირები არა მხოლოდ სიცრუესა და ცრუ ადამიანებს განუჩინებენ მსჯავრს, არამედ სიცრუის მოქმედ საკუთარ თავსაც შეაჩვენებენ. ეს “ანათემა” ყოველთვის დაკავშირებულია “საუკუნო” მარადიულ საკითხთან, ესქატოლოგიის ფენომენთან. განჩინება სიცრუისადმი არ იფარგლება მიწიერი პასუხისმგებით, სიცრუე პოემის გმირებს სასუფევლის დაკარგის საფრთხეებს უქმნის, მაგრამ ისინი საკუთარ თავს არ პატიობენ მსგავს ცოდვას და თავიანთ მომავალს, სიცრუის რეალიზების შემთხვევაში, ჯოჯოხეთის საკრველებით კრავენ. თინათინი, უცხო მოქმის მოსაძებნად აგზავნის რა ავთანდილს, სიყვარულს სთავაზობს და ერთგულ დახვედრას აღუთქვამს მიჯნურს. მაგრამ იქვე, ადოქმის დარღვევის, სიცრუის შემთხვევაში ჯოჯოხეთს, ქვესკნელს განუკუთვნებს თავის თავს:

“ფიციო გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,  
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,  
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი...” (133).

ასევე იკრულავს თავს ნესტან-დარეჯანიც, თუ იგი მოატყუებს ტარიელს და პირობას გატეხს. კრულვის შინაარსი ხორციელ სიკვდილსა და ცათა შინა დაუმკვიდრებლობაში მდგომარეობს:

“ერთმანეთისა, მას აქაც, რაც ორთავე ვიციოთა,  
აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიციოთა;  
ამას შესჯერდი დიდითა ზენაარით და ფიციოთა.  
გეცრუო, ღმერთმან მიწა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა” (413).

იგივე პერსონაჟი იქვე იმეორებს იმავე აზრს, სიცრუის შემაჩვენებელს და სიყვარულისა და სიწრფელის დამამტკიცებელს:

“უშენოსა მოწონება ვისიმცაო გულსა მიცა,  
ღმერთი მომკლავს, ამას იქით თავსა ვეტყვი, ამას უსწვრთიცა.” (417).

„ფიცის შლა სულის წარწერების ტოლფასია.... ფიცს რუსთველის პოემაში მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება. იგი უცვლელი, ურყევი, დაურღვეველი აღთქმაა, პირობაა, რომლის დაშლა პიროვნების სულიერ დეგრადაციაზე მეტყველებს. ამიტომ ცდილობენ თავი აარიდონ ფიცს, ან აღთქმული მტკიცედ აღასრულონ“ (ხვედელიანი 2002-2003:73-77).

ფიცის გამტებს, სიცრუის მთქმელს უფალი მიაგებს მისაგებელს. ეს მისაგებელი კი ერთობ მკაცრი იქნება. ამას უთვალისწინებს ნესტან-დარეჯანი ტარიელს, როცა ეს უკანასკნელი მას სიყვარულის აღთქმის დამრღვევი პგონია:

“...გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტებელი ფიცისა?!“

„მაგრამ ნაცვალსა პატიჟსა მიგცემსო ზენა, მი-ცისა!“ (523)

უფლის, ზენაარის მისაგებელს არ გაურბის ინდოელი რაინდი. პირიქით, თუ იგი დამნაშავეა, თუ სიცრუით წაიბილწა მისი რაინდული მშვენიერება, ასეთ შემთხვევაში თვითვე გამოითხოვს ლვთისაგან რისხვას, რითაც საკუთარ უდანაშაულობას ცხადყოფს. იგი მიჯნურს მიმართავს: “...მე თუ, მზეო, თქვენთვის ფიცი გამეტებოს, დმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს...” (532).

ავთანდილმა ტარიელი შეიპირა: ინდოელი ჭაბუკი თავს უნდა გაუფრთხილდეს და მოყვასის მოსლვამდე ხიფათს არ გადაეყაროს. ტარიელიც, თავისი სურვილების საწინააღმდეგოდ, აფასებს რა ავთანდილის თავგანწირვას მოყვასისადმი, ყოველივე ამის კეთილად ასრულებას პპირდება. მისი შესაძლო მოტყუებისათვის კი ლვთის რისხვას არ ერიდება: “...თუ გიტყუო, მოგაღორო, დმერთმან რისხვით გამიკითხოს”, – პპირდება იგი ავთანდილს.

ყოველი სიცრუე გმობაა ლვთისა. ყოველი ცრუ და მოღალატე ადამიანი ლვთისმგმობელია, ასწავლის ავთანდილი ერთგულ ქვეშევრდომს – შერმადინს: “ყოველი ცრუ და მოღალატე დმერთსა პგმობს და აგრე ცრუობს” (776).

უნანელი უსამართლობა ლვთის წინაშე არავის შერჩება. რაც არ უნდა ფარული იყოს ცოდვა, იგი მაინც გამოვლინდება და ლვთის ყოვლადსამართლიანობით განცხადებული საუკუნო სირცხვილში ჩააგდებს ადამიანს: “...რაცა საქმე უსამართლო დმერთმან ვისმცა შეარჩინაო”, (775), – საღვთო სამომავლო ცოდნით განაბრძნობს ავთანდილი შერმადინს.

ფიცის გამტებს, ცრუს ვერსად გაუმარჯვდება. მისი ნებისმიერი წამოწყება მარცხისთვისაა განწირული. ამ სიბრძნით “ცხოვრებული” ავთანდილი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ არ დაარღვიოს ტარიელისათვის მიცემული პირობა. არ

გასწიროს განსაცდელში მყოფი მოყვასი, არ ეცრუოს, არ დაიბნელოს დღესავით ნათელი სულიერი სამყარო. არაბი რაინდი როსტევან მეფის ვაზირს სწორედ ამას მიუთითებს:

“...ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავსწირავ ხელი ხელსა,  
რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა” (736).

სიწრფელის ერთგული ავთანდილი ასეთსავე ერთგულებას მოითხოვს სხვისგანაც. მას სძულს სიცრუე და ამიტომაც წყდება გული, როცა მას ტარიელი დათქმულ ადგილს არ დახვდა. იგი საყვედურობს ამბობს ასმათის წინაშე ინდოელი რაინდის შესახებ, მან ბოლომდე არ იცის საქმის კონკრეტული ვითარება:

“ყმა დაჭმუნდა, ვითამც რამე პკრეს ლახვარი გულსა შუა;  
ქალსა ეტყვის: “აჲა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა!  
იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვეცრუა, ვით მეცრუა!  
ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა” (845).

მაგრამ, საბედნიეროდ, ინდოელი მოყმეც სიტყვის ერთგული აღმოჩნდა. სიცრუისა და აღთქმის დარღვევის სიძულვილი მისცემს ძალას ტარიელს, გაუძლოს საშინელ გნებათაღელებას, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილს საკუთარ არსებაში. იგი (თუმცა კი ცოცხალ-მკვდარი) დაელოდა ავთანდილს. ამიტომაც დაუბარა ასმათს შეჭირვებულმა:

“მას ზენაარსა არ გავსტეხ, მას ფიცსა არ ვეცრუები  
მას პაემნამდის მოგიცდი, რაზომცა გამდის რუები”(852).

წრფელია სულით და გულით ავთანდილი და წრფელია ტარიელიც. ორგანულად, არსებითად, მათი ბუნებისათვის უცხოა პირობის დარღვევა, სიცრუე-მზაკვრობა. ამიტომაც შეისმინა მათი ვედრება უფალმა, რამეთუ „თუალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი მისნი ლოცუასა მათსა ზედა“ (ფს. 33,15). პოემის გმირები თითქოს ფსალმუნებენ: “სიცრუგესა თუ ვხედევ გულსა შინა ჩემსა, ნუ ისმენ ჩემსა უფალი. ამისთვის შეისმინა ჩემი ლმერთმან და მოხედნა წმასა ვედრებისა ჩემისასა” (65,18-19).

პოემაში ყოვლადშეუწყნარებელია ორგულობა, როგორც სიცრუის, დალატის მშობელი. ასკეზის უდიდესი მასწავლებელიც, წმ. იოანე სინელი, ამას გვმოძღვრავს: “ორგულობა დედა არის ტყუილისა, და საქმე მისი, რამეთუ ორგულება სხუა არა რაღ არს, გარნა წურთნა ტყუილისა, და მოპოვნება ფიცთა ცუდთა” (იოანე სინელი 1996:129).

შეგნება იმისა, რომ სიცრუე საუკუნო შემარცხენელია, ადამიანს ძალას აძლევს არ შესცოდოს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ყოველი უნანელი დაფარული ცოდვა განცხადდება და განშიშვლდება. სინანული დროულად საჭიროებს გამოვლენას. მას აქვს თავისი დრო. ეს არის ამქვეყნიური უამი. ამ დროის გამოუყენებლობა, ცოდვით ცხოვრება, სიცრუის აღმსარებლობა მთელი კაცობრიობის წინაშე განაქიქებს საბოლოოდ ადამიანს. წმ. იოანე ოქროპირი გვასწავლის: “ვაჩუენოთ სიყუარული მხურვალე, ვიდრედა არა მოწვნელ არს დღე იგი, ოდეს არდარად იყოს სარგებელი სინანულისათ, რამეთუ აწ ყოველივე ჩუენსა გემწიფებასა შინა არს, ხოლო მაშინ მსაჯული იგი საშინელი უფალ არს განჩინებისა მიცემად, ვითარცა ჯერ იყოს. ვისწრაფოთ წინასწრობად დღისა მის და აღსარებითა კეთილად განვაგოთ ცხორებად ჩუენი. ვტიროდით და ვიგლოვდეთ! უკუეთუ ვევედრნეთ მსაჯულსა მას პირველ მოწვნადმდე დღისა მის, ყოვლადვე არა გამოცხადნენ დაფარულნი ბრალნი ჩუენნი. ხოლო ესე თუ არა იქმნას და ვიპოვნეთ უნანელნი, განცხადებულად წინაშე ყოვლისა სოფლისა განვიქიქნეთ და არდარა იყოს სასოებად მოტევებისათ...” (იოანე ოქროპირი 1996:232-233).

წმიდა იოანე ოქროპირი საღმრთო წერილის სიბრძნესთან განუშორებლობით გვმოძლვრავს. მისი სიტყვით, უმჯობესია მივემსგავსოთ ყრმებს, რომლებიც ეტაპობრივად წარემატებიან ცოდნაში: ჯერ ანბანს ეცნობიან ისინი, შემდეგ დამარცვლით კითხულობენ, ბოლოს კი – გამართულად. ეს თანდათანობა მათ სამომავლო გონიერებას განაპირობებს. მოზრდილი ადამიანიც, სულიერი სიმაღლისკენ მსლველი, ეტაპობრივად უნდა წარემატოს. დასაწყისში კი იგი უნდა განეშოროს ტყუილს, ფიცილს, ძვირის ზრახვას. ეს სულიერი ანაბანა ზნეობითი “წყობილსიტყვაობის” უცილობელი წინაპირობაა: “...გლოცაგ, საყუარელნო, და გევედრები, მტკიცე იყავნ და აღუგოცელ გულთაგან თქუენთა საღმრთო წერილი. მიესგავსენით მცირეთა ყრმათა; მათ პირველ ისწავიან ანბან და მერმე აღმოკითხვად ასოეულად და კუალად წარემართნიან კეთილად კითხვასა. და ესრეთ იწყიან სწავლად სიბრძნესა და მცირედ-მცირედ იქმნიან ფილოსოფოს. ეგრეთვე ჩუენცა ვიქმოდით. განვევნეთ საონოებანი: პირველად ვისწაოთ არა ტყუილი, არა ფიცი, არა ძვირისზრახვა...” (იოანე ოქროპირი 1996:192).

ასე რომ, “რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა”, მისი მოძულება, უარყოფა, ძლევა, ბუნებრივია, თავი გახლავთ ყოველი სიკეთისა.

იმდენად ვერაგია სიცრუის ბუნება, იმდენად მნიშვნელოვანია მისი დამარცხება სულიერ-ზნეობითი წარმატებისათვის, რომ წმიდა იოანე სინელი სრულ ერთ თავს უთმობს მას თავის საღვთო “კლემაქსში”, სადაც ტყუილი მეთორმეტე კიბედაა წარმოდგენილი.

ასკეტური გამოცდილება ყოვლადსამართლიანად მიიჩნევს: “ნაშობი...მრავალ-მეტყუელებისა და განცხომისა-ტყუილი არს” (იოანე სინელი 1996:121). სიცრუე არდვევს ადამიანთა მთლიანობას, ყოველგვარი კეთილადმშენებლობის მიზეზს—სიყვარულს. იგი, თავის მხრივ, მშობელია ცრუ ფიცისა, სიყალბისა. ყოველივე ეს კი, როგორც აქამდეც აღვნიშნავდით, გმობაა ღვთისა: “ტყუილი არს განმრყვნელი სიყუარულისა, და მშობელი ცრუდ ფიცისა, რომელ არს ღვთის უარისყოფა” (იოანე სინელი 1996:122). როგორც ვხედავთ, სავსებით სამართლიანად შენიშნავდა ავთანდილი სიცრუის შესახებ: “ყოველი ცრუ და მოდალატე დმერთსა პგმობს და აგრე ცრუობს” (776). შინაარსობრივად „ვეფხისტყაოსნის“ ეს სტრიქონი, პრაქტიკულად, “კლემაქსის” ზემოთმოხმობილი მუხლის იდენტურია.

პოემაში “სიცრუე” და “ფიცის გატეხვა” ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის გვერდით მოიხსენიება, უფრო სწორედ, ფიცის გატეხვა ყოველთვის გულისხმობს სიცრუეს. თუმცა “კლემაქსის” მიხედვით, ფიცის გატეხვა უფრო თავზარდამცემია და წარსაწყმედელი, ვიდრე სიცრუე: “უკუთუ წინასწარმეტყუელი დავით იტყვის ღვთისა-მიმართ, ვითარმედ, წარსწყმიდნე შენ ყოველნი, რომელნი იტყპნ სიცრუესა, მაშა რამე ყონ მათ, რომელნი ტყუილსა თანა ფიცსაცა წარსწმასნიან“ (იოანე სინელი 1996:124).

სინდისი, შინაგანი მსაჯული ადამიანისა, ღვთის შიშით განაპრძნობს ყველას, ვინც უსმენს მას, ხოლო ვინც “მოიგო” შიში ღვთისა, იგი მძლე ექნა ტყუილს და გაუცხოვდა მისგან: “რომელმან შიში უფლისა მოიგო, იგი უცხო იქმნა ტყუილისაგან, რაუამს აქვნ თავსა შორის თჯსსა მსაჯული თვალუხვავი, რომელ-არს სვინიდისი” (იოანე სინელი 1996:120).

სიცრუე მხოლოდ ჭეშმარიტი სინანულით, შინაგანი ცრემლით აღიხოცება: “...ტყუილი...სიმრავლისაგან ცრემლთასა სრულიად წარწყმდების და მოისპოლვის” (იოანე სინელი 1996:130).

სიცრუისაგან გაუცხოება, მისგან სრული გათავისუფლება განწმენდს ადამიანს. განწმენდილი მდგომარეობა კი უკვე აღარ შეიწყნარებს ერთხელ განგდებულ ბიწს, რაც არ უნდა ზგაობდეს განსაცდელი: “უკუთუ

განვიწმინდოთ ტყუილი სრულიად ჩუენგან, მერმე დაღაცათუ მოიწიოს რაიმე ჭირი, და გვინდეს მოწოდება ტყუილისა, მაშინცა ილტვოდის იგი ჩვენგან” (იოანე სინელი 1996:160).

„ვეფხისტყაოსნის“ ზნემაღალი პერსონაჟები “ჩჩვილნი” არიან სიცრუის მიმართ, მათ არა აქვთ თანაზიარება ბოროტებასთან და “შემუსრვილი გულის” მეუნჯენი მოიკვეთენ ტყუილს, რადგანაც დვთის სიყვარულში დამკვიდრებულთ სხვა სურვილი არა აქვთ, გარდა თავიანთ ცხოვრების წესით უფლის დიდებისა. წმ. იოანე კიბისაღმწერელის განჩინებანი თითქოს უშუალოდ მათ მიმართ არის თქმული: “ყრმამან ჩჩვილმან არა იცის ტყუილი, არცა სულმან განშორებულმან ბოროტებისაგან. და აკა-მის რა ლვინომან გული კაცისა, თვინიერ ნებისა მისისა თქვის სამართალი, და რომელნი აღივსნენ ლმობიერებით ცრემლთათა, არა იციან ტყუილი, რამეთუ მარადის უფალსა ადიდებენ იგინი...” (იოანე სინელი 1996:137).

ასეთი ცხოვრების წესი, სიტყვის და საქმის მთლიანობა, წმიდა წერილის სიბრძნე და სჯულის დვთაებრივობა წარუვალი სიმდიდრით აღავსებს ადამიანს

ზნეობითი სჯულით გამდიდრებული ცნობიერება ათქმევინებს ავთანდილს, რომ „ვერ ეცრუება“ მოყვასს, აღთქმულ პირობას ვერ გადავა, „ვერ უზამს“ საძაბუნო საქმეს, რადგან „საუკუნოდ“ შერცხვება. ეს არის ცოდვის ჩადენის შესაძლებლობით გამოწვეული ესქატოლოგიური შიში.

ბიბლიური გაგებით, სირცხვილის ერთ-ერთი „ასპექტი“ ესქატოლოგიურია. სირცხვილის გაგება უცილობელ ერთობაშია საშინელი სამსჯავროს თემასთან. სამსჯავრო კაცობრიობის ცხოვრებაში ის მომენტია, როცა არამარტო დვთის, არამედ ყოველი მოაზროვნე სულდგმულის წინაშე განცხადდება ნებისმიერი პიროვნების ცოდვა, რაც კი არ განიბანა მაცხოვნებელი სინაზულით. ყოველი უზნეო საქციელი მარადიული სირცხვილის ცეცხლს შეერთვება. ეს მდგომარეობა გონებითად ძალზე მახლობელია ავთანდილისათვის, რომელიც როსტევან მეფეს ამგვარად უსაბუთებს თავის გაპარვას და მოყვასისადმი მიცემული სიტყვის აღსრულების დიდ მნიშვნელობას:

„ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა,

პირისპირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მართ საუკუნოსა“ (797).

აქ მოიაზრება, ერთის მხრივ, მოყვასისადმი თავგანწირული სიყვარული, მეორეს მხრივ კი, შიში სირცხვილისა, როგორც ადამიანთა, ისე დვთის წინაშე.

სიცრუე, როგორც უზნეობა, „თავი ყოვლისა უბადობისა,“ ამ შემთხვევაში ყოვლად შეუწყნარებელია ავთანდილისათვის. ზნეობითი ცნობიერება, მის მიერ პრაქტიკულად ცხადჩენილი, არის რაინდის ცხოვრებისეული წესი, მისი ცხოვრების კანონი, რომლითაც მკვიდრდება იგი სულიერ – ზნეობითი სინათლით გამშვენებულ პერსონაჟთა გალერეაში.

### **სინდისი, როგორც ზნეობითი კატეგორია „ვეფხისტყაოსანში“**

„ვეფხისტყაოსანი“, ზნეობით სწავლებათა ასპექტით, მრავალმხრივ არის საყურადღებო. ამჯერად განვიხილავთ სინდისის ცნებას, როგორც პოემის პერსონაჟთა მიერ რეალიზებულ თვისებასა თუ გრძნობას.

ის ჭეშმარიტება, რომ მოყვასს არ ეცრუოს, არ მიატოვოს იგი განსაცდელში, აღასრულოს მისდამი სიყვარულის სჯული, მისი სევდისა და მწუხარების თანაზიარი იყოს, ავთანდილს „გულსა შინა“ აქვს „შთაბეჭდილი.“ შინაგანი ხმა თან სდევს რაინდს და თანაშეეწევა მას. თავის მხრივ, ავთანდილიც ის პიროვნებაა, რომელიც, უმეტესად, არ აჩუმათებს ამ ხმას და თავისი საუკეთესო თვისებების რეალიზებისას თუ გარკვეული ცოომილების უამს აყურადებს მას და მკაცრად აკონტროლებს ყოველ ქმედებასა თუ განზრახვას.

არა მხოლოდ ავთანდილია ამ მხრივ ნიშანდებული და გამორჩეული, არამედ პოემის სხვა პერსონაჟებიც: ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ფრიდონი, ასმათი, როსტევან მეფე, რამაზ მეფე, ფატმანი. ამათგან ზოგი ბუნებითა და პიროვნული ძალისხმევით სრულ თანხმობაშია სინდისის

ხმასთან, ზოგში მიძინებული, მიჩუმათებულია ეს ხმა და მის აღსაღენად ან განსაცდელია აუცილებელი ან დიდბუნებოვან ადამიანთა ჭვრება.

სინდისი ზნეობითი ცნობიერების კატეგორია და მისი უნივერსალური ფორმაა, რომელიც შესაძლებელია ასე განვსაზღვროთ: ის არის ერთდროული გაცნობიერება როგორც ზნეობითი სჯულის მოთხოვნილებებისა, ისე ამ მოთხოვნილებებისადმი თავისუფალ განზრახვათა და მოქმედებათა შესატყვისობისა. (სტელეცი 1914:137).

„გულთა შინა“ დაწერილი „შჯულის საქმის,“ ანუ სინდისის შესახებ, წმ. პავლე მოციქული ბრძანებს: „რომელნი გამოაჩინებენ საქმესა შჯულისასა დაწერილსა გულთა შინა მათთა თანა მოწამებითა მათდა გონებისა მათისათა, და შორის ურთიერთას გულის სიტყუანი შეასმენდენ ანუ სიტყუასა უგებდენ...“ (რომ., 2, 15). ქართული ენა გვთავაზობს ტერმინ „გონებას,“ რომელიც ამ შემთხვევაში ბერძნული „სინდისის“ შესატყვისია. რომაელთა მიმართ ეპისტოლის ზემოთ მოხმობილ მუხლში სინდისი არის ერთდროული გაცნობიერება არა მარტო იმისა, რაც ადამიანის გულში ხდება, არამედ, რაც ხდება ფიქრშიც, ამა თუ იმ საქმის კვალობაზე, რაც ეთანხმება ან არ ეთანხმება ზნეობით მოთხოვნილებებს.

„ჰეშმარიტსა ვიტყვ ქრისტეს მიერ და არა ვტყუი თანამოწამებითა ჩემდა გონებისა ჩემისათა სულითა წმიდითა...რამეთუ მწუხარებად არს ჩემდა დიდ და მოუკლებელ სალმობად გულისა ჩემისათ, რამეთუ ვილოცვევდ მე შეჩუენებულ-ყოფად თავსა ჩემსა ქრისტესგან ძმათა ჩემთათვს და ნათესავთა ჩემთა ხორციელად“ (რომ., 9, 1-3).

კორინთელთა მიმართ ეპისტოლე: „რამეთუ სიქადული ჩვენი ესე არს, წამებად გონებისა ჩუენისათ, რამეთუ სიწრფოებითა და ჰეშმარიტებითა ღმრთისათა და არა სიბრძნითა ხორციელითა, არამედ მადლითა ღმრთისათა ვიქცეოდეთ სოფელსა შინა“ (კორ., 1, 12).

წმიდა სახარება იოანესაგან: „და ვითარ მყოვარ დგეს და ჰკითხვიდეს მას, აღემართა ზე და ჰრქუა მათ: ვინ უცოდველ არს თქუენგანი, პირველად მან დაუტევენ ქვად მაგას ზედა. და კუალად ქუე დადრკა და წერდა ქუეყანასა. ხოლო მათ, ვითარცა ესმა, მხილებულნი სვინიდისისაგან, განვიდოდეს თითოე, იწყეს მოხუცებულითგან, ვიდრემდის დაშთა თავადი მარტო, და დედაკაცი იგი დგა შორის“ (იოან., 8, 7-9).

პიროვნებაში აწმუოსა და წარსულის მთლიანობის ტგიფარია აღბეჭდილი. ადამიანი თავის თავში ატარებს ზნეობითი ყოფიერების ყველა მოვლენას, რომელთა შეჯერება ქმნის სწორედ „სინდისის“ სახელით განსაზღვრულ ზნეობითი ცნობიერების ღრმა და ინტიმურ სფეროს. „სინდისში ჩატვირთულია“ მთელი ზნეობითად გაცნობიერებული მოღვაწეობა პიროვნებისა.

საცნაურია, რომ სინდისი გვევლინება პიროვნულ ცნობიერებად და ადამიანის პიროვნულ განცდად სიმართლის, ღირსებისა და სიწრფელის მხრივ იმის მიმართ, რაც კი მას ოდესმე ჩაუდენია. სინდისი არის რეალობა, რომელსაც ყოველი ადამიანი მოიაზრებს და ხვდება როგორც თავის შინაგან სამყაროში, ასევევ სხვასთან მიმართებაშიც.

დვთისმეტყველები, სასულიერო ჟანრის მწერლები თუ ფილოსოფოსები, მათთვის შესატყვისი გამომთქმელობითი ფორმით სინდისს მიიჩნევენ ზნეობითი ცნობიერების გვირგვინად. არსებობს ერთგვარი ლამაზი თქმაც, რომ ის ადამიანებიც კი, რომელთაც უგულებელყვეს ყოველგვარი ეთიკური ნორმა და, რომელთათვის ყველაფერი ნებადართულია, საკუთარი ეგოისტური სურვილების აღსრულებისას ეჯახებიან სინდისს, როგორც უხილავ და მოულოდნელ წყალქვეშა ქლდეს, რომელზედაც იმსხვრევა ამორალურ ადამიანთა შეხედულებების „რკინის ლოგიკა.“ ეს შეჯახება ხშირად განაპირობებს ადამიანის ზნეობითი აღორძინების საფუძველს. (პლატონი 1994:68).

ადამიანის ნებელობაში არსებული სინდისი არის მაკავშირებელი რგოლი ორი უმთავრესი ეგზისტენციალური რეალობისა: ზნეობითი წესრიგისა სულ ში და ზნეობითი წესრიგისა გარემომცველ სამყაროში.

„ვეფხისტყაოსანში“ პიროვნებათა შინაგანი სამყაროს ჰარმონია (რომლითაც არის აღბეჭდილი, მაგალითად, ავთანდილისა და ფრიდონის ურთიერთმიმართება) უმეტესწილად განპირობებულია ზნეობითი ცნობიერების უნივერსალური თვისებით – სინდისით.

თვით „სინდისი“ ბერძნული სიტყვაა. ძველებრაული ენა მის ზუსტ შესატყვისს არ იცნობს. ელინურ სამყაროსთან შეხვედრამდე ბიბლიაში ტერმინი „სინდისი“ არ გხვდება. იგი ჩნდება მხოლოდ სეპტუაგინტაში, კერძოდ ეკლესიასტეს წიგნში (10,20) და სოლომონის სიბრძნეში (17, 10).

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „სინდისი“ ძველ აღთქმაში აღნიშნულ დრომდე არ გვხვდება, რასაკვირველია, მისი არსებობის რეალობა, როგორც ზოგადსაკაცობრიო ზნეობითი ცხოვრების გამოცდილება და გამოცდილება

ღვთივრჩეული ერისა, უცილობლად იგულისხმება. ეს გამოცდილება, უფრო სწორად კი – გაგება გადმოიცემოდა ტერმინით „გული.“ „გული“ ენაცვლებოდა „სინდისს“ და მასში იყო ჩატვირთული ის, რასაც ზნეობითობა გულისხმობდა. ტერმინი „გული“ ნიშნავდა „შინაგან კაცს,“ ღმრთივქმნულს და მხოლოდ შემოქმედისთვის ნაცნობს. ღვთივრჩეული ერი, რომელმაც იცოდა ღმერთი და მისი სჯული, სინდისის ხმას აღიქვამდა როგორც შემოქმედის, დამბადებლის, უფლის ხმას. ეს ხმა ზოგჯერ მოასწავებდა და მოწმობდა ქებას, ზოგჯერ – მხილებას, შჯულისა და მცნების აღსრულებისა თუ დარღვევის შესაბამისად.

ამგვარად, სინდისი, როგორც ზნეობითი ცნობიერების რეალობა, ძველი აღთქმის ადამიანისათვის გადაჯაჭვული იყო წერილში მოცემულ კანონთან, შჯულთან. ძველი აღთქმის ადამიანის მთელი ცნობიერება ძირეულად განპირობებული იყო შჯულის ობიექტური მოთხოვნებით და პიროვნების მხრივ მისი სარწმუნოებითი გზის აღსრულებით. ღვთის შჯულის შესატყვისი ცხოვრება გულისხმობდა ნათელ და სუფთა სინდისს, რომელსაც მშვიდობით მიჰყავდა ადამიანი ღმერთთან და საკუთარ თავთანაც.

ახალ აღთქმაში სწავლება სინდისის შესახებ გაიაზრება ამ ტერმინის ძველადთქმისეულ გაგების ფონზე. თუმცა წმიდა ოთხთავში ამ მხრივ შენარჩუნებულია ძველი აღთქმისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია. წმიდა პავლე მოციქული და ახალი აღთქმის სხვა ავტორებიც სარგებლობენ ტერმინ „სინდისით“, იღებენ რა მას თანადროული ელინური კულტურიდან. პავლე მოციქული დებულობს ყველა ძველადთქმისეულ და სახარებისეულ სწავლებას გულის შესახებ ელინური კულტურისათვის ცნობილ ზნეობითი კატეგორიების კონტექსტში. მოციქულის მიხედვით, ტერმინი „სინდისი“ ყველაზე ზედმიწევნით გადმოსცემს ქრისტიანული სახარების ცენტრალურ იდეას რწმენითი გამოხსნის შესახებ. პავლე მოციქულმა სინდისის თემა დაუკავშირა რწმენას, სიყვარულსა და სულიწმიდის შეწევნას ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში.

რუსთველმა ღრმად იცის „სიყვარულზე მოციქულნი რაგვარ წერენ,“ მან იცის, აგრეთვე, როგორ უკავშირდება სიყვარულს ზნეობის უმთავრესი ნიშანი – სინდისი. პოეტის ცოდნა განვითნილია მთელ პოემაში, ნაწარმოების პერსონაჟები ნათელი გამოხატულებანი არიან სინდისის სახარებისეული და მოციქულებრივი გაგებისა.

ქრისტიანობას ზნეობის ახალი საზომი შემოაქვს კაცობრიობის ისტორიაში: ეს არის ქრისტეს რწმენაში ცხოვრება, ცხოვრება სულიწმიდის

მადლსა და სიყვარულში. ამიტომაც პავლე მოციქულთან „სინდისი“ ძველადთქმისეულ „გულთან“ კი არ არის გაიგივებული უბრალოდ, არამედ ეს არის ადამიანის ახალი ცნობიერება, იმ ადამიანისა, რომელიც ქრისტეს მცნებებით ცხოვრობს.

პავლე მოციქულთან სინდისის ცნება მაუწყებლობს რწმენაზე დამყარებულ სათნოებით ცხოვრებას, რწმენა კი გაიგება, როგორც ადამიანის პიროვნული მოვალეობა ღვთის წინაშე, რომელიც განსაზღვრავს სუბიექტის მიმართებას მთელ გარემომცველ სამყაროსთან. ამის კვალობაზე, სინდისის ცნებაში უკვე ინტეგრირებულია გაცილებით მეტი რამ დირსება, ვიდრე ეს არის ჩადენილ საქმეთა პიროვნული სჯა. სინდისი გულისხმობს ადამიანის შინაგან, რელიგიურ სამყაროს, პიროვნების მიმართებას სამყაროსა და ყოფიერებასთან, რომელიც განიჭვრიტება სარწმუნოებრივი თვალით, ანუ სინდისი ხდება ქრისტიანული მსოფლხედვა, ყოფიერების ნებისმიერი გამოვლინების ზნეობითი ხედვა და განცდა.

ყოველივე ის, რაც კი ადესრულება კაცობრიობის მიერ, სარწმუნოებრივი სინათლის ფონზე განიხილება. განიხილება ღვთის განგებულებითა და ქრისტიანული სინდისით, რადგან ღმერთი იმისათვის განკაცდა, რათა ესწავლებინა ჩვენთვის, თუ როგორ უნდა ვიცხოვოთ, როგორ მოვაწესრიგოთ ჩვენი ყოფითი მხარეები და როგორ გავხადოთ ჩვენი პიროვნული ცხოვრება ღვთაებრივი მოწყალებისა და სიყვარულის ღირსი. (პლატონი 1994:70-71).

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟებისათვის უცხო როდია მაღალი ღმრთივდასახული იდეალებისაკენ სწრაფვა, მოყვასისადმი თვითშეწირვა, ქვრივ-ობოლთა მიმართ აღძრული სიბრალული, „ჩუქების არ მოწყენის“ პრინციპი მათთვის სწორედ ის გზისმკვლევია, რომელი საღვთო წიაღისაკენ წარმართავს მათ შინაგან სლვას.

ახალი აღთქმის მიხედვით, სინდისი ცნაურდება უმთავრესად ორი ასპექტით: პირველი ეს არის სინდისი, როგორც ფუნდამენტური ეთიკური სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს ქრისტეში დამკვიდრებული პიროვნების მთელ შინაგან წყობას; მეორე – სინდისი ეს არის ზნეობითი განსჯის სპეციფიური შესაძლებლობა, რომლის საშუალებით ადამიანი ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში აცნობიერებს, თუ როგორ მოიქცეს და რა მოიმოქმედოს.

ამასთან ერთად, სინდისის ცნების მოაზრებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია პატროლოგიური ნაშრომები, სადაც ეკლესიის მამები და საეკლესიო მწერლები ღრმად განიხილავენ ზნეობითი ცნობიერების ამ უნივერსალურ გამოვლინებას. მათი თქმით, სინდისი არის „ფუნდამენტური რამ ცნობიერება“, „შინაგანი სინათლე“, „კეთილისა და ბოროტის განმრჩევი უმაღლესი გონება“, „ადამიანის შინაგანი ცხოვრების ცენტრი“, ღმერთთან მიახლების „უცომელი საშუალება“,“ სამეუფო გზის მასწავლებლი. (პლატონი 1994:72).

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის მამები ერთხმად მიუთითებენ სინდისის გლობალურ ხასიათს, ისინი როდი უარყოფენ იმას, რომ სინდისს, პიროვნების მხრივ, დახვეწა და სრულყოფა სჭირდება.

აბბა დოროთე გვაუწყებს, რომ ადამიანი მოვალეა სინდისი სუფთა იქონიოს დვთის წინაშე და დაიცვას იგი ყოველგვარი ბიწისაგან: „უკუეთუ გვინდეს დავსთრგუნავთ მას კუალად; და უკუეთუ გვინდეს და უსმენთ მას, ბრწყინვიდეს იგი და განგუანათლებდეს ჩუენ“ (დირსისა...1902:370).

იმავე მამასთან ვკითხულობთ: „ოდეს დაბადა ღმერთმან კაცი, დასთესა მის შორის წმიდა რაიმე გულის სიტყვა, მხურვალე და განათლებული, მსგავსი ნაკვერცხალისა, რომელი იგი განანათლებს გონებასა, და უჩვენებს ბოროტსა კეთილისაგან: ამისთვის ეწოდების სვინიდისი, რომელ არს რჩული ბუნებითი“ (დირსისა...1902:369).

სინდისი გვზღუდავს ყოველგვარი უკეთური ქმედებისაგან, მას „ამისათვის ეწოდების წინააღმდეგომ, რამეთუ იგი მარადის წინააღუდგების ნებასა ჩვენსა ბოროტსა და გვამხილებს ჩვენ...“ (დირსისა...1902:370).

წმიდა მამათა მიერ ერთსულოვნად წარმოჩენილია სინდისის უნივერსალური ხასიათი, რომელსაც პიროვნების ზნეობით ცნობიერებაში უმთავრესი ფუნქცია აკისრია.

თანამედროვე მართმადიდებელი დვთისმეტყველები უმეტესწილად იზიარებენ იმ აზრს, რომ სინდისი არის პიროვნების ზნეობით-ფსიქოლოგიური ფუნქციონირების გამოხატულება.

სინდისის ფუნქციონირება გულისხმობს გონების, გრძნობისა და ნების თანამონაწილეობას ამ ასპექტით. გონება აწონ-დაწონის და აფასებს ალტერნატიულ შესაძლებლობებს, აანალიზებს მოტივაციათა ზნეობით

დირსებას, რათა გადაწყვეტილ იქნას, როგორ მოიქცეს, ან კიდევ განბჭოს უკვე აღსრულებული რამ ქმედება.

მაგრამ, ამასთან ერთად, სინდისი არ გახლავთ ოდენ ზნეობითი ცნობიერება, არამედ ის არის, აგრეთვე, ზნეობითი განცდა ყოველივე იმისა, რაც კი ექვემდებარება ეთიკურ კონტროლს. სიმშგიდისა და სიხარულის გრძნობა და არაწმიდა სინდისით გამოწვეული ფორიაქი მიუთითებს სინდისის ფუნქციონირებისას ემოციათა არსებობას.

გონიერებასა და გრძნობასთან ერთად, სინდისს არ ძალუბს „იფუნქციონიროს“ ნების გარეშე, რომელიც ეხმარება მას, აქტიურად შეაფასოს ბოროტება, და ავალდებულებს, რაც მას მოეთხოვება და რაც მისაღებია. ნების ასეთი თანამონაწილეობის გამო სინდისის არჩევანი იძენს იმპერატიულ ხასიათს (პლატონი 1994:75).

ამგვარად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სინდისი სამგანზომილებიანია: როგორც ზნეობითი ცნობიერება, როგორც ზნეობითი განმცდელობა და როგორც პიროვნების ნებელობითი უნარი ზნეობითი სრულყოფისათვის მოწოდებული.

ადამიანის ზნეობით ცხოვრებაში სინდისს თავისი კონკრეტული, სპეციფიური ფუნქცია აკისრია. ეს ფუნქცია სამი ასპექტით ცნაურდება: სჯულდებითად, განმსჯელობითად და აღმსრულებლობითად. ამ სამი მდგომარეობით საჩინო ხდება სინდისის ავტორიტეტი, დირსება და თავისუფლება.

ავტორიტეტი უკავშირდება სჯულდებას, რადგან მისი მოთხოვნები ცხოვრებასთან მართებული და პატიოსან მიმართებაში აბსოლუტური და უპირობო ხასიათისაა. სინდისის დირსება ვლინდება განმსჯელობით ფუნქციაში, გულისხმობს რა იმას, რომ სინდისის ხმა, ბოროტ საქმეთა მამხილებელი, ყოველთვის მართალია, კატეგორიულია და მოუსყიდველი. სინდისის თავისუფლება ითვალისწინებს აღმსრულებლობით ფუნქციას და ვლინდება იმაში, რომ არავის ძალუბს დათრგუნოს სინდისი, ისევე როგორც შეუძლებელია ვინმემ სინდისი მიაჩუმათოს და აიძულოს – დადუმდეს.

სინდისი ყოველთვის ითვალისწინებს ზნეობითი სჯულის მოთხოვნებს. მისი ფუნქციების აღსრულება არ არის უბრალოდ მექანიკური აქტი, ეს არის დინამიური პროცესი, სადაც თვით სინდისის მდგომარეობა დამოკიდებულია

პიროვნებაზე, მის ზნეობით შინაგან წყობასა და მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვაზე.

როცა ავთანდილი, პოემის უმშვენიერესი გმირი, თმობს პირად ბედნიერებას მოყვასის საკეთილდღეოდ, იგი ზნეობითი სჯულისა და მისი უნივერსალური თვისების – სინდისის გაცნობიერებით მოქმედებს. გონების, გრძნობისა და ნების პარმონიულობა განიჭვრიტება მისეული აღთქმის შესრულებისას: დაბრუნდეს ვალად გაჭრილ, სასიკვდილოდ განწირულ რაინდთან, რათა მის სულიერ წყლულებს უწამლოს. გონება განუსაზღვრავს ავთანდილს ცხოვრების მართებულ წესს. ეს წესი კი არა მხოლოდ წესია და კანონი, არამედ იგი არის ცხოვლად განცდილი სჯული, არა მშრალი ფორმულა, არამედ სიყვარულით განცხოველებული მცნება, რასაც თანაშეეწევა პიროვნული ნება, ყოველგვარი განსაცდელის მიუხედავად.

საიდანა აქვს ცოდვით დაცემული ადამიანის ბუნებას ამგვარი შინაგანი პარმონია? მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ბუნება პირველქმნილი ცოდვის გამო მოიწყლა და დასწეულდა, მაინც შეინარჩუნა სინდისი, როგორც „განუპარველი“ ლვთივბოძებული ნიჭი, რომელიც შესაქმის ჟამს მიემადლა მას. ადამიანის მოვალეობა და მიზანი ის გახდავთ, რომ არათუ მხოლოდ შეინარჩუნოს ლვთივქმნული სიწმიდე ამ მადლისა, არამედ განავითაროს შეძლებისდაგვარად და სრულყოს იგი.

კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე, სინდისი ადამიანში ან აღმავლობას განიცდის, ან – დეგრადაციას, რომლის შესაბამისად სინდისიც შეიძლება იყოს „სუფთა“, „კეთილი“, და პირუპუ, შეიძლება იყოს „ჩამქრალი“, „დაკარგული“ და ა. შ.

მაგრამ როგორია „კეთილისა“ და „დაკარგულის“ კრიტერიუმი? როგორ განვსაზღვროთ, რა პრინციპით მოვახდინოთ მათი დეფინიცირება, ანუ შეფასება ამა თუ იმ საქციელისა?

თუ სინდისი წარმართავს ადამიანის ზნეობით ცხოვრებას და წინამძღვრობს, მიუთითებს, ამხელს მას, მაშინ იგი შეიძლება ჩაითვალოს „სუფთა“ სინდისად, რადგანაც მას ადამიანი მიჰყავს სულიერი ზრდისა და სრულყოფისაკენ. იმისათვის, რათა მიღწეულ იქნას სახარებისეული ზნეობითი სისრულე, ადამიანის მხრიდან აუცილებელია აქტიური და მგრძნობელობითი სინდისი. მაგრამ თუ იგი არ არის მგრძნობიარე და არც აქტიურია, მას არ ძალუდს წარუძღვეს ადამიანს განდმრთობისაკენ და ამიტომაც შეიძლება ეწოდოს

მას „ჩამქრალი სინდისი.“ ზოგჯერ ადამიანის სინდისი ისეა უგრძნობი, რომ „დაკარგულად“ მოიაზრება. არანაირი მოწოდება-მოხმობა მასზე არ ჭრის, იგი რეაგირების გარეშე ტოვებს ყოველ კეთილ შეგონებას და „ქვავდება.“ ეს ტრაგიკული მდგომარეობა სულისა თავისუფლების არამართებული გამოყენების და, აგრეთვე, პიროვნების არამართებული აღზრდის შედეგია.

მიუხედავად ამისა, სინდისი შეუძლებელია ბოლომდე „ჩაქრეს.“ იგი შეიძლება „დაიკარგოს,“ მაგრამ, რადგანაც ლვთივბოძებული ნიჭია, შეუძლებელია სრულებით აღმოიფხვრას.

ამგვარი „მიჩუმათებული,“ „დაკარგული“ სინდისი, რომელიც შემდგომში აღდგა და განახლდა, „ვეფხისტყაოსანში“ რამდენჯერმეა გასაცნაურებული რუსთველის მიერ, რომელთაც კონკრეტულად ქვემოთ შევეხებით.

ხშირად ხდება, რომ ადამიანი გაუცხოვდება სინდისისაგან. წმ. პავლე მოციქული მიუთითებს ადამიანურ ბუნებაში არსებულ ცოდვაზე, როგორც მიზეზზე, რომელიც ჰქანადებს უშჯულოებასა და ბოროტ საქმეებს. მოციქული ადამიანებს მოუწოდებს სინანულისაკენ, რათა განიწმიდონ თავი ქრისტეს რწმენით. იესო ქრისტემ განწმიდა ადამიანური ბუნება, ყოველი მისი ძალი და შესაძლებლობა, სინდისის ჩათვლით. ამიტომაც არის საჭირო, რომ დმერთან ურთიერთობით, მასთან ევქარისტიული კავშირით განწმენდილ იქნას სინდისი. ამას ეტაპობრივი ზრდა, განვითარება და დახვეწა სჭირდება. სინდისის ფორმირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სულიწმიდის მაღლს. არამართებული მიმართების გამო სინდისი შეიძლება „დაყრუვდეს“ და „მიჩუმათდეს.“

როცა ადამიანი არ ცხოვრობს ზნეობითი სჯულით და გაუცხოებულია მისგან ან ადასრულებს უზნეო რამ საქციელსა თუ ქმედებას, მას ჰყავს პირუთვნელი მამხილებელი, ღვთის ხმა საკუთარ თავში – სინდისი, რომელიც თან სდევს პიროვნების ნებისმიერ საქმეს ცნობიერად თუ ქვეცნობიერად და ამხელს იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი არამართებულად იქცევა. აქედან მომდინარეობს სინანული ჩადენილი უზნეო საქციელის გამო, რომელიც სხვაგვარად სინდისის ქენჯნადაა სახელდებული. ეს არის ისეთი მდგომარეობა, როცა ადამიანი სწუხს აღსრულებული უზნეობის გამო და ამის კვალობაზე სულიერი სიმშვიდეც დარღვეული აქვს (პლატონი...1994:78-79).

სინდისის ქენჯნის, არამართებული ზნეობითი პრინციპების მხრივ, აღსანიშნავია რამაზ მეფისა და ფატმანის სახეები „ვეფხისტყაოსანში.“

ჩადენილი დანაშაულის შეგნებას, უზნეობით მოწყლული სულის განკურნებას სინდისი ადამიანში სინანულის გზით აღწევს მხოლოდ. ეს არის არა მარტო გაცნობიერება შეცოდებისა, არამედ სურვილი, აღარასოდეს განმეორდეს ჩადენილი ცოდვა. სინდისი ომ აღძრავს ადამიანში სინანულის გრძნობას, ანუ სინდისი ქენჯნას ომ განიცდის, ამის აურაცხელი მაგალითია წმიდა წერილში. მაგალითად, სინდისმა მოაგონა მრავალი წლის წინ ჩადენილი ცოდვა იოსების ძმებს: „და თქუა კაცად-კაცადმან ძმისა მიმართ თვისისა: ჰე, რამეთუ ცოდვასა შინა ვართ ძმისათვის ჩუენისა, რამეთუ უდებ-ვყავთ ჭირი სულისა მისისა, რაჯამს მევედრებოდა ჩუენ და არა ვისმინეთ მისი. ამისთვის მოიწია ჩუენ ზედა ჭირი ესე. ხოლო მიმგებელმან რუბენ პრქუა მათ: არა გარქუა, მეტყუელმან თქუენდა: ნუ პმდლავრობთ ყრმასა? და აპა აწ სისხლი მისი შურისძიობს“ (შეს.,42,21-22)

ნათან წინასწარმეტყველი დავით მეფეს მოუყვა დარიბის შესახებ, რომლის ერთადერთი ცხვარი მდიდარმა კაცმა თავის სტუმრებს დაუკლა. ამ მონათხოვბმა დავითში დარიბისადმი დიდი თანაგრძნობა გამოიწვია და, ამის კვალობაზე, თვითვე გაუდვივდა სინანულის გრძნობა საკუთარი დანაშაულისადმი (იხ. 2მეც.12,1-13).

როცა სინდისმა ამხილა იუდას საქციელი, მაშინ მან, როგორც სახარება გვაუწყებს, „შეინანა“ და დაუბრუნა ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრებს და მოხუცებულებს ამ სიტყვებით: „ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი“ (მთ.27,3-4).

როცა წმიდა პეტრე მოციქულმა გააცნობიერა თავისი დიდი ცოდვა – სამგზის უარყოფა იესო ქრისტესი, შეინანა და მწარედ ატირდა: „...მოეკსენა პეტრეს სიტყუად იგი უფლისად, რომელ პრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა წმობადმდე სამ გზის უარ-მყო მე. და განვიდა გარე და ტიროდა მწარედ“ (ლკ.22,61-62).

ჯვარცმულმა ავაზაკმა იხილა რა ქრისტეში განსხეულებული სიმდაბლე, კაცომოყვარება და მომინება, ამ სათხოებათა შუქზე განჭვრიტა თავისი ცოდვილი ცხოვრების უსახურება და სინდისის ქენჯნით, სინანულით შეძრულს გულის სიღრმიდან აღმოხდა: „მომიგსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“ (იქ.23,42).

დვთივსათხო სინანულს, გამოწვეულს სინდისის მიერ, ადამიანის ხსნა დალუძს, ხოლო ამსოფლიურ დამწუხებას, სიკვდილისაკენ მიჰყავს პიროვნება:

„რამეთუ ღმრთისამიერი იგი მწუხარებავ სინანულსა ცხოვრებისასა შეუნანებელსა შეიქმნა; ხოლო სოფლისა ამის მწუხარებავ სიკუდილსა შეიქმნა“ (2კორ.7,10).

„სოფლისმიერმა მწუხარებამ“ მიიყვანა იუდა სიკუდილამდე, ხოლო დავით მეფის, პეტრე მოციქულის წრფელმა სინანულმა და ავაზაკის კეთილგონიერებამ ისინი წარწყმედისაგან იხსნა.

ჭეშმარიტი სინანული გულისხმობს ცოდვების მოკვეთას და სულიერი, ზნეობითი ცხოვრებისათვის დაბადებას. სინდისის ქენჯნა სინდისის აქტიურობითაა გამოწვეული, რომელიც მთლიანად ცვლის ადამიანის შინაგან სამყაროს, ხდება პიროვნების სულიერ-ზნეობითი ტრანსფორმაცია, კათარზისი.

ხატაელთა მეფე, რამაზი, თავის პატრონს, ინდოთა მეფეს, აუჯანყდა. პატრონები ინსტიტუტის ერთგულება კი, სოციალური დაქვემდებარების გარდა, ზნეობით სჯულსაც გულისხმობდა, რომელიც თავის თავში მოიცავდა სამეფოთა შორის ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს, ასევე სინდისსა და მოვალეობას.

„ლადი“ და „უკადრი“ რამაზ მეფე არღვევს საზოგადოებაში არსებულ ზნეობით პრინციპებს და არ ცნობს პატრონის ხელმწიფებას. მისი ასეთი განაცხადი განპირობებულია თავისი სამეფოს სიძლიერეში დარწმუნებულობით. ტარიელს, რომელმაც ურჩ ხატაელს გონს მოსლვა ურჩია, რამაზ მეფე სწერს:

„რაგვარა თუ მანდა მიხმე, ვინ ვჰპატრონობ ბევრსა ერსა,

ამის მეტსა ნუმცა ვნახავ კვლაღა წიგნსა შენმიერსა“ (401).

ინდოელებს ხატაელების წინააღმდეგ ტარიელი ჩაუდგა სათავეში. ლაშქრობად მიმავალს ხატაელთა ელჩები შემოეგება გზად, რომელთაც ტარიელს რამაზ მეფის გონს მოსლვა და ჩადენილი შეცდომისა და ურჩობის გამო წუხილი აუწყეს:

„რაცა შეგცოდეთ, შეგვინდევ, თვით ჩვენვე შეგვინანია;

თუ ღრთულებრ შეგვიწყალებდეთ, აქა ნუ მოვლენ სპანია;

ქვეყანა ჩვენი არ ასწყდეს, რისხვით არ დაგვტყდენ ცანია;

შენ მოგცეთ ციხე-ქალაქი, მოგყვნენ ცოტანი ყმანია“ (423).

ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს რამაზ მეფემ მართლაც გულწრფელად შეინახა ურჩობა, მაგრამ პოემის მსვლელობიდან ირკვევა, რომ ეს მხოლოდ თავის მოკატუნებაა ხატაელის მხრიდან, რათა როგორმე ხაფანგში შეიტყუოს გაცრუებული ტარიელი.

მაგრამ ინდოთა ლაშქრის წინამდღოლს ეუწყა რამაზ მეფის განზრახვა. ვინმე ხატაელი, რომელსაც ტარიელის მამის სიკეთეები ახსოვს, იხსნის კეთილისმყოფელის გაუს და უმხელს მოწინააღმდეგის ვერაგობას: „რომე ცუდად არ მოღორდე, ისი კაცნი გდალატობენ.“

ტარიელმა ყოველივე გაითვალისწინა და ხატაელთა ლაშქარი შემუსრა. ურჩი და მოჯანყე მეფე დაატყვევა და ინდოეთის ხელმწიფეს მიჰგვარა.

რამაზ მეფე მკაცრ სასჯელს იმსახურებს. მას არა მარტო ურჩობის გამოვლინება ედება ბრალად, არამედ ცრუ სინანული, რომლის სასიკვდილო მსხვერპლიც უნდა გამხდარიყო ინდოელი ამირბარი, მაგრამ დიდბუნებოვან ადამიანთა მხრიდან გადაიდგმება ისეთი ნაბიჯი, რომელიც იწვევს სწორედ ხატაელთა შემცოდე მეფის ზნეობით კათარზისს, მიჰყავს იგი სინანულამდე.

ინდოელთა მეფემ არა თუ არ დასაჯა, რამაზ მეფე, არამედ საყვედურიც კი არ დასცდენია მისდამი:

„მას მეფესა ხატაელსა უმასპინძლა, უალერსა,  
უამიერად უბრუნდების საუბარსა მათსა ფერსა...“

რუსთველი არ აგვიწერს რამაზ მეფის განცდებს, მაგრამ მისი საბოლოო სიტყვებით (რომელთაც ქვემოთ შევეხებით) იგულისხმება და ადვილად მისახვედრი ხდება სულის ის მოძრაობა, რომელმაც ჭეშმარიტად სასურველი შედეგი გამოიდო.

ტარიელს, რომელმაც რამაზ მეფე დაატყვევა, და რომლის ხელშიცაა, ფაქტობრივად, სამხედრო ტყვის ბედი, ეკითხებიან, შეუნდობს თუ არა ხატაელს შეცოდებას. ინდოთა ამირბარს საკმაო საბუთი აქვს იმისათვის, რომ რამაზ მეფე მკაცრად დასაჯოს, მაგრამ ტარიელი ავლენს დიდბუნებოვნების მაღალ ნიმუშს:

„....ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა,  
უყავით თქვენცა წყალობა, მას ღონე გაცუდებულსა“(470),  
მიმართავს იგი ფარსადანს.

რამაზი შეწყალებულია. ეს არის გარკვეული მოულოდნელობა, – რისხვის ნაცვლად ადამიანს წყალობა ენიჭება, თვით წყალობა კი მწყალობელთა მხრიდან ღვთისმიერი კაცომოყვარებითაა განპირობებული. ინდოეთმა რამაზ მეფე „შეწყალებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია.“

ასეთმა მაღალზნეობითმა მიმართებამ გუშინდელი მტრის მხრიდან შეპრა რამაზის შინაგანი სამყარო. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არაფერია თქმული მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი სულის მოძრაობაზე, მის ფიქრებზე, მაგრამ თვით

რამაზ მეფის განაცხადი შეწყალების შემდგომ, საცნაურს ხდის ამპარტავანი მეფის ზნეობით ფერიცვალებას. მაღალი ზნეობის მშვენიერმა, ცოცხალმა გაკვეთილმა მას სინდისის ქენჯნა აღუძრა, წრფელ სინანულამდე აღიყვანა მისი გონება და სრულიად შეცვალა შინაგანი სამყარო. კეთილისმყოფელთ

„ხატაელმან დაუმადლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა,

მოახსენა: „ორგულობა თქვენი ღმერთმა შემანანა,

თუღა ოდეს შე-ლა-გცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა!“ (472).

ზნეობითი კათარზისის კიდევ ერთი სახეა „გეფხისტყაოსანში“, ეს არის ფატმან-ხათუნი.

ფატმან-ხათუნი, ჭაშნაგირის თქმით, „ბოზი დიაცია.“ ავტორის სიტყვებით იგი ასეა დახასიათებული:

„თვალად მარჯვე, არ-უმაწვილი, მაგრა მზმელი,

ნაკვთად კარგი, შავ-გვრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,

მუტრიბთა და მომდერალთა მოყვარული, დვინის მსმელი“ (1077).

მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონს მაღალი სულიერ-ზნეობითი იდეალები არ ამოძრავებს. ხორციელ გულისთქმას აყოლილი იგი დალატობს ქმარს. უნდა აღინიშნოს, რომ არც ქმარი ფატმანისა, და არც ის ხოციალური წრე, რომელიც მის ირგვლივაა, ზნეობით იდეალებზე პრეტენზიას არც აცხადებს. მათ არ აინტერესებთ სულიერი ფასეულობანი, მათი ხედვა ხორციელებითაა ქვედაზიდული. ფატმანი არა მხოლოდ რაინდული ბუნების უქონლობის გამო იწუნებს ქმარს, არამედ იგი არც ფიზიკურად მოსწონს: „მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი“(1205),—ეუბნება იგი ავთანდილს.

„მაღალი და მაღლად მხედი“ ნესტან-დარეჯანის გამოჩენის შემდეგ იწყება ფატმანის შინაგანი სამყაროს ტრანსფორმაცია. მის ცნობიერებაში შემოდის სრულიად ახალი, სულიერი მშვენიერება და ზნეობითი ღირებულება. მას, ჭეშმარიტი მოყვასობის ცხადჩენისათვის, განსაცდელში მყოფის თანაგრძნობისათვის და მზრუნველობისათვის, „დედად“ სახელდებს თვით ნესტან-დარეჯანი.

ხორციელი ჟინის დღუ-ყოველ აღმსრულებელი დიაცი, მას შემდეგ, რაც ავთანდილის განზრახვას შეიტყობს, რომ ნესტან-დარეჯანი ქაჯთაგან იხსნას და შერთოს მის მიჯნურს, სრულიად სხვა პიროვნებად ჩანს პოემაში. იგი ივიწყებს და თრგუნავს საკუთარ ავხორც გულისთქმებს და განსაცდელში მყოფ მოყვასს მოელი ძალისხმევით თანაშეუწევა. ფატმანის უშუალო დახმარებითა და

მისი „მეცადინეობით“ ხდება სწორედ შესაძლებელი ნესტან-დარეჯანის მოძებნა და გამოხსნა. სულიერად ამაღლებულ, დიდბუნებოვან ადამიანებთან ურთიერთობას წინა პლანზე გამოაქვს ფატმანის შინაგან სამყაროში არსებული, მანამდის უჩინარი და მივიწყებული ზნეობითი ფასეულობანი.

ქაჯეთიდან გამოხსნილი ნესტანის ხილვისას ფატმანი წარმოთქვამს სიტყვებს, რომელიც უკვე აღნიშნული შინაგანი ტრანსფორმაციის შედეგი და ზნეობითი ცნობიერების გვირგვინია:

„...ღმერთო რა გმსახურო, განმინათლდა რადგან ბნელი,

ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“ (1435).

ბოროტის ხანმოკლეობისა და კეთილის მარადიულობის ცოდნა ვნებათაგან უკვე განწმენდილი გონების ნაყოფია და არა ეიფორიული სიხარულით გამოხატული უბრალო თქმა.

ფატმანი უკვე ჩანს, როგორც სინდისისაგან მხილებული პიროვნება, რადგან იგი სულიერად ამაღლებულ პიროვნებათა – ნესტანისა და ტარიელის მოახლეობას ნატრობს: „ახ, ნეტარძი მოახლეთა! ვაგლახ თქვენსა ვერა მჭვრეტსა!“ – მიმართავს იგი ტარიელს. თავის სამეფოში აღმატებული მდგომარეობის მქონე ქალბატონი სხვის მოახლეობას, მხევლობას, ქვეშვრდომობას ნატრობს, რადგანაც ეს არის სიწმინდის სართულებები შესლვა და იქ დამკვიდრების დიდი სურვილი. „მოახლეობა“ ფატმანისათვის სხვა არაფერია, თუ არა ძველის უკუგდება და ახლის შემოსვა, „გარეგანი კაცის“ გახრწნა-მოკვდინება და „შინაგანი კაცის“ განცოცხლება.

ვერ დავეთანხმებით ერთ-ერთ უდიდეს ქართველ პოეტს – აკაკი წერეთელს იქ, სადაც ფატმანზე წერს, რომ ის: „საზოგადო ცხოვრების დროს საკეთილოთ მოსახმარია, ქვექნის დაცემის დროს კი – საძაგელი“ (წერეთელი „1986:100). (ფატმანისადმი ასეთი ყარყოფითი დამოკიდებულება არაერთგზისაა გამოთქმული რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში).

შევნიშნავთ, რომ ფატმანის პიროვნება ასე „იოლად გასამეტებელი“ როდია. მასში უთუოდ არის სათნოებათა ის მარცვალი, რომელიც „ლხინებულ-ჰყოფს“ მას. ფატმანი ის ადამიანია, რომელმაც შეიცნო ნესტანის დიდბუნებოვნება. შეცნობა კი პიროვნების მხრიდან გარკვეულ ზნეობით სიმაღლეს მოითხოვს. ეს „ცნობა“ აშკარად ცნაურდება პოემიდან.

საბრალოა ის გარემო, სადაც ფატმანი ცხოვრობს. ეს არის ნაყროვანების კუნძული, რომლიდანაც მომდინარეობს ყოველგვარი სიბილწე. მაგრამ ფატმანი

ჯერაც არ არის დაღუპული. მის ცხოვრებასა და შეგნებაში შემოდიან რაინდები, ამსხვრევენ გახრწნილ სამყაროს და შემოაქვთ

ამაღლებული სიყვარული, ყოველგვარი ბიწის მამხილებელი. ქაჯეთის შემმუსონველ ძალას სინათლე მოაქვს ფატმანისათვის. ამიტომაც გადაეცემა მის სამეფოს ქაჯეთის აღებული ციხე-სიმაგრე როგორც ბოროტებასა და ბიწიერებაზე ძლევის დიადი ხატი, როგორც ხატი მშვენიერებისა და სიყვარულისმიერი ზნეობითი სიმაღლისა, რათა ყველას, რაინდებისა და მათი მიჯნურობის მხილველსა და მომხსენებელს, ზეცისკენ აღმყვანებელი დირსეული სიცოცხლე პქონდეს.

უცილობლად უნდა აღინიშნოს, რომ “ვეფხისტყაოსნის” მთავარ პერსონაჟთათვისაც (ნესტან-დარეჯანი, ტარიელი, ავთანდილი) არ არის უცხო სინდისის ქეჯნა, რაც მათივე მხრიდან დაშვებული შეცდომების გაცნობიერებითაა განპირობებული. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ რუსთველი თავის პოემაში არ ითხოვს ცოომათა გამართლებას, ამის კვალობაზე კი დაუშვებელია “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთა ნებისმიერი ქმედებისა თუ სიტყვის იდეალიზება. პოემის ყოველ გმირს “მინიჭებული აქვს შეცდომის უფლება” (კიკნაძე 2001:15.), რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ რუსთველი ყოველთვის თანაუგრძნობს ამგვარი თავისუფალი ნებით გამოვლენილ სიტყვას თუ საქმეს. ავტორის ეს პოზიცია პქონდა გათვალისწინებული მარი ბროსეს “ვეფხისტყაოსნის” 1841 წლის გამოცემის წინასიტყვობაში, თუმცა რუსთველის ქების სურვილით აღძრულ მეცნიერს მაინც მოუხდა პოემის პერსონაჟთა იდეალიზება: “... ამისთანა ზღაპარში არ იპოვნება არც ერთი უშვერი სიტყვა ან კარგის სწავლის წინააღმდეგი...”(ბროსე 1979:76).

კორნელი კეკელიძე, აკრიტიკებდა რა პავლე ინგოროვას თეორიას მანიქევლობის შესახებ, სამართლიანად უარყოფდა “ვეფხისტყაოსნის” რჩეულ გმირთა იდეალურობას. მისი სიტყვებით: პოემის “გმირები, რჩეულებიც კი, ტყუილსაც ამბობენ (ავთანდილის ორჯერ გაპარვა, ვაჭრულად გადაცმევა) და ცუდ სიტყვებსაც (577, 578, 593, 1101), ისინი არ ერიდებიან ... ცუდ საქმეს, როგორიცაა მრუშობა და ა.შ. (369 – 374, 1099, 1254)“ (კეკელიძე 1952:761).

“რჩეულ გმირთა” ცოომილებებს, რაც გამართლებას არ საჭიროებს კორნელი კეკელიძის გარდა, მიუთითებენ საქართველოს – კათალიკოს პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, ვიკტორ ნოზაძე – მარიამ კარბელაშვილი, ზ. გამსახურდია, ზ. კიკნაძე და სხვები.

ვიდრე “ვეფხისტყაოსნის” მთავარი პერსონაჟებისათვის დამახასიათებელ სინდისის ქვეჯაზე, ანუ სინანულზე ვისაუბრებდეთ, აღვნიშნავთ, რომ არათუ მათი ყოველი სიტყვისა თუ ქმედების იდეალიზება მოგვცემდა მათსავე ცრუ პორტრეტს, არამედ ეს იქნებოდა აგრეთვე ცრუ პორტრეტი თავად ქრისტიანობისა, რადგან ქრისტიანობის ისტორიის მართებული ხედვაა ხედვა დაცემისა და აღმართებისა, ცოორისა და სინანულისა, განლადებისა და შემუსრვილი გულისა.

ესტან-დარეჯანისა და ტარიელის თავდაპირველი შეცდომები (სიცრუ, მეფისადმი უპატივცემულობა, უდანაშაულო ხვარაზმელის მოკლვა) და შემდგომში შეცდომებით მოწეულ განსაცდელთა გაცნობიერების გზით მათი ამაღლება სინდისის ქენჯნამდე ერთ კონტექსტში მოიაზრება. ნესტანის ნაკარნახევმა “მართალმა სამართალმა” (542) (მომკვდარიყო ხვარაზმელი სასიძო მისი სპის „აუწყვედლად“) ვერ “იმართლა”.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ამის შედეგმა საცნაურყო, “ყველაფერი, რაც დაემართათ გმირებს, იმას მოწმობს, რომ დაშვებული იქნა შეცდომა და რომ ნესტანისა და ტარიელის მოქმედება არ ემყარებოდა “მართალ სამართალს.” მათ მიერ გაჩენილ “მართალ სამართალს” არათუ ხმელი ხე არ გაუნედლებია, არამედ გახმობამდე მიიყვანა ინდოეთის სიცოცხლის ხე” (კიკნაძე 2001:14).

უგზო-უკვლოდ გადაკარგული ნესტანის ძიებაში ტარიელი იწყებს ფიქრს ჩადენილ დანაშაულზე. განსაცდელმა მის სულზე დადებითად იმოქმედა. როცა იგი ავთანდილს უყვება თავის ამბავს, ეს არის არა მხოლოდ მისი ცხოვრების გარკვეული მონაკვეთის ისტორია, არამედ, აგრეთვე, ეს არის მისი სულის, პრაქტიკულად, მთლიანი ისტორია. ეს არის აღსარება – ცოდვათა ხედვა და სინანული. ამ სინანულის ნაყოფი ცნაურდება ტარიელის სიტყვებში: “სულთა კიდდი გულისათვის, კოშკი ამად გამებაზრა” (536,1). „ეს უკვე ცოდვათა გაცნობიერებაა, შინაგანი კათარზისის შედეგი“ (გამსახურდია 1984:91)).

„ტარიელის ცხოვრება გამოქვაბულში საფუძველია მისი სულიერი განწმენდისა, სიკეთის იდეის წვდომისა“ (სულავა 2004:231). განსაცდელი, მართებულად გააზრების შემთხვევაში, სულიერად პბადებს ადამიანს. „გამოქვაბული და უდაბნო გამოცდის ადგილია, „ახალი იგი კაცის“ სულიერი აღმოშობის ადგილია, საიდანაც უნდა დაიწყოს დვთაებრივი სიკეთის წვდომა. ტარიელის სულიერი წვრთნაც აქედან დაიწყო და მისი სიყვარულიც აქ გამოიცადა... ტარიელმა მღვიმეში დაძლია „მღვიმური ცხოვრება“,

მატერიალიზმის ყველბიდან იდეის ჭვრეტამდე ამაღლდა და, ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში, მოიპოვა ღმერთის, სამყაროსა და თვითშეგრძნების ჭეშმარიტი ცოდნა და სიბრძნე“ (სულავა 2004:231).

ზურაბ კიკნაძეც შენიშნავს: “ტარიელმა განიცადა დარტყმა და ახლა, უდაბნოს პერიოდში, მას უკვე შეუძლია ობიექტურად შეაფასოს თავისი საქციელი, კრიტიკულად შეხედოს თავისი ცხოვრების ინდურ პერიოდს ... აი, როგორ გადმოსცემს ... ტარიელი იმ საბედისწერო აქტს:

კარავსა შევვ, იგი ყმა ვითა წვა, ზარ-მაც თქმად ენიო,

უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუმცა ხმდა სისხლისა დენიო.

აშკარაა, რომ ამ სიტყვებით სინანულია გამოხატული, აქ ხორციელდება ტარიელის მეტანოია (სინანული), ვხედავთ მის ნაყოფს“ (კიკნაძე 2001:17).

განსაცდელთა უამს შეცდომებში ჩაღრმავებამ მოდრიკა ნესტანის ვეფხვური ბუნებაც. ინდოეთის მეფის ასული, ცოდვათა გაცნობიერების შედეგად, ჭეშმარიტ სიბრძნემდე მაღლდება. იგი “ბრძენი ვინმე”, “მაღალი და მაღლად მხედია”, მაგრამ ამ მდგომარეობამდე იგი მხოლოდ სინანულის გზით მივიდა. მასში სინდისმა თავისუფლად “ამოისუნთქა”. კალისტრატე ცინცაძე ამგვარად გადმოგვცემს მის სულიერ ბიოგრაფიას: “დავარ ქაჯის მოწაფე ადრე იწყებს “დიაცურად”... ცხოვრებას, – თავისუფლად აწარმოებს სააშიკო მიწერ-მოწერას, ეძებს ტარიელთან საიდუმლოებით მოცულ შეხვედრებს, ერევა ისეთ საქმეებში, რომლებიც მას არ ეკითხება... იჩენს თვალხარბობას ...ოცნებობს მამის სიცოცხლეშივე ხელმწიფებრივ გახდომას და, საზოგადოდ, ზრუნავს მხოლოდ პირად გრძნობების დაკმაყოფილებისათვის, რამაც ჩააგდო, როგორც ვიციო, განსაცდელში თვით ნესტანი, ტარიელი და ინდოეთიც თავის მეფე-დედოფალით. ამისათვის არის, რომ ნესტანს თავდაპირველად ჩვენ ვხვდებით გულგრილად, თანავუგრძნობთ, როდესაც ის (მისივე სიტყვებით) “გასაჯა” და ტყველი “სოფელმან” და “უყო” ის, “რაც მას შეეფერების” ... და ვეგებებით აღტაცებით, როცა განცდილმა ჭირმა და მწუხარებამ ის ... გამოაფხიზლა და დააწერინა მსოფლიო ლიტერატურაში სწორუპოვარი ჰიმნი მონანისა...” (ეკაშვილი 1966:46).

ხმელის გამანადლებელი “მართალი სამართალი” (რაც თავისთავად საღვთო სჯულისეულ ფორმულას წარმოადგენს), თუ ერთ შემთხვევაში მართებულად ვერ აღსრულდა და პირუკუ, როგორც “მრუდი სამართალი” წარმოჩნდა, კიდევ ერთხელ ხმიანდება ნესტანის მხრიდან, როცა ქაჯთა

ტყვეობაში მყოფი ტარიელს სწერს: “ცან სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად...” (1308).

ეს “სამართალი” უკვე გონიერი კი არა არის, მხოლოდ თეორიული მონაცემი, არამედ იგი გულითაა ნაგრძნობი., რაც უცილობელი წინაპირობაა “მართალი სამართლის” რეალიზებისა. ეს ცნება “... იურიდიული სფეროდან გულის სფეროში ინაცვლებს, ის გაშინაგანებულია... პოემაში ნამდვილად არის სინანული იმ “მართალი სამართლისა” სახელით ჩადენილი აქტის გამო. ეს ნესტანის წერილში იგრძნობა. ამგვარად წერილს ვერ დაწერდა ის ნესტანი, რომელიც “ქვე წვა ვით კლდესა ნაპრალსა ვეფხი “პირგამეხებული”, ვერც ის, რომელიც იმ რჩევას (ხვარაზმელის მოკლვას, მ.გ.) იძლეოდა. იქ, ქაჯეთის ციხეში, ნესტანი ბრძენია, “მაღლა მხედია”, იქ განსრულდა მისი აღზრდა, რაც ქაჯების რძალ მის მამიდას ევალებოდა. ნესტანი ახლა თითქოს გარედან უყურებს თავის თავს, მასში გადვიძებულია “მამხილებელი გონება”(სინდისი, მ.გ.)თუმცა იგი არ გმობს გაცხადებულად ჩადენილს, არ ახსენებს იმ აქტს, რომლის გახსენება ზარავს ტარიელს, მაგრამ მაინც გვიქრობთ, რომ მის წერილში უთუოდ გამოსჭვივის სინანული მის გამო, რაც მათ ჩაიდინეს” (კიკნაძე 2001:19).

ასე გაწმინდა ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის სულიერი სამყარო “მამხილებელმა გონებამ” ანუ სინდისმა. ცოორმათა გაცნობიერებამ, განსაცდელთა გამო დვოისადმი აღვლენილმა უხმო სამადლობელმა სინანულით დააჯილდოვა ისინი, რასაც მოჰყვა მათი ხორციელი ბედნიერებაც.

სცოდა ავთანდილმაც – საკვირველი (მაგრამ არა - უცხო) ანდერძის დამწერმა, დვოივგანბრძნობილმა მოყვასმა, რომლის მეოხებითაც ასე კეთილად განსრულდა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ისტორია. რა იყო მიზეზი ავთანდილის დაცემისა? იგი ხომ ბრძენია, რომლისთვისაც “სიბრძნე თანდაყოლილია და სრულიადაც არ საჭიროებს ხანდაზმულ ასაკს და ხანგრძლივ ცხოვერებისეულ გამოცდილებას. რასაც ის ფლობს, ხომ ერთიანი განუყოფელი ანდრეზული სიბეჭნეა, რომელსაც არაფერს პმატებს ჟამთასვლა, რადგან ის ისედაც ძველია თავისი ბუნებით, ერთხელ და სამუდამოდ დაძველებული” (კიკნაძე 2001:10). “გეფხისტყაოსნისეულ” აფორიზმთა დიდი ნაწილი ავთანდილს ეკუთვნის. იგია მკურნალი, „მაჯასისა შემტყვებარი”, შემგონებელი, მომწოდებელი, ფრთხილი ანალიტიკოსი და შეუდარებელი ფსიქოლოგი. მაგრამ თუ ვამბობთ, რომ მისი სიბრძნე ქრისტიანული სიბრძნეა,

ეს სიბრძნე, რაც არ უნდა მაღალი იყოს იგი, მაინც ვერ გაამართლებს ჩადენილ ცოდვას – ყველაზე დიდი სიბრძნე ცოდვათაგან განრიდებაა. არადა ისიძვა ავთანდილმა (იმრეშა რადგან ფატმანს მეუღლე ჰყავს), შეაგინა საკუთარი თავიც და ცოლ-ქმრული სარეცელიც. სიძვა-მრეშობა კი ერთ-ერთი მომაკვდინებელი ცოდვაა. ქრისტიანული სწავლებით, ადამიანის მეყსეული დაცემა არასოდეს ხდება. ნებისმიერი ასკეტი თუ ასკეტიკის სახელმძღვანელო ამ შემთხვევაში ერთს მაუწყებლობს: მომაკვდინებელი ცოდვას განაპირობებენ ხშირ შემთხვევაში შეუმჩნეველი, დაფარული, ვერგაცნობიერებული ცოლმილებანი, ერთი შეხედვით “წვრილმანი” შეცდომები. ხილულად გამოვლენილ, გრძნობადი თვალებით შესამჩნევ ცოდვას მიზეზად ყოველთვის სულის ფარული ვნება უდევს (ამიტომაც ლოცულობს მეფსალმუნე: „...საიდუმლოთა ჩემთაგან განმწმიდე მე... (ფს. 18,12)“). აქედან გამომდინარე, ავთანდილის შეცოდების გამართლების სურვილად (და არა საღვთისმეტყველო ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულ მეცნიერულ დასკვნად) მიგვაჩნია იმის თქმა, რომ ავთანდილის სიძვა ფატმანთან ავთანდილის მხრიდან დაავადებული მოყვასის განკურნებაა (ხინთიბიძე 2003: ამგვარი გაგების შესაბამისად, არსებობს მოსაზრება, რომ „ავთანდილის ეს ქმედება (ფატმანთან სიძვა, მ.გ.) არაა მოწყვეტილი რუსთველისეული ადამიანობის ზოგადი კონცეფციიდან“ (ხინთიბიძე 2003:146). ჩვენი მხრიდან (ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანად) ჩნდება შეკითხვა არსებული მოსაზრებისადმი: თუ რუსთველოლოგია ამჟამად უკამათოდ აღიარებს რუსთველის ქრისტიანობას (რისი ცხადმყოფელი მხოლოდ მისი პოემაა), თუ ქართული მეცნიერება მოგვიანებით, მაგრამ საბოლოოდ მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ “ვეფხისტყაოსნის” ავტორი “...საფუძვლიანად იცნობდა და საკმაოდ იყენებდა ბიბლიას...” რაც “...დღეს საკამათო აღარაა...” (მენაბდე 2000:186), მაშინ როგორდაა შესაძლებელი, რომ “რუსთველისეული ადამიანობის ზოგადი კონცეფცია” (ელ. ხინთიბიძე) გაუცხოებული იყოს წმინდა წერილისეული ადამიანობის ზოგადი კონცეფციისაგან. თუ ავთანდილის პირით გახმიანებული აფორიზმები ქრისტიანული სიწმინდისა და სიბრძნის ნაყოფია, ავთანდილის ცოლმის უამს, მკითხველის მხრიდან, დავიწყებული ვერ იქნება მაცხოვრისეული სწავლება, რაც მოციქულის მიერ ამგვარადაა გამოთქმული: „...რომელმან ყოველი სჯული დაიმარხოს და სცოეს ერთითა, იქმნა იგი ყოვლისავე თანამდებ“ (იაკ. 2,10).

ასე რომ, “ფატმანთან წოლა” არც ავთანდილის „დიდბუნებოვნებაზე“ მიუთითებს, არც მის “ქრისტესმიერ თანაზიარებაზე” (ელ. ხინთიბიძე). ასეთ კონტექსტში წმ. ბასილი დიდის, მათე მახარებლის, პეტრე და პავლე მოციქულის დამოწმება, მათი ერთხმოვანი სწავლების ამგვარი თვითნებური ინტერპრეტირება მიუღებელი და შეუწყნარებელია, როგორც ზოგადად სადგომისმეტყველო, ასევე, “ვეფხისტყაოსნის” სარწმუნოებრივ-თეოლოგიური კომენტირების ასპექტით.

ავთანდილის ხასიათი, ისევე როგორც ნესტან-დარეჯანის ან ტარიელისა, განსახილავია არა სტატიკაში, არამედ “გარდაქმნის დინამიკაში” (კარბელაშვილი 2000:35). არც ავთანდილის მიერ ჩადენილ შეცოდებას სჭირდება გამართლება, “რეაბილიტაცია”, რადგან თვით ავთანდილია საკუთარ შეცდომებზე მგლოვიარე.

ჩვენი მოსაზრებით (რის საფუძველსაც ქრისტიანობის ზნეობითი და ასკეტური გამოცდილება გვაძლევს), ავთანდილის დაცემა (ამ შემთხვევაში – ფატმანთან სიძვა) თანდათანობით მომწიფდა.

უპირველეს ყოვლისა, ადსანიშნავია ის ზნეობითი სჯულდებანი, რითაც საცნაური ხდება ავთანდილის ცხოვრებისეული კრედო. სრულიად ნათელია მისი დამოკიდებულება მოყვასისადმი, ადოქმული სიტყვისადმი, სიყვარულისადმი, სიცრუისადმი და ა.შ. მაგრამ მიუხედავად ასეთი ზნეობითი განჩინებებისა, თვით ავთანდილიც ვერ ახერხებს მათს შესრულებას ზოგ შემთხვევაში. სამართლიანია მისი დამოკიდებულება სიცრუისადმი: “თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა.“ მაგრამ ერთობ მკაცრია განაჩენი უშუალოდ ცრუ პიროვნებისადმი: “კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად”(ასეთი სჯულდება ღვთისაა და არა ადამიანისა). მსგავსი მკაცრი განჩინების პატრონი თვით ცრუობს, როცა თინათინის დავალებით უცხო მოყმის საძებნელად წასული როსტევან მეფეს განშორების მიზეზად საზღვრის განმტკიცებას უსახელებს. ასე მოხდა შემდ გომშიც, როცა ავთანდილი მეორედ გაეპარა როსტევანს. სიცრუეს ვერ თუ არ გაექცა იგი მაშინაც, როცა ვაჭრად გამოცხადდა გულანშაროში. ავთანდილის წრფელ ხასიათთან, მოყვასისადმი სიყვარულით მის განხურებულ გულთან ერთად თანაარსებობს ცოორმილების ის ფარული ნაკადი, რაც ხშირად არის დამახასიათებელი იმგვარი პიროვნებებისათვის, რომლებიც სხვათა მიმართ გვევლინებიან სჯულმდებლად და, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სიყვარული ამოქმედებთ, საკმაო მომთხოვნელობას და სიმკაცრეს იჩენენ სხვათადმი, მაშინ, როცა თვით ექვემდებარებიან გარკვეულ ცოორმილებებს.

ავთანდილის ხასიათის მსგავს ნიუანსს, კარგად ამჩნევს ასმათი. მასთან ავთანდილმა პრაქტიკულად განიკითხა მოყვასი, რომელმაც მოცემული პირობა დაურღვია მას და გამოქვაბულში აღარ დახვდა (თავი “წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ”). ავთანდილი საყვედურობს ტარიელს: “იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვეცრუვე, ვით მეცრუა! ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?!” (845).

ავთანდილი მართალია – მან პირობა შეასრულა, ტარიელმა – ვერა, მაგრამ არსებობს უფრო დიდი სიმართლეც : განუკითხელობა, მითუმეტეს სულიერი რდგევის პროცესში მყოფი ადამიანისა. ავთანდილს თითქოს ესმის ტარიელის სიმძიმილისა, მაგრამ მის გარკვეულ “უცოდინრობას” ასმათი ამხელს: “შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან” (848). ასმათმა აღნიშნა ავთანდილის სიმართლე: “მართალ ხარ” (847), ეუბნება იგი არაბ რაინდს, მაგრამ იქვე ასაცნაურებს ზოგად სიბრძნეს, რაც ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ავთანდილმა უნდა შეისმინოს, რადგან ეს ფორმულა („სხვა სხვისა ომში ბრძენია“) ავთანდილის ხასიათის ერთი ნაწილის უზუსტესი ანალიზია.

ფატმანთან მიმართებაში ავთანდილმა მართებულად “საჯა”: “დიაცი” ყველას იცნობს, შესაძლოა მან ნესტან-დარეჯანის შესახებაც იცის, ამიტომაც “მიჰყვა” ავთანდილი მის “აშიკობას”, რასაც მოჰყვა ჯერ ჭაშნაგირის ორი დარაჯის, შემდეგ თვით ჭაშნაგირის მოკვლა, ბოლოს კი – ფატმანთან სიძვა. ჭაშნაგირთან დაკავშირებით ავთანდილის შესაძლო სინანულის შესახებ პოემა არაფერს გვეუბნება. ჭაშნაგირის მოკვლა ავთანდილს ფატმანის სრული ნდობის მოსაპოვებლად დასჭირდა. მკვლელობამდე არაბ რაინდს ესმის, რომ რაღაც საიდუმლოს ინახავს ფატმანისა და ჭაშნაგირის ურთიერთობა, მაგრამ იგი ოდნავადაც არ არის დარწმუნებული, რომ ეს საიდუმლო ნესტან-დარეჯანს შეეხება.

ჭაშნაგირის სიკვდილით ფატმანი გახარებულია. იგი ავთანდილისადმი მადლიერებითაა აღსავსე. მადლიერმა დიაცმა საიდუმლო გაამხილა და, ავთანდილის საბედნიეროდ, ეს საიდუმლო ნესტან-დარეჯანს შეეხო. არაბ სპასპერს სასურველი ინფორმაცია ხელთ აქვს. მისი მხრიდან არ არსებობს არანაირი საჭიროება ინტიმური ურთიერთობა გააღრმავოს ფატმანთან, საწოლი ოთახი მას მეტს ვერაფერს ეტყვის. ავთანდილს თავისუფლად შეუძლია მოიმოქმედოს ის, რაც მან მეორე დღეს გააკეთა – გაიხადოს სავაჭრო

სამოსელი, შეიმოსოს რაინდულით და თავისი ნამდვილი განაზრახი ფატმანს გაუმხილოს. თუ მეორე დღეს მონათლა ფატმანმა “უკვდავების სწორად” ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი, იმ დღესაც არ დაბრკოლდებოდა იგი. ავთანდილს შეუძლია მოიმოქმედოს ეს, რადგან, ვიმეორებთ სასურველი ინფორმაცია მოპოვებულია. ფატმანის სქესობრივი დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული მოსალოდნელი მძვინვარებისა მას არ უნდა შეეშინდეს, რამეთუ ის, რაც იცოდა ჭაშნაგირმა ახლა ავთანდილმაც იცის.

მიუხედავად ამისა, ავთანდილმა – სცოდა. თუ არსებობდა გარკვეული თანაგრძნობა ფატმანისადმი, როგორც ცოდვით დამძიმებულისადმი, ეს სრულიადაც არ მოითხოვდა ავთანდილის მხრიდან ცოდვის გაზიარებას. თუ ასეთი “თანაზიარება” უფრო მეტი იყო ავთანდილისათვის, ვიდრე სიყვარულისა და რაინდული ეთიკის ერთგულება, უფრო მეტად დამცირდებოდა მისი პიროვნება, რადგან ასეთ პრინციპს ჭეშმარიტი სიყვარულის წინაშე გამართლება არასოდეს არა აქვს. ავთანდილი ვერასოდეს გახდებოდა თინათინისეულ სიწმინდესთან მიახლოების დირსი. ფსევდო – ზნეობითი პრინციპით მცხოვრები ვერ დაიხსნიდა ნესტან-დარეჯანს და ტარიელის სიყვარულს და არა მხოლოდ მათ სიყვარულს, არამედ თვით ფატმანსაც და ზღვათა სამეფოსაც.

ავთანდილის მხრივ, უბრალოდ, დაშვებულ იქნა შეცდომა და, თუ გავიხსენებთ ახმათის სიტყვებს, მაშინ ცხადი გახდება, რატომ დაეცა ბრძოლისა და ძიების ჟამს სხვის ომში ბრძნად მყოფი. ვფიქრობთ, რუსთველმა იმიტომ წარმართა ამგვარად ფატმან-ავთანდილის სიუჟეტი, რომ მკითხველს საბოლოოდ არ ერწმუნა ავთანდილის უცოდველობა, გაცხადებულიყო მთელი რიგი სულიერ-ზნეობითი ფარული შეცოდებების ლოგიკური დასასრული და წარმოჩენილიყო ის ფაქტიც, რომ შეცდომისაგან არავინ არის დაზღვეული („ყოველი კაცი ცრუ არს“), თუნდაც სახელგანთქმული ანდერძის ავტორიც.

ავთანდილისათვის ერთი რამ არის მნიშვნელოვნად დამახასიათებელი: იგი ან არ გამოხატავს სინაზულს შეცდომისა და შეცოდებისადმი (როსტევანისაგან ორჯერ გაპარვა, ჭაშნაგირის მოკვლა), ან ხასიათობრივად დიდხანს არ მიჰყვება სინაზული (ყოველ შემთხვევაში ასე სჩანს გარეგნულად), როგორც ეს არის ფატმანთან შეცოდების შემდგომ, მეორე დღეს: იგი მხიარულობს, სვამს ღვინოს, იძინებს მშვიდად, არ “უკირკიტებს” ცოდვებს. მაგრამ მაინც... ავთანდილი გადარჩა. ეს გადარჩენა განაპირობა იმან, რომ საკუთარ თავს, თავის საქციელს თავად მან გამოუტანა განაჩენი. მართალია ავთანდილი პოემაში სიტყვებით არ

გადმოსცემს ამას, მაგრამ მის მძაფრ სულიერ მდგომარეობას მისი „გონება“ წარმოაჩენს. მას ფატმანთან მწოლიარეს, „ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იდუმლითა ძრწოლითა“ (1252). იგი „...მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად...“ (1253), „მუნ ცრემლნი, მისგან ნადენი, ქვათაცა დასალბონია...“ (1254). თავისი ცდომისადმი სწორედ ასეთი შეურიგებელი შინაგანი დამოკიდებულება და ცოდვით ტკბობის არგაზიარება, ძრწოლა და ქვის დასალბობი ცრემლის დვრა გახდა ავთანდილის ხსნის წინაპირობა. ავთანდილის „ძრწოლა“ სინდისის ქენჯნაა – სიწმინდის, სიყვარულის დალატით გამოწვეული, ცრემლი კი სინაწყლის ნაყოფია. თითქოს ამიტომაც ერიდება პოემის მკითხველი ამ ეპიზოდს, რადგან შეცოდების გამო დაბადებული ძრწოლა და ცრემლი შენდობას უფრო ბადებს, ვიდრე ყველრებასა და განკითხვას.

## „ხამს“ ანუ ზნეობითი სჯულდებანი „ვეფხისტყაოსანში“

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეთიკური სივრცე ქრისტიანული ზნეობის სამყაროა. პოემის პერსონაჟთათვის დასახული ზნეობითი იდეალი რუსთველის მიერ მოცემულია, როგორც მათივე სულის მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება კი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა შინაგან სამყაროში ღრმადაა ფეხვგადგმული. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა არა მხოლოდ ცალკეული სიტყვა თუ ქმედება ამა თუ იმ პერსონაჟისა, არამედ სრული გათვალისწინება მათი სულიერი ბუნებისა, პიროვნებისეული ფენომენისა. საკითხის ამგვარი გააზრება შესაძლებელს ხდის, დაიძებნოს ის საშუალებანი, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ეთიკური პრობლემების მოგვარება.

რუსთველი თავის პოემაში ხშირად გვესაუბრება როგორც სჯულდებელი. ცნობილია მისი იმპერატიული მანერა, რაც, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს ამბიციების ილუზიებიდან. რუსთველი არის მეტრი პოეზიისა, უბადლო დიდოსტატი მხატვრული სამყაროსი, ფერთა მხატვარი, პოეტური სახეებით ღრმა თეოლოგიის გამომსახველი, ზნეობით მშვენიერებათა სახისმეტყველი. ყოველიგი

ამის პერიოდის, მოულოდნელი როდია მისი მხრიდან ერთგვარი სჯულმდებლობა, მით უმეტეს, რომ რუსთველივეა ამგვარ სჯულმდებლობა რეალიზაციი. აქეე უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არა მხოლოდ ზნეობითი ასპექტით განაჩინებს მარადიულ დირექტულებებს, არამედ ის, ასევე, სჯულმდებლობს, ხელოვნების თვალსაზრისითაც: საყოვეთაოდაა ცნობილი მოშაირეთა, ანუ პოეტთა მიმართ მოწოდებული პოეტიკური ფორმულირებანი.

„ვეფხისტყაოსანში“ მრავალგზის გვხვდება სიტყვა „ხამს.“ ამ სიტყვაში ბუნებითად მოცემულია, გაცხადებულია საჭირო, აუცილებელი, აღსასრულებელი რამ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონები გვესიტყვებიან, რომ „ხამს“ იგივეა, რაც „ჯერ არს,“ ან - „მართებს“ (ორბელიანი 1993:436) „მიხმს“ ანუ „მე მინდა“, „მე მჟირდება“, „ჩემთვის საჭიროა“, „მე უნდა“ (იმნაიშვილი 1986:780)

ცოდვით დაცემული ადამიანისთვის აუცილებელი გახლავთ სულიერ-ზნეობითი ორიენტირი. მიწიერი ვნებებით ქვედაზიდულ ბუნებას სულიერი ზეადსვლისათვის მყარი პიროვნული ნება სჭირდება, რადგან ხორციელი გულისთქმანი „...ეწყვებიან სულსა“ (13ეტ. 2,11) ამიტომაც აუცილებელია მსაჯულის ხმა: „ხამს!“ ეს სიტყვა, არ გახლავთ რადაც ტრაფარეტი, შაბლონი, მხოლოდ თეორიული, მკვდარი განაცხადი. იგი ცოცხალი, საჭმითა და მოღვაწეობით განცხოველებული სარწმუნოების გზისმკვლევია და საჭიროა ნებისმიერი გონებითი მგზავრისათვის, როგორც საბოლოო ნავსაყუდელისაკენ წარმმართველი რუქა.

მაგრამ „რა უხმს“ ადამიანს? რა არის ეს საჭიროება და აუცილებლობა? მათეს სახარებაში უფალი ბრძანებს: „იცის მამამან თქუენმან რაო გიკმს თქუენ“ (მათ 6.8) მიუხედავად იმისა, რომ სახარებიდან ჩვენ მიერ დამოწმებული ეს ციტატა სხვაგვარ კონტექსტთანაა, უფალმა, რასაკვირველია, იცის თუ უპირველესად რა „უხმს“, ანუ რა სჭირდება ადამიანს. სახარების მიხედვით, უფალი გვაუწყებს, რომ ლოცვაში არ არის საჭირო ყოფითი სიკეთეების თხოვნა, რადგან თხოვნამდე იცის ღმერთმა ყოველი ჩვენი ნაკლულოვანების შესახებ. ამიტომაც უნდა ვეძიებდეთ „ პირველად სასუფეველსა დმრთისასა და სიმართლესა მისსა“ (მთ. 6, 733).

ადამიანი ვერ ჭვრეტს მომავალს, მან არ იცის, რა არის მისი სულისთვის ჭეშმარიტად სასარგებლო. „ამისთვის არა ჯერ-არს ესე ვითარისა მრავლისმეტყულებისა ლოცვასა შინა შემოღებად და თხოვად, რაო იგი არა

პნებავს დმერთსა, არცა არს სარგებელ სულთა ჩუენთა“ (ოქროპირი 1996:12) ადამიანის მხრიდან „თხოვნის“ უცოდინრობას მოწმობს ასევე საიდუმლო სამდგდელმსახურო ლოცვა საცისკრო მსახურებიდან: „და მასწავენ ჩუენ სიმართლენი შენი, რამეთუ რად ვილოცოთ, ვითარ ჯერ არს, არა უწყით, არა თუ შენ, დმერთო, წმიდითა სულითა შენითა მიმიძღუ ჩუენ...“(კონდაკი – 1899:66)

ამგვარად, აუცილებლობის მოწოდება („ხამს!“) ყოფითი სიკეთეებისათვის, ან სუბიექტური წარმოდგენებისათვის როდი ხმიანებს: „ამისთვის მოვიდა უფალი ქუეყანად, რავთა განგუაშორნეს ქუეყანისაგან და მიმიწოდნეს ზეცისა სასუფეველად. . . არა ამისთვის დაბადებულ ხართ, რავთა სჭამდეთ და პსუმიდეთ და იმოსებოდეთ, არამედ რავთა სათხოეყვნეთ დმერთსა და საუკუნეთა მათ კეთილთა მიემთხვეთ. ამისთვის ხორციელნი ესე საქმენი გარეწარად თანაგაც ქონებად“ (ოქროპირი 1996:61).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასუფევლის მაძიებელი და მთხოვნელი პიროვნება ხორციელ სიკეთეებსაც მიემთხვევა, თუ ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება მისი სულისათვის სასარგებლოს. ეძიებდე დვთის სასუფევლს, ამბობს უფალი, „... და ესე ყოველი (ყოფითი რამ,- მ. გ.) შეგეძინოს თქუენ“ (მათ; 6,33). უსაღვთოესი ოქროპირი ამგვარად განმარტავს სახარების ზემოთმოხმობილ მუხლს: „ეძიებდე უკუე, სიყვარულო, საუკუნეთა მათ კეთილთა და მოგეცნენ საწუთონიცა, ნუ ეძიებ ხილულსა ამას და იგი შეგეძინოს შენ. რამეთუ უდირს არს და უჯერო წარმავალთა ამათ და ცუდთა საქმეთა თხოად დმრთისაგან, რამეთუ ბრძანებულ არს შენდა, რაითა ყოველივე მოსწრაფებად და ზრუნვად წარუვალთა მათ და მიუთხობელთა კეთილთათვის გაქუნდეს; ხოლო შენ უკუეთუ, მათ წილ ცუდთა ამათ და წარმავალთათვს მოიგო სურვილი და გულისთქუმავ, ფრიად სირცხვილეულ ყო თავი შენი და უგუნურთა თანა შეირაცხო“ (ოქროპირი 1996:62).

სრულიად ნათელია, თუ რა „უხმს“ სულიერ-ზნეობითი საფასის მაძიებელ პიროვნებას.

ცოდვა სენია, სნეულებაა სულისა და არა მხოლოდ სულისა. ცოდვა არღვევს ფიზიკურ სიმტკიცესაც, აზიანებს, ასევე, ადამიანის ფსიქიკას. ქრისტიანული ფსიქოლოგია, ზნეობითი თუ სამოძღვრო ღვთისმეტყველება ერთმნიშნელოვნად აღნიშნავს, რომ ცოდვა ასნეულებს ადამიანის მთელს არსებას. „ვეფხისტყაოსნის“ უმშვენიერესი პერსონაჟი – ტარიელიც სასოწარკვეთამ დასცა სრულ უღონობამდე. მას სჭირდება უქიმი, „მაჯასისა

შემტყვებარი“. ასევეა ფატმანიც: ნაყროვანების კუნძულზე მცხოვრები ზნემადალ ნიმუშს საჭიროებს, მკურნალს, რომელიც განკურნების ნაცვლად სწეულის სენს თავად არ მიიღებს, „რამეთუ რომელი ქუემდებარესა აღადგინებდეს, განადა უმაღლეს ქუემდებარისა მის უკმს ყოფაი, ხოლო რომელი მის თანავე დაცემულ იყოს, სხუად, უკმს აღმადგინებელი. არამედ ჯერ არს ტკივილი გულისა მოყუასსა ზედა მოწევნულისა მისთვის განსაცდელისა და მყუდროებით მჭმუნვარებად საქმესა მას ზედა შეცვალებითა სახესა პირისასა მწუხარებად და სიმძიმითა წესიერითა, რომელი გამოაჩინებდეს წუხილსა მას სულისასა“ (ბასილი 1989: 51-52).

„ვეფხისტყაოსნის“ შეჭირვებაში მყოფ პერსონაჟთათვისაც ხმიანებს საღვთო სიტყვა: „არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სწეულთა“ (მათ. 9,12) რადგან სწორედ ეს არის უაღრესი კაცთმოყვარეობა, თანადგომა დაცემულისადმი, გლოვა მისი პიროვნების განრდვეულობის გამო: „არა თუ ბრალისაგან ხოლო განშორებულ არს განკურნებად იგი უძლურთა, არამედ უფროვს მრავლისა ქებისა და გალობისა დირს არს“ (ოქროპირი 1996:166).

საყურადღებოდ გვესახება სულხან-საბა ორბელიანის ჩანართი „ჯერ-არსის“ განმარტებისას. „ჯერ არს“ სულხან-საბასთან სინონიმია სიტყვისა „ხამს“. „ჯერ არს“ განმარტებულია, როგორც „საქნელი“ ანუ აღსასრულებელი საქმე. მაგრამ იქვე მითითებულია ლევიტელთა წიგნის მეცხრამეტე თავის მეცვიდმეტე მუხლი. ეს მუხლი წმინდა წერილში ასე ხმიანებს: „არა გძულდეს მმავ შენი გონებითა შენითა. მხილებით ამხილო მოყუასსა შენსა და არა მოიღო მისთვის ცოდვად“ (ლევ. 19,17). ძნელი სათქმელია, თუ რატომ მაინცდამაინც ეს მუხლი დააკონკრეტა სულხან-საბამ „ჯერ არსის“ განმარტებისას, რადგან მოხმობილი მუხლი მხოლოდ ერთ-ერთია იმ მუხლთაგან, რომლებიც ზნეობით სწავლებებს, მცნებებს შეიცავენ და რომელსაც ეთმობა ლევიტელთა წიგნის პრაქტიკულად მთელი მეცხრამეტე თავი.

ასეა თუ ისე, საბასეული მითითება პირდაპირ მოწმობს თუ რა „გამს“, რა „ჯერ არს“ იმისათვის, რომ ადამიანი მართალი იყოს უზენაესის და, შესაბამისად, ხალხის წინაშეც.

ვიდრე „ვეფხისტყაოსანში“ ცხადაჩენილ ზნეობით განჩინებებს განვიხილავდეთ, მართებულად გვესახება, განსაზღვრულ იქნას თვით სჯულის ზნეობითი ასპექტი, მორალური მნიშვნელობა. სჯული ანუ კანონი იმ მცნებათა თუ წერილობით მითითებათა ერთობლიობაა, რაც უფალმა განკცხადა

ადამიანურ გონებას და, რაც წარმართავს სწორედ ადამიანის საუფლო სიკეთეებისაკენ. სჯულის საფუძველი ის ათი მცნებაა, რომელიც ღმერთმა მისცა, მოსეს საშუალებით, დვოივრჩეულ ერს სინას მთაზე (გამ. 20,2-17; 2სჯ. 5,6-21).

სჯული ჭეშმარიტად მაშინ არის აღსრულებული ადამიანის მხრიდან, როცა გარეგნულ ზნეობით თუ სულიერ წესს სრულად ესატყვისება პიროვნების შინაგანი მდგომარეობა. სჯულის მხოლოდ გარეგნული აღსრულება დვთისათნო არ არის, როგორც ამას ესაია წინასწარმეტყველი მოწმობს: „რად ჩემდა სიმრავლე მსხუერპლთა თქუენთა? – იტყვს უფალი, – რამეთუ სავსე ვარ მე ყოვლად დასაწველებითა ვერძთა, და ცრემლთა კრავთათა, და სისხლი კუროთა და ვაცთად არა მნებავს“ (ეს. 1,11). დვთის წინაშე ერთადერთი მსხვერპლია შეჭმარიტად აღსავლენი: „სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული“ (ფს. 50,19).

სჯულის აღსრულება შესაძლებელი ხდება მხოლოდ დვთისა და მოყვასისადმი შეუორგულებული სიყვარულით (იაკობ მოციქული). ამიტომაც აძლევს მაცხოვარი კაცობრიობას ახალ მცნებას, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი სჯული, მცნებათა მრავალრიცხოვნება: „მცნებას ახალსა მოგცემ თქუენ, რათა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რათა თქუენცა იყუარებოდით ურთიერთას“ (იოან. 13,34).

პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში აღნიშნავს: „რომელსა უყუარდეს მოყუასი თვისი, მან სჯული აღასრულა... აღმასრულებელი სჯულისად, სიყუარული არს“ (რომ. 13, 8-10). წმ. იოანე ოქროპირი განმარტავს: „... ესეოდენ დიდ არს სიყუარული, რამეთუ მის მხოლოისა მიერ სრულ იქნებიან ყოველნივე მცნებანი, ღმრთივმოცემულნი შჯულისა შინა“ (ოქროპირი 2006: 132).

როგორც აღვნიშნეთ, სჯულის საშუალებით წარემართება პიროვნება უფლისკენ, მაცხოვნებელი წიაღისაკენ. სჯული ამხელს ადამიანის ცხად თუ ფარულ ცოომილებებს და, პიროვნების მხრიდან გონებით მღვიმარების შემთხვევაში, გამოაბრწყინვებს სულის გადარჩენის ორიენტირს. სჯული ააშკარავებს ცოდვას. „ცოდვად არა ვიცოდე, გარნა სჯულისაგან. რამეთუ გულის თქუმად არა ვიცოდე, უპუეთუმცა არა სჯული იტყოდა, ვითარმედ: ნუ გული გითქუამნ“ (რომ. 7,7).

მაცხოვარმა დაცემული კაცობრიობა ღმერთს შეარიგა. ადამიანი გამოთავისუფლებულია კანონისა და ცოდვის საკრველთაგან ქრისტესთან

ერთობის გზით. სჯული უკვე შინაგანი მდუღარებაა და არა რამ წერილობითი მითითება (თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტესმიერი სჯული წერილობითად არ გამოითქმება): „სჯულმან სულისა ცხორებისამან ქრისტე იესოს მიერ განმათავისუფლა მე სჯულისა მისგან ცოდვისა და სიკუდილისა“ (რომ, 8,2).

პავლე მოციქული იესო ქრისტეს სჯულის დასასრულს უწოდებს: : „რამეთუ დასასრული სჯულისად ქრისტე არს მაცხოვრად ყოვლისა მორწმუნისა“ (რომ. 10,40). სიყვარულისმიერ სჯულის შესახებაა უწყებული ასევე ტიმოთეს მიმართ პირველ ეპისტოლეშიც: „...დასასრული მცნებისად არს სიყუარული გულისაგან წმიდისა და გონებისა კეთილისა და სარწმუნოებისა შეუორგულებელისა“ (1გიმ.1,5).

უაღრესად ცხადი, ნათელი და დვთაებრივად უბრალოა მაცხოვრის მიერ უწყებული სჯულის ანი და პოე. ყველა ზნეობითი სწავლა ერთ წინადადებაშია მოცემული: „ყოველი რომელი გინდეს, რაოთა გიყონ თქუენ პაცთა, ეგრეთცა თქუენ პყვით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს სჯული...“(მთ. 7,12).

კვლავ წმ. იოანე ოქროპირს დავიმოწმებთ: „მოკლითა სიტყვთა ყოვლად ბრძენმან მან მეუფემან ყოველივე ზემოთქმული სწავლით შემოკრიბა და გპჩუენა, ვითარმედ მოკლე გზად არს სათხოებად და ყოველთა მიერ საცნაური“ (ოქროპირი 1996:83).

რაც შეეხება საღვთო სჯულისადმი საკუთრივ მორჩილებას, იგი, უპირველეს ყოვლისა, ღვთისმცოდნეობის საფუძველი და წინაპირობაა. ქრისტესმიერი სჯულის სიყვარული მხოლოდ მცნებათა აღსრულებით ცხადდება: „რამეთუ ვიცით იგი (უფალი -მ.გ), უკუეთუ მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ“ (იოან. 2,3) „რომელი იმარხვიდეს მცნებათა მისთა, მის თანა პგიეს“ (იოან. 3,24); „რამეთუ ესე არს სიყუარული, რაჟამს ღმერთი გვიყუარდეს და მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ“ (იოან.5,3).

იოანე მახარებლის ამგვარ ღვთისმეტყველებას, რა თქმა უნდა, თვით მაცხოვრის სიტყვები უდევს საფუძვლად, მოციქულის სწავლება უფლის მოძღვრებიდანაა ამოზრდილი: „უკუეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით“ (იოან. 14,15); „უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხენით, პგიეთ სიყვარულსა, ზედა ჩემსა“ (იქ. 15,16).

და ბოლოს, პავლე მოციქულის უსაღვთოების უწყება ტიმოთეს მიმართ, რომ ადამიანთათვის „კეთილ...არს სჯული, უკუეთუ ვინმე წესიერად იპყრას იგი“ (1 ტიმ, 1,8).

შოთა რუსთველის პოემა კარგად იცნობს ზნეობით (და არა მარტო ზნეობით) სჯულდებებს. „ვეფხისტყაოსნისეული“ მორალური განჩინებანი ქრისტიანული ზნეობითი სწავლებიდან მომდინარეობს და ყოველ მათგანს თავისი ღრმა, წმინდა წერილში ფესვგადგმული ძირი აქვს. მათ გაანალიზებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს “ვეფხისტყაოსნის“ ზნეობითი ხატის მოაზრებისათვის. რუსთველისეული მოწოდება „ხამს“ მიემართება მეფეთადმი პატივსა და მოყვასისადმი სიყვარულსაც, ლხინსაც და განსაცდელსაც, სიცრუესაც და სირცხვილსაც, განვლილ შეჭირვებებს, კეთილგონიერებას, სამართლის აღსრულებას, სტუმარ-მასპინძლობას, სილამაზეს, მიჯნურობას, პოეზიას... განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

უზენაესთან დამაახლოებელ სიყვარულის ფენომენს „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად მოტივად სახელდებენ რუსთველოლოგები. რუსთველის მიერ პროლოგშივე გაცხადებული შეხედულება მიჯნურობის შესახებ მხოლოდ თვალსაზრისის სახით როდია მოცემული. რუსთველი, პირველ ყოვლის, სჯულმდებლობს, მაგრამ სჯულმდებლობს არა „თავით თვისით“. პოემაში „მიჯნურობად“ სახელდებული ქალ-ვაჟის სიყვარული თავისი არსით ქრისტიანულია და ეფუძნება საღვთო წერილსა და ქრისტიანული ზნეობის სიწმინდებს. თუ პოემის პროლოგში მოცემულია თეორიული მსჯელობანი (ბუნებრივია, პროლოგის შინაარსობრივი სივრცე არც ითხოვს მეტს), თვით ნაწარმოები ამ მსჯელობათა გონებითი, გრძნობითი და მხატვრული სახეებით რეალიზებაა.

რუსთველისეული „ხამს“ მიჯნურობის მიმართაც ხმიანებს, მაგრამ ვიდრე ამ ზნეობით განჩინებებს დავიმოწმებდეთ, უცილობლად უნდა აღინიშნოს „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობის არსებითი ასპექტები.

„ვეფხისტყაოსანში“ „მიჯნურობად“ სახელდებული ქალ-ვაჟის სიყვარული თავისი არსით ქრისტიანულია და ემყარება საღვთო წერილსა და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას. პოემის პროლოგში მის შესახებ თეორიული მსჯელობაა, ნაწარმოების ძირითადი ნაწილი კი დასახული იდეალების ხორცშესხმაა.

რუსთველის მიხედვით, „პირველი მიჯნურობა“ ე.ი. საღვთო მიჯნურობა, მიჯნურობა ღვთისადმი, არის „საქმე საზეო“ და მას ბაძავენ „ხელობანი ქვენანი,

რომელნი ხორცოდ ხვდებიან“, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „არ სიძვენ, შორით ბნდებიან“, ანუ ნამდვილი ადამიანური სიყვარული არის მიბაძვა საღვთო სიყვარულისა. ტერმინ „მიბაძვას“ იყენებს წმ. პავლე მოციქული სწორედ სიყვარულთან დაკავშირებით: „შეუდეგით სიყვარულსა და ჰბაძევდით სულიერსა მას...“(1კორ.14,1).

საღვთო მიჯნურობის მბაძველი მიწიერი სიყვარულია სწორედ განსახიერებული „ვეფხისტყაოსანში.“ ეს არის მარადიულ მშვენიერებასთან ზიარების შედეგად აღმოცენებული გრძნობა, რომელსაც ბუნებრივად ამშვენებს როგორც სულიერი, ისე ხორციელი თვისებები.

პოემაში დიდი ექცევა ყურადღება პერსონაჟთა ფიზიკურ სილამაზესაც, მაგრამ ხორციელი მშვენება ასევე მშვენიერი სულიერების შესატყვისია, მისით ცოცხლობს და მისით არის გამდიდრებული. გმირთა შინაგანი სამყარო გარეგნულადაც ვლინდება, სულიც და ხორციც ერთი მთლიანობაა, ყოველივე ჰარმონიაშია.

ავთანდილს თინათინის მშვენება „პკლვიდის წამწამთა ჯარისა“ (40), ხოლო ტარიელი ნესტანის ქალური მშვენების პირველივე ხილვისას მისი მეტრფე ხდება. გარეგნული მშვენიერება, რუსთველის მიხედვით, სიყვარულის ბიძგის მიმცემია: „მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა“ (23). პოემის ყველა შეყვარებული პერსონაჟი უზადოდ დამაზია, მაგრამ ისინი სატრფოს სულიერი სამყაროს მშვენიერებას უფრო ესწრაფვიან, ვიდრე ხორციელ უზადოებას. ნესტანის სილამაზე უფრო მეტად მნათობებს ედრება პოემაში და აღემატება კიდეც მათ, მაგრამ ველად გაჭრილ ტარიელს მისი სახის მოსაგონებლად მაინცდამაინც ვეფხვი დაუსახავს. და ეს იმიტომ, რომ რაინდისათვის მიჯნურის ვეფხვური ბუნება უფრო ძვირფასია, ვიდრე გარეგნული სილამაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სასიყვარულო გრძნობა ჩასახვისთანავე ღვთაებრიობასთანაა წილნაყარი. ნესტანი და ტარიელი პირველ პაემანზე ხმას ვერ იღებენ, ერთმანეთის ხილვითა და გრძნობათა მოჭარბებით დადუმებულან. წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) ამ ეპიზოდის შესახებ წერს: „ამისთანაზედ იტყვიან ხოლმე, გენიოსური კალმის მოსმააო და სწორედ ესეა. დიდ საგრძნობელს, თუნდ ერთი და იგივე ძირი ჰქონდეს, ისეთი ბოლო და ზემოქმედება არა აქვს, როგორც პატარას. დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს; დიდ სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს,

პატარას კი დიმილი. დიდი გულისთქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, „უტყვი, პატარა კი – ყბედი და ლაქლაქა“ (ჭავჭავაძე 1986:154).

სწორედ ეს ლეთაებრიობა რუსთველისეული სიყვარულის მარადიულ გრძნობად განმაპირობებული. გრძნობის მარადიულობა რუსთველური მიჯნურობის ერთ-ერთი ნიშანია.

ტარიელი ტოვებს სამშობლოს, სამეფო კარის პატივსა და დიდებას, ხელს იღებს თითქმის ყველა მიწიერ-ადამიანურ სურვილზე და ტქმ-ველად დაეხეტება. თავშესაფრად გამოქვაბული აქვს. როცა მას ამქვეყნად მიჯნურთან შეყრის იმედი ამოეწურება, სიცოცხლესთან განშორებაც კი ლხენად ექცევა. გმირს მხოლოდ იმის რწმენა ასულდგმულებს, რომ იმქვეყნად მაინც იხილავს სატრფოს. სიკვდილ-სიცოცხლის გასაყართან მდგომი ტარიელი იტყვის: „ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვიტყვი არ ენით, აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით“(882).

ვეფხისტყაოსან მოყმეს საკუთარი სიცოცხლე მიაქვს ნესტანის სიყვარულის სამსხვერპლოზე. მიჯნურისათვის თავგანწირვა, რომელსაც ითვალისწინებს სიყვარულის რუსთველისეული თეორია, განხორციელებულია პოემაში: „ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებდნიჯა, მას ადარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა“(88),- ასე გვიხატავს ლომ-ვეფხვთან ნაომარ ტარიელს რუსთველი. იგი მოკვდებოდა კიდეც, რომ არა ავთანდილი.

ქაჯეთში დატყვევებულ ნესტანს იმის გაფიქრება, რომ შეიძლება ტარიელის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდეს, ავიწყებს პირად გასაჭირს. იგი ფატმანს წერს: „მას მკვდარსა ვნახავ, მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა“(1290). ტარიელისადმი მიწერილ წერილშიც მსგავს აზრს გამოთქვამს: „შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა“(1301). ავთანდილი კი თინათინის მიმართ ამბობს: „შენთვის სიკვდილი მეყოფის ლხენად ჩემისა თავისად“(181).

აქედან ცნაურდება ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს სიყვარულის სამსხვერპლოზე მიაქვთ ადამიანთა მოდგმის ყველაზე ძვირფასი საუნჯე, დვორივმომადლებული ნიჭი – – სიცოცხლე.

ვერც განსაცდელთა მრავლობამ, ვერც უამთა სვლამ ვერ გაანელა ტარიელის სიყვარული. ველად გაჭრილ მოყმეს ვეფხვის ტყავი შემოუხვევია, რათა მუდამ ახსოვდეს ვეფხვად დასახული მიჯნური და გამუდმებით დაიტანჯოს მასთან სიშორის შეგრძნებით.

გრძნობის მარადიულობამ მისცა ძალა ნესტანს, სამგზის უარი ეთქვა დედოფლურ პატივსა და დიდებაზე. მის გულში ვერც ხვარაზმშას ძემ, ვერც ზღვათა სამეფოსა თუ ქაჯეთის ხელმწიფებმა მეტოქეობა ვერ გაუწიეს ტარიელს. ქალმა მრავალ განსაცდელში გამოაწრთო თავისი სიყვარული, ბოლომდე ერთგული დარჩა მიჯნურისადმი აღთქმული სიტყვისა, შეინარჩუნა სხეულისა და სულის უმანკოება.

თავისი ტრფიალება ავთანდილს წარმოუდგენია, როგორც დვთითბოძებული, სამყაროსეული პარმონიის მიუცილებელი ნაწილი. იგი ასე ლოცულობს:

„დმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰყლობ ქვენათ ზესა,  
შენ დაპხადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,  
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,  
ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა“(810).

სწორედ მიჯნური შთააგონებს ავთანდილს მოყვასისათვის თავდადებულ სამსახურს. ამადლებული სიყვარული შეაძლებინებს თინათინსა და ავთანდილს გაეყარონ ერთმანეთს, რათა ამ გაყრით სხვის სიყვარულს უწამდონ. „კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდადო“(703), - ამბობს ავთანდილი და მაღლდება ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე, იზიარებს მეგობრის ტანჯულ ცხოვრებას. თანაც იგი სხვისი სატრფოს ძიებით შინაგანად საკუთარ მიჯნურს უახლოვდება.

„ვეფხისტყაოსნისეული“ სიყვარულის ერთ-ერთი ნიშანია, აგრეთვე, გრძნობის შინაგანი ზრდა. პოემის პერსონაჟები გამუდმებით წარემატებიან სულიერ სიკეთებში. მათი სწრაფვა დვთაებრივისაკენ – დაუცხოომელია. სიყვარულის მარადიულ ამაღლებას აცნობიერებს თინათინი, როცა ავთანდილს ეუბნება: „მერმე ზრდა სიყვარულისა გაქვს ჩემგან დანერგულისა“(704) და – იქვე, მოყვასისადმი სიყვარულითა და ერთგულებით განხურვებული სიტყვები: „შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა, ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“(706).

დვთაებრიობასთან წილნაყარი სიყვარულის ხილვით შეძრული ფატმანი, თავის ქვეყანაში ყველასაგან პატივდებული, ნესტანისა და ტარიელის მოახლეობას ნატრობს: „ახ, ნეტარნი მოახლეთა! ვაგლახ თქვენსა ვერა მჭვრეტსა“(1444).

ამგვარად, „ვეფხისტყაოსანში“ სიყვარული სულიერი კათარზისის წინაპირობაა. „მიჯნურობის უმაღლეს სახეობად პოეტი სახავს საღვთო მიჯნურობას, დვთისადმი სიყვარულს, რომელსაც პბაძავს სუმლიმირების გზით ამსოფლიური ადამიანური მიჯნურობა... მეორე მხოლოდ იმდენადაა სრულყოფილი, რამდენადაც პბაძავს პირველს, მეორის დანიშნულება პირველის მიბაძვაა. პირველი ხვედრია სულიერად წინ წასული ადამიანებისა, მეორე კი საყოველთაოა. იგი არის გზა პირველისაკენ, შემამზადებელი ეტაპი, იმ პირობით, თუ იგი არ ქვეითდება სიძვამდე“ (გამსახურდია 1984:117).

რუსთველის სიყვარულისმიერი სისტემა მთლიანად განჩინებითი ხასიათისაა. წმინდა ადამიანური გრძნობის მარადიულობასთან თანაზიარება აპირობებს დვთივმომადლებული სიყვარულის უზუსტეს სიტყვიერ ფორმულირებას:

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,

რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,

გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხვდეს, თუნდა ქუში“ (25).

განსაცდელით გამოწრობა ბადებს დვთივსათნო მოთმინებას, „ხოლო მოთმინებას მას საქმე სრული აქუნდინ“ (იაკ. 1,4) ასევე ტანჯვით „გამოხურვებული“ და გამოცდილი მიჯნური თავის შინაგან სამყაროში უნდა თრგუნავდეს გულისთქმას და, საკუთარ ემოციებზე ამაღლებული, სრულად უნდა შეერთოს გულისმიერ მდუღარებას:

„ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,

არ ბედითად „პაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,

არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,

მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“ (28).

მიჯნურის მიერ მიჯნურის შებრალება, მისი ტკივილებისა და მწუხარების გაზიარება „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ღრმად დამახასიათებელი თვისებაა. ავთანდილი, რომელმაც მიაგნო პირველი შეხვედრისას ასმათთან საერთო ენას, ზუსტად იყენებს ამ „ერთობის“ ზნეობით სპეკალს:

„მიჯნურისა შებრალება ხამს ესეცა გაიგონე“ (247).

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ თავში „მოყვასის სიყვარული“ ჩვენ მიერ გაანალიზებულია „ვეფხისტყაოსნისეული“ მოყვასობის, მეგობრობის, ძმობის არსებითი ასპექტები. ამჯერად აღვნიშნავთ, რომ რუსთველის ზნეობითი სჯულდებანი ამ მაცხოვნებელ გრძნობასაც ამშვენებენ.

მოყვრისთვის თაგშეწირვა, სიკვდილი, ანუ ნებსითი დათმობა უდიდესი ნიჭის - სიცოცხლისა ავთანდილის ცხოვრების წესია და - არა მხოლოდ თეორიული განაცხადი:

„ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც წესად-რე“(139).

არაბმა სპასპეტმა თავისი მოღვაწეობით ცხადყო ამგვარი შინაგანი მზაობის ჭეშმარიტება.

მოყვასის უაღრეს პასუხისმგებლობას მიუთითებს ტარიელიც ავთანდილთან საუბრისას:

„.... გინცა კაცმან ძმა იმმოს, თუ დაცა იდოს,

ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დარიდოს“(306).

თინათინი და ავთანდილი საუბრისას, ახსენებენ რა ტარიელის შეჭირვებას და მის სასოებას ავთანდილისადმი, ეს უკანასკნელი ამბობს:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა და დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“(703).

თინათინიც, რომელიც აქებს ავთანდილს ტარიელისადმი მიცემულ ფიცსა და ერთგულებას მოყვასისადმი, მსახურებისათვის აღანთებს მიჯნურს:

„ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“(706).

ამიტომაც მიაგებენ პოემის პერსონაჟები მისაგებელს მოყვასობის მადლს, მზად არიან რა უარი თქვან პირად კეთილდღეობაზე და საკუთარ თავში დათრგუნონ „ქვენა მე“. ამის გათვალისწინებით მიმართავს ავთანდილი ვაზირს:

„შეზღვა ხამს შეუზღველისა,

ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა“(733).

ზნეობითი თვალსაზრისით, აღსანიშნავია, ასევე, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მოკრძალებული მიმართება მეფეთადმი, რაც ამ უკანასკნელთადმი ბიბლიურ გაგებას ასაჩინოებს. ძველი და ახალი აღთქმა მეფისადმი დიდ მოშიშებასა და პატივისცემა-სიყვარულს განაჩინებს. იგავთა წიგნი ბრძანებს: „გეშინოდეს უფლისა, შვილო, და მეფისა“ (იგ. 24,21). ეკლესიასტე კიდევ უფრო აკონკრეტებს: „შენ ფიქრებშიც კი ნუ დასწყევლი მეფეს“(ეპლ.10,20). ახალი აღთქმის წიგნებიც ამასვე გვითვალისწინებენ: „მეფესა პატივ-სცემდით“, - გვმოძღვრავს პეტრე მოციქული (1 პეტ. 2, 17); პავლე მოციქული მიმართავს ტიტეს: „მოახსენებო მათ მთავრობათა და ხელმწიფებათა დამორჩილებად“. . . (ტიტ. 3,1); ხამს მეფეთადმი მორჩილება: „დაემორჩილენით უკუკ ყოველსავე კაცობრივსა დაბადებულსა უფლისათვის: გინა თუ მეფესა, რამეთუ ყოველსა

ზედა არს“ (13ეტ. 2,13) ტიმოთეს მიმართ პირველ ეპისტოლები მეფისადმი ლოცვაა მოწოდებული: „გლოცავ უკუკ ყოვლისა წინა, რაითა ჰყოფდე ვედრებასა ლოცვასა, თაყვანისცემასა და მადლობასა ყოველსა კაცთაოვის, მეფეთაოვის და ყოველთა მთავართა. . . (1 ტიმ. 2,1-2) და ბოლოს, კიდევ უფრო მეტი, მეფეთადმი წინააღმდეგება დვორისადმი ურჩობის იგივეობრივია: „...რომელი ადგებოდის ხელმწიფებასა დმრთისა ბრძანებასა ადგების, ხოლო რომელნი იგი ადგებოდიან, თავისა თვისისა სასჯელი მიიღონ“ (რომ. 13,2).

ტარიელმა, რომელმაც როსტევან მეფეს თორმეტი მონა და უამრავი მდევარი დაუხოცა, თვით როსტევან მეფესთან შეხვედრას თავი აარიდა, რითაც ხელმწიფის სიცოცხლეს საფრთხე ააშორა:

„რა ცნა, მეფე მოვიდაო, პკრა მათრახი მისსა ცხენსა,  
მასგე წამსა დაიკარგა“(97)...

მეფისადმი რიდს ცხადყოფს ტარიელი ასმათთან ერთ-ერთი საუბრისას. რაინდის თქმით, იგი მეფეს (და მის მხლებელთა სიმრავლესაც) მოერიდა (270-271).

უნდა ადინიშნოს, რომ ტარიელის ამგვარი მიმართება ზოგადად მეფისადმი მისმა სულიერ-ზნეობითმა კათარზისმა შვა, რაც მოჰყვა ნესტანთან დაშორების განსაცდელს (ტარიელისა და ნესტანის შეცოდებას ინდოთა მეფისადმი ჩვენ ზემოთ ავღნიშნავდით).

მეფეთადმი მორჩილებასა და პატივისცემას ბიბლიური თანაზიარია ავთანდილიც: „ხამს მეფეთა ერთგულება, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად“(154), - ეუბნება იგი შერმადინს.

მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილი „ეცრუა“ როსტევან მეფეს, მის დაუკითხავად წავიდა ტარიელის დასახმარებლად, მას სინდისი ყოველთვის ქენჯნის თავისი მეფის მიმართ. ამიტომაც პოემის ფინალში, როცა ფრიდონი ავთანდილს აუწყებს როსტევან მეფესთან შუამავლობის შესახებ, არაბ სპასპეტს გული უმძიმდება, თავს ახსენებს რა წარსული ცოომილება.

რუსთველი, ავთანდილს შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარე, დაასკვნის:

„ასრე ხამს რიდი მეფეთა, ყმათაგან მოკრძალებულობა“(307).

„გეფხისტყაოსანში,, არაერთგზისაა უწყებული ჭირისა და განსაცდელის მხედ დაომენის შესახებ ავთანდილი მიმართავს შერმადინს:

„ხამს თუ კაცი არ შეუდრკეს ჭირს, მიუხდეს მამაცურად“(154).

„ხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს“(785).

ამგვარ მსჯელობას თავისი ძირი აქვს, სულიერ-ზნეობითი სწავლა: „ჭირსა დაუთმობდით“ – გვასწავლის პავლე მოციქული (რომ. 12,12) იგივე მოციქული განაგრძობს: „... ყოველსა შინა წარუდგინენით თავნი თქუენი, ვითარცა ღმრთის მსახურთა, მოთმინებითა მრავლითა, ჭირთა შინა და ურვათა. . .“ (2კორ. 6,4).

ჭირის მხნედ დათმენას მოაქვს „სრული საქმე“ (იაკობ მოციქული) იგი ეტაპობრივად აღამაღლებს ადამიანს სულიერი სიკეთების მიმართ: „...ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაი – გამოცდილებასა, ხოლო გამოცდილება – სასოებასა. ხოლო სასოებამან არა არცხვინის, რამეთუ სიყუარული ღმრთისად განფენილ არს გულთა შინა ჩუქნთა სულითა წმიდითა, რომელი იგი მოცემულ არს ჩუქნდა“ (რომ. 5,4-5).

ასე არის შესაძლებელი განსაცდელიდან ადამიანის ღმერთამდე ამაღლება.

ჭირ-ვარამის დათმენით მოიპოვება შინაგანი სიხარული და სულგრძელობა. ეს სიხარული ჰფარავს განსაცდელის სიმძაფრეს დ იმ ზომით აღემატება მას, რომ დავიწყებას ეძლევა შეჭირვებისეული ტკივილი.

უცხო მოყმის ვერმოძიებით სახოწარკვეთილ ავთანდილს სწორედ ამგვარი სიხარული ეუფლება. მან ამოწურა ყველა ადამიანური შესაძლებლობა ტარიელის მოძებნებისა, მიენდო ღვთის განგებულებას, დაუთმო უფალს. ამის შემდგომ იგი ღებულობს ინდოელი მოყმის შესახებ სასურველ ინფორმაციას და მეყსეულად ივიწყებს სამწლოვან სიძნელეებს. რუსთველი აზოგადებს ავთანდილის სულიერ მდგომარეობას:

„კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდე, უნდა პოვნა,

მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა“(211).

არაბეთში დაბრუნებული ავთანდილი თინათინის კითხვაზე, იპოვა თუ არა უცნაური მოყმე (ტარიელი), იმეორებს ზემოთხსენებულ სჯულდებას:

„. . . რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,

ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასრულისა“(696).

საყურადღებოდ ხმიანებს, ასევე, სიტყვა „ხამს“ ხელმწიფეთა პასუხისმგებლობის მიმართ.

„...ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართლისა“(563), - მიმართავს ტარიელი ინდოთა მეფეს (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოხმობილ კონტექსტში ობიექტურ სიმართლეს ტარიელი სუბიქტური მსჯელობის საგნად აქცევს).

„გეფხისტყაოსანში“ განჩინებულია ქვეშეგრდომის პატრონისადმი დამოკიდებულებაც. ავთანდილის გაპარვით, უფრორე, ვაზირის არადიპლომატიური სიტყვით გაგულისებული როსტევან მეფე ამგვარად სიბრძნისმეტყველებს:

„ხამსა, კაცმან პატრონისა საწყინარსა არ დახედნეს,

...ოდენ სიტყვა უმეცრული უალაგოდ დაიყბედნეს“(758).

„გეფხისტყაოსნის“ ამ ტაქტთა შინაარსს ეხმიანება „სიბრძნე სიცრუისაში“. მოცემული განჩინებანი ვაზირთა მიმართ: „თუ ვაზირი ბატონის, ერთგულია, მტერი უნდა დაიმოყვროს, თავისი აუგიც აპატიოს, გული გაიერთონ და დაემტკიცოს მეფობა პატრონისა მათისა,,. . . ვაზირი ხვაშიადის შემნახავი ხამს ... ვაზირი პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოს. . . ვაზირთა მეფისა და ქვეყანისა დაყენებაც შეუძლიათ და წახდენაცა ( ქართული 1989: 50).

„ხამს“ განჩინებას რუსთველი მრავალმხრივ მიმართავს. მკაცრია სჯულდება ცრუთადმი:

კაცი ცრუ და მოდალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“(162).

სიძნელეების დაძლევა კეთილგონიერთა პრიორიტეტია:

„ხამს თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს“(215).

კეთილგონიერს სიდინჯე და აუჩქარებლობა ამშვენებს: „ გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს“(539).

კდემამოსილთათვის დამახასიათებელი უნდა იყოს რიდი მამაკაცის წინაშე. ნესტანი მიმართავს ტარიელს, „...ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა“(411).

სტუმარს ღირსეული სტუმრობა მართებს, მასპინძელს – სტუმრობით გამოწვეული სიხარული: „ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული“(729).

და ბოლოს, ერთია მადლმოსილი ფიზიკური თუ სულიერი სილამაზე, კეთილგონიერება თუ სხვა ზნეობითი პიროვნეული ფასეულობანი, მეორე კი ამ მშვენიერებათა ჯანსაღი აღქმა, საღვთო სიკეთეთა მიმართ თანაზიარების სურვილი, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაცა გულწრფელი ქება, საგალობელი მშვენიერებისადმი. რუსთველი „უხვია“ ამჯერადაც.

„მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერისა“(3);

„ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდადა არ აბრკმობდეს“(18);

„ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული“(33);

„ მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს აქებდეს ენა ბევრი“(694),

„მქებრად ამბისა მათისა ხამს მკითხავი და მსმენელი“(165).

მოხმობილი მაგალითები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ რუსთველის ზნეობით პოზიციას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანში,, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში ზოგადი, მარადიული მორალური კატეგორიების გვერდით თანაარსებობენ კონკრეტული ყოფითი, სუბიექტური თვალსაზრისები და ქმედებანი. ეს უკანასკნელნი იშვიათად, მაგრამ მაინც სცილდებიან ზნეობითი მოცულობის სივრცეს, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არც ირიდებს მათ. კოლიზიები და კონფლიქტები კეთილგონიერების შემთხვევაში უკეთ წარმოაჩენენ იმ სიმართლეს, რაც ზნეობითი სინათლიდან მოჩანს და რაც საბოლოოდ, კიდევ უფრო მეტია, ვიდრე სჯულდება.

## **ქრისტიანული სასოება და „ვეფხისტყაოსნისეული“ იმედი**

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სარწმუნოება, რასაც პოემის თეოლოგიური მხარე ცხადყოფს, განაპირობებს „სასოებად“ სახელდებულ სულიწმიდისეულ ნიჭს.

ქრისტიანული სასოების საფუძველი არის რწმენა და ამ საფუძველის გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტი იმედის მოაზრება. ყოველი პიროვნებისათვის, რომელიც ისწრაფვის „მარად შეცნობადი სამყაროსაკენ“ (ლოსკი), ისწრაფვის, რათა მიეახლოს პირველხატს, სასოება წარმოადგენს სარწმუნოების შემდგომ სულიერ–ზნეობითი განვითარების საფეხურს.

როცა სწამთ არსებობა ღვთისა, სასოებენ კიდეც მას, და ეს იმედი გამოიხატება არა მხოლოდ ცათა სასუფევლის დამკვიდრების მოლოდინში (რასაც უპირველესად ასაცნაურებს ქრისტიანული ღვთისმეტყველება), არამედ ყველგან და ყველაფერში: ადამიანებთან, ბუნებასთან, საგნებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სასუფეველი, სამომავლო ნეტარება წრფელი, ჰეშმარიტი რწმენისა და ზნეკეთილი ცხოვრების ნაყოფია, საქმითი მოღვაწეობის, საკუთარი თავის იძულებისა და გარკვეული ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია დაიმკვიდროს იგი ადამიანმა.

სარწმუნოება პიროვნების სულიერი (და ფიზიკური) ენერგიის წყაროა, იგია მისი მამოძრავებელი ძალა. მსგავსად ამისა, სასოება ასაზრდოებს ადამიანის შესაძლებლობებს. იმედი განაპირობებს მოღვაწეობისათვის საჭირო და აუცილებელ ძალას. შეგნება და რწმენა იმისა, რომ ღმერთი არის ყველგან, რომ ყველაფერში ცნაურდება მისი კეთილგანგებულება, რომ შემთხვევითი სამყაროში არაფერია, და რომ უფალი არის ადამიანის წინამდღვარი და მეგზური – ყოველივე ეს ქრისტიანს განუზომელი სულიერ -ზნეობითი ძალებით ადჭურავს.

ქრისტიანული სასოება, უპირველეს ყოვლისა, ღვთისა და მისი განგებულებისადმი იმედს გულისხმობს. როცა პიროვნების მიერ უარყოფილია საკუთარი თავის ნდობა, როცა იგი იმედს ამყარებს არა თავის გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობებზე, არამედ ღმერთზე. წმიდა წერილში მრავალგზის არის ნამხელი უგუნურება და სულიერი სიბრმავე თვითდაჯერებული ადამიანებისა, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ამყარებენ იმედებს. ერთ-ერთი სახარებისეული იგავიც, რასაც ძალზე ხშირად ახსენებენ თეოლოგებიც, სწორედ ამის შესახებ გვესიტყვება: “კაცისავ ვისიმე მდიდრისავ ნაყოფიერ იყო აგარაკი, და განიზრახვიდა გულსა შინა თვისსა და თქუა: რაღ-მე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა შევიკრიბო ნაყოფი ჩემი? და თქუა: ესე ვყო; დავარდგნე საუნჯენი ჩემნი და უფროვსნი აღვაშენნე და შევიკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი. და პრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებული მრავლითა წელთავ: განისუენე, ჭამე და სუ და იხარებდ. პრქუა მას ღმერთმან: უგუნურო, ამას ღამესა მიგიდონ სული შენი შენგან; ეგე რომელ მოემზადე, ვისა იყოს? ეგრეცა, რომელი იუნჯებდეს თავისა თვისსა და არა ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის” (ლკ.12.16-21).

ქრისტიანული სასოება სიხარულს ანიჭებს ადამიანის სულს. შეჭირვების განსაცდელის ჟამს წყაროა სიმშვიდისა და კეთილგონიერებისა, მხნეობით აღავსებს სათნოებათა მოსაგებად მოღვაწე პიროვნებას.

ღვთისადმი მსასოებელი ადამიანი “ნეტარადა” სახელდებული წმიდა წერილში: “ნეტარ არს, რომლისა დმერთი იაკობის შემწე არს მისა, და სასოებად მისი არს უფლისა მიმართ ღმრთისა მისისა, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანა, ზღუა, და ყოველი, რაღ არს მას შინა; რომელი იმარხავნ ჭეშმარიტებასა უკუნისამდე” (ფს.145.5-6). “განიცადეთ და იხილეთ, უფალი, რამეთუ ტკბილ არს უფალი: ნეტარ არს კაცი, რომელი ესავს მას (33.8).”

“ნეტარ არს კაცი, რომელსა სახელი უფლისა სახო მისსა არს და არა მიხედნა ამაოებასა, არცა სიცბილსა ტყუილისასა” (39.4). “ნეტარ არიან ყოველნი, რომელნი ესვენ მას” (ფს 2,12), ან კიდევ: “უფალო დმერთო ძალთაო, ნეტარ არს კაცი, რომელი გესავს შენ.” (83,12).

უფლის სახელის მცოდნენი და ღვთის მაძიებელნი, სასოებენ მხოლოდ დმერთს, რადგან ღდენ მას ძალუმს ადამიანის სსნა: “და გესვიდენ შენ ყოველნი, რომელთა იციან სახელი შენი, რამეთუ არა დასთხიენ მეძიებელნი შენი, უფალო” (ფს. 9.10).

ანალოგიური აზრია გამოთქმული დავით წინასწარმეტყველის მიერ ას მეჩვიდმეტე ფსალმუნში, სადაც სიკეთედაა შერაცხილი უფლის, და არა საწუთოში აღზევებული ადამიანების, მიმართ სასოება: “კეთილ არს სასოებად უფლისა მიმართ, ვიდრე სასოებად მთავართა მიმართ” (117,9).

მეფსალმუნის მიხედვით, ნეტარია და ბედნიერია ის ადამიანი, რომლის შემწეცაა ღმერთი, რომელსაც სასოებდა თავად ძველი აღთქმის პატრიარქი იაკობი, უფლის მიერ ჭირთაგან მრავალგზის გამოხსნილი. “ხედავ სიბრძნის ძალას?” – კითხულობს ოქროპირი, “რამეთუ ნეტარებაში მეფსალმუნებ მოიაზრა ყოველი კეთილი, და ნეტარად სახელდო რა ღვთისადმი მსასოებელნი, ამით ჩვენი შემწის ძლიერება წარმოაჩინა. “მთავარი” (117-ე ფსალმუნში ნახსენები. – მ.გ.) არის ადამიანი (რომელზედაც იმედოვნებენ უგუნურნი). ეს კი (რომელსაც სასოებენ კეთილგონიერნი) – ღმერთია. პირველნი იღუპებიან, მეორენი კი ცოცხლობენ და ცოცხლობენ არა მხოლოდ თვითონ, არამედ – მათი საქმეებიც „ესრეთ იტყვს უფალი: წყეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქუს კაცისა მიმართ, და განიმტკიცოს ხორცი მკლავისა თჯისათ, და უფლისაგან

განდგეს გული მისი“ (იერ.17,5). ამის საპირისპიროდ, ბუნებრივია ნეტარება ადამიანისა, რომელიც ღვთისადმია მოიმედე.

“ყოველი ქრისტიანის ხსნა და სასოება უფლის სახელია, როგორც ეს ცხადყვეს მოწამეებმა ჯალათების წინაშე, როცა განცხადებულად აღიარეს ქრისტე” (განმარტებითი... 1883:398).

იერემია წინასწარმეტყველის მიხედვით, დაწყევლილია ადამიანისადმი მსასოებელი: თქვეს, რომ სახელი ქრისტესი და ქრისტიანობა არის მათოვის დიდება, სიმდიდრე და სასოება და ეს არის ის კეთილი სახელი, რომლითაც ვიწოდებით (იაკ. 2,7)” (განმარტებითი...1883:244).

ღვთისმოსავი ადამიანები მოთმინებით, რწმუნით და ლოცვით ელოდებიან უფლის შეწევნასა და იმედის აღსრულებას. ღვთის ნებისადმი მორჩილება მისდამი სასოების გამოხატულებაა, რომლის ლოგიკური შედეგიცაა შეურყევლობა ადამიანისა: “გარნა ღმერთსა და მორჩილება, სულო ჩემო, რამეთუ მის მიერ არს თმენად ჩემი, და რამეთუ იგი არის ღმერთი ჩემი და მაცხოვარი ჩემი, შესავედრებელი ჩემი, და მე არა შევირყიო. ღმერთისა მიმართ არს ცხოვრებად ჩემი და დიდებად ჩემი; ღმერთი შეწევნისა ჩემისად და სასოებად ჩემი ღმრთისა მიმართ. ესევდით მას ყოველი კრებული ერისად, განკვინენით მის წინაშე გულნი თქუენნი, რამეთუ ღმერთი მწე თქუენდა არს” (ფს. 61, 5-8).

ადამიანის სული ემორჩილება უფალს, რადგან ღმერთი აძლევს დათმენის ძალას განსაცდელის უამს. “ცრუა” ამსოფლიური იმედი და მხოლოდ ღმერთია ადამიანის მწე. “გულთა განფენაში” აქ მოიაზრება ლოცვა (როგორც ამას სხვაგანაც ამბობს წინასწარმეტყველი: “განვჭინო მის წინაშე ვედრებად ჩემი”(141,2)), რამეთუ წმიდა და წრფელი ლოცვა გულიდან უნდა იქნეს ღვთისადმი აღვლენილი” (განმარტებითი...1883:368).

უფალი იბრძვის მისდამი მოიმედე ადამიანის წილ და იცავს მას: “ბეჭთ—საშუალითა მისითა გფარვიდეს შენ და საგრილსა ფრთეთა მისთასა ესვიდე” (90,4), ამბობს ფსალმუნი. ექვთიმე ზიდაბენის აზრით. ეს შედარება აღებულია საბრძოლო ხელოვნებიდან, როცა წინ მდგომი მეომარი თავისი სხეულით (მხრებით, ბეჭთ-საშუალი) იფარავს უკან მდგომს. “ღვთის მხრებად” კი, რომელსაც “ღვთის ფრთებიც” ეწოდება, მოიაზრება მისი დამცველი ძალა.

ამგვარ მაცოცხლებელ იმედს “არასადა ჰრცხვენა “(პავლე მოციქული). ფსალმუნიც ამასვე ცხადყოფს: “შენდამი (ღვთისადმი მ.გ.) ღაღადებდეს და ცხოვნდეს, შენ გესვიდეს და არა ჰრცხვენა” (ფს. 21,5). პავლე მოციქულიც

ეხმიანება ამ ჭეშმარიტებას: “ხოლო სასოებამან არა არცხვნის, რამეთუ სიყუარული ღმრთისად განფენილ არს გულთა შინა ჩვენთა სულითა წმიდითა, რომელი-იგი მოცემულ არს ჩუენდა” (რომ. 5,5)

რომაელთა მიმართ მიწერილი ეპისტოლის ამ მუხლს წმ. იოანე ოქროპირი ასე განმარტავს: “რომელი მოთმინე და კეთილისმოქმედი იყოს, მას სურის და ესავს საშჯელისა მის დღესა... ვინათვან საუკუნეთა მათ კეთილთა სასოებად შორის შემოიღო, რათა არავინ თქვას, ვითარმედ – ესე უწყით თუ ძალ-უც მიცემად კეთილთა მათ და ცხოველ არს, ხოლო ესე ვინავ უწყით თუ მოგუცნეს? – ამისთვის იტყვს ვითარმედ: ამის გამო უწყით თუ საუკუნენიცა კეთილნი მოგუცნეს სიყუარულისა მისგან, რომელი აქავე მაჩუენა ჩუენ, რამეთუ მოგუცა სული წმიდად. და ამისთვის თქვა, ვითარმედ “სიყუარული ღმრთისად განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა.” არა თქვა თუ “მოცემულ არს”, არამედ “განფენილ არს-ცა”, რათამცა სივრცე მისი გამოაჩინა. ხოლო ამას იტყვს, ვითარმედ: ესოდენ ფრიად არს სიყუარული მისი, რომელი აქვს ჩუენდა მომართ, რომელ, ოდეს მოვიგონოთ სრულიად დაჰჭარავს გონებათა და გულთა ჩუენთა და მოეფინების მათ ზედა.

“სულითა წმიდითა, რომელი-იგი მოცემულ არს ჩუენდა” – ენება, რათამცა გამოაჩინა სიყუარული ღმრთისად, რომელი აქვს ჩუენდა მომართ, და კეთილნი იგი, რომელნი აწვე მოგუცნა, და არა თქვა სხუად რამე მრავალთა მათ ნიჭთაგან, რომელნი მოგუცნა, არამედ თავი იგი ყოვლისადვე თქვა, ვითარმედ “სულითა წმიდითა, რომელი მომცა ჩუენ.” რამეთუ ესე არს თავი ყოველთა კეთილთად, რომელსა მიერ კაცთა წილ ანგელოზ ვიქმნენით და ძე ღმრთისა. ხოლო უკუეთუ უშრომელად ესე კეთილნი მოგუცნა, უკუეთუ დავშურეთ მისთვის, არა გვრგზნოსან გუყნესა?” (პავლეს...2003:67-68). ამგვარად, იოანე ოქროპირის მიხედვით (და არა მხოლოდ მისი), სასოება სულიწმიდისეული, მაცხოვნებელი მადლია.

ლოპუხის მოწაფენიც ზემოხსენებული ეპისტოლის მუხლს ასეთ კომენტარს ურთავენ: “ქრისტიანის სასოება არ არის შემარცხვენელი – ადამიანისა. ადრეც, ქრისტესაკენ მოქცევის უამსაც ჰქონდათ სასოება, მაგრამ ეს იმედი, შესაძლოა ითქვას, ჯერ კიდევ ჩასახვის პროცესში იყო. მხოლოდ იმ ადამიანის სასოებაა ძლიერი, რომელმაც გადაიტანა მწუხარებანი და არ დაუცა განსაცდელთან მიმართ ბრძოლის ჟამს. ამ სასოებას კიდევ უფრო განამტკიცებს ღვთის სიყვარული, ჩვენს გულში ჩასახული. ეს ჩასახვა ადსრულდა

კონკრეტულ, განსაზღვრულ მომენტში და ამ ფაქტის შედეგებს შევიგრძნობთ ჩვენ – ისინი ჩვენშია!... ” (განმარტებითი ...1913:513).

ყოველგვარი მადლი სულიწმიდის ბეჭდითაა აღტვიფრული. ამიტომაც იმედი, რომელიც არ არცხვენს და განმამართლებელია ადამიანისა, შესატყვისია რწმენისა და სულის იმ განუზომელი სიხარულისა, რასაც უფალი ანიჭებს თავის ქმნილებას: ”ხოლო ღმერთმა სასოებისამან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა სიხარულითა და მშვიდობითა სარწმუნოებად და აღმატებად თქუენდა სასოებითა და ძალითა სულისა წმიდისავთა” (რომ.15,13).

იმედს ადამიანი როდი ანიჭებს საკუთარ თავს – იგი დვთის მადლი და წყალობაა. ”რადგანაც ადამიანებს არ ძალუმთ მიმთხვევა სასოებისა, მოციქული (პავლე-მ.გ.) ლოცულობს, რათა განუმტკიცოს მათ იმედი ღმერთმან, რამეთუ მისგან მომდინარეობს ყოველგვარი სასოება“ (განმარტებითი...1913:513).

როგორც ღმერთი უნდა უყვარდეს ადამიანს მთელი თავისი ძალით, გულით და გონებით, ასევე მისდამი სასოებაც მთელი გულით უნდა ჰქონდეს, რადგან იმედი სწორედ მხურვალე გულიდანაა ამოზრდილი: „იყავ შენ მოსავ ყოვლითა გულითა შენითა უფლისა მიმართ და სიბრძნესა შენსა ნუ აჰყვები“ (იგ. 3,5).

მეფსალმუნესთან იმედის სიყრმის თანმხლებია: ”რამეთუ შენ ხარ თმენავ ჩემი, უფალო, უფალო, სასოდ ჩემი სიყრმით ჩემითგან“ (ფს. 70,5)

იგივე წინასწარმეტყველი განაჩინებს, რომ ღმრთისადმი მიმნდობი და მისი მსასოებელი მიემთხვევა თავის ზრახვათა აღსრულებას: ”განაცხადე უფლისა მიმართ გზავ შენი და ესევდ მას და მან ყოს“ (ფს. 36,5)

”წინასწარმეტყველი მეფე აქაც ყველას მოუწოდებს ღვთისადმი სასოებისაკენ, როგორც აუცილებელს რასმეს განსაცდელთა უამს. რამეთუ მხოლოდ უფლისადმი იმედი ამსუბუქებს მწუხარებათა სიმძიმეს და ღმერთიც მას, ვინც კი მისი მოიმედეა, ანიჭებს მადლო, რასაც კი ის ელის, და იმ სარგებელთ, რასაც ეძებს“ (განმარტებითი...1883:220). სხვაგვარად მეფსალმუნე ბრძანებს: ”მიუტევ უფალსა ზრუნვავ შენი და მან გამოგზარდოს შენ“ (ფს. 54,22)

ამასვე მოუწოდებდა ძველი აღთქმის სხვა წინასწარმეტყველიც: „მიაგორვენ და მიაქციენ უფლისა მიმართ საქმენი შენი, რათა დაუმტკიცნენ გულისიტყუანი შენი“ (იგ. 16,3).

უფლისადმი იმედი განაპირობებს საღვთო უზრუნველობას, რასაც ცხადყოფს ქრისტე მთაზე ქადაგებისას (იხ.მთ.6,25-32). აღნიშნული სახარებისეული ფრაგმენტის ბოლო მუხლში დმერთი მამადაა სახელდებული, რათა ადამიანი სრულიად განიმსჭვალოს იმედით იმის მიმართ, ვისაც საკუთარი თავი მიანდო. წმ. იოანე ოქროპირი განმარტავს: “არა თქუა, თუ: იცის დმერთმან, არამედ “იცის მამამან”, რაოთა უმეტესად სასოებად მოგპყვანნებს; რამეთუ უკუეთუ მამავ არს, და მამავ ესრეთ სახიერი და ტკბილი, ვითარ უგულებელსყვნებს შვილნი თჯსნი, იხილნებს რავ ჭირსა შინა და იწროებასა? ვინათგან კაცნიცა არა თავსიდებენ უგულებელსყოფად შვილთა თჯსთა, სახიერმან მან მამამან და დამბადებელმა უგულებელს – ყვნესა? – ნუ იყოფინ... და ამისთვის გიღირს სასოებად მტკიცე, ვითარმედ უეჭუელად მოგცეს ჟოველივა, რომელი გიკმს. რამეთუ დამბადებელი არს ბუნებისავ და ჭეშმარიტებით იცის, რავ-იგი უჭხმს ბუნებასა” (იოანე ოქროპირი 1996:58-59).

ამასვე გვესიტყვება ლუკა მახარებელიც თავის სახარებაში (შდრ. ლკ. 12.22-30).

წმიდა წერილზე დაყრდნობით ბრძანებს, აგრეთვე, წმ. პეტრე მოციქული: “ყოველივე ზრუნვად თქუენი მიუტევეთ მას, რამეთუ იგი იღუწის თქუენთვს” (პეტ. 5,7)

ყოფითი პრობლემებისაგან გარკვეული უზრუნველობა და მცნებათამიერი პასუხისმგებლობა განაპირობებს საღვთო სწავლების ერთგულებას: “... მას თავადსა მიუტევოთ ყოველი ზრუნვად ჩუენი, ხოლო ჩუენ უზრუნველ ვიყვნეთ და მზა მოქმედებასა შინა მცნებათა მისთა” (განმარტება...2003:400).

წმ. პავლე მოციქული კი ამბობს: “ნურარას პზრუნავთ, არამედ ყოვლითა ლოცვითა და ვედრებითა მადლობით თხოვანი ეგე თქუენი საცნაურ იყვნედ ღმრთისა მიმართ” (ფილიპ. 4,6).

მწირი საზრუნვები, სასურველი როდია, რომ ღვთის მოლოდინის სიხარულს აბნელებდნენ. “უწინარეს ყოვლისა შეწევნა უფლისაგან უნდა ვეძებოთ, მას უნდა მივმართოთ ლოცვით, ლოცვითი განწყობილებით და ვედრებათა ნაირგვარობით, იმ საჭიროებათა გაცნობიერებით, რომელიც კონკრეტულ უამს შეიგრძნობა. მაგრამ ღვთისადმი თხოვნას ჩვენ უნდა შევუერთოთ სამადლობელი უფლისაგან მონიჭებული სიკეთებისა” (განმარტებითი... 1913:298).

განსაცდელთა ზგაობისას სასოება საფარველია საწუთოსთან მებრძოლი ადამიანისათვის: “რამეთუ დამფარა მე კარავსა შინა მისსა დღესა ბოროტა ჩემთასა, დამიფარა მე დაფარულსა კარვისა მისისასა, კლდესა ზედა აღმამაღლა მე” (ფს. 26,5).

ცოდვათა მიზეზით მწუხარებას მიცემული, მაგრამ უფლის მსასოებელი პიროვნება, დათის “სიხარულად” სახელმდებელი, “ჭირთან” მიმართებაში “შესავედრებელად” მოიაზრებს შემოქმედს: “შენ ხარ შესავედრებელი ჩემი ჭირისაგან, რომელი გარე – მომადგეს მე; სიხარულო ჩემო, მიგსენ მე მათგან, რომელთა გარე – მოუცავ მე” (იქვე. 31,7)

მწუხარებით შეპყრობილი და უდონო ქმნილი სულის ნუგეშინისმცემელი არის უფალი; ადამიანის მხსნელი და მაცხოვარი: “რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნებ მე? ესევდ დმერთსა, რამეთუ მე აუვარო მას, მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და დმერთსა ჩემსა” (იქვე. 41,5).

უბედურების ჟამს უფალი თავშესაფარია მორწმუნე და მსასოებელი ადამიანისა. იერემია წინასწარმეტყველი ამბობს: „ნუ მექმნები მე უცხო, მრიდებელი ჩემი დღესა შინა ბოროტსა(17,17)“; „უფალო, ძალო ჩემო და შემწეო ჩემო და მისალტოლველო ჩემო დღეთა შინა ძვრთა ჩემთასა შენდამი...(16,19)“;

ზნეობრივი სრულყოფისაკენ მსწრაფ ადამიანს დათის იმედი უნდა პქონდეს დევნისა და შეჭირვების ჟამს. წმიდა წერილში ამგვარი სულიერი მდგომარეობის მაგალითები უხვადაა: “ხოლო მე წყალობასა შენსა ვესავ [უფალო]” (ფს.12,5). ეს გახლავთ იმედი უფლის ყოვლად მდიდარი და ამოუხაპავი წყალობისადმი.

დაშინება ადამიანისა, რომელსაც შემწედ უფალი პყავს, შეუძლებელია. ბოროტების საფრთხე ყოველთვის არსებობს, მაგრამ ეს არ არის არსებითი. არსებითი არის ის, რომ შეჭირვების ჟამს დმერთი არ ტოვებს მის მოიმედეს: “უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა; ვისა მეშინოდის? უფალი შესავედრებელ არს ცხოვრებისა ჩემისა; ვისგან შევძრწუნდე” (ფს. 26,1); და: “უფალი არ მწე ჩემდა, არა შემეშინოს; რაო მიყოს მე კაცმან?” (იქვე, 117,6).

დათის მოიმედე ადამიანისთვის უცხოა ის შიში, რასაც მტერთა მზაკვრობანი აღძრავენ ხოლმე: “დღისი არა მეშინოდეს მე, რამეთუ მე შენ (უფალს – მ.გ.) გესავ” (ფს. 55,3).

დათის მცნებათა ერთგულო და ზნეობითი სჯულით ცხოვრებულო უფლისადმი სასოება აქვთ თვით სიკვდილის სიახლოვესთანაც. ამქვეყნიური

აღსასრული იმედითაა ნუბეშინისცემული (შდრ. ტარიელისა და ნებტანდარეჯანის მიმართება სიკვდილთან), რადგან დვთის მსასოებელ ადამიანს ლრმადა აქვს გაცნობიერებული ის ჭეშმარიტება, რომ ლმერთი არ ტოვებს “თავის გლახაკს” არც სიცოცხლეში, არც სიკვდილში. იობი ამბობს, რომ დვთის იმედი ექნება, თუნდაც (მისივე სიტყვებით) „„კელთ-მიდვას მე ძლიერმან მან“ (იობი. 13,15).

ფსალმუნიც ამასვე დაღადებს: “ვიდოდიდათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ...” (22,4).

ეს ერთობა, დვთისგან ბოძებული და მისგან მომდინარე, სწორედ ის მთლიანობა და განუყოფლობაა, რომელიც უფალმა აღუთქვა თავის მოწაფეებს და მათი სახით – ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანს: „„აპა, ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“. (მთ. 28,20).

პავლე მოციქულიც დვთისადმი სასოებას გვასწავლის, როცა სიკვდილის შესახებ საუბრობს. საკუთარ თავზე და ადამიანურ შესაძლებლობებზე დამყარებული იმედი ფუჭია და ყოვლად უნაყოფო, განსაკუთრებით კი – აღსასრულის ჟამს: “არამედ თუთ თავით თუსით განჩინებად იგი სიკუდილისა მოგუედო, რავთა არა ვესვიდეთ თავთა ჩუენთა, არამედ ლმერთსა, რომელმან იგი აღადგინის მკუდარნი. რომელმან ესევითარისა მის სიკუდილისაგან მიგსნა ჩუენ, და მიგსნის, რომელსა-იგი ვესავთ, ვითარმედ მერმეცა მიგსნეს” (2კორ.1, 9-10).

ყოველგვარ იმედს თავისი კონკრეტული მიზეზი აქვს. დვთის იმედის მიზეზი და განმაპირობებელი კი თვით უფლის თვისებებია, მისი შეწევნანი და წყალობანი, რაც მორწმუნე ადამიანისათვის ცნაურდება ყველგან და ყველაფერში: ეს არის დვთის სახიერება, ჩვენდა მომართ გამოვლენილი მისი კეთილისმყოფელობა, წყალობა, მზრუნველობა, შეწევნა, მფარველობა და ა.შ. წმიდა წერილში ყოველივე ამის აურაცხელი მაგალითია. ფსალმუნი ამბობს: „„სთნდეს უფალსა მოშიშნი მისნი და რომელნი ესვენ წყალობათა მისთა“ (146,11) წინასწარმეტყველი ნაუმიც გვაუწყებს: „„ტბილ არს უფალი მოთმინეთა მისთათუს დღესა ჭირისასა... (1,7).“

დვთის წყალობა აღძრავს მორწმუნეთა სასოებას, როგორც ამას ცხადყოფს წმიდა წერილის შემდგომი ადგილები: „„წყალობავ შენი, უფალო, თანა-მავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, დამკვიდრებად

ჩემდა სახლსა უფლისასა, განგრძობასა დღეთასა” (ფს. 22,7); “აპა ესერა თუალნი უფლისანი მოშიშთა მისთა ზედა და რომელნი ესვენ წყალობასა მისსა” (იქვე. 32,18); “ვითარ განამრავლე წყალობად შენი, დმერთო, ხოლო ძენი კაცთანი საფარველსა ფრთეთა შენთასა ესვიდენ” (იქ. 35,7); “ესავს სული ჩემი უფალსა საკუმილითაგან განთიადისა მიმწუხრამდე. საკუმილითგან განთიადისა ესევდინ ისრაელი უფალსა. რამეთუ უფლისა მიერ არს წყალობად, და მრავალ არს მის მიერ გამოხსნაა” (იქ. 129, 6-7).

წმიდა წერილში ცხადჩენილი სხვა აურაცხელი მაგალითი სასოებისა შესაძლებლობას ქმნის, დავასკვნათ შემდეგი: სასოებას, მრავალგვარ სათნოებასთან ერთად, აპირობებს, აგრეთვე, ღვთის კეთილისმყოფელობა და უფლის ახლომყოფობის შეგრძნებაც. მსასოებელნი „გარეშეცულნი“ არიან საღვთო შეწევნით, განცხოველებულნი არიან არა მხოლოდ სულიერად, არამედ ხორციელადაც. უფლისადმი სასოებით მიმართული მტკიცეა და მეტროვა მოღვაწეობისა. იგი ჯილდოვდება ღვთისაგან როგორც ამქვეყნიურ, ისე იმქვეყნიურ ცხოვრებაში. სასოება სიმართლესა და მშვიდობას უმკვიდრებს ადამიანს, განაპირობებს საღვთო ცოდნას, სულიერ სიხარულს, ლოცვით სათნოებას, სამეუფო გზით მსლენდობას. ღვთისადმი მსასოებელი არა მხოლოდ ნეტარებითაა აღსავსე, არამედ უდიდესი ზნეობითი პასუხისმგებლობის წინაშეც დგას: იგი მოგალეა მიემსგავსოს შემოქმედს და მისი ღვთაებრივი სიწმიდის მსგავსად განიწმიდოს თავისი თავიც, რათა ამქვეყნადვე განწმენდილი მარადიულ სასუფაველში, წმინდა იოანე ოქროპირის თქმით, საღმრთო ხედვისა და ცნობის ღირსი გახდეს: „...ყოველსა რომელსა აქუნდეს სასოებად ესე მისა (ღვთისა-მ. გ.) მიმართ, განიწმიდოს თავი თჯსი, ვითარცა იგი წმიდა არს“ (იოან. 3,3).

ამგვარად მოიაზრებს სასოებას წმიდა წერილი. შესაბამისად ამგვარადვე ჭვრებენ ამ სათნოებას ეკლესიის მამები.

სათნოებათა ანი და პოე სიყვარულია. სიყვარულის სჯულის აღსრულებას თან მოსდევს საღვთო სასყიდელი, უფლისმიერი ჯილდო და საჩუქარი, რომლის მოლოდინიც სასოებით ხორციელდება. წმ. იოანე სინელი თავის „კლემაქსში“ სასოებას „სიყვარულის ძალას“ უწოდებს, რომელიც ზნეობითი სრულყოფილების უცილობელი თანამდევია. „ძალი სიყვარულისად, სასოებად არს, რამეთუ მის მიერ მოველით სასყიდელსა სიყუარულისასა“ (იოანე სინელი 1996:30).

საღვთო სასოება ადგეჭდილია წარუგალობის, მარადიულობის ნიშნით. იგია “განუპარველი” საუნჯე, ადამიანის ქვეყანაზე დამაპურებელიც და ზეცაში დამამკვიდრებელიც. “სასოება არს უცნაურისა სიმდიდრისა სიმდიდრე... შეუორგულებელი პირველ საუნჯისა საუნჯე” (იოანე სინელი 1996:31).

დვაწლი და შრომა ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან. საკუთარი თავის იძულებასთან. ხილულ და უხილავ ბრძოლასთან. ყოველივე ამის ატანას, დათმენას განაპირობებს იმედი, რომელიც ამსუბუქებს სიმძიმეს, “განუსვენებს” დვაწლში მყოფს, განიოტებს უიმედობას, როგორც უმოქმედობას, სტატიურობის მიზეზს და შეჭყავს ადამიანი სიყვარულში, რადგან ჰეშმარიტი და უქცეველი ბჭეა სიყვარულისა: “სასოებად არს შრომათა შინა განსუენება, და იგი არს კარი სიყუარულისად და იგი არს შემმუსრველი სასოწარკუეთილებისად” (იოანე სინელი 1996:31)).

სასოების მჭვრეტელთ ხელეწიფებათ ზეცის მოხილვა, რადგან ის არის ხატი უხილავი სამყაროსი, მარადიულობისაკენ გაღებული სულიერი სარკმელი, რომელსაც ადამიანის სული და გონება უსასრულობაში გადაჰყავს: “...იგი არს საუკუნოსა მის ხატი” (იოანე სინელი 1996:37),

იოანე კიბისადმწერელის მიხედვით, დვაწლთა და შრომათა მთელი სიმძიმე სასოებაზეა დაყრდნობილი, ხოლო, სადაც ღმრთივსათნო მუშაკობა და დამაშვრალობაა, იქ არც უფლის წყალობა აყოვნებს და გარემოიცავს საღვთო იმედს, რომლის ნაკლულევანებაც სიყუარულის სამწუხარო გაუჩინარებას ასაცნაურებს: “ნაკლულევანება სასოებისად უჩინო ყოფა არს სიყუარულისად, რამეთუ მისდა მოკიდებულ არიან მოღვაწებანი, მას კიდავს შრომანი და მას გარე მოადგს წყალობად” (იოანე სინელი 1996:38).

ყოველი, ვინც სასოების მოქმედია, ვინც არა მხოლოდ გონებითაა დვთის მოიძევე, არამედ ცხოვრებისეული წესითაც მოწმობს დვთისადმი სასოებას, ამარცხებს სულის ვერაგ მტერს, სასოწარკვეთილების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს – მოწყინებას, ანუ უმოქმედობას, პასიურობას, მოღვაწეობისადმი ინდიფერენტულობას, რასაც ხშირ შემთხვევაში ადამიანის სულიერი სიკვდილი მოსდევს. საღვთო იმედით განბრძნობილს ხელთ უფლის ძღვენი – სულიერი მახვილი უპყრია, რომლითაც აღესრულება ძლევა საკვირველი: „... სასოებისა მუშაკი მკვლელი არს მოწყინებისა, რამეთუ მახვილითა სასოებისათა დაკლავს მას” (იოანე სინელი 1996:39).

მაგრამ სასოებაში განმტკიცებამდე აუცილებელია დვთის მადლში მყოფობა, ზეგარდამო ნიჭთა თანაზიარება, სარწმუნოების პირველსაფუძვლებში წარმატება, სიბრძნის დასაბამის ცოდნა. ფსალმუნის მიხედვით, სიბრძნის დასაბამი უფლისადმი შიშია, რომელიც მიზეზია ყოველი კეთილისა, და, თუკი პიროვნების ღწვა არ გულისხმობს სულიერ – ზნეობითი ზრდის ამ ეტაპებს, ვერანაირად ვერ შეიმეცნებს სასოებას, რამეთუ სულიერი ზნეობრივი სიმაღლისაკენ სწრაფვა უცილობლად გულისხმობს ამაღლების თანდათანობას: “გემოს-ხილვა ნიჭთა უფლისათა შობს სასოებას, ხოლო რომელთა არა უხილავთ გემო მათი, არ ძალუცს მათ, რომ არ ექმნეთ იჭვნეულება” (იოანე სინელი 1996:40).

ამბა თალასე, როცა სიყვარულის, მარხვისა და სულიერი მოქალაქეობის შესახებ საუბრობს, წარმოაჩენს სულიერ-ზნეობითი ზრდის ეტაპებს: ა) სარწმუნოება; ბ) სიყვარული; გ) გულისხმისყოფის ნათელი. ამ უკანასკნელს თან მოხვევს სათნოებათა რიგი: შიში ღმრთისა, მარხვა, შრომათა თავსდება, დვთისადმი სასოება, უვნებელობა და სიყვარული: “მოვიგოთ სარწმუნოებად, რაოთა მოვიგოთ სიყუარული, რომლისაგან იშვების ნათელი გულისხმისყოფისად, გულისხმისყოფასა მოგებასა ესე სათნოებანი შეუდგან: შიში ღმრთისად, და მარხვად გემოთაგან და თავსდებად შრომათად და სასოებად ღმრთისად და უვნებელობად და სიყვარული“ (თალასე 1989: 450).

სასოება, ისევე როგორც სიყვარული, “ურცხვენელია”. მას, სხვა ნიჭთა მსგავსად, ჰყავს თავისი მტერიც – გულისწყრომა. ეს უკანასკნელი კი ცოდვისა და სირცხვილის შვილია, რომელიც ადამიანში ზეობისას განიოტებს იმედს: “სასოებას დახსნის გულისწყრომა, რამეთუ სასოებასა არა სადა რცხვენეს, ხოლო გულისწყრომა საქმე არს სირცხვილისა, სიტყვისაებრ სოლომონისა” (თალასე 1989:450).

ამიტომაც მართებს სულიერი სრულყოფისაკენ მიმავალს გულისწყრომასთან ბრძოლა და მისი ძლევა.

წუთისოფელი “დაუდგრომელია”, ცვალებისა და ქცევის მონა-მორჩილი, მსგავსად ამისა, მისდამი მინდობაც აზრს მოკლებულია. რაც შეეხება სადვთო სასოებას, იგი უცვალებელია და როგორც უფალთან არ არის “ქცევის აჩრდილი”, ასევე უფლისმიერი სასოებაც ასეთი უქცეველობის ბეჭდითაა ნიშანდებული: “რომელმან მოლოდებადთა სასოებათა გემო იხილოს, მოიძაგებს

საწუთროთა ამათ, რამეთუ ყოველსავე სურვილსა წარმოაცალიერებს“ (თალასე 1989:67).

საწუთროსადმი უნდობლობის და საღვთო სასოებისადმი სიყვარულს გვამცნობს წმ. ეფრემ ასურიც: „სული სავსე არს სასოებითა და მინდობითა საღმრთოთა. და არა აქუს ადგილი ზრუნვასა შესავალად მისა, ვინაითგან სასოებად მისი ჭეშმარიტ არს მის თანა, და უკუეთუ მოაკლდეს სასოებად, შეაშთოს იგი ზრუნვამან. აწ უპუე ნურას ზრუნავნ კაცი, უკუეთუ დმრთისა მიმართ დაუც სასოებად თუსი, რამეთუ დმერთი სიმდიდრე არს მოუკლებელი და უზრუნველად გარდამოადენს კეთილთა მისთა, რამეთუ იგი არს სავსე დაულევნელი, და რომელმან მოიგო იგი, მას დაუთრგუნავს ზრუნვად“ (ეფრემ ასური 2005:247).

ეფრემ ასურის მიხედვით, ნეტარია მოთმინების მომგები ადამიანი, რადგან მოთმინება შობს სასოებას და ეს უკანასკნელიც ცნაურდება მთელი თავისი სიდიადით: “ნეტარ არს, რომელმან მოიგო მოთმინებად, რამეთუ მოთმინებად სასოებასა შეიქმს, ხოლო სასოებამან არა არცხანის” (ეფრემ ასური 2005:308).

მიუხედავად იმისა, რომ საწუთროსეული სულისათვის ნიშანდობლივია ბრძოლა და განსაცდელი, შრომა თუ ტანჯვა, ჭეშმარიტ სასოებას ვერ არყევს იგი, რადგან საღვთო სიბრძნე მოუცილებლად ადუდაბებს ადამიანთან საზენაო იმედს: “კაცი ბრძენი განსაცდელთა შინა არა წარჰკუთს სასოებასა”, – ამბობს მაკარი დიდი (მაკარი დიდი 2005:404).

მამათა სწავლებებში აურაცხელი ნიმუში და მაგალითი ასაცნაურებს სასოების ლვთაებრიობას, რომელთა სრული მოხმობა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ეს არის ლვთისმეტყველების ამოუხაპავი საცავი. შემოვიფარგლეთ რა რამდენიმე ნიმუშის ილუსტრირებით, სასოების შესახებ მამათა ნააზრევს განვასრულებო წმ. ოოანე ოქროპირის სიტყვებით: “ყოველი ადამიანი საქმის აღსრულებისას იმედით სულდგმულობს – გლეხი, მეზღვაური, მიწისმოქმედი და ა.შ., რათა დროებითი სიძნელეების გადატანით მიიღონ ასევე დროებითი, მიწიერი სიკეთები. მსგავსად ამისა უნდა მუშაკობდეს სულიერ ყანობირში მოქმედი და აღივსებოდეს ზეციური სიკეთების იმედით, არ დრტვინავდეს, არამედ სასოებდეს დმერთს, რათა წილი ჰქონდეს მას აბრაამის წიაღში” (სრული...1903:992).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წმიდა წერილის სჯულდება და ეკლესიის მამათა კომენტარები სასოების სათხოების შესახებ, შეიძლება ასე

ჩამოყალიბდეს: ჭეშმარიტია სასოება, როცა იგი ნასაზრდოებია წარუგალობით, მიმართულია ღვთისადმი და არა—ამქვეყნიურისადმი. სასოებას ღვთისადმი რწმენა შობს, მისი ზრდა-განვითარება კი ნაყოფია საღვთო მადლისა და პიროვნების აქტიური მოღვაწეობისა, საკუთარი თავის იძულებისა და დიდი ძალისხმევისა. სასოება სულიერ და ფიზიკურ შესაძლებლობათა მამოძრავებელი ძალა გახლავთ, რომელსაც შემოქმედთან დამსგავსებისკენ მიჰყავს ადამიანი. მსასოებელი ადამიანი ნეტარია და განსაცდელთაგან შეუძვრელი. უფალი იცავს მისადმი მოიმედეს, იბრძის მის ნაცვლად, შეეწევა და განამტკიცებს მას. სასოება არის საღვთო სიმართლე, უფლის მაღლი და წყალობა, ამაოებისაგან განსვენება და ღვთივსათნო უზრუნველობა. სასოება ძალად სიყვარულისა, ხსნის კარიბჭე, უცნაური და უხილავი სიმდიდრე, დაუცარიელებელი საუნჯე, მაშვრალთა განსვენება, ზეციური ქალაქის ხატი, სასოწაკვეთილების შემმუსრველი და ადამიანის განმამბრძნობელი. სასოება არის არა მხოლოდ სულიერი ზნეობითი სამყაროს თვისება ადამიანში, არამედ იგია პრაქტიკული მოღვაწეობაში ცხადჩენილი, ცხოვრებისეული წესით აღსრულებული. ხშირია შემთხვევა, როცა იმედი ცნაურდება არა სიტყვით, არამედ საქმით, რაც უპირველესი ნიშანია მაღალი სარწმუნოებისა, როგორც ამას სახარებისეული სწავლების მიხედვით გვიყალიბებს წმიდა იაკობ მოციქული თავის კათოლიკე ეპისტოლეში: „... ვითარცა ჭორცნი თვისება სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებად თვისება საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკ. 2,26)

ასეთივე „ვეფხისტყაოსნისეული“ სასოებაც. საღვთო იმედი ასულმდგმულებს ნაწარმოების პერსონაჟებს, განმსჭვალავს მათ ცხოვრებისეულ წესს, საქმეებს, სიტყვებს. ეს უკანასკნელი ღალადებენ იმ სასოების შესახებ, რომელიც ასე ღვთაებრივად იცის წმიდა წერილმა. „ვეფხისტყაოსნის“ სასოება, ისევე როგორც სარწმუნოება და სიყვარული, წმიდა წერილიდანაა ამოზრდილი. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

როსტევან მეფე, მას შემდეგ, რაც უცხო მოტირალმა პიროვნებამ ყმები დაუხოცა და მდევარი მეფის შემხედვარე გაუჩინარდა, გამოუთქმელმა სევდამ შეიპყრო. სევდამ ისე იმძლავრა როსტევანში, რომ სასოწარკვეთილების მოდასტურე სიტყვები ათქმევინა:

“ბრძანა: “ღმერთსა მოეწყინა აქამდისი ჩემი შვება,  
ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანავდლება,

სიკვდილამდის დამამწულულა, ვერგის ძალ-უცს განკურნება”  
(99).

როსტევანის სიტყვები მის მძაფრ შინაგან შეჭირვებას ცხადყოფს. უფლის მოიმედე ადამიანი თითქოს უსასოებითაა დათრგუნული, მაგარამ იქვე დვთისადმი აღვლენილი სამადლობელი, მისი კეთილგანგებულებისადმი მორჩილება და საღვთო ნების გაცნობიერება წარმოაჩენს მეფის პიროვნებაში არსებულ მაღალ სათნოებას სასოებისას: “...მასვე (ანუ დმერთს-მ.გ.) მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება” (იქვე).

თუმცა სიტყვით განცხადებული იმედის მეყსეული საქმითი რეალიზება როსტევანის მხრიდან ვერ ხერხდება. მას ამისთვის შემწე დასჭირდა (და ისიც მოევლინა მას თინათინის სახით), მაგრამ სასოების სრულ მიმთხვევამდე მევა შვილთან საუბრისას ასაცნაურებს იმ სევდას და უსასოობას, რომელიც მან, სიტყვიერი ძლევის მიუხედავად, შინაგანადმაინც ვერ დათრგუნა. ეს სულიერი სიმძიმილი ხდება მიზეზი იმისა, რომ როსტევანს თავი “დვთის მოძულებულად” მიაჩნია: “უცილოდ დმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარულიო” (111), ამბობს სევდა მოძალებული (თუმცა აქაც და ყველგან ავთანდილთან, ტარიელთან, ფრიდონთან, თუ ასმათთან უიმედობა და სასოწარკვეთა მხოლოდ დროებითი მოვლენაა, არა არსებითი და არა ორგანული. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები დვთის გმობამდე არასოდეს მიდიან, თუმცა დვთისაგან დავიწყებულად მიიჩნევენ ხოლმე თავს). როსტევანი თინათინთან კვლავ უბრუნდება თავის საბოლოო “გამწარების” აზრს:

“ტკბილნი მისნი (დვთის, მ.გ) წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,  
დამავიწყდეს, რაცა დდენი მხიარულსა წამეარნეს,  
ყოვლმან პირმან ვაგლას მიყო, ვეღარავინ მინეტარნეს.

სადამდისაც დდენი მესხნეს, ვეღარამან გამახარნეს!” (112).

მაგრამ როსტევანი მეფისათვის, ასეთი მწუხარე ხასიათის განცხადების მიუხედავად, უცხო არ არის საღვთო სიმართლე და ჭეშმარიტება. მას თითქოს სჭირდება თავისი შინაგანი ცოდნის, მიხვედრილობის გარეგნული მოდასტურე, მოწმე დიდი სულიერი ცოდნისა, ისევე როგორც ტარიელს-ავთანდილი. თინათინიც, ხორცქმნილი კეთილგონიერება, საბოლოოდ უფანტავს მამას ყოველგვარ იჭვნეულებას, სევდა-უსასოობას და დასრულებული სახით ამოამზევებს სასოებითს განწყობილებას:

“ქალმა ჰკადრა: “მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა:

ჰე, მეფეო! რად ემდურვი ანუ დმერთსა, ანუ ბედსა?

რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტპბილად მხედსა?”

სიმშვიდით, საღვთო უზრუნველობით აღუვსებს გულს მშობელს, მოიმედე იმისა, რომ ყოველივე დაფარული განცხადდება და გაურკვეველსაც ნათელი მოეფინება.

უცხო ყმის მოსაძებნად შემზადებულ ავთანდილს კარგად აქვს გაცნობიერებული მთელი სირთულე ამ ძიებისა. განსაცდელთა სიმრავლის განცდა აძლიერებს მის სიფრთხილეს და კეთილგონიერებას. მან იცის, რომ შესაძლოა ცოცხალი ვეღარ დაბრუნდეს სამშობლოში, ამიტომაც აკვალიანებს იგი თავის ერთგულ ყმას – შერმადინს, ასწავლის, თუ როგორ მოიქცეს სხვადასხვა შემთხვევის ქამს და ამ სწავლის პროცესში წარმოაჩენს იმ სასოებას, რომლითაც წარემართა იგი ძიების გზაზე: “...კვლავ ნუთუმცა შემოვიქცე, დმერთმან სრულად არ დამკარგა” (163).

შემთხვევით არაფერი ხდება, არ არსებობს ბედისწერა, არამედ ყოველივე ღვთის ყოვლადკეთილ განგებულებას ექვემდებარება, და თუ ადამიანი საღვთო საფარველის ქვეშ არის, თუ ანგელოზთა დასი იცავს ადამიანს, ნებისმიერი განსაცდელი დაიძლევა, რაც არ უნდა მარტო იყო, ადამიანი ფიზიკური თვალსაზრისით:

“განგებაა სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;

მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი” (164),-

ეუბნება ავთანდილი შერმადინს. მისი ეს სიტყვები ცხადყოფენ ღვთისადმი სრულ ნდობასა და სასოებას.

სამი წლის განმავლობაში (ეს არის თინათინთან დათქმული დრო) ავთანდილმა “ყოველი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა”(182), მაგრამ არათუ ტარიელი, არამედ მისი მცნობელიც კი არავინ უნახავს. „უცხო მოყმის პოვნის იმედი თითქოს გადაიწურა და ავთანდილთან ერთად მკითხველიც ერთგვარი კატასტროფის წინსაშეა. აქ უკვე მოსალოდნელია ავთანდილის სასოწარკვეთაც. მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს ავთანდილის ხასიათის ნიშანდობლივი თვისება: ნებისყოფის სიმტკიცე, პერსპექტივის ბრძნული განჭვრეტა“ (ბარამიძე 2000:170). ამოწურულია ადამიანური შესაძლებლობანი და ავთანდილი მძიმე არჩევანის წინაშე დგას: თუ “ხელცარიელი” დაბრუნდება იგი სამშობლოში, უცხო ყმის ამბავის არმსმენელი, მაშინ ერთგვარი სირცხვილის გადატანაც მოუწევს მიჯნურის წინაშე, რადგან არათუ მართალი ამბავი, არამედ

ჭორიც კი ვერ შეიტყო ტარიელის შესახებ, მეორე მხრივ, თუ დროულად არ დაბრუნდება იგი, მას მკვდრად შერაცხენ, გლოვას გამართავენ და ამის შემდგომ იქ ცოცხლად გამოჩენა სირცხვილია. ასე რომ, ავთანდილის ფიქრები მწუხარეა და მისი მდგომარეობა, ადამიანური თვალთახედვით, სრულიად უნუგემო, მაგრამ ყოველივე ამის მიღმა არსებობს საღვთო სიმართლე, იმედი, მორჩილება განგებულებისადმი, “დათმობა” ლვთისადმი. სტრიქონებს შორის უხმოდ დაღადებს საუფლო ლოცვის სიბრძნე: “იყავნ ნებავ შენი...” და სასოებით ნუგეშისცემული ავთანდილიც ამბობს:

“...დათმობა სჯობს,... და თავსავე ეუბნების:

“დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული ჩემი ნუ დადნების,  
უდმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების,  
განგებასა ვერვინ შეცვლის, არ საქმნელი არ იქმნების” (190)

მაგრამ ამ სიტყვებამდე ავთანდილსაც დაუუფლა სასოწარკვეთა. იგი ისევე ჩივის, როგორც ერთ დროს როსტევანი. თუმცა კეთილგონიერი ადამიანის უსასოება იმით განსხვავდება ყოვლითურთ უსასოთაგან, რომ მათთვის, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, სასოწარკვეთილება არსებითი მდგომარეობა არ არის, ეს არის ფიქრის ჭიდილი, ბრძოლა დაცემულ, ქვენა ბუნებასთან, ბრძოლის გარეშე კი არ არსებობს ამქვეყნიური ცხოვრება. აი, ამ ბრძოლის გამომხატველი სიტყვებიც:

“...დმერთო სამართალი შენი ჩემთვის რად ამრუდენ?

მე ეზომნი სიარული კიდე რად, გლახ გამიცუდენ,

გულით ჩემით სიხარული აღფხვრენ, ჭირნი დააბუდენ?

დღეთა ჩემთა ცრემლი ჩემნი ვერაოდეს დავიყუდენ” (189).

ეს გახლდათ ბრძოლის პროცესი, შინაგანი ძვრა, რაც ამ შედეგით დასრულდა: “...აწ ტირილი არას მარგებს, ცუდად ცრემლი რასა მდიან” (192). სასოწარკვეთისა და შეჭირვების ცრემლი სასოებამ ამოაშრო.

ადამიანებისაგან განრიდებული, ტყე-დრეს მიცემული მიჯნურის ვერმპოვნები ტარიელი სიკვდილს ნატრობს. მას წარწირული აქვს სასო - ბედნიერებისა – ნესტან-დარეჯანთან შეყრისა. იგი ცრემლითა და ტირილითაა “შემწვარი” (იობი). ამიტომაც უიმედობა ჩვეული გამხდარა მისთვის. მაგამ მის სულში საბოლოოდ როდიდ გამქრალი სასოების ნაღვერდალი. იგი მიმალულია ისე, რომ თვით მისმა პატრონმაც არ იცის ამის შესახებ. ეს ნაღვერდალი გახდება შემდგომში მიზეზი ტარიელის მობრუნებისა, როცა ლმერთი მას

ავთანდილს მოუვლენს „განსაცოცხლებლად“. ჩივილი ბედისადმი ტარიელისთვის დამახასიათებელია, მაგრამ, რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ მისი, ერთი შეხედვით, მართლაც გამოუვალი მდგომარეობა. ეს „გამოუვალი მდგომარეობა“ კარგად აქვს გაცნობიერებული თავად ტარიელს, ამიტომაც ეუბნება იგი მის გასამხნევებლად შემართულ ასმათს:

„...არ არის ქვეყნად წამალი ამა წყლულისა!

ვის ძალ-უც პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ-მოსრულისა?

ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა.“ (274).

აქედან გამომდინარე, სიკვდილის სიხარულად შემრაცხელ ტარიელს ამქვეყნად დაბადებულადაც არ მიაჩნია ადამიანი, ვისაც კი მისი შველა შეუძლია. იშვიათია შეჭირვების ამგვარი სიმძაფრე, მაგრამ თვით ამ სიმძაფრის უამსაც კი არ არის დაკარგული მოლოდინი რაღაც უფრო მეტისა, ვიდრე ეს რეალობაშია. ტარიელი დარწმუნებულია, რომ ლმერთმა ასე განაგო მისი ცხოვრება, მისი ბედი (“დმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე” (277)), და თვით, საკუთარი ძალებით, ვერაფერს გააწყობს, მაგრამ სწორედ რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით. აი, აქ, მართალია, ფარულად, მაგრამ მაინც ხმიანებს სასოება, რასაც გამოხატავს ტარიელის პოზიცია. იგი კეთილგონიერებისკენ, მდვიძარე გონებისკენ მის მომწოდებელ ასმათს თავის აზრს უზიარებს „შემწე ადამიანის“ შესახებ და ცხადყოფს დვთის წყალობისადმი მოლოდინსა და მზადყოფნას: “კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავბადე” (274), ანუ, თუ ერთი მხრივ, ტარიელის თქმით, ვერავინ იპოვის მის მშველელ ადამიანს, რომელიც დაბადებითაც კი არ დაბადებულა, მეორე მხრივ, დაშვებულია ასეთი ადამიანის არსებობა, ოღონდ არა დვთის შეწევნის გარეშე. ავთანდილის მეგობრობა კიდევ უფრო გააძლიერებს ტარიელის სულში ჩამარხულ სასოებას.

ტარიელის ჭირ-ვარამის თანამოზიარეა ასმათი. ძნელია ერთგულების მსგავსი მაგალითების პოვნა. ეს არის მოყვასობის მაღალი სათნოების ხორცქმნა. ასმათის მსხვერპლად სწირავს საკუთარ კეთილდღეობას ძმათმოყვარეობას. მას, ტარიელის მსგავსადვე, აწუხებს ნესტან-დარეჯანის გაუჩინარება, მის თვალზეც არ შემშრალა მწუხარების ცრემლი, მაგრამ მას ღრმად სწამს დვთის წყალობისა. იგი მოქენეა უფლისა და დარწმუნებულია, რომ ავთანდილს, როგორც დვთისგან ბოძებულ მეგობარს, ბევრი რამ შეუძლია ტარიელის საკეთილდღეოდ, ოღონდ არა თავისთავად, არამედ მხოლოდ და

მხოლოდ ზენა განგებით. ასმათის მიხედვით, ტყე-ლრეში ხეტიალი და მხეცებთან „მეგობრობა“ არაფრის მომტანია, არადა არსებობს „უკეთესი ნაწილი“, რომელიც მისდამი მსასოებელმა ადამიანმა უცილობლად უნდა „გამოირჩიოს.“ სხვაგვარად, სიცოცხლე ვეღარ გაგრძელდება. „...არს უკეთესი, რაცადა სწადს განგებასა ზენასა“ (302),—ასკვნის ასმათი. დვთის ყოვლადპეთილი განგებულება ყოველთვის უმჯობესს განუწესებს ადამიანს, რაც არ უნდა გაუგებრად ეჩვენებოდეს იგი ამ უკანასკნელს. რომ არა სასოება და იმედით შემტკიცებული შინაგანი სამყარო, მხოლოდ ენა ასმათისა ამ სიტყვებს ვერანაირად ვერ გამოთქვამდა.

მიჯნურის მაქებარი ტარიელი ამაოდ დაშვრომის შემდგომ ხშირად ამხელს თავის სასოწარკვეთას, მაგრამ ნიშნულია, რომ იგი სულში მაინც ინარჩუნებს უკეთესი მომავლის იმედს. და, რაც მთავარია, საკუთრივ დმერთს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსად და არასდროს არ გმობს, მსგავსი მკრეხელობა აბსოლუტურად უცხოა ტარიელისთვის. „რომე სრულად მომიძულვა, დმერთსა თურე ასრე ვსძაგდიო“ (587),—ამბობს სევდაშეპყრობილი ვეფხისტყაოსანი მოყმე, მაგრამ იქვე, ყველა თანმხელების დახოცვის მომსწრეც კი, დვთის ნებისადმი სასოებითაა გამსჭვალული და მზად არის ის ადასრულოს, რაც დმერთს უნებებია: „...დმერთსა ვერას ვჰკადრებ, რაცა სწადდეს, აგრე ვყოცა“ (588).

ჭირმა თანმხელებნი ამოუწყვიტა ტარიელს. სხვებიც, დარჩენილები, გაიფანტნენ, მაგრამ რაინდმა იცის, რომ დვთისაგან როდია განწირული ისე, როგორც შეჭირვება-განსაცდელისაგან: „...კაცსა დმერთი არ გასწირავს ასრე, მისგან (ანუ ჭირისაგან – მ.გ.) განაწირსაო“ (589), – ეუბნება იგი ავთანდილს. დმერთი არავის სწირავს და არავის სჯის, რადგან მისი ყოვლადსახიერებისათვის სრულიად უცხოა ტანჯვა და სასჯელი. „ნუ ვინ განცდილთაგანი იტყვნ, ვითომედ: დმრთისა მიერ განვიცადები, რამეთუ დმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი, არამედ კაცად-კაცადი განიცადების თვისისაგან გულის-თქუმისა, მიიზიდვის და სცოების. მერე გულის-თქუმავ იგი მიუდგის და შვის ცოდვავ იგი სრულ იქმნის და შვის სიკვდილი (იაპ. 1. 13-15).“

წმ. იოანე ოქროპირი ასე განმარტავს ამ შემთხვევაში წინამდებარე პრობლემის განსახილავად მეტად საყურადღებო მუხლს იაკობ მოციქულის ეპისტოლედან: „...ამას გულის-სიტყვათა ვნებულთა ზედა აღდგომისათვს იტყვს, რომლისა მიზეზ არავინ არს სხუა, თვინიერ უდებებავ გონებისავ და

უკრძალველობად გულის სიტყვისად ამისთვის ესევითარისა რაისმე შემთხვევისა მიზეზ არავინ არს სხუა, თვის თავზი ჩუენნი... ცხადყო ვითარმედ ღმერთი არც ერთითა რამთ ვის განსცდის ბოროტითა სულისა საგნებელითა, რამეთუ ყოველთა ბოროტთაგან უცხო არს წყაროდ იგი სახიერებისად და მიზეზი ყოველთა ქეთილთამ. ხოლო აწ ცხად ჰყოფს ესევითარისა მის განცდისასა, ვითარმედ ჩუენ კაცნი ვიქმოდით რად ცოდვასა პირველად და მთრგალ ვიქმნებით ბოროტისა გულის-თქუმისა მიერ, რომლითა ვერდარა ვგრძნობდით სიბოროტესა საქმისასა, ხოლო რაჟამს აღვასრულით საქმით სიბოროტე იგი ცოდვისად, მაშინდა დაშრების ყოველი სიბოროტე გულის-თქუმისად და შემოგბჭდის მწარე იგი საწერტელი მხილებისად და იხილვებოდის ჩუენ შორის საქმე წინაუკუმოდ მუცხლ ქუმულთა ლმობისად, და აღიგხნიან მხიარულებითა შვილთ სხმისათა. ხოლო ჩუენ უწინარეს ცოდვისა დამთრგალთა გულის-თქუმისა მიერ არა გულისჯმავავით სიბოროტე საქმისად, ხოლო აღვასრულეთ რად ცოდვად და წარტდის გულის-თქუმად, მაშინდა შემოგბჭდის საწერტელი მხილებისად, რომლისა მიერ მრავალთა შორის იშვის სიკვდილი სასოწარკვეთილებისად” (განმარტება...2003:347).

ასეთი სიკვდილის საშიშროება ექმნებოდა ტარიელსაც, მაგრამ შინაგანმა სინათლემ იხსნა იგი სრული დაბნელებისაგან. ამჯერად ჩვენ არ განვიხილავთ დეტალურად იმ ნაბიჯს, რამაც გამოიწვია ტარიელის ასეთ განსაცდელში ჩაგდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად მისი პრობლემის შემქმნელი არავინ ყოფილა, “თუინიერ თავი მისი.” პოემაში ამას მოწმობს თვით ტარიელისაგან რამდენჯერმე გამოთქმული სინანული საკუთარი შეცდომების მიმართ.

თავისი სულიერი ძმების მსგავად, არც ფრიდონისათვის არის უცხო ლვთისადმი სასოება. იგი დვთის მოიმედეა და, მიუხედავად ტარიელის სიმძიმილის ხილვისა, არ კარგავს სასოებას შემოქმედის მიმართ. მან იცის, რომ ტანჯვას განსვენება მოსდევს, ჭირს – ლხინი, უფალია მკურნალი ყოველგვარი ჭრილობისა და, მისი წყალობით, ყოველი წუხილი განქარდება. ფრიდონის თქმით:

“...ვისცა დმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს,  
მას ლახვარსა მოაშორვებს, თუმცა პირველ გულსა უხებს –,  
იგი მოგვცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვიქუხებს,  
ჭირსა ლხინად შეგვიცვალებს, არაოდეს შეგვაწუხებს” (633).

მხოლოდ უფლისადმი მსასოებელ ადამიანს ძალუმს ამ სიტყვების თქმა. ეს არის გულიდან ამოსული სიბრძნე და არა მშრალი რაციოს ნაყოფი, ცივი გონების კარნახი. ამასვე ეუბნება ავთანდილი საკუთარ გულს. ძმადნაფიცს მოშორებული, სიზმარში მისი ხილვის მონატრული და სევდამოძალებული ძლევს გრძნობათა ჭიდილს. სევდის დასათრგუნავად იგი დათმენის სათნოებას მიმართავს. დათმენა კი ამ შემთხვევაში არა მხოლოდ განსაცდელთა ატანას გულისხმობს, არამედ დვთის ნებისადმი დათმობას, უფლის განგებულებისადმი მორჩილებას, ისევე, როგორც ფსალმუნი გვესიტყვება: “თმენით დაუთმე უფალსა და მომხედა მე”(39,1). ან კიდევ: ”მიუტევე უფალსა ზრუნვად შენი და მან გამოგზარდოს შენ და არა სცეს შერყევად უკუნისამდე მართალსა”(იქ.,54,22). თუ სიხარულს იწყნარებს უფლისაგან ადამიანი, რა თქმა უნდა, მოვალეა კიდეც შეჭირვებანი დაითმინოს და უკიდურეს განსაცდელში მადლიურებდეს უფალს, რადგან სამადლობელი შემოქმედისადმი სხვაგვარად არ გამოითქმება. ასე გვმოძღვრავს საღვროო წერილი, ამას გვესიტყვება ქრისტიანული დვთისმეტყველება, რაც არანაირად არ შეიმეცნება ადამიანის მხრიდან, თუ არა სარწმუნოებითა და სასოებით. ავთანდილის ფიქრიც ამ საკითხს დასტრიალებს თავს. იგი:

“...კვლავ გულსა ეტყვის: “დათმობა პგვანდეს სიბრძნისა წყაროთა.

არა დავთმოთ, რა ვქნათ, სევდასა, მითხარ, რა მოვუგვაროთა?

თუ ლხინი გვინდა დმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა!” (726).

ავთანდილისათვის განყენებული ცოდნა ყოვლად ურგებია, თუ მაღალი სიბრძნე პრაქტიკულ მოღვაწეობაში გაცხადებული არ არის. თუ ადამიანი საქმით არ ადასრულებს მოწოდებულ ცოდნას და არ იცხოვრებს მისი მიხედვით, მაშინ სიბრძნე “ურგები” ხდება. განსწავლა კი მხოლოდ მაშინაა დვთივსათნო, როცა ცოდნას სულიერი სიმაღლისაკენ მიჰყავს ადამიანი. ვისაც არ გააჩნია საღვთო სიკეთეების იმედი, ვინც უფლისადმი მსასოებელი არ არის, მისთვის, რა თქმა უნდა, ყოვლად უცხოა ის, რომ ცოდნას ძალუმს ანგელოზთა დასს შეუერთოს ადამიანი. ზესთა მწყობრთა შერთვის მსასოებელია ავთანდილი, როცა როსტევანისადმი დატოვებულ ანდერძში საუბრობს: “მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა” (780). ტარიელსაც ამასვე ეუბნება ავთანდილი: “არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა: არ იხმარება, რა ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა” (902).

იმავე ანდერძში ავთანდილისეული სასოება წარმოჩენილია დვთის განგებულების ყოვლისმომცველობის განცხადებით:

“რაცა ღმერთსა არა სწადდეს არა საქმე არ იქმნების” (793).

იქვე კიდევ უფრო კონკრეტდება ეს აზრი:

“...არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა...

არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა” (795).

ავთანდილი ღმერთს მიანდობს საკუთარ თავს. იგი ესავს შემოქმედს და ამიტომაც მოსალოდნელი ფათერაკები მის სულსა და გულს სიმძიმედ არ აწევს. ქვემოთმოხმობილ სტრიქონებში ცხადჩენილია სასოებითი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი შინაგანი სიხალისე და სიმსუბუქე:

“რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,

გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად;

თქვენვე გნახენ მხიარულნი დიდებით და დავლა-მრავლად;

მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად” (796).

ერთობ საყურადღებოა ამ სტროფის პირველი სიტყვები “რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად, გარდამხდეს და შემოვიქცე....” ეს პრაქტიკულად ლოცვითი განწყობილებაა, რაც დამახასიათებელია ქრისტიანული ეკლესიის სულისათვის. ცნობილია, რომ თუნდაც დილის ლოცვებში დვთის წყალობათა მოქენენი ეგედრებიან უფალს, რათა ყველაფერი, რაც კი მათ დღის განმავლობაში თავს გადახდებათ, სიხარული თუ განსაცდელი, როგორც დვთის ნება ისე მიიღონ, და უდრტვინელად, მადლობითა და სასოებით დაითმინონ ყოველივე.

რაც შეეხება “ავთანდილის ლოცვას”, შესაძლებელია ითქვას, რომ ეს არის დვთისადმი ავთანდილის სასოების სრული ხატი.

ბუნებრივია, რომ ვისი იმედიცა აქვთ, ვისაც სასოებენ, მას მიმართავენ კიდეც. განსაცდელებისათვის შემზადებულ ავთანდილს, რომელსაც მოყვასის სიყვარული დაატოვებინებს სამშობლოს, მიჯნურს, თვისტომთ უფალი ჰყავს სასოდ და ნუგეშად. “ხმელთა და ცათა” ღმერთს, “უცნაურს და უთქმელს”, უფლებათა უფალს ეაჯება ავთანდილი შეწევნას. საწუთოსაგან შეჭირვებული, საკუთარ “მზეს” მოშორებული მხოლოდ შემოქმედს მიაპყრობს მზერას და მხოლოდ მისი მოიმედეა. ლოცვა პირმშო სასოებისა, სასოების გარეშე იგი პრაქტიკულად არც არსებობს, რადგან ლოცვა მხოლოდ ამაღლებული და მშვენიერი სულით აღბეჭდილი ლამაზი სიტყვები როდია. ლოცვა უპირველესად,

შინაგანი, “დაფარული კაცის” სასოებით გამსჭვალული საუბარია შემოქმედთან. ავთანდილს ლვთის გარდა სხვა არავინ ჰყავს, ამიტომაც ნებისმიერ გზაზე მხოლოდ მისგან ელოდება შეწევნას და განსაცდელებისგან მშვიდობით გადარჩენის შემთხვევაში მსხვერპლის შეწირვას აღუთქვამს უფალს. რა სახის მსხვერპლი შეიძლება იყოს აქ ნაგულისხმევი? პოემის სულიდან გამომდინარე, აქ, რასაკვირველია, არანაირად არ იგულისხმება “ზვარაკები და ვაცები” (ფსალმუნი), არამედ სიტყვიერი მსხვერპლი, სამადლობელით გამოთქმული დიდი სასოება: “შესწირე უფალსა მსხუერპლი ქებისა და მიუსრულე მაღალსა აღნათქვემნი შენი”(ფს.49,14).

ავთანდილის ლოცვა სასოებითი განწყობილებების შესაკრებელია:

“დმერთო, დმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,

შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე;

მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, დამით მავნე გამარიდე!

თუდა დაგრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე”

(811).

როსტევან მეფე, ავთანდილის გაპარვით გულდამბიმებული, რომელიც დრმად არის დარწმუნებული ავთანდილის გამძლეობასა და ჩუბინობაში, და იცის, რომ უცხოეთში შიმშილი არ მოკლავს, უფრო მეტად მისდამი უფლის შეწევნას სასოებს:

“ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირები:

შენ შენი მშვიდდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები,

ნუთუ კვლავ დმერთმან წყალობით გაგიადვილოს ჭირები...”

(824).

როსტევან მეფე არა მხოლოდ ფიქრობს ამგვარად, არამედ სხვათაც მოუწოდებს სასოებითი ლოცვისაკენ, რათა მშვიდობითი გზა მიმადლოს უფალმა ავთანდილს:

“...გამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი,

შევეწივნეთ, მშვიდობისა ნუთუ მისცნეს დმერთმან გზანი! ”(829).

მზეს, სულიერი მზის ხატს, სასოებს ავთანდილი:

”იტყვის: პე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა დამისად,

ერთარსებისა ერთისა, მის უჯამოსა უამისად,

ვის გამორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად,

ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!

ვის ხატად დმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,

შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა...” (836, 837).

სასოწარკვეთილებაში მყოფ ტარიელს იმედისაკენ უკვალავს გზას ავთანდილი:

”დმერთსამცა ვით არ შეეძლო კვლა განკურნება წყლულისა?

იგია მზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესულისა! ” (929).

იქვეა წარმოჩენილი საწუთროს გაუტანლობა და ლვთის წყალობაც, რაც ნუგეშისმცემელია ადამიანისა: ”ნუ გეშის, ლმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია” (931).

აქვეყნიური სულისადმი ნდობა მის მოიმედეს ვერაფრით ანუგეშებს, რადგან თვით განწირულს სხვისი შეწევნა არ ძალუმს. “ამ სოფლისაგანობა” ზეციურ ქალაქს ვერ უმკვიდრებს ადამიანს. იგი ცვალებადი ბუნებისაა, ვერაგია და მოუხელთებელი. თავად მწუხარებისა და ჭმუნვის მორჩილი მისდამი მინდობილს განუქარვებელი სევდით ადავსებს. წუთისოფლის მსახვრალი ხელი, ათასგარი განსაცდელის მომტანი, ყველგან სწვდება ადამიანს, მაგრამ განუზომლად დიდია წყალობა ლვთისა, რომელიც თავის ერთგულს უნუგეშოდ არსად სტოვებს და სოფლისაგან განწირულს ხსნის საფარველით განარიღებს განსაცდელთა ზვაობისაგან. სოფლისმიერი განწირვა და ლვთისმიერი შეწყნარებაა მოცემული შემოქმედისადმი სასოებით გამსჭვალულ შემდეგ სტრიქონში:

“ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!

ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!

მაგრამ ლმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.” (951)

იგივე აზრია მოცემული შემდეგ სტრიქონშიც: “კაცსა ლმერთი არ გასწირავს, თუცა კაცი შეიგებდა” (1362).

მოყვასის სიყვარულის სამსახურში ჩამდგარ ავთანდილს, სამშობლოსგან შორს მყოფს, ისე ძლიერ ენატრება მიჯნური, რომ ლრმა სასოწარკვეთა დაუფლებია. მაგრამ კეთილგონიერება რაინდისა, მისი განსაცდელთაგან ბრძოლის მზაობა, ლვთის განგებულებისადმი მორჩილება და, რაც მთავარია, სასოების მადლი სძლევს სატანისეულ მანქანებას. უკეთესობის იმედი ავთანდილის პიროვნებაში ლვთისეულია და არა სოფლისეული, იგი

“აწ გულსა ეტყვის“ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია,

რას გარგებს მოკლვა თავისა? ეშმა ძმად თურე გმმობია; მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სომობია, მაგრამ თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია. თუ დავრჩეო, ესე მიჯობს, – სიცოცხლისა იტყვის თუსა, – ნუთუ მომხვდეს ნახვა მზისა, ნუ ვიზახი მიწყივ უსა” (965, 966). ასე შეაგონებს ავთანდილი საკუთარ თავს შეჭირვების („უის“) ძლევას, სასოების წარუწირველობას და სიცოცხლისადმი წყურვილს.

ღვთისადმი სასოებით გამსჭვალულია ფრიდონიც და ამიტომაც გზად შემდგარ ავთანდილს წინამძღვრად ღმერთს დაუსახავს: “წადი, ღმერთი გიწინამძღვრებს, შენი მტერი დაემხობის...” (1017).

ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ სარწმუნოება და სასოება განაპირობებს ღვთის ნებისადმი, მისი კეთილგანგებულებისადმი უსიტყვო მორჩილებას, რაც არაერთგზისაა წარმოჩენილი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მიერ. როცა ავთანდილი საუბრობს განგებულების შესახებ, ყოველთვის ცხადყოფს თავის სასოებას და მორჩილებას უფლისადმი. ამიტომაც არ ეშინია მას ხორციელის, ხილული თუ უხილავი მტრის. “რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცდებისო” (1035) – ეუბნება იგი (ჩვენთვის უკვე ნაცნობ სიტყვებს) მეკობრეებისაგან დაშინებულ ვაჭრებს. უფრო ქვემოთ კიდევ უფრო განავრცობს იგი ამ აზრს:

“უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცა მებნენ ხმელთა სპანი;  
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი;  
ვერ დამხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა მმანი...” (1039).

ეს სიტყვები ღრმა სარწმუნოებისა და სასოების ნაყოფია. ამ სტრიქონებს მოხდევს საოცრად ზუსტი, მრავლისმთქმელი ანალიზი. ავთანდილის თქმით, ზემოთქმულიდან გამომდინარე: „ვინცა იცის ესე ესრე, ჩემებრვეა გულოვანი” (იქვე).

რომელ ცოდნას გულისხმობს ამ შემთხვევაში ბრძენი რაინდი? ამ ცოდნას იძლევა მხოლოდ სარწმუნოება, სასოება, მორჩილება. მსასოებელი ადამიანი ხომ, როგორც დავით მეფსალმუნე იტყვის, უშიშარია (“ღმერთსა ვესავ, არა შემეშინოს”). ამიტომაცაა ავთანდილი გულოვანი, მამაცი, შეუდრეველი, ვისოგისაც მახლობელია, ვინც გაითაგისა ეს საღვთო ცოდნა, ცოდნა არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკულიც, – ადამიანის შინაგანი სამყაროს მოუცილებელი კუთვნილება.

ტყვეობაში მყოფ ნესტან-დარეჯანს, ერთი შეხედვით სრულიად უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილს, სასო არ წარუკვეთავს და ღვთის იმედით გამხევებული ცდისა და ბრძოლისათვის ემზადება: “ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა,” (1190) ესიტყვება იგი თავის თავს. სასოებით მოღონიერებული ნესტანი სწორედ ამის შემდეგ ახერხებს გულანშაროელებისაგან თავის დაღწევას.

ფატმან-ხათუნიც, რომელიც ასე წრფელად თანაეზიარა ნესტან-დარეჯანის წუხილს და დახმარების ხელი გაუწოდა მას, ასეთივე ღვთივსათნო სასოებითაა გამსჭვალული. ქაჯეთის ციხიდან ნესტანის გამოხსნის მოწადინე, წერილს სწერს ტარიელის მიჯნურს და უფლის სახელის მოხსენიებით არა მხოლოდ საკუთარ სასოებას წარმოაჩენს, არამედ ნესტან-დარეჯანსაც აღუძრავს იმედს:

“...შენი ყველა აქამდისი ჭირი ლხინსა გაათავნე,

ღმერთსა უნდეს, მოყვარენი შესაფერნი შეგაზავნე! ” (1274).

„ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე ადგილია, სადაც სიტყვა სასოება სახელდება. ერთ შემთხვევაში ტარიელი წარმოაჩენს იმ დიდი სიყვარულის გრძნობას, რაც არსებობს მასა და ასმათს შორის. იმდენად ძვირფასია ტარიელისათვის ასმათი, როგორც ბჟე და გზამკვლევი ნესტან-დარეჯანის მიჯნურობისაკენ, რომ დად ეიმედება იგი არაბ რაინდს: “ასმათის ნახვა მეამა, ჩემგან დად საესავისა” (502), – უყვება იგი ტარიელს.

ღვთივსათნო მშობლიურებისა და პატივისცემისა გრძნობას გამოხატავენ რაინდები, როცა ზღვათა მეფეს მიმართავენ მოკრძალებით: “შენ იყავ ჩვენი მშობელი და ჩვენი საესავიო” (1446). ერთგან კი პოემის ავტორი გადმოსცემს ავთანდილის სულიერ განწყობილებას. რაინდს დიდი სიხარულის უწყება მოაქვს ტარიელისათვის. მან ნესტან-დარეჯანის კვალს მიაგნო, კვალს, რომლის მიგნების უკვე აღარანაირი იმედი არ ჰქონდათ ტარიელს და ასმათს. ავთანდილის სულიერი მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, რომ სასოების დღესასწაულია:

“გამოვლნა ზღვანი ავთანდილ მგზავრითა რათმე ნავითა ;

პირ-მხიარული აცორვებს მართ ოდენ მარტო თავითა ;

მას შეერა ტარიელისი უხარის მით ამბავითა,

ხელ-განპყრობილი გულითა არს ღმრთისა საესავითა” (1327).

აქ სასოება, სულიერი სამყაროს თვისება, გარეგნობაზეც არის ასახული. სულიერი სიხალისე განამშვენებს ფიზიკურ მდგომარეობას.

და ბოლოს, აღვნიშნავთ მნიშვნელოვან მომენტს სასოებითი ნიჭის თვალსაზრისით. „ეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს თვით სიკვდილის ნატვრაშიც არ ტოვებს საღვთო სასოება. სიცოცხლისა და სიკვდილის გზაგასაყართან მყოფი ტარიელი, სრული უიმედობით, უმოქმედობით დაძაბუნებული და საკუთარი სიკვდილის მოსურნე, ასე ეუბნება მის საშველად მისულ ავთანდილს:

“ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ ენით.

აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,

მუნ ერთმანეთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით...” (882).

შევადაროთ ქაჯთა ტყვეობაში მყოფი ნესტან-დარეჯანის მიმართება სიკვდილთან. იგი ტარიელს სწერს:

“შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი.

შენმან მზემან, ვერვის მიჰხვდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი!

აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,

სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი.

დმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;

მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,

დღისით და დამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა” (1303,

1304).

და იქვე: “თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი” (1305).

როგორც ვხედავთ, საერთოა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სულიერი მდგომარეობა. ამქვეყნიური სიმწრითა და ტკივილებით შეძრულებს, თუ სიცოცხლეში ერთმანეთის ნახვის იმედი აღარ დარჩათ, ნუგეშისმცემლად სიკვდილი ეგულებათ, მაგრამ სიკვდილი არა როგორც არაფრობა და მარადიული უკუნი, არამედ როგორც მიცვალება, გარდასახვა, სულეთში გარდასვლა, ტანჯვით მოგებული სასუფეველი, – სასოების წილ დვთის ყოვლადუსაზღვრო სიყვარულით გაბრწყინვებული.

ამგვარი სახისაა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მიერ ცხადყოფილი სასოება. ისინი იბრძეიან, ფიქრობენ, ლოცულობენ, ხშირად იტანჯებიან, მაგრამ მათ ტანჯვას და ადამიანურ სისუსტეებს, უიმედობით გამოვლენილს, ყოველთვის ძლევს მათს სულში ჩაკირული ღვთივმომდინარე ნიჭი სასოებისა.

სასოება პიროვნების სულიერ-ზნეობითი ძალის წყაროა, ადამიანის შესაძლებლობათა ამამოქმედებული, რასაც, თავის მხრივ, სჭირდება ზრდა და

განმტკიცება. მრავალფერი სათხოება, მრავალგვარი ნიჭი განაპირობებს იმედის სიმტკიცეს. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ერთ-ერთ მათგანს, კეთილგონიერებას, წმიდა წერილით ნამცნებს და „ვეფხისტყაოსანში“ გარკვეული ასპექტით წარმოჩენილს.

### **წმიდა წერილი კეთილგონიერების შესახებ**

ვიდრე „ვეფხისტყაოსანში“ ცხადჩენილი კეთილგონიერების სათხოებას განვიხილავდეთ, აუცილებლობად გვესახება გაანალიზება იმისა, თუ როგორ მოიაზრებს წმინდა წერილი კეთილოგონიერებას, ანუ სიბრძნეს.

“ქრისტიანული გაგებით, კეთილგონიერი არის ის, ვინც შეიცნო ჰეშმარიტი დმერთი და მისი გზები; ვინც მოწიწებით აღიარებს მის წმიდა სახელს, მადლობს და სასოებს მას. ასეთი ადამიანი არასდროს გმობს დვთის წმიდა სახელს, არა იმდენად სასჯელის შიშით, რამდენადაც უფლის დიად საქმეთა შეგნებისა და მის წინაშე მოკრძალების გამო” (მატვეევი 1988:152).

კეთილგონიერების მართებული გააზრების თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიღრმით საუბრობს იგავთა წიგნი. სოლომონი სადვთო იგავებს გვაწვდის: „ცნობად სიბრძნისა და სწავლულებისა, ცნობად სიტყუათა

გონიერებისათა, შეწყნარებად ქცევითა სიტყუათა, ცნობად სიმართლისა ჭეშმარიტებით და სასჯელისა წარმართებად, რათა მისცეს უმანკოთა მეცნიერებად და ყრმათა ჩჩვილთა ცნობად და გულისხმის-ყოფად, რომელთა ესმეს ბრძენსა და უბრძნეს იყოს, მენავეთმოძღურობად მოიპოოს, ხოლო მეცნიერმან მოღუაწებად მოიპოოს“ (იქ. 1,2-5).

კეთილგონიერება სიბრძნეა შვილებისადმი მშობლის მიერ მცნებად მოწოდებული, რომლის მისაღებად სრული გულისყურია საჭირო: „ისმინეთ ყრმათა სწავლად მამისად და ერჩდით ცნობად გულისხმისყოფასა“ (იქ. 4,1).

ვინც განშორებულია კეთილგონიერებას და არ იცნობს მას, ხოლომონის თქმით, ბრიყვია. მაგრამ ბრძენი არ ცხრება ამგვართა შემოსაბრუნებლად და კვლავაც მოუხმობს: „დაუტევეთ უგუნურებად და სცხონდეთ“ (იქ. 9,6).

კეთილგონიერებას აქვს თავისი სათავე – შიში უფლისა. ლვთის შიშიდან ამოზრდილი სიბრძნე კი წმიდათა კუთვნილებაა: „...დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა. გულისხმა კეთილ ყოველთა, რომელთა ყონ იგი...“ (იქ. 1,7. შდრ. იქ. 9,10). სიბრძნე გონიერების თანამდევია. ერთია მათი სამკვიდრებელი და ამიტომაც საღვთოა ამგვარი ცოდნა: „მე, სიბრძნემან, დავიმკვიდრე მეცნიერებად ზრახვისად და გონიერებისად“ (იქ. 8,12).

კეთილგონიერი ადამიანი იოლად იკვალავს საკუთარ გზას, რადგან იცის, თუ რა სურს და საით მიემართება. იგი სულიერად გამუდმებით მღვიძარებს და ყოველ თავის ნაბიჯს აკვირდება და აკონტროლებს. მისი სიფრთხილე მისსავე სიბრძნეზე მეტყველებს: „სიბრძნემან გულისხმიერთამან იცნას გზანი თვისნი“ (იქ. 14,8)...

კეთილგონიერი ადამიანის ქმედებაში არაფერია შემთხვევითი და ქაოტური. იგი ყოველთვის გაცნობიერებულად მოქმედებს, რადგან, სადაც კეთილგონიერებაა, იქვეა ცოდნისმიერი სინათლე და გამჭვირვალობა. იგავთა წიგნის მიხედვით: “სიმართლემან დაიცვნის უმანკონი სლვასა შინა, ხოლო უდმრთონი განაქიქნის ცოდვამან“ (13,6).

კეთილგონიერის შინაგანი სიჯანსაღე და სულიერი მდგომარეობის მართებულობა მის ცხოვრებისეულ გზაზე უცილობლად აისახება: „...კაცი გონიერი წარმართებულად ვალნ“ (იქ. 15,21).

კეთილგონიერება ყოველთვის გულისხმობს შინაგან, უსასრულო ზრდას, სულიერ-ზნეობითი ცოდნით გამდიდრებას: “გულმან გონიერისამან მოიპოოს ცნობად, და ყურნი ბრძენნი ეძიებედ გულისხმისყოფასა“ (იქ. 18,15). კეთილგონიერი

ადამიანი არ არის მრავლისმეტყველი. მას “დამწყსილი” და ლაგამამოდებული აქვს საკუთარი ენა. გონიერი გული ენასაც გონიერს ყოფს, ხოლო, ვინც სიტყვით არ ცდება, იგი სრული კაცია (იხ. იაპ. 3,2). ასეთია ენა კეთილგონიერისა, თავისი სიფრთხილით ბევრის მასწავლელი:

“მრავალმეტყველებისაგან ვერ განერე ცოდვასა, ხოლო ერიდებოდი თუ ბაგით, გონიერ იყო” (იგ. 10,19); “გულმან ბრძნისამან ცნის თვისისაგან პირისა და ბაგეთა ჰმოსიეს მეცნიერებად“(იქ.16,23); „რომელი ერიდებოდის სიტყუასა ფიცხელსა წარმოდებად, იგი გონიერ არს და სულგრძელ კაცი ბრძენ“(იქ.17,27).

კეთილგონიერება სხვა სათხოებასთან ერთად ურისხველობასაც სძენს ადამიანს, სულგრძელსა და მიმტევებელს ხდის მას: “მოწყალე კაცი სულგრძელა არნ, ხოლო სიქადული მისი მიუხდეს უდმრთოთა“ (იქ. 19,11).

კეთილგონიერებისაგან შორს არის ამპარტავნება. იგი შემოსილია სიმდაბლით და არასოდეს გაურბის მხილებას, რადგან ეს უკანასკნელი, როგორც სისუსტეთა წარმომაჩენელი, საუკეთესო მეგობარია მისი: “ტუქსვამან შემუსრნის გული ბრძენთანი, ხოლო უგულისხმონი პატიჟმან ვერ მოაქცივნის“ (იქ. 17,10).

კეთილგონიერი, რადგანაც იგი სადვოო ცოდნის მეუნჯეა, “მეცნიერების საყდრად” იწოდება იგავთა წიგნში: “კაცი გულისხმის-მყოფელი საყდარი არს მეცნიერებისა” (იქ. 12,23).

ადამიანს განსასცდელთაგან კეთილგონიერება იცავს. იგი დაცულია თავის საზრიანობით, მიხვედრილობით, მჭვრეტელობით. ბოროტი და ბოროტება მას ვერაფერს აკლებს, რადგან გამოუთქმელი სიბრძნით აღემატება უკეთურს და განირიდებს მის მზაგვრობებს: ზრახვამან კეთილმან დაგიცვას შენ და გონებამან წმიდამან დაგმარხოს შენ”,—მიმართავს სოლომონი კეთილგონიერს,— “რაღოთ გიხსნეს შენ გზისაგან ბოროტისა და კაცისა, რომელი არა იტყოდის სარწმუნოსა, ვაი, რომელთა დაუტევნეს გზანი წრფელნი და ვიდოდეს გზათა ბნელისათა, რომელნი იხარებენ უკეთურებასა ზედა და უხარის გულარძნილებასა ზედა ბოროტსა, რომელთა გზანი დრკუ არიან და გულარძნილ ალაგნი მათნი“ (იქ. 2, 11-15).

კეთილგონიერება ერთგვარი მიზეზია სიცოცხლისა: წყარო ცხორებისა გონიერებად, რომელთა მოუგიეს იგი“ (იქ.16,22). ვერანაირი მატერიალური საუნჯე ვერ შეედრება კეთილგონიერების უხილავ საგანძურს. “მართუენი სიბრძნისანი

უფროს და უმეტეს ოქროისათვის, ხოლო მართული გონიერებისათვის „ურჩეულეს უფროს ვეცხლისა“ (იქ. 16,16).

სიბრძნეს, იობის წიგნის მიხედვითაც: “...ვერცა ესწორების... ვეცხლი ნაცვალად მისა, ვერცა ესწოროს მას ოქრო ოფაზისათვის...“ (იობი, 28, 15).

ფსალმუნიც ასევე მოწმობს: “გულის-სათქუმელ არიან უფროს ტქროსა და ანთრაკთა პატიოსანთა ფრიად და უტკბილეს უფროს თაფლისა და გოლეულისა” (ფს. 18, 10). ასმეოვრამეტე ფსალმუნშიც გკითხულობთ: “კეთილ არს ჩემდა შჯული პირისა შენისათვის უფროს ათასეულისა ტქროსა და ვეცხლისა” (იქ. 118, 72).

ისევ იგავთა წიგნს მივუბრუნდეთ, რომელიც არაერთგზის წარმოაჩენს სიბრძნის საუნჯის განუზომელ მნიშვნელობას: “მიიღეთ სწავლად და ნუ ვეცხლი და მეცნიერებად უფროს ტქროსა რჩეულისა, უმჯობეს არს სიბრძნე უფროს ანთრაკთა პატიოსანთა... (იგ. 8, 10-11).

კეთილგონიერი ადამიანი “ნეტარადაა” სახელდებული, რადგან ამქვეყნიური სიმდიდრე ვერ მიყვება დვთის წინაშე ადამიანს, ხოლო სიბრძნით გამშვენებულ სულს დიდი საზღაური ელოდება შემოქმედისაგან. ამიტომაცაა ასე შეუდარებლად აღმატებული სიბრძნის სიმდიდრე ტქრო-ვერცხლთან შედარებით. ყოველივე ამ სიკეთის წარმოჩენის კვალობაზე შეგონებაც არ აყოვნებს: “მოიგე ჰეშმარიტებად და ნუ განიშორებ სწავლულებასა“ (იქ.23,23).

და მართლაც, რა უნდა შეიძინოს ადამიანმა იმ სიბრძნის ნაცვლად, რასაც დვთისაკენ მიჰყავს იგი.

ყოველი კაცი ცრუა (ფსალმუნი). ადამიანის გონებაც, რა თქმა უნდა, დაზღვეული არ არის ცოომილებისაგან. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კეთილგონიერების საზომს, კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება გარჩევა მართებულისა და ცოომილებისა. იგავთა წიგნი ამ მხრივაც არ გვტოვებს განსწავლის გარეშე: “იყავ შენ მოსავ ყოვლითა გულითა შენითა უფლისა მიმართ და სიბრძნესა შენსა ნუ აჰყვები“ (იგ.3,5).

ამგვარია კეთილგონიერების კრიტერიუმი. ჰეშმარიტ სიბრძნეს მხოლოდ სიმდაბლით ეზიარება ადამიანი.

უნდა აღინიშნოს დვთისაგან განშორებულთა სიბრძნე და გონიერებაც, რომლებიც თვლიან, რომ კეთილგონიერნი არიან, თუმცა მათი გონიერება, სიბრძნე, სიმდიდრე მიუღებელია უფლისათვის, როგორც უსჯულო, უზნეო, წარმწედებელი ცოდნა. ბოროტოა სიბრძნე არ ცნობს შემოქმედს, სრულიად

ენდობა საკუთარ შესაძლებლობას, დავიწყებული აქვს რა, რომ ყოველი სიკეთის მიზეზი, მათ შორის გონიერებაც, უფალია.

“ვაი”, – ამბობს მათზე ესაია წინასწარმეტყველი, – “რომელი ბრძენ არიან თავით თჯსით...” (ეს. 5,21).

პავლე მოციქულიც ამბობს: “ნუ იქმნებით ბრძენ თავით თჯსით” (რომ. 12,16), ანუ ზვაობა და ქედმაღლობა განაქარვებს ადამიანის სიბრძნეს დვთის წინაშე. ასეთი “ბრძნენკაცების” შესახებაა ასევე საუბარი აბდიას წიგნში: “...იტყვის უფალი,- წარსვეწყმიდნე ბრძენნი ქუმანით იდუმეათ და გულისხმისყოფად მთისაგან ისააკისსა” (აბდ. 1,8).

და ბოლოს, საოცარი სიცხადით წარმოაჩენს “გასულელებულ სიბრძნეს” და “ბრძნულ სისულელეს” პავლე მოციქული: “ნუგინ თავსა თჯსსა აცოუნებნ. უკუეთუ ვისმე ბრძენ პგონიეს თავი თჯსი თქუენ შორის ამას სოფელსა, სულელ იქმენინ, რაითა იყოს იგი ბრძენ. რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისად სიცოფე არს წინაშე ღმრთისა, რამეთუ წერილ არს: რომელმან შეიპყრნის ბრძენნი სივერაგითა მათითა” (1 ქორ. 3,18-19).

მოვუსმინოთ წმ. იოანე ოქროპირის საღვთო კომენტარს: “ბრძნად აქა (ერთ შემთხვევაში, – მ.გ.) მათ უწესს, რომელთა კაცობრივი სიბრძნე აქუნდეს... სულელ ესრეთ იქმნების კაცი ამა სოფელსა, რომელმან შეურაცხ-ჰყოს კაცობრივი სიბრძნე და ცნას, ვითარმედ ჭეშმარიტებით არარად არს მისგან სარგებელი, არამედ ღმრთისა მიერ ითხოვდეს სიბრძნესა მას ზეცისასა, სულიერსა, და შეერაცხოს თავის თჯსი სულელად და უსწავლელად, დადაცათუ ყოველი სიბრძნე და სწავლულებად კაცობრივი იცოდის, და ამან გულისხმიტყუამან მოატყუას მას საღმრთო სიბრძნე, და რაითა არა გამოეძიებდეს საღმრთოთა მათ საქმეთა კაცობრივთა გონებითა და სიბრძნითა, არამედ აქუნდეს თავი თჯსი სულელად ესევითართა მათ საქმეთა გამოძიებისათვეს, და ესრეთ სარწმუნოებით შეიწყნარებდეს მათ, და არა ემსგავსებოდის ცოფთა მათ ბრძენთა სოფლისათა... რამეთუ არა თუ ოდენ არად სარგებელ არს ჭორციელი სიბრძნე ჭეშმარიტისა მის სიბრძნისა სწავლად, არამედ უფროსად აბრკოლებსცა, რაუამს კაცი ჰგონებდეს თუ: “ყოველივე ვიცი”, და არა ენებოს სხუათა მიერ მეცნიერთა ჭეშმარიტებისათა სწავლად სულიერისა მის სიბრძნისად” (პავლე...2003:186).

საღვთო კეთილგონიერებას ასწავლის მაცხოვარი მოციქულებს, როცა “ცხოვართა მათ წარყმედულთა სახლისა ისრაელისათა” (მთ. 10,6) მოსაქცევად

აგზავნის: „აპა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა; იყვენით უკუ მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი” (იქ.10,16)

ამქვეყნიური ლოგიკით, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ცხვარი ან მტრედი მგლებს ერეოდეს. მაგრამ ასე მხოლოდ სოფელი ბჭობს. ზესთასოფლის სიბრძნე კი სწორედ ის გახლავთ, რომ მართლაც ცხვრისა და მტრედის სიწმიდე ძლევს მგლის ხროვას, რადგან, ვინც მგელთა შორის “ცხვრობს” და “მტრედობს”, თავისი უმანკოებით საღვთო ძალას იძენს. ხოლო, როცა მგელს მგლობით ეპასუხება, განშორდება მისგან უფლისმიერი შეწევნა. “ეპა, ბრძოლად საკვირველი, მ განწესებად ესე უცხო, ცხოვართა და ტრედთად მგელთა მიმართ განწყობად და შორის მათსა მის ბანაკისა შესლვად. გარნა იხილედა მიუთხობელი იგი ძალი ერისმთავარისად მის, ვითარ ქმნა, რომელ ცხოარნი და ტრედნი მგელთა მძლე ექმნეს და, შე-რავ-ვიდეს შორის მათსა, არა ხოლო თუ მრავლისა მის კბენისა მათისაგან არა იძლინეს, არამედ იგინიცა მგლობისაგან შეცვალნეს, რომელ ესე ფრიად უაღრეს არს და უზეშთაეს, ვიდრედა მოკვლად, შეცვალებად ბუნებისა მგელთავსა, რამეთუ მგელთა მოჰკლვენ მრავალნი, ხოლო შეცვალებს მგელთა ცხოვრად ვერავინ, გარნა მათ, რომელნი ყოველთა მეუფისა მიერ აღჭურვილ იყვნეს... პრცხვენოდენ ყოველთა, რომელნი მტერთა თჯსთა, ვითარცა მგელნი, ებრძან, რამეთუ წინააღუდგებიან ბრძანებასა უფლისასა, რომელმან იგი ვითარცა ცხოვართა ბრძანა შესლვად ბრძოლასა მგელთასა. აწ უკვე ვიყვნეთ თუ ვითარცა ცხოარნი, ვერეოდით მტერთა, დაღაცათუ ბევრეულნი მგელი იყვნენ. ხოლო მგელ თუ ვიქმნეთ, ვიხილნეთ, რამეთუ განგვეშორების ძალი იგი და შეწევნად მწყემსმთავრისად მის, რომელი-იგი ცხოართა პმწესის, არა თუ მგელთა. ამისთჯსცა მგელი თუ ვიყვნეთ დაგბტეობს ჩუენ და წარვალს, რამეთუ არა ვიქნებით შეწევნისა მისისა მოგებად; ხოლო მშვდ თუ ვიყვნეთ, ვითარცა ცხოვარნი და, უმანკო, ვითარცა ტრედნი, უფალი არს თანაშემწე ჩუენდა და წინააღმდგომ მბრძოლთა ჩუენთა” (იოანე ოქროპირი 1996:208-209). საღვთო კეთილგონიერების გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გააზრებას, თუ რატომ უნდა იყოს ადამიანი გველივით ბრძენი და მტრედივით უმანკო, ან როგორაა შესაძლებელი გველის ბუნებისა და მტრედის სიწმიდის მორიგება ერთ ადამიანში. წმ. იოანე ოქროპირის მიხედვით, გველის სიბრძნე გამოიხატება იმაში, რომ იგი ბრძოლისას უპირველესად თავს იფარავს და ძალუქს გაიხადოს ძველი ტყავი.

მის ამ “მეცნიერებას” ერთვის სწორედ მტრედისმიერი უკნებელობა. ასე რომ, ცხადდება ჰარმონიული “შეზავებულება”. “რომელი არს მეცნიერებავ იგი გუელისაღ...” – კითხულობს წმ. ოქროპირი, – ესე იგი არს, ვითარცა გუელი უფროს ყოველი თავსა იფარავს, დაღაცათუ ყოველი გუამი მისი მოიწყლას, ვიდრემდის ცხოველ იყოს, თავსა იფარავს. ეგრეთვე შენ უამსა განსაცდელთასა სარწმუნოებავ შენი შეიკრძალე: ნუ ჰრიდებ ნუცა საფასეთა, ნუცა ჭორცთა, ნუცა სულსა შენსა მიცემა სიკუდილად, რამეთუ თავი და საფუძველი ცხორებისა შენისავ სარწმუნოებავ არს, უკუეთუ იგი დაიცვა, ყოველივე თუ წარსწყმიდო, ნუ ჰზრუნავ, კუალად მოგეცეს შენ უმეტესად. და კუალად ოდეს-იგი ენებოს გუელსა ძუელისა მის ტყავისა აღმარცუვად, მეცნიერებით აღიძრცს, რამეთუ შევალს ჭურელსა იწროსა და შეიწრებითა ფრიადითა ტყავისა მას დაძუელებულსა განაგდებს. ჯერ-არს ჩუენდაცა შესლვითა იწროდსა მის ბჭისათა და საჭიროს მის გზითა სლვითა აღძრცუად ძუელისა მის კაცისა და შემოსად ახლისა მისა, რომელი მსგავსებითა უფლისათა განახლდების ჩუენ შორის.

ამის ესევითარისა ჯერისათვს მეცნიერებასა მას გუელისასა ბაძვად განაწესა და მერმე უმანკოებავ ტრედის დაურთო, რათა ორისა ამის სახისა შეზავებითა აღესრულოს წესი სათხოებისავ. თქუა მეცნიერებავ გუელისავ, რათა ფრთხილ ვიყვნეთ ეშმაკთა მიმართცა და კაცთა მიმართ ბოროტისა განზრახთა და არა განვცემდეთ აზნაურებასა სულისა ჩუენისასა, არცა მივერჩდეთ ვნებასა სულისასა” (იოანე ოქროპირი 1996:2100).

პავლე მოციქულიც იმეორებს უფლისეულ სიბრძნეს მცირეოდენი სახეცვლილებით: “...მნებავს თქუენი, რათა ბრძენ იყვნეთ კეთილისათვს და უმანკო ბოროტისათვს” (რომ. 16, 19).

კეთილისათვის ბრძენი ნიშნავს ადამიანს, რომელსაც ძალუმს მიხვდეს, სად არის ჭეშმარიტება და სიკეთე, ბოროტისათვის უმანკო კი ბოროტისაგან შეურყუნელად დაცულს გულისხმობს (განმარტებითი... 1913:518).

ფილიპელთა მიმართ მეორე ეპისტოლეშიც მსგავსადვე გვესიტყვება პავლე მოციქული: “რათა იყვნეთ უბრალო და უმანკო და შვილ ღმრთისა, შეუგინებელ შორის ნათესავსა დრკუსა და გულარძნილსა, რომელთა მიერ სჩნდეთ, ვითარც მთიებნი სოფელსა შინა” (2 ფილიპ. 2,15).

ეფესელებსაც კეთილგონიერებისაკენ მოუხმობს სადვთო მოციქული: “ეკრძალებოდეთ უკუგ, ვითარ-ძი განკრძალულად ხუალთ, ნუ ვითარცა

უგუნურნი, არამედ ვითარცა ბრძენნი; გამოიფრდიდით ჟამთა, რამეთუ დდენი ბოროტნი არიან. ამისთვის ნუ იყოფით უგუნურ, არამედ გულისჯმა-პყოფდით, რავ იგი არს ნებავ დმრთისავ” (ეფეს. 5,15-17).

კეთილგონიერებას                    ცხადყოფენ                    სახარებისეული                    იგავებიც.

ილუსტრირებისათვის მოვიხმობთ ორიოდ მათგანს. მათეს სახარებაში უფალი გვმოძღვავს: “ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყვანი ესე ჩემი, და ყვნეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თუსი კლდესა ზედა და გარდამოხდა წვიმად, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი, და ეკუეთნეს სახლსა მას და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა” (7,24-25).

ლუკას სახარებიდან:

“ვისმე უკუე თქუენგანსა უნდეს გოდოლი შენებად, არა-მეა პირველად დაჯდეს და აღრაცხოს, რაოდენი წარაგოს, უკუეთუ აქუს, რათა კმა-ეყოს მას აღსრულებამდე. ნუუკუე დადვის საფუძველი და ვერ შეძლოს აღსრულებად მისა, და ყოველნი რომელნ ხედვიდენ მას, იწყონ კიცხევად და თქვან, ვითარმედ: კაცმან ამან იწყო შენებად და ვერ შეძლონ აღსრულებად. ანუ რომელი მევე მივალნ სხვსა მეფისა ბრძოლად, არა-მე პირველად დაჯდის და განიზრახის, უკუეთუ შემძლებელ არს ათითა ათასითა შემთხუევად ოცითა ათასითა მომავალისა მის ზედა? უკუეთუ არა, ვიდრე შორსდა არიან, მოციქული მიუვლინის და მიუკითხის იგი მშვიდობით”(14,28-32).

უნდა                    აღინიშნოს                    უმთავრესი:                    თავად                    მაცხოვარი                    გახლდათ

კეთილგონიერების პირველწყარო და უპირველესი მაგალითი. მთელი სახარება და, ზოგადად, მთელი წმიდა წერილი არის საოცარი გულანი კეთილგონიერებისა. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს: გონიერია: იოსები – “და უთხრა ფარაონმა იოსებს: “და პრქუა ფარაო იოსებს, რამეთუ გიჩუენა შენ ღმერთმან ესე ყოველი, და არა ვინ არს კაცი უბრძნეს შენსა უგულისხმისმყოფელეს შენსა” (დაბ. 41, 39); იოთორი, (მოსეს სიმამრი, რომლის კეთილგონიერება მოსეს დამრიგებლად გამოაჩენს მას): „აწ უკუე ისმინე ჩემი, და განგზრახო შენ, და იყოს ღმერთი შენ თანა, ექმენ შენ ერსა ღმრთისა მიმართ და შესწირენ სიტყუანი მათნი წინაშე ღმრთისა“ (გამ. 18,19); სოლომონი: “და თქუა ქირამ: კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისა, რომელმან ქმნა ცა და ქუეყანა, რომელმან მოსცა დავითს მეფესა ძე ბრძენი და მეცნიერი გულისხმის-ყოფისა და სწავლულებისა, რომელმან უშენოს სახლი უფალსა და სახლი სამეუფო თვისი”

(2 ნებ. 2, 12). ნეემია (ნეემ. 4,13-18); გამალიელი (საქ. 5,34-39)... და სხვა უამრავი მაგალითი.

ეკლესია კეთილგონიერს უწოდებს მაცხოვრის მარჯვნივ ჯვარცმულ ავაზაკს, რომელმაც ყველრებულ, გინებულ, დამცირებულ ჯვარცმულში უფალი განჭვრიტა და შეიცნო (იხ. ლპ. 23,39-43). მისი კეთილგონიერება გახდა მიზეზი უდიდესი სასწაულისა: ჯვარცმული ავაზაკი პირველი შევიდა სასუფეველში, რის გამოც, როგორც ერთხმად აღნიშნავენ წმიდა მამები, დემონები თავზარდაცემული და გაოგნებულები დარჩნენ.

ასეთია საღვთო კეთილგონიერების ნაყოფი. იგი ამქვეყანადაც იცავს ადამიანს დაბრკოლებისაგან, იმქვეყნად კი სასუფეველს შეუმზადებს მას.

### **კეთილგონიერების გამოვლენის ერთი ასპექტი „გეფხისტყაოსანში“**

„გეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ყოველი სასოებითი მიმართება ღმერთთან, ღვთის განგებულებისადმი მათი მორჩილება, დათმენის სათნოება, ოა თქმა უნდა, მათს კეთილგონიერებაზე მეტყველებს. წინამდებარე ნაშრომში საუბარი გვექნება „გეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მიერ კეთილგონიერების გამოვლენის პრაქტიკულ ასპექტზე, სიბრძნეზე, რომელიც ამქვეყნიურ სიძნელეებთან, მრავალგვარ განსაცდელთან ჭიდილშია ცხადჩენილი.

ახლადგამეფებულ თინათინს სხვა ღირსებებთან ერთად ღრმა კეთილგონიერების სათნოებაც ამშვენებს. ღვთის ნების მჭვრეტელისათვის, რომელმაც იცის, რომ “კეთილის შემოქმედი” ბოროტის შემქმნელი არ არის, ყოვლად მიუღებელია საკუთარი მამის ამაო ჭმუნვა. უცხო მოყმის მოულოდნელი ხილვით და ასევე მოულოდნელი გაუჩინარებით დამწუხებულ როსტევანს

პრობლემის მოგვარებას ურჩევს თინათინი და არა – სიმძიმილში ყოფნის განგრძობას. “კაცმან საქმე მოაგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე, სჯობდესო”(107), – ესიტყვება იგი მამას და ამით აქტიური მოქმედების პრიორიტეტს ცხადყოფს. ეს სიტყვები თინათინის მხრიდან არ რჩება მხოლოდ მოწოდების, შეგონების დონეზე. მის მიერ დასახულია, ასევე, კონკრეტულად ამ პრობლემის (უცხო მოყმის მოძიების) გადაჭრის რეალური გეგმა: იგი როსტევანს აკვალიანებს:

“მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი,  
შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება-მიუთხობელი.

გაგზავნე კაცი, ყოველგნით მისთა ამბავთა მცნობელი,  
ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი” (114).

თინათინის მიერ უცხო მოყმის საძებნელად გაგზავნილი ავთანდილი ღრმა სასოწარკვეთილებაშია. მან ტარიელის კვალს ვერსად მიაკვლია. მიჯნურის დავალება ვერ გვარდება. ამოწურულია ადამიანური ცდის ყოველგვარი შესაძლებლობა და ავთანდილი, თავისი კეთილგონიერების წყალობით, მიდის დვთის განგებულების მორჩილებამდე. იგი უფალს მიანდობს თავის საზრუნავს და მექსეულად მოიკვეთს შინაგანი სიმძიმილით გამოწვეულ ცრემლს:

“ყოველნი არსნი ცათ ქვეშეთნი ერთობ სრულად მომივლიან,  
მაგრა საქმე მის კაცისა ვერასადა შემიგნიან...  
აწ ტირილი არას მარგებს, ცუდად ცრემლნი რასა მდიან?”

(192).

ამგვარმა კეთილგონიერებამ მალევე გამოაჩინა თავისი ნაყოფი – ავთანდილმა იპოვა უცხო მოყმე.

არაბი სპასპეტის ხასიათში „წარმმართველია ქმედითი საწყისი. მისი უაღრესად ანალიტიკური გონება კარნახობს ურთულეს სიტუაციაში გარკვევასა და საუკეთესო გამოსავალის პოვნას“ (ბარამიძე 2000:170).

მაგრამ ავთანდილი მალევე დგება ახალი, არანაკლებ დიდი პრობლემის წინაშე: მოყმე მოძებნილია, თუმცა მასთან შეხვედრა, უცნობის გაუგებარი აგრესიულობის გამო, ერთობ სახიფათოა. ავთანდილი, სხვათა „მონათხობიდან და საკუთარი დაკვირვებიდან აანალიზებს უცხო მოყმის უცნაურ ხასიათს და მიდის დასკვნამდე, რომ შეუმზადებლად, გარკვეული პირობების შექმნის გაუთვალისწინებლობით, შეუძლებელია „ვეფხისტყაოსანთან“ დაახლოება. ამას, შესაძლებელია, სიკვდილიც კი მოჰყვეს, ან ერთი, ან მეორე მხრიდან. აქ კიდევ

ერთხელ წარმოჩნდება ავთანდილის სამეუფო სიფრთხილე, სიბრძნე და კეთილგონიერება. იგი ფიქრებში ბჭობს:

“...ახლოს შეყრა (ტარიელთან, - მ.გ.) ვითა აგოს :

საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გაშმაგოს !

სამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,

არ სიწყნარე გონებისა მოიძულვოს, მოიძაგოს” (215).

ავთანდილი ფრთხილობს, ამდენი წვალება ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა წყალში არ ჩაუყაროს. მან იცის, რომ უცხო მოყმეს უცილობლად ექნება თავშესაფარი. ამიტომ განიზრახავს იგი, რომ ბოლომდე მიჰყვეს უცნობს და მხოლოდ ამის შემდგომ ეძებოს საშუალება მასთან შესახვედრად:

“ავთანდილ იტყვის : “ეზომნი ჭირნიმცა რად ვაცუდენი ?

რაცადა არის, არ არის, თუმცა არ ედგნეს ბუდენი;

სადაცა მივა, მიგჰყვები, რამცა მოვლიდეს ზღუდენი,

მუნადა ვძებნენ დონენი ჩემნი არ-დასამრუდენი” (217).

„...ავთანდილი რამდენადაც ახლოსაა მიზანთან, უცხო მოყმის ნახვასთან, მით უფრო რთულია მიზნის მიღწევა. ამას საგანგებო წინდახედულება და სიფრთხილე პმართებს, რათა მისი ეს ხანგრძლივი ძიება კატასტროფით არ დამთავრდეს, კონფლიქტი არ მოხდეს ამ უცხო რაინდოან. აქაც იჩენს ავთანდილი მისთვის ჩვეულ სიბრძნესა და გამჭრიახობას“ (ბარამიძე 2000:173).

პოემაში ამის შემდგომ განვითარებული მოქმედება ცხადყოფს ავთანდილის კეთილგონიერების სასურველ შედეგს, თუმცა ამ შედეგის მიღწევამდე არაერთხელ დასჭირდა ავთანდილს წარმოეჩინა თავისი სიბრძნე.

არაბ რაინდს, რომელსაც თითქოს ხელს არაფერი უშლის შეიტყოს უცხო მოყმის ვინაობა და გაიგოს მისი ისტორია, მოულოდნელად წინ დიდი დაბრკოლება ეღობება: ასმათი, ერთადერთი მცნობი უცხო მოყმისა, უარზეა მიაწოდოს ავთანდილს რაიმე სახის ინფორმაცია ტარიელის შესახებ. ტკბილმა საუბარმა და მუდარამ გერ გაჭრა ავთანდილის მხრიდან. გაგულისებული რაინდი, რომელმაც ქალს ყელზე დანა დააბჯინა, მოკვლით ემუქრება მას, მაგრამ ასმათისათვის, რომელსაც “ჩალად უჩნს სოფელი” და თავის სიცოცხლეს “ბედით უსტარს” უწოდებს, სიკვდილი სჯობს, ვიდრე მეგობრის საიდუმლოს ასე უმიზეზოდ გათქმა. მისი კეთილგონიერება სიკვდილის წინაშე და ამით ცხადყოფილი მის შეუძრველობაც ავთანდილს სხვა გზით წარმართავს, მაგრამ

მანამდე ასმათის სიტყვებია საგულისხმო. იგი, თითქოსდა მის მოსაკლავად შემართულ ავთანდილს, თავისი კეთილგონიერებით ასე უქარწყლებს მუქარას:

“ქალმან უთხრა: “ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი:

თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი.

რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახავი?

კვლა თუ მომკლა, სასაუბროდ ადარ მედგას ზედა თავი” (240).

არც სიცოცხლეა ისე ძვირფასი მწუხარებით გათანგული ასმათისათვის, რომ ვერ შეელიოს მას:

“...მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკლვევინო,

ვითა უსტარი ბედითი ადვილად დაგახევინო” (241),

— ეუბნება იგი ავთანდილს.

ავთანდილი გონიერ დიპლომატიას მიმართავს. მუქარამ, დაშინებამ ნაყოფი ვერ გამოიდო. სიმკაცრეს, უხეშობას ხასიათის სირბილე, საწინააღმდეგო მიმართება უნდა ჩაენაცვლოს. ავთანდილი ტირის და ეს ტირილი ქალში თანაგრძნობას იწვევს, რადგან თვითონვეა სევდაში მყოფი, მწუხარების თანაზიარი. ავთანდილი ამჩნევს ქალის გულის მოლბობას, უბოდიშებს მას უხეშობისთვის და თავს, როგორც მიჯნურს, აბრალებს. ავთანდილი, მიუხედავად იმისა, რომ ფხიზლად აკვირდება ასმათის ფერიცვალებას და განაგრძობს თავის დიპლომატიას, წრფელია იმაში, რომ ნამდვილად მიჯნურია. მის მიერ სიყვარულის თემის შემოტანამ კიდევ უფრო მეტი ნდობა აღძრა ასმათში. ესეც არ გამოპარვია ავთანდილის მახვილ თვალს, რასაც რაინდი გონივრულად იყენებს. იგი კვლავ ახსენებს თავის მიჯნურს და ამით საბოლოოდ მოინადირებს ქალის გულს:

“მისი სახე (თინათინისა,-მ.გ.) გულსა ჩემსა ხატად ასრე

გამოვხატე,

მისთვის ხელმან, გამოჭრილმან, ლხინი ჩემი ვაალქატე,

ორისაგან ერთი მიყავ: ტყვე-მქმენ ანუ მააზატე,

ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, ჭირი ჭირსა მომიმატე” (251).

ავთანდილის გონიერმა დიპლომატიამ, კეთილგონიერებამ ასმათს „დობა“ ათქმევინა რაინდისადმი. თუმცა ავთანდილის გამჭრიახობას ქალი ხვდება და აღიარებს კიდეც:

“ქალმა უთხრა ყმასა სიტყვა პირველისა უამესი:

“ეგე სიტყვა მოიგონე დია რამე უკეთესი.

წელან საქმე ტერობისა გულსა ჩემსა შთამოთესი,  
აშ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი” (252)  
მტრობის მოყვრობად სახეცვლილებაც, რა თქმა უნდა, კეთიგონიერების  
შედეგია.

ღვთივსათნო კეთილგონიერებას ცხადყოფს ასმათი, როცა ტარიელს  
ტყიური ცხოვრებისაგან განრიდებას და შემწე მეგობრის მოძიებას ურჩევს:

“...მოახსენა: “მხეცთა თანა იარები მარტოდ ტევრად,  
არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად;  
მას (ნესტან-დარეჯანს,-მ.გ.) მაგითა ვერას არგებ,  
დღეთა შენთა ცუდად ლევ რად?” (272).

და იქვე:

“ყოვლი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგივლია,  
ერთი კაცი შემაქცევრად შენდა ვითა დაგელია?  
გეახლოს და არ გაჰშმაგდე, თუმცა ჭირი არ გაქლია;  
შენ მოჰკვდე და იგი (ნესტან-დარეჯანი,-მ.გ.) წახდეს, ესე  
შენთვის რა მადლია?” (273).

ასმათი, მისივე სიტყვით, ტარიელს “ვაზირობს”. ამ მსახურებას ქალი  
ღვთის ნებად რაცხს და თავისი კეთილგონიერებით სრულიად ამართლებს  
საპატიო და საპასუხისმგებლო მისიას. სასოწარკვეთილებაში მყოფ ტარიელს  
იგი თვით მწუხარებაშიც ზომიერებას ურჩევს და სამეუფო გზით მავალობას  
უთვალისწინებს რაინდს: “არა ვარგა უსაზომო, თავი ზომსა გარდგიხდიაო”, –  
მიუთითებს ტარიელს სახიფათო სულიერ მდგომარეობაზე.

„ასმათის სიბრძნე და ტაქტის მახვილი გრძნობა მუდავნდება ტარიელისა  
და ავთავდილის გაცნობის სცენის მომზადებაში. ასმათი დიდი ფსიქოლოგის  
მსგავსად კარგად იცნობს ადამიანის ფსიქიკას და ყოველი ნიუანსის  
გათვალისწინებით ამზადებს ტარიელს ავთანდილთან გასაცნობად. ის  
დამაჯერებლად და მეტად ჭავიანურად დაარწმუნებს ტარიელს, რომ მარტოდ  
ყოფნა მისთვის დამდუპველი, გადამაგვარებელია, მაგრამ თავის მსჯელობის  
უფრო ძლიერ არგუმენტად იმას იშველიებს, რომ მიზნის მიღწევაში  
თანამგრძნობი და ერთგული თანამებრძოლია საჭირო, რომ მეგობრის აქტიური  
მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია ნესტანის პოვნა. ამ არგუმენტით ისეთი  
პერსპექტივა გადაეშალა ტარიელს, რომ ის, რომელიც ადამიანებს გაურბოდა,  
ეხლა მოხარულიც კია ვინმე მეგობართაგანი შეიძინოს...“ (ბარამიძე 2000:175).

ავთანდილს დიდი სურვილი აქვს, მოუსმინოს ტარიელის აღსარებას, და, რასაკვირველია, არა მხოლოდ მოუსმინოს, არამედ სალბუნად დაედოს რაინდის ტკივილებს, თუმცა ტარიელი გარკვეულწილად უფრთხის მოგონების ცეცხლს. ამ ორჭოფობისას მას ისევ ასმათი შეეშველება, რომელსაც დიდი იმედი აქვს ჩასახული ავთანდილის, როგორც დვთისაგან მოვლინებულის, შეწევნისა:

“ასმათ უთხრა: “ლომო, ცრემლით მაგა ცეცხლსა რა ერგების ?!

მე ვითა ვთქვა წვევა თქმისა, რათგან ეგრე არ ეგების!

ვხედავ, ესე ხელი ვინმე მოყმე შენთვის წაეგების,

ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა დონე აეგების” (301).

ასმათს დრმად აქვს გაცნობიერებული, რომ სევდითა და ცრემლით ტარიელის გულში მოტყინარე ცეცხლი არ მინავლდება. საჭიროა მკურნალი, სხვა პიროვნება, რომელიც მწუხარების ჟამს შეეხიდება ტარიელს, ექიმი, “მაჯასისა შემტყვებარი”. სწორედ ეს არის გამოსავალი და არა – ტარიელის მდუმარე მწუხარება. შემწე და მშველელი მეგობარი უფალმა გამოაჩინა და ტარიელს ისდა დარჩენია, მიჰყვეს დვთის განგებულებას: “არს უკეთესი, რაცადა სწადს განგებასა ზენასა” (302), – ასკვნის ასმათი ტარიელის ყურადსალებად. ამ შეგონებამ, კეთილგონიერებით აღსავსე სიტყვამ გადააწყვეტინა ტარიელს მოეთხოო ავთანდილისათვის თავისი მწუხარე ისტორია.

კეთილგონიერების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ნესტანდარეჯანის პიროვნება. მისი სიბრძნე საჩინოა ყველასათვის, ვინც კი მას იცნობს. ნესტანდარეჯანის კეთილგონიერებას, მის სიბრძნეს, სულიერ-ზნეობით სიმაღლეს ზედმიწევნითი სიზუსტით გამოხატავს გულანშაროელი მეფის სიტყვები ინდოეთის მეფის ასულის მიმართ:

“ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,

არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი ;

ვით ზდაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი.” (1184).

ნესტანის საოცარ კეთილგონიერებას მეტყველებს ისიც, როცა იგი სიყვარულით შეპყრობილ და დაუძლურებულ ტარიელს გრძნობათა მოთოვისაკენ და საგმირო საქმეების აღსასრულებლად მოუწოდებს:

“ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?

სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!” (377).

იქვე დაკონკრეტებულია “საგმირო საქმეებიც”:

“სატაეთს მყოფნი ყოველი ჩვენი სახარაჯონია,

აწ მათი ჯავრი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია... (იქ.)

წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე..." (379).

მიჯნურისადმი მაგალითად, ნიმუშად ღვაწლის დასახვა, რა თქმა უნდა, უცილობლად კეთილგონიერებას მიუთითებს.

თვით სიყვარულის გამოხატვაშიც ბრძენია ნესტან-დარეჯანი. მან იცის, რომ დედაკაცს კრძლვა, სიმდაბლე ამშვენებს მამაკაცის წინაშე, თუმცა მისთვის უცხოა ფსევდო-მორიდება, ზომიერებას გადაცილებული "კეპლუცობა", ბუნებრივი წრფელი გრძნობის შენიდბება, როცა სიწრფელეს სიწრფელითვე არ პასუხობენ, როცა პატიოსან, წმინდა გულისთქმას უგუნური მდუმარებით ახშობენ. ამიტომაც "განუმარტავს" ნესტან-დარეჯანი ტარიელს თავისი გრძნობის გამომუდავნებას: "თუმცა მართებს დედაკაცსა მამაცისა (ანუ მამაკაცის, – მ.გ.) დიდი კრძალვა, მაგრამ მეტად უარეა არა-თქმა და ჭირთა მალვა..."(412)

ნესტან-დარეჯანის კეთილგონიერება მისი ნების სიმყარესაც, ასაცნაურებს. ინდოეთის მეფის ასულისათვის უცხოა, ასევე, უგონო და არაფრისმოქმედი სენტიმენტალიზმი. როცა მას ეჭვი შეაქვს ტარიელის ერთგულებაში, როცა იგი დარწმუნებულია, რომ ტარიელმა მხარი დაუჭირა ხვარაზმას "საქმროდ მოყვანებას" და ამით დაამსხვრია სიყვარული, საოცარი სიმკაცრით აღივსება იგი და ასეთივე მკაცრი ტონით ესიტყვება შეცბუნებულ ტარიელს:

"შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება...

მამაცისა სიცრუეთა, ნეტარ სხვანი რამცა პგვანდეს!

რათგან დამომჟ, მეცა დაგომობ, ვინდი უფრო დაზიანდეს" (525, 526).

გონიერება სიჩქარეს უფრთხის. ყველაფერის აწონ-დაწონვა სიბრძნისათვის დამახასიათებელი თვისებაა. უმჯობესის გამორჩევა, პრობლემათა მოგვარება უპირველესი ამოცანაა ნესტან-დარეჯანისა. მის კეთილგონიერებას იხსენებს სწორედ ტარიელი ავთანდილთან:

"მიბრძანა, თუ "გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,

რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს;" (539).

ნესტან-დარეჯანის გადაკარგვით შეძრწუნებული ტარიელი მოქმედებისაკენ მოუწოდებს თავის თავს. კეთილგონიერება ძიებისაკენ წარმართავს, რამეთუ საუნჯის მოსაპოვებლად დიდი ღვაწლია აღსასრულებელი,

რაც უდებებით, მცონარებით, პასიურობით ყოვლად შეუძლებელია. ტარიელი ასე გადმოსცემს თავის სულიერ და გონებისმიერ მდგომარეობას:

“მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომიკიდა ცხრო და თრთოლა;

გულსა ვუთხარ: “ნუ მოჰკვდები, არას გარგებს ცუდი წოლა,

გიჯობს გაჭრა ძებნად მისა, გავარდნა და ველთა რბოლა.”

(585).

ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ მოიარა ტარიელმა ნეხტანის საძებრად ზღვაც და ხმელეთიც, მაგრამ დვთის განგებულება სხვაგვარად სჯიდა.

უსასოება სულიერად აძაბუნებს ადამიანს, სულიერი რდვევის პროცესი ბნელით ჰყარავს მის შინაგან სამყაროს. ასეთ დროს კლებულობს ფხიზელი განსჯის უნარი, ძალაგამოცლილობა თრგუნავს კეთილგონიერებას და ჩნდება საჭიროება მასწავლებლისა, მოძღვრისა, მკურნალისა, ვინც უკეთ ჭვრეტს სხვაში არსებულ ცოორილებებს და, არა თუ ოდენ ჭვრეტს, არამედ ძალუმს კიდეც – უაქიმოს სნეულს. ტარიელს არ შეუძლია თავისი თავის შველა, იგი უძლურია, უღონოა შეჭირვებათა წინაშე. მითუმეტეს, როცა ტყე-დრეში ხანგრძლივი ცხოვრებით ერთგვარად დადგასმულია და მარტოობაში ვერ განუჭვრიტავს ხსნის გზა. ყოველივე ამას სიბრძნისმეტყველებს ავთანდილი:

“რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,

მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყვებარი,

მან უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:

სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი” (662).

კეთილგონიერებით განსწავლის ავთანდილი შერმადინს, როცა სიკვდილთან მიმართებაზე საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ ტარიელის საშველად წასული ავთანდილი შესაძლოა ცოცხალი ვეღარ დაბრუნდეს და ეს მძიმე ტრამვა იქნება მისი ერთგული ქვეშვრდომისათვის, დიდმა მწუხარებამ შერმადინი არ უნდა მიიყვანოს სატანისაგან “სწავებულ” ნაბიჯამდე – თვითმკვლელობამდე: “მოგევდე, თაგსა ნუ მოიკლავ, სატანისგან ნუ იქმ ქმნილსა” (787), – ანდერძად უტოვებს ავთანდილი შერმადინს.

რაც შეეხება საკუთრივ “ავთანდილის ანდერძს”, პოემის ეს თავი, კეთილგონიერების თვალსაზრისით, ცალკე განხილვის საგანია. შევნიშნავთ მხოლოდ იმას, იგი წარმოადგენს საღვთო კეთილგონიერების უცხადეს და უსაჩინოეს ნიმუშს, რომლის ბადალიც ძნელად თუ მოიძებნება თვით მსოფლიო ლიტერატურაშიც – ყოველი მუხლი საუნჯეა დგომაებრივი სიბრძნისა.

უფლის მცნებათა ადსრულება ცხადყოფს კეთილგონიერებას. “წუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ”, – გვასწავლის მაცხოვარი. მოყვასის სისუსტეთა განუკითხაობას, პირობის დარღვევის შენდობას და განმართლებას წარმოაჩენს ასმათი, როცა ავთანდილი სამართლიანად საყვედურობს მასთან ტარიელს, რომ ამ უკანასკნელმა დაარღვია პირობა და შეთანხმების შესაბამისად არ დაელოდა ავთანდილის დაბრუნებას. ასმათი აღიარებს ავთანდილის სიმართლეს, მაგრამ ტარიელის უზომო მწუხარების და სასოწარკვეთილების მცოდნე მიმტევებელია, რადგან იცის, რომ ფიცის და აღთქმის შესრულებას გარკვეული მზაობა სჭირდება, ტარიელს კი, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზეა, ამისათვის ძალა აღარ შესწევს. ასმათი ავთანდილს მიმართავს:

“მართალ ხარ მაგისსა დამძიმებასა,  
მაგრამ რა გავბრჭო მართალი, ნუ მეჭვ რასაცა თნებასა:  
არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?  
იგი უბულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა.” (847).

ასმათის კეთილგონიერება პოემის ამ ეპიზოდში თავისი მაქსიმალურ გამოვლენას ჰქოვებს. მოცემულია ტარიელის სულიერ-ფსიქიკური მდგომარეობის ზედმიწევნითი, დეტალური ანალიზი. წარმოჩენილია სასიცოცხლო ენერგიის, სულიერ-ზნეობითი სამყაროს მთლიანობა, “გულის”, “ცნობის” და “გონების” ერთობა, მაგრამ, როცა სასიცოცხლო ძალა დაშრეტილია, როცა პიროვნების ემოციური სამყარო გულგრილია ყველაფრისადმი და განურჩევლად ინდიფერენტულია, არც გარე სამყარო საინტერესო და არც სიბრძნისათვის იპოვება “მოცალეობა.” აქედან გამომდინარე, როგორც ამას ასმათი გვესიტყვება, “კაცი ვერ კაცობს,” რადგან “უგულოა” ამგვარი ადამიანი, ანუ გულგატებილია იგი, სულიერადაც და ხორციელადაც “განრღვეული.” ასეთ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, არც უნდა იყოს გასაკვირი ის, რომ სრულიად ძალადაშრეტილ პიროვნებას პირობის ადსრულების შესაძლებლობა არ გააჩნდეს. ასმათის უზადო თქმით:

“გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან:  
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;  
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან” (848).

დიდი მწუხარების ზუსტი გამოთქმა, სიტყვით გადმოცემა, მით უმეტეს, როცა ეს სხვისი მწუხარებაა, სხვაში მდუღარე და განუგრილებელი,

რასაკვირველია, ყოვლადშეუძლებელია. “ენა დაშვრების”, “გაცვდების”, ამბობს ასმათი. მისი თქმით, არა თუ სულიერი შეძრწუნდება ტარიელის თავზე მოწეული სასჯელით, არამედ თვით ქვასაც თავზარს დასცემს რაინდის უბედურება. ამიტომაც არის შესაძლებელი გაგებულ იქნას ავთანდილის მხრიდან ტარიელის მოცემული პირობის დარღვევა. თუმცა კი ავთანდილისეული სიმართლეც ამ შემთხვევაში სიმართლედ რჩება. ასმათი:

“ჯერთ მისი (ტარიელის, – მ.გ.) მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად

სმენია:

არა თუ კაცოა, სასჯელი ქვათაცა შესაძრწენია,  
დიჯლადცა კმარის, მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია;  
თვით რაცა ჰპრძანოთ, მართალ ხართ: სხვა სხვისა ომსა  
ბრძენია”(850).

სხვის ომში სხვისი ბრძნობისადმი ფხიზელი დამოკიდებულება  
კეთილგონიერ ადამიანს უთუოდ განამდიდრებს სხვისი შეცოდების  
განუკითხველობითა და მიმტევბლობით.

ზემოთ აღვნიშნეთ ავთანდილის გონივრული დამოკიდებულება  
სევდისადმი, ამაო, უსარგებლო ცრემლთა დვრისადმი. იმავე დამოკიდებულებას  
გამოხატავს რაინდი, როცა ასმათთან საუბრის შედგომ კვლავ ტარიელის  
საძებრად გაეშურება.

“კვლა იტყვის მიკვირს ნავლელი კაცისა ჭკუიანისა.

რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა?

სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა,

აწ მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა, ლერწამ-ტანისა (ანუ

ტარიელისა, – მ.გ.)” (863).

ავთანდილის კეთილგონიერების ცხადყოფის თვალსაზრისით,  
განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემის თავი: “პოვნა ავთანდილისაგან  
ტარიელისა.” არაბმა რაინდმა ინდოელი მოყვასი არა მხოლოდ ხორციელად,  
არამედ სულიერადაც “ჰპოვა”, სასიცოცხლო ხსნაში დაამკვიდრა იგი.

სიკვდილთან ახლოს მყოფი, “პირდაბლნეჯილ”, “სოფლით გაღმა  
გაბიჯებულ” ტარიელს სიცოცხლის აღარანაირი სურვილი არ შერჩენია.  
მიუხედავად იმისა, რომ დიდი პატივისცემის და სიყვარულის გრძნობა გააჩნია  
ავთანდილისადმი, მომავლისადმი უსასოსა და ინტერესგამქრალს მხოლოდ  
სიკვდილი სწყურია, თუმცა ერთს–დამარხვას მაინც სოხოვს მეგობარს.

ამ ადგილიდან კიდევ ერთხელ გვესიბრძნება ავთანდილის საკვირველი გონიერება. იგი ტარიელის გასაგონად შენიშნავს, რომ ინდოელი ამირბარი სიყვარულის სახმილში არც პირველია და არც უკანასკნელი. განსაცდელმა მოქმედებისაკენ უნდა მიმართოს ადამიანი და არა სასოწარკვეთილებისაკენ, რადგან ამ უკანასკნელს, საბოლოოდ, ერთადერთი რამ მოსდევს – სატანის ნაკარნახევი – ნებსით საკუთარი სიცოცხლის უარყოფა. ყველა ბრძენი ადამიანი ერთხმად მხოლოდ ერთს განაჩინებს: ჭირსა და იწროებაში ბრძენს დათმენის სათნოება განამშვენებს, რასაც მოსდევს პიროვნების სიმტკიცე და ურყეობა. სიცოცხლეზე უარის თქმა, უდაბურ ადგილებში სასოწარკვეთილი გახიზვნა პრობლემას ვერ მოაგვარებს, ამით ადამიანი გულის საწადელს ვერანაირად მიემთხვევა. სიბრძნე ყოველთვის ეძებს გამოსავალს, სიბრძნის ნაკლებობა კი მხოლოდ ჭრილობებში ჩხირკედელაობს. შეუდარებელია ავთანდილის კეთილგონიერება:

“თუ ბრძენი ხარ, ყოვლის ბრძენი აპირებენ ამა პირსა:

ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა.

თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ,

მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?

ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ,

თავსა მრთელსა რად შეიკრავ? წყლულსა ახლად რად

იწყლულებ?” (875,876).

როცა არსებობს სიბრძნისადმი პრეტენზია, მაშინ უცხო როდია ჭეშმარიტება: ყოველი ძვირფასი საუნჯე, მაღალდირებული სასურველობა მხოლოდ შრომით და ტანჯვით მოიპოვება. ეს არის დვთისაგან კურთხეული პური კაცობრიობისა, რომელიც მხოლოდ ოფლით მოინაყოფება. უფლის სიტყვაა – დაცემულ სამყაროში სიხარულის ტანჯვით დამკვიდრება, ხოლო “სიტყუანი უფლისანი არიან სიტყუა წმიდა ვეცხლ გამოჭურვებელ და გამოცდილ მიწით და განწმედილ შუდ წილად” (ფს. 11,6). კეთილი მიზნის მიღწევის წინ სრულიად ბუნებრივია სიძნელე და სირთულე სიტყაციისა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი დანებდეს ამ უკანასკნელთ. ამიტომაც შეაგონებს ავთანდილი სასოწარკვეთილ მეგობარს: “... არ იცი, ვარდნი უეპლოდ არავის მოუკრებიან!” (877).

მიზნის მიღწევის სიიოლე მიზნის მაღალდირებულებას ამცრობს. რაც მეტად რთულია მიაღწიო სასურველ შედეგს, მით უფრო სათუთია და საყვარელი საძიებელი სუბიექტი თუ ობიექტი. “სიძვირე” ამშვენებს სილამაზებს, განაპირობებს მის საღვთო მდგომარეობას, განსაკუთრებულობას. ასევეა ადამიანის დიდი სიხარულიც და დიდი ბედნიერებაც. სხვაგვარად, როცა არ არსებობს სიძვირე—სირთულე, როცა გაიაფებულია განსაკუთრებული, არც შეიძლება იგი განსაკუთრებულად ჩაითვალოს. ვარდის შესახებ ავთანდილის მიერ მოხმობილი იგავიც ამას მეტყველებს :

“ვარდსა ჰქითხეს: “ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად,  
პირად ?

მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ჭირად!”

მან თქვა: “ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა  
ძვირად ;

ოდეს ტურფა გაიეფდეს, ადარა ღირს არცა ჩირად” (878).

ამ ჭეშმარიტების კვალობაზე კი, მწუხარე ადამიანის მიმართ, ავთანდილი შემდეგს ასკვნის:

“რათგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უსაკო,

მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო ?” (879).

ავთანდილი არა მხოლოდ აანალიზებს სასოწარკვეთილებას და განსაცდელისადმი ადამიანის მხრიდან გონივრულ დამოკიდებულებას, არამედ სამომავლო გზას და მოქმედების ერთგვარ სისტემას დაუსახავს ძმობილს. უპირველესად ტარიელმა საკუთარი ნება უნდა მოიკვეთოს, არ ენდოს თავის თავს, რადგან მის შემთხვევაში გონივრულს სხვა უკეთ ჭვრებს, ტარიელმა უნდა სძლოს ქვედამზიდველ სასოწარკვეთილებას და ის, რაც მას არ უნდა (სიცოცხლე), რის მიმართაც ძალა არ გააჩნია (მოქმედება), რისკენაც გონებით მიხედვაც არ უნდა (სასოება) – ყოველივე უნდა შემოიკრიბოს თავისი დამღუპველი განრდვეულობის დამარცხების შედეგად. ავთანდილი შეაგონებს:

“ისმინე ჩემი თხერობილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა,

ნუ მიპყოლიხარ თავისა თაობირსა, გაგონებასა,

რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!

ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, ნუ მეჭვ რასაცა თნებასა. (880).

მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილი გონივრულად არ მიიჩნევს ტარიელის უზომო მწუხარებას და სასოწარკვეთილებას (რაც სავსებით ლოგიკურია), თვით

ტარიელი ერთობ მძიმე სულიერ მდგომარეობაში მყოფი თავად წარმოაჩენს თავის თავში არსებულ ღრმა სიბრძნეს, გონიერებას. იგი იძლევა ცნობაწართმეული “სელი” ადამიანის კეთილგონიერებისადმი მიმართების საოცრად ზუსტ ფორმულირებას:

“ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!

ეგ საუბარი (ავთნდილისეული შეგონება,—მ.გ.) მაშინ ხამს,  
თუცადა ვიჟო ცნობასა...”(896).

მანამდე კი ინდოელი ღრმააზროვან აფორიზმს გამოთქვამს, რაც პიროვნული მყარი ნების გამოვლენაა: “ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რაგინდა ვინ გივაზიროს”(883).

ავთანდილი ამის შემდეგაც არ დაცხრა შეგონებისაგან, მაგრამ ტარიელი მართალი აღმოჩნდა. სულიერად, ფსიქიკურად მოშლილმა პიროვნებამ სიტყვიერი საუნჯის ათვისება ვერ მოახერხა. იგი გულმდუღარე მოყვასმა ვერ გადაიბირა, “ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყვითა ვერა, ვერითა”(887).

მაგრამ ავთანდილი არ ნებდება. ღრმა არის მისი კეთილგონიერების უფსკრული, მაღალი და შორსმჭვრეტია მისი ხედვა. სიტყვიერებისაგან ხელმოცარულს ყურადღება ფიზიკურ ასპექტზე გადააქვს, კარგად იცის რა, რომ ადამიანი სულისა და ხორცის ერთობაა და, როცა სული უნიათოდაა, ფიზიკური სისტემის აქტიურმა ამოქმედებამ, ამოძრავებამ შესაძლოა ნებისმიერი დავარდნილი ადამიანის გამოჯანსაღება გამოიწვიოს. იგი თითქოს მხოლოდ ცხენზე ამხედრებას ევედრებოდა ტარიელს, თუმცა “იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა” (891). ავთანდილის კეთილგონივრული განზრახვის შედეგი მალევე გამოვლინდა: ტარიელის შინაგანი ყურადღება ფიზიკურ პლანზე გადავიდა და მოძრაობამ მწუხარე რაინდს “მოჯობება დააჩნია” (892). კაეშანმოშორებული მეგობრის ხილვა ავთანდილში უსაზღვრო სიხარულს იწვევს. ტარიელის მომჯობინება ჯილდოა ავთანდილისათვის. ჩვენ წინაშეა კეთილგონიერების საღვთო ნაყოფი – ადამიანის მობრუნება სიცოცხლისაკენ. არაბ რაინდს ამგვარი სიბრძნის გამოვლინებისათვის “სევდის მუფარახს”, “ცნობიერთა დასტაქარს”, და ფარული ვნებების მკურნალს უწოდებს აგტორი:

“რა შეატყო მოჯობება მან, სევდისა მუფარახმან,

– განანათლა პირი-ვარდი სიხარულმან დაუსახმან, –

ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხვრა-ახმან;

ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან” (894).

ტარიელი მომჯობინდა, მაგრამ მის საბოლოო განკურნებამდე ისევ სიტყვიერების მოშველიება იქნა საჭირო. ამოუხაპავია ავთანდილის კეთილგონიერება. ავტორი შენიშვნავს:

“გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი”(901). ამდენად, განუზომლად დიდია და ყოვლისშემძლე საღვთო ძალმოსილებით ამეტყველებული ენა მოყვასისა. ავთანდილი, გარკვეულწილად დატუმშული, დაწურული სახით იმეორებს ყოველივე იმას, რასაც უუბნებოდა იგი ტარიელს, როცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ცნობამიხდილ მდგომარეობაში იმყოფებოდა: წყლულს გაღიზიანება არ სჭირდება. თუ პრაქტიკულად არ აღასრულებ ბრძენთა მიერ ნამცნებს, ამაოა მხოლოდ თეორიული განსწავლა. თუ საუნჯე დაფარული და დამარცულია, თუ მას ადამიანი არ გამოიყენებს, რასაკვირველია, ყოვლადუსარგებლოა ამგვარი სიმდიდრე. ავთანდილი ტარიელს

“ამას ეტყვის: “შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა,  
მაგრა შენცა ნუ აგრე ხარ, ნუ იწყლულებ ახლად წყლულსა;  
არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა:  
არ იხმარებ, რა ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?” (902)

მხოლოდ დამწუხერება სასიკეთოს ვერაფერს მოიტანს, დვთის განგებულების გარეშე არაფერი ხდება. არც ადამიანის სიცოცხლე, სიკვდილი იმართება შემთხვევითობის მიერ. ამიტომაც უნდა იღვაწოს ადამიანმა, ეძიოს, სცადოს, გაიმარჯვებს თუ არა, ეს უკვე ოდენ დვთის ნებაა:

“არას გარგებს შეჭირვება, რომ სჭმუნვიდე, რა გერგების!  
არ თუ იცი, უგანგებოდ არათ კაცი არ მოკვდების?  
...ბედი, ცდა და... გამარჯვება, დმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების”  
(903).

ამ საღვთო სწავლებას, რასაც მცირე ხნის წინ უარყოფდა სულიერად დაცემული მდგომარეობიდან გამომდინარე, ტარიელი ამჯერად მთელი ქვეყნის ტოლფასად მიიჩნევს. გონიერი ადამიანი წვრთნისა და მწვრთნელის მოყვარულია, ამბობს ინდოელი რაინდი, უგუნურისათვის კი განმსწავლების სიკვდილია, მაგრამ ტარიელი იქვე მიუთითებს ავთანდილს თავის უზომო სიმძიმილს, რისი გამართლებაც შეუძლებელია ავთანდილის მხრიდან უარყოფილ იქნას და გაუცნობიერებელი. ტარიელი ჩვეული გონივრული სიზუსტით აღნიშნავს, რომ ავთანდილი იმავე “ჭირითაა” შეპყრობილი, რითაც ტარიელი:

“მოახსენა: “ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად დირდეს,  
გონიერთა მწვრთნელი უყვარს, უგუნურთა გულსა პგმირდეს,  
მაგრამ რა ვქმნა, რაგვარ გავსძლო, მეტის-მეტი რა მიმჭირდეს?!  
შენცა გჭირან ჭირნი ჩემნი, არ მამართლო, არ მიკვირდეს?” (904).

ის სიბრძნე და კეთილგონიერება, რაც სასოწარკვეთილების მიზეზით  
დაფარული იყო ტარიელის შინაგან სამყაროში, ავთანდილის მყარი ნებით და  
ლრმა კეთილგონიერებით ამოიზიდა სამზეოზე.

მიჯნურს მოშორებული ტარიელისათვის “სიკვდილი... ლხინია” (918).  
მსგავს მდგომარეობაში იმყოფება თინათინის მომგონებელი ავთანდილიც. მათი  
განწყობილება ზიარია. ასე რომ, ტარიელისეული ანალიზი ამ მდგომარეობისა  
მისი ძმობილის სულსაც ზედმიწევნით ესიტყვება:

“სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი?

უწყლობა პკლავს და წყალი სდის, აროდეს არ გახმობილი!..” (919).

ეს სიტყვები მწუხარე ადამიანის სულიერ ქაოტურობას გადმოსცემს,  
ამიტომაც არის ასეთ შემთხვევაში სიკვდილი ლხინება, მაგრამ სევდა მართული  
ხდება კეთილგონიერებით. ავთანდილი ამბობს:

“ვარდი ამას ვით იაზრებს: მზე მომშორდეს, არ დავჭინეო,

ანუ ჩვენ, გლახ, რა გვერგების, რა ჩასვენდეს გორსა მზეო?

გულო, გიჯობს, გაუმაგრდე, თავი სრულად გაიკლდეო,

ნუთუ მოგხვდეს ნახვა მისი, სულთა სრულად ნუ დალეო” (921).

“აროდეს არ გახმობილი” ცრემლი სიბრძნით შრება. უწყვეტ გლოვას  
სასოწარკვეთილებისაკენ მიჰყავს ადამიანი, რაც ეშმაკის მანქანებაა. თავის  
მოკვდა, ბოროტი ძალის ნებსითი მორჩილება კარგს ვერაფერს მოუტანს  
მწუხარებით შეპყრობილს, ამიტომაც მყარდება ნება “ჭირის,” ანუ  
განსაცდელის დათმობისა. ავთანდილი

“...გულსა ეტყვის: “ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია,

რას გარგებს მოკვდა თავისა? ეშმა ძმად თურმე გძმობია;

მეც ვიცი ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია,

მაგრა თუ ჭირსა არ დასომობ, ლხინი რა დასათმობია!” (965)

მძიმეა ტარიელის სულიერ-ფიზიკური მდგომარეობა. უსასოობა რაინდის  
გარეგნულ მხარესაც აძაბუნებს. ერთობ საშიშია და კრიტიკული მისი მიმართება  
სიცოცხლესთან. დრო არ ითმენს, ყოველი წუთი ძვირფასი ხდება. ამის გამო  
უკანება ავთანდილი ფრიდონს, რომ, “არა სცალს”; რომ ცეცხლი წვაგს

“მოუთმენები”. მას, როგორც მოყვასს, “განსვენების” უფლება არ აქვს. მოცდა-მოსვენება დიდი ცოომილებაა, რადგან ძმობილი სიკვდილის პირას არის მისული. “დგომა მგზავრისა ცოომაა, კარგსა იქმს თავსა სწვრთიდესა” (1016), – ასკვნის ავთანდილი ფრიდონთან საუბრისას.

საყურადღებოა ფატმან-ხათუნის გონიერებაც. მიუხედავად იმისა, რომ მისი პირვანდელი მიმართება ავთანდილთან მთლიანად მოცულია ხორციელი ნდომითა და ჟინით, ერთგან მეტად მნიშვნელოვან ფრაზას გამოთქვამს, რაც მისი “მიმალული” სიბრძნის გამოვლინებაა: “მას მკურნალმან რაგვარ პკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდესო” (1083), – ფიქრობს იგი. სნეულებას სნეულისაგან გამხელა სჭირდება, ზუსტად მითითება, ტკივილის ანალიზი. სხვაგვარად მკურნალის ხელოვნება ამაო რჩება. კურნება იწყება იქ, სადაც მტკივანი და შემაწუხებელი ადგილისადმი აღსარებაა მოცემული.

არც ავთანდილის მიმართებაა ფატმანთან წრფელი და საღვთო. რაინდს ერთადერთი მიზანი აქვს – მოძებნოს მეგობრის მიჯნური. ამ მიზნის მისაღწევად იგი დალატობს ხორციელ სიწმინდესაც და სულიერი სიწრფელის პრინციპსაც. მისი გონიერება ერთგან ერთგვარ ცბიერ მიზნობრივ კონტექსტში ვლინდება. იგი შინაგანად ძრწის (საბოლოოდ არაბ რაინდს ეს ძრწოლა უშველის), მაგრამ გარეგნულად მაინც თანხმდება ფატმანის ტრფიალს და თავის თავს სიტუაციის “მიყოლას” ურჩევს: “მიჯობს, მივყვე განდა სადმე ვსცნობ საქმესა დამალულსა” (1093), – ფიქრობს იგი. ამ ფიქრს მოსდევს სწორედ სიბრძნის გამოვლინება: ავთანდილი:

“კვლა იტყვის: “ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ  
მოსთმინდების;

მით რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდების;

ბინდის გვარია სოფელი, ეს თურ ამად ბინდდების,

კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების!” (1094)

რიგ შემთხვევაში შეჭირვების ჟამს ადამიანი მოკლებულია საღი განსჯის, აზროვნების უნარს. პრობლემა ემოციებს აძლიერებს და გონიერებაც ვერ ავლენს თავის თავს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ნესტან-დარეჯანი, რომლის სიბრძნე ურთულესი სიძნელეების დროსაც კი ცნაურდება. მწუხარება მასში ვერ კლავს კეთილგონიერებას, იგი გამუდმებით იბრძვის, თვით დუმილის დროსაც კი. მას არ ახასიათებს ემოციები შეჭირვებისას. პირიქით, იგი გონიერი ადამიანის წესად მიიჩნევს სირთულეებისას გონივრულ სჯას. ტყვეობაში მყოფი

„პვლაცა იტყვის: „ნუ დავაჭნობ შვენებასა ვარდთა ფერსა,  
გეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა!  
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?  
რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა!” (1191)

მტერი როცა “მტერობს”, როცა მისი მტრული ზრახვები შენიდბული არ არის, უფრო ფრთხილობს ადამიანი. იგი მზად არის და ამ მზადყოფნით ეგებება მტერს. მაგრამ, როცა დამალულია მტრის ზრახვა და მოყვრის სახელსაა მტერი ამოფარებული, სწორედ მაშინ არის უფრო მეტად საშიში და სახიფათო. ვისაც ძალუმს ჩაწვდეს ასეთი ადამიანის ზრახვებს, რასაკვირველია, იგი აღარც ენდობა მზაკვარს. ავთანდილი ფატმანს ეუბნება:

“...ნუ გეშის, წიგნსაცა აგრე სწერია:  
მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია;  
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია...” (1211).

მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილისათვის ძირითადად გონიერი სიდინჯვ, აუჩქარებდობაა დამახასიათებელი, ემოციების გარკვეული ზეწოლისაგან ისიც არ არის თავისუფალი. მას ტარიელისათვის ნესტან-დარეჯანის “გარდაკვეთილი” რიდე მოაქვს. ტარიელმა ამის შესახებ არაფერი იცის, მას ცოცხალიც კი აღარ პგონია ნესტან-დარეჯანი. იგი არ უჯერებს ავთანდილს, რომ მიაგნეს დაკარგულის კვალს. ავთანდილიც ვერ უძლებს მოყვასისადმი სამახარებლო უწყების სიხარულს და ყოველგვარი შემზადების გარეშე უჩვენებს ტარიელს ნესტანისეული რიდის ნაკვეთს:

“რა ტარიელ არ შესჯერდა, ავთანდილცა არ დაწყნარდა,  
მის ამბისა დაყოვნება ვეღარ გასძლო, აუჩქარდა,” (1339).  
ამ მოუზომავმა ნაბიჯმა კინადამ სიცოცხლეს გამოასალმა ტარიელი: “სულნი  
გაექცეს, მოდრიკნა თავი გიშრისა ტალამან” (1340). ავთანდილი  
ჰგრეტს „...ტარიელს, უსულოდ ქვე-მდებარესა” (1341). იგი მიხვდა, რომ დიდი  
შეცდომა დაუშვა. მის მიერ სწრაფადვე ხდება ანალიზი დაშვებული შეცდომისა,  
რასაც მოსდევს და სახეზეა კეთილგონიერი სჯა და დასკვნა. ავთანდილი,  
საკუთარი საქციელისადმი დიდი სინანულით განწყობილი:

“პირსა იხოკს, დაწვთა სისხლი ჩასდიოდა მისსა მჭვრეტსა:  
“რაცა ვქმენო, არ უქნია არცა შმაგსა, არცა რეტსა;  
წყალი სწრაფით რად დავასხი ცეცხლსა, ძნელად დასაშრეტსა!  
ჩქარად უცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა.” (1343)

ასე რომ, ავთანდილი თავის ნამოქმედარს “შმაგისა” და “რეტის” საქციელზე უფრო კნინად მიიჩნევს. იქვე კი შესანიშნავ შეგონებას გვთავაზობს, რაც ბრძენმა საკუთარ ცოლმილებას მოადევნა, როგორც მივიწყებული, მაგრამ უკვე გახსენებული ცოდნა. მოცემულია გმობილი სიწყნარის პრიორიტეტი ქებულ სიჩქარესთან შედარებით:

“მე მოვგალ ჩემი მოყვარე; რა მმართებს გაწბილებულსა?

თავსა ვაბრალობ საქმესა, არ დასმით გაგონებულსა!

ცრუ კაცი კარგად ვერა იქმს საქმესა გაძნელებულსა,

თქმულა: “სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა!”

(1344)

ზემოხმობილი მაგალითები ცხადყოფენ პოემის პერსონაჟთა  
კეთილგონიერებას, ცხოვრების წესით გაცხადებულს, პრაქტიკულად  
რეალიზებულს, ხორცშესხმულს, რომელიც ყოველთვის განპირობებულია  
საღვთო, ზეციური სიბრძნით.

## დ ა ს ს ბ ა

ამგვარად, რუსთველის მიერ მოცემული ზნეობითი პრინციპებით,  
„ვეფხისტყაოსანში“ ცხადჩენილია ქრისტიანული ზნეობის პარადიგმები.  
წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიმოვინილეთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი:  
ადამიანის მიმართება შემოქმედთან, მოყვასის სიყვარული, სიყვარული მტრისა  
და სამყაროსადმი, სირცხვილისა და სინდისის ზნეობითი კატეგორიები,  
აგრეთვე, სასოებისა და კეთილგონიერების სათნოებანი.

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობასა და ლიტერატურათმცოდნეობაში  
შოთა რუსთველის, როგორც პოეტის, და მისი პოემის – „ვეფხისტყაოსნის“  
ადგილსა და მნიშვნელობას, საკუთრივ ავტორისა და ნაწარმოების  
განმსაზღვრელი სახელდება ცხადყოფს – რუსთველოლოგიური მეცნიერება,  
რაც, უპირველეს ყოვლისა, საკვლევი ობიექტის უდიდეს მასშტაბს ასაცნაურებს.

ერთობ მწირია ბიოგრაფიული ცნობები რუსთველის შესახებ, მაგრამ “ვეფხისტყაოსნის” მხატვრული და თეოლოგიურ-ფილოსოფიური მხარე თავისთავად წარმოაჩენს მისი ავტორის მაღალ სულიერ ხედვასა და ლიტერატურულ გემოვნებას. “ვეფხისტყაოსნის” ზნეობითი ასპექტი ყოველთვის წარმოადგენდა რუსთველოლოგიური კვლევის ინტერესს, აქედან გამომდინარე, თითქმის არც ერთ რუსთველოლოგს არ აუკლია გვერდი პოემის ეთიკური მნიშვნელობის განსაზღვრისათვის. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მეცნიერული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა უმთავრესი: “ვეფხისტყაოსანში” პრაქტიკულად ყოველი პრობლემა კოორდინირებულია ქრისტიანული ეთიკის ნიშნით.

ჩვენი ნაშრომის მიზანია გამყარება ამგვარი თვალსაზრისისა. ეს გამყარება ეფუძნება პოემის მორალური მხარის ქრისტიანული ზნეობის პარადიგმებით არგუმენტირებას, წმინდა წერილიდან იმ წყაროების დადგენას, რითაც საზრდოობს “ვეფხისტყაოსანი”, პოემაში წარმოჩენილ ზნეობრივ საკითხთა მსგავსი პრობლემების შესახებ თუ რას მაუწყებლობენ ეკლესიის მამები, და ბოლოს, “ვეფხისტყაოსნის” ეთიკური კვლევის სიდრმისათვის რას გვითვალისწინებს ქრისტიანული ზნეობითი დვოისმეტყველება, როგორც სამეცნიერო დისციპლინა.

“ვეფხისტყაოსნის” ზნეობითი მხარე, პოემის მორალური მნიშვნელობა არაერთგზის ყოფილა რუსთველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის საგანი. თხზულების ეთიკურ საკითხებს წარმოაჩენენ და აანალიზებენ: ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, კორნელი კაკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი – კალისტრატე ცინცაძე (პ. ეკაშვილი), ვიკტორ ხოზაძე, ხოდარ ნათაძე, სარგის ცაიშვილი, ზვიად გამსახურდია, ზურაბ კიკნაძე, ელგუჯა ხინთიბიძე, რევაზ ბარამიძე, ნესტან სულავა, ქეთევან ბეზარაშვილი, მარიამ კარბელაშვილი, მერი გუგუშვილი, ლელა ალექსიძე, თამარ ხვედელიანი. მეცნიერთა მიერ განხილულ ზნეობით საკითხთა მასშტაბის მიუხედავად, “ვეფხისტყაოსნის” ეთიკური მხარის კვლევისას (ობიექტური მიზეზების გამო) გათვალისწინებული არ ყოფილა ზნეობითი დვოისმეტყველება, როგორც ქრისტიანული ეთიკის სისტემა. ჩვენი ნაშრომი ამ ხარვეზის შევსებას ითვალისწინებს.

გამოკვლევაში განსაზღვრულია “ვეფხისტყაოსნის” ზნეობითი სამყაროს მნიშვნელობის მიზეზი, ის საწყისი, რომელმაც განაპირობა პოემის ეთიკური დირსება. დვოისადმი სიყვარული განაპირობებს ნებისმიერი სარწმუნოებრივ-ზნეობითი მცნების ჭეშმარიტ რეალიზებას. ქრისტიანული მსოფლედვიდან ამოზრდილი რაინდული დიდბუნებოვნება განაპირობებს არა მხოლოდ მოყვასისადმი სიყვარულს (რაც, მაცხოვრისეული სწავლებით, სავსებით ბუნებრივია), არამედ შემცოდისადმი მიმტევებლობასაც, რაც, სახარების ენით, მტრისადმი სიყვარულადაა სახელდებული.

გამოკვლევაში ზნეობითი სრულყოფისათვის უცილობელი ასკეზის წინაპირობაა წარმოჩენილი. ჩვენი ყურადღება მიპყრობილია ერთი ტაქტის – “დმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს” (306,3) მიმართ. ამასთან დაკავშირებით განხილულია რიგ მეცნიერთა მოსაზრებები, რომლის შემდგომ წმინდა წერილში მოცემული სწავლების (2შჯ. 32,39. 1 მევ. 2,6) ეკლესიის დიდი მასწავლებლის – ბასილი დიდისეული კომენტარის მოხმობით საბოლოოდ განმარტებულია საცილობელი ტაქტის რეალური შინაარსი.

პოემაში არაერთგზის ცხადჩენილი შინაგანი ფერიცვალება პიროვნებებისა, სულიერ-ზნეობითი კათარზისი, საფუძველს იძლევა, რომ ვისაუბროთ “ვეფხისტყაოსანში” არსებული ზნეობითი კატეგორიის – სინდისის, როგორც პიროვნული ცნობიერების უნივერსალური თვისების შესახებ.

ნაშრომში განხილულია პოემის შინაარსობრივი მხარის არსებითად მახასიათებელი ნიშნის – სასოების პირველწყარო – წმინდა წერილი. “ვეფხისტყაოსნისეული” იმედი ცხადყოფს სასოების შესახებ ბიბლიისეულ სწავლებას.

ქრისტიანულ სასოებას, ადამიანურ შესაძლებლობათა მამოძრავებელს, მრავალგვარი სათნოება განაპირობებს. გამოკვლევა გვთავაზობს “ვეფხისტყაოსანში” გამოვლენილი ერთ-ერთი ამგვარი სათნოების – კეთილგონიერების ანალიზს, წმინდა წერილის მიხედვით. შემოქმედთან სულიერი, გონებითი სიახლოვე ყოვლის უწინარეს ასაცნაურებს ადამიანის კეთილგონიერებას. სულიერ-გონებით სიწმინდეს თან მოსდევს როგორც ხორციელი უმანკოება, ასევე პრაქტიკული, ყოფითი სიბრძნე. ფხიზელი ანალიტიკური გონება წარმართავს “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟებს მართებული არჩევანისკენ. ამგვარი წარმართვა გამშვენებულია განუწყვეტელი ლოცვითი მდგომარეობით.

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა პერიოდის რუსთველოლოგთა (და ზოგადად ქართველ მეცნიერთა), ასევე ქართველ მწერალთა გამოკვლევები, საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით არსებული ქართული წყაროები. პოემაში მოცემული ზნეობითი სწავლანი თუ საკუთრივ “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთა მორალური ქმედებანი განხილულია წმინდა წერილის მიხედვით. გამოყენებულია ეკლესიის მამათა თხზულებები, მათი ზნეობითი და ასკეტური ხასიათის ნაშრომები, აგრეთვე, თანამედროვე დვთისმეტყველთა ფუნდამენტური გამოკვლევები და მათ მიერ შექმნილი ზნეობითი დვთისმეტყველების სახელმძღვანელოები. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

შოთა რუსთველის “ვეფხისტყაოსანი” იმ დიდი სარწმუნოებრივი აღმავლობისა და საღვთისმეტყველო აზრის ზეობის ნაყოფია, რომელიც წინ უსწრებდა გენიალური მწერლის გპოქას. პოემის შინაარსობრივი მხარე ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდად იყო განსწავლული თხზულების ავტორი როგორც წმინდა წერილისეული სიბრძნით, ასევე საღვთისმეტყველო და “გარეშე” ცოდნით. ავტორის მსოფლხედვას ცხადყოფს არა მხოლოდ თეოლოგიური მონაცემები ნაწარმოებისა, არამედ ასევე “ვეფხისტყაოსანში” ცხადჩენილი ზნეობითი სჯულდებანი, პერსონაჟთა ეთიკური პრინციპები და ამ პრინციპთა მიხედვით წარმართული მათი ურთიერთმიმართებანი.

ჩვენი გამოკვლევა ეხება ქრისტიანული ზნეობის ზოგიერთ პარადიგმას “ვეფხისტყაოსანში”. ამგვარი პარადიგმების არსებობას შეგვახსენებს, თუნდაც ცნობილი “ავთანდილის ანდერძი”, რომელშიც მაღალი მორალის არსებითი ნიშნები წყობილი სიტყვით მოცემულ ეთიკურ სისტემას წარმოგვიდგენს.

დვთივმომდინარე ქრისტიანული ზნეობა ადამიანს დვთის ნებას ამცნობს, რათა ამ ნების გაცნობიერებით წარიმართოს პიროვნების სულიერ-ზნეობითი სლვა მართებული არჩევანისაკენ.

პიროვნებისეული მსოფლმხედველობა განაპირობებს მისივე ყოფითი არსებობის გარეგნულ წესს და, პირუკუ, რეალური ცხოვრება, თავის მხრივ, ასაცნაურებს მსოფლმხედველობას. ადამიანის შინაგანი სამყარო (როგორც ამას ცხადყოფს სახარებისეული იგავი (მთ. 7,17) “ნაყოფით” შეიცნობა, რადგან დაფარულს მხოლოდ გარეგნული მხარე წარმოაჩენს. ზნეობა ოდენ წერილობითი ფორმით მოცემული სჯული არ არის, იგი, უპირველეს ყოვლისა, “გულთა შინაა დაწერილი” (რომ. 2,15). ზნეობითი სჯული დვთისაგანაა უწყებული, მაგრამ

ქრისტიანული ეთიკის დასაწყისი იმ პერიოდს განეკუთვნება, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა წარმართობისა და ქრისტიანობის მორალური პრინციპები. ამ დაპირისპირების შედეგად გამოიკვეთა ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და ზნეობითი ღირებულების შეუდარებელი აღმატებულება.

ადამიანის ყოველი ქმედების (ზოგადად ზნეობითი ბუნების) უცილობელი წინაპირობაა თავისუფალი ნება. იგი ნებისმიერი კეთილმოღვაწეობის შემოქმედებითი საწყისია. ეს არის ძალა, რომლითაც მიისწრაფვის ადამიანი დვთისაკენ. ამგვარი თავისუფალი ნებით არიან “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟებიც აღბეჭდილნი. ეს ნიჭია მათი პიროვნების დამაკვიდრებელიც და ინდივიდუალური თვისებების მაუწყებელიც.

პოემა ღრმად იცნობს პიროვნების შინაგან, ინტიმურ სფეროს – სინდისს, რომელშიც ინტეგრირებულია პიროვნების მიერ მორალურად გაცნობიერებული მთელი მოღვაწეობა.

ეთიკურ მშვენიერებათა უარყოფას ხშირად მიჰყავს ადამიანი სინდისის ქენჯნამდე, ეს უკანასკნელი აპირობებს სირცხვილს, სინანულს, რომლის განცდის გარეშე შეუძლებელია ადამიანი იწოდებოდეს ზნეობით პიროვნებად. სინდისი მართავს ან ამხელს “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟებს. კარნახობს მათ სიტყვას და საქმეს.

პოემის უმთავრესი მოტივი სიყვარულია, რაც, ასევე, წარმოადგენს, ქრისტიანული ზნეობის საწყისს. მთელი სჯული ორი მცნებითაა რეალიზებული: დვთისა და მოყვასის სიყვარულით (მთ. 22, 35-40; ლკ. 10, 25-28). ამ სიყვარულით საზრდოობენ პოემის მთავარი პერსონაჟებიც. მათი მიმართება დვთისა და მოყვასისადმი ცხადყოფს, რომ “ვეფხისტყაოსნის” ეთიკური სივრცე ქრისტიანული ზნეობის სამყაროა.

რუსთველოლოგიური მეცნიერება ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა პოემის ზნეობით მნიშვნელობას, იმ მორალურ მხარეს, რასაც ნაწარმოები ასაცნაურებს. ამ თვალსაზრისით, “ვეფხისტყაოსანს” სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. პოემას ჰყავდა თავისი ოპოზიცია, რომელიც თხზულებას უზნეობის მაუწყებლად თვლიდა. ოპოზიციას წარმოადგენდა როგორც ზოგიერთი საერო, ასევე სასულიერო პირი. ისინი “... სამექაოდ თარგმნიდნენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა” (ვახტანგ მეუქასე). საბედნიეროდ, ამ თვალსაზრისს არ მიუღია დიდი მასშტაბი. მათი უმართებულო დამოკიდებულება პოემისადმი ეპოქათა და საქართველოს უდიდეს შვილთა

ერთსულოვნებამ ცხადყო. “უცოდინართა” და “სოფლის ნივთთა შემსჭვალულთა” (ვახტანგი) საწინააღმდეგოდ, “ვეფხისტყაოსნის” ზნეობითი წარმომავლობის საფუძვლებზე მიუთითებენ ვახტანგ მეექვსე, მარი ბროსე, ოეიმურაზ ბაგრატიონი, წმ. ილია მართალი (ილია ჭავჭავაძე), იაკობ გოგებაშვილი, საქართველოს მწყემსმთავარი კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კვებლიძე, ვიკტორ ნოზაძე, ზვიად გამსახურდია, ზურაბ კიკნაძე, რევაზ თვარაძე, ნესტან სულავა, ქეთევან ბეზარაშვილი, მერი გუგუშვილი, მარიამ კარბელაშვილი და მრავალი სხვა რუსთველოლოგი. მათი მიხედვით, “ვეფხისტყაოსნის” ვერგაბების მიზეზი, ცოდნის დონის დაქვეითება (რ. თვარაძე), “მცდარი ეთიკური ინტერპრეტაცია” (ზ. გამსახურდია) იყო. არამართებულია იმის თქმაც, რომ ეკლესია ებრძოდა პოემას, პირიქით, ეკლესია ყოველთვის აფასებდა უკვდავ ნაწარმოებს (ზ. გუგუშვილი), რაც შეეხება პოემაში ნამდვილად არსებულ არაეთიკურ ქმედებებს, მათ თავიანთი ახსნა აქვთ: ცოდნა გამართლებას არ საჭიროებს, მაგრამ ცოცხალი ადამიანისათვის ყოველთვის შესაძლებელია სინანული (კორნელი კვებლიძე, ვიკტორ ნოზაძე, უწმინდესი კალისტრატე ცინცაძე). ხასიათების ჭვრება უნდა ხდებოდეს მათი “გარდაქმნის დინამიკაში” (მ. კარბელაშვილი). “ვეფხისტყაოსანი” არის “სიბრძნისა და კეთილის ერთი დარგი” (ვახტანგ მეექვსე), “ქართულ ხარაკტერსა ზედა... შეწყობილი” სათნოებათა კრებული (თეიმურაზ ბაგრატიონი). “კმასაყოფელი აღწერა... ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა” (ზ. ბროსე). პოემაში მოცემულია “...ქართველების ღირსებანი” (ი. გოგებაშვილი), სასოება, მეგობრობა, სიყვარული, ადამიანის სულის ცოდნა, მართლის თქმა (კ. კვებლიძე), “ვეფხისტყაოსანი” “ერთგვარი დაბადებაა”, ხალხის “სულიერი საუნჯე”, კულტურის ნიშანი, – “ამოუწურავი ჰანგების” (ანუ სულიერ – ზნეობითი ღირებულებების) საფასე (ვ. ნოზაძე), რომლითაც გაცხადდა ქართველი ერის მსოფლხედვა. ზემოთქმული ცხადყოფს როგორც პოემის ბუნებრივ ზნეობით მშვენიერებას, ასევე მის უდიდეს მნიშვნელობას არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

ზნეობითი სჯულის აღსრულება ყოველთვის გულისხმობს ამ აღსრულებისათვის აუცილებელ თავისუფალ ნებას, რომლის კვალობაზეც არის გამოხატული სწორედ ქრისტიანული ზნეობა. აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელის საწყისი თავისუფლების ნიშნით უნდა იყოს აღბეჭდილი. ეს საწყისი სიყვარულადაა სახელდებული.

სიყვარული ზნეობითი სჯულის ანი და პოეა. იგი თავის თაგმი აერთიანებს სარწმუნოებასა და სასოებას, გარდა ამისა, იგია, აგრეთვე, ყოველგვარი სათნოების წინაპირობა. ზნეობითი სრულყოფილების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებასა და სასოებას, მაგრამ სიყვარული ამ ორ სულიწმინდისეულ ნიჭს აღემატება თავისი ყოვლისმომცველობით, რადგან, თუ იმედი და რწმენა განეკუთვნება “უმეტესად ამქვეყნიურ სიქველეთ”, თუკი ისინი ამზადებენ ადამიანს იმქვეყნიური ცხოვრებისათვის, თვით სიყვარული წარმოადგენს როგორც ამქვეყნიურ, ისე იმქვეყნიურ სათნოებას. რომლის მეშვეობით ადამიანი შემოქმედს ემსგავსება (მატვეევი).

სიყვარული არ არის განსაზღვრული დროითა და სიგრცით. მის ყოვლისმომცველობას ძალუძს მთლიანობის, ერთობის სულით გამსჭვალოს კაცობრიობა.

“...სიყუარული არს სულიწმიდავ”, – ამბობს წმ. მაკარი დიდი. ასკეზის უდიდესი მასწავლებელი წმ. იოანე სინელიც ამბობს: “უფროის ყოვლისა სიყუარული, რამეთუ დმერთ ეწოდების”. სიყვარული მარად დვთისაკენ ისწრაფვის. მოყვარულ გულს “განსვენებისათვის” არ სცალია. იმავე მოძღვრის თქმით: “...სიყუარული ბუნებით მსგავსება არს დმრთისა, რაოდენ კაცთა მიერ შესაძლებელ არს და მისაწორმელ”. ზნეობითი დვთისმეტყველების ერთ-ერთი შესანიშნავი სახელმძღვანელოს ავტორი პროფესორი სტელეცკი შენიშნავს, რომ სიყვარული ადამიანური სულის დვთისაკენ განუწყვეტელ სწრაფვაში მდგომარეობს. შემოქმედთან სულიერი, გონებითი შერწყმა, დმერთში დამკვიდრება მხოლოდ სიყვარულის მადლითაა შესაძლებელი. სიყვარული, ამასთანავე, “მეტრფესა” და “სატრფოს” თანაზიარებას გულისხმობს, ერთი სულითა და ერთი გონებით შეკვრას.

მცნებათაგან უპირველი დვთისადმი სიყვარულია, რომლიდანაცაა ამოზრდილი მოყვასის სიყვარული. ამ უკანასკნელის რეალიზებით ცნაურდება სიყვარული შემოქმედისადმი.

“უთვალავი ფერით” ცხადქმნილი სამყაროც ამგვარი სიყვარულითაა განცხოველებული. ბუნებისა და მოვლენების მიღმა ვჭვრეტო შემოქმედს. ყველაფერი უფლის დიდებას დაღადებს: “ცანი უთხრობენ დიდებასა დმრთისასა და ქმნულსა გელთა მისთასა მიუთხობს სამყარო ” (ფს. 18,1).

“ვეფხისტყაოსნისეული” სამყარო მსგავსი დაღადების თანამებმეა. მისი ევქარისტიული მიმართება დმერთან მთელ პოემას სულიერი ნათლით აღბეჭდავს.

დვთის “ცნობა”, ჰეშმარიტი სიბრძნით აღვსება მხოლოდ მოყვარულთ ძალუმთ, რადგან ვისაც არ უყვარს, “...მან არა იცის დმერთი” (1 იოან. 4,8). “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟებს უყვართ უფალი და მოყვასი, უყვართ სამყარო, როგორც დვთივბოძებული საგანძურო. პოემაში არა მხოლოდ ადამიანი მდერის (მაგ.: ავთანდილი), არამედ ამ სიმღერით “ცოცხლობენ” უტყვი არსებებიც და უსულო საგნებიც (შდრ.: “ავთანდილის სიმღერა”). “ვეფხისტყაოსნისეულ” სიყვარულს ადამიანი დმერთან მიჰყავს, რუსთველისეული კონცეფცია ახალი სჯულის მცნებებს ეფუძვნება. ყოვლისმომცველი მადლი სულიწმიდისა პოემაში მრავალგვარი სახით ცნაურდება.

“ვეფხისტყაოსნისეული” სათნოებანი და, მათ შორის, უპირველესად, სიყვარული (მოყვასისადმი, მიჯნურისადმი თუ სამყაროსადმი) დვთისადმი სიყვარულს ეფუძნება. ეს უკანასკნელი უპირველესია მცნებათაგან, როგორც ამას გვაუწყებს მაცხოვარი სახარებაში (მათ. 22,37-37; მარკ. 12,29-30).

შიში დვთისა, უფლის განგებულებისადმი მორჩილება, ლოცვა, სასოება და სხვა მრავალი ნიჭი სულიწმიდისა მოწმობს დვთის სიყვარულს, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედისადმი ამგვარ მიმართებას მოყვასისადმი სიყვარული ცხადყოფს: “უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყუარს დმერთი და ძმად თუსი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს ძმად თუსი, რომელი იხილა, დმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უცს შეეუარებად? და ესე მცნები მოვიღეთ მისგან, რათა რომელსა უყუარდეს დმერთი, უყუარდეს ძმადცა თუსი ” (1 იოან. 4,20-21). სწორედ ძმათმოყვარება, მოყვასობის მაღალი იდეის რეალიზება ცხადყოფს “ვეფხისტყაოსანში” სიყვარულს დვთისადმი. უხილავი (უფლის სიყვარული) ხილულით (მოყვასთა ურთიერთმიმართებით) ცნაურდება. “გონების საქმე” ხორციელად იხილვება: “სიყვარული დმრთისავ საქმე არს გონებისავ, და დაფარული გონებისავ ამით იხილვების, რაჟამს სიყუარულისათვის დმრთისა აღვასრულოთ მცნებად მისი და ვიყუარებოდით ურთიერთას” (წმ. იოანე ოქროპირი).

დვთის სიყვარულზე მიუთითებს, აგრეთვე, უფლის მცნებათა აღსრულება: “ესე არს სიყუარული დმრთისავ, რათა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ” (1 იოან.5,3). ეს “დამარხვა” გულისხმობს სარწმუნოების არა მხოლოდ სიტყვით

აღიარებას, არამედ, უმთავრესად მის საქმით რეალიზებას. ამგვარი წესით მცხოვრები “...ღმრთისაგან იშვებიან” (წმ. იოანე ოქროპირი), ისინი უფლის თანაზიარნი ხდებიან და, საღვთო ცოდნით გამდიდრებულნი, მცნებათა კვალობაზე იღვწიან შემცობნელნი იმისა, რომ “...რომელი საუფლოთა მცნებათა არა იმარხვიდეს, არცა საქმით ემსგავსებოდეს ძალისაებრ მამასა თუსა ზეცათასა, მას არცა უცნობიეს ღმერთი” (წმ. იოანე ოქროპირი).

ღვთისადმი სიყვარული განაპირობებს ღვთისმოყვარეთა სიხარულს, რადგან უფალი მკვიდრობს მათ შორის: “...იშუებდენ ყოველნი, რომელნი გესვენ შენ. უკუნისამდე იხარებდენ და დაემკვიდრო მათ შორის, და იქადოდიან შენდამი, რომელთა უყუარს სახელი შენი”, – მიმართავს დავით წინასწარმეტყველი ღმერთს (ფს.5,12).

სადაც არ არის ძმათმოყვარება, იქ შეუძლებელია ღვთისმოყვარება იყოს. “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთა მიერ აღვლენილი ლოცვა, მათი ვედრება და დადადისი ყალბი და უსულო სიტყვების გროვა იქნებოდა, რომ არა მათი თავგანწირვა მოყვასისადმი.

ადამიანს საწუთოში ღვთისადმი სიყვარული იცავს (იუდა, 1,21), ეს სიყვარული უპასუხოდ არასოდეს რჩება: “მე მოყვარენი ჩემნი მიყვარან და, რომელნი მემიებენ მე, მპოონ” (იგ. 8,17). მთელი წმინდა წერილი ამგვარი წყალობის მესიტყვეა. ამის კვალობაზე, შემთხვევითი როდია, რომ “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთა ლოცვას, სასოებითა და სიყვარულით გაჯერებულ სავედრებელს პასუხად ყოველთვის მოსდევს ღვთის წყალობა და შეწევნა. პოემის გმირებმა “იციან” ღმერთი და უფალმაც “იცის” ისინი. ამ “ცნობის” შესახებ არაერთგზის გვმოდვრავს ძველი თუ ახალი აღთქმა. “ხოლო აწ იცანთ ღმერთი, უფროისდა გიცნნა თქუენ ღმერთმან”, – ამბობს პავლე მოციქული (გალ. 4,9).

“ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟებს, როგორც ამას ცხადყოფს მათი ცხოვრების წესი, უყვართ უფალი, იცნობენ მას. ეს ცნობა იმთავითვე გულისხმობს ლოცვას, ანუ შემოქმედთან გონებით საუბარს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ღვთის ჭვრება. უნდა აღინიშნოს, რომ ლოცვა არ გულისხმობს მხოლოდ ერთ რომელიმე კონკრეტულ მომენტს. იგი უფრო განუწყვეტელი მდგომარეობაა ღმერთთან ურთიერთობისა. ჭეშმარიტი ლოცვა არა მხოლოდ სიტყვით წარმოითქმება, არამედ გამოიხატება მთელი ცხოვრებითაც: “არა სიტყვით ოდენ აღასრულებ ლოცვასა, არამედ ყოველთავე მოქალაქებითა ცხორებისა შენისათა

შეგიერთების თავი შენი დმრთისა მიმართ და არს ყოველივე ცხორებად შენი შეერთებული და დაუცადებელი ლოცვად” (წმ. ბასილი დიდი).

ლოცვით აღსავსე ცხოვრება მჭვრეტელობითად იწოდება. ლოცვა უახლოეს კავშირშია ჭეშმარიტ ცოდნასთან, რადგან ღვთის ჭვრეტა (ლოცვა) იმავდროულად “ცოდნას” ნიშნავს. ლოცვა არა მხოლოდ ნიჭია სულიწმიდისა, არამედ ის არის, აგრეთვე, პიროვნების მიერ აღსრულებული სულიერ-ზნეობითი ლვაწლი. პავლე მოციქული გამოყოფს ლოცვის რამდენიმე ტიპს: “...ვედრებასა, ლოცვასა, თაყუანის-ცემასა და მადლობასა”. – (1 ტიპ. 2,1). ეს სხვაობანი, სულიერი მთლიანობის მიუხედავად, თავიანთი განსაკუთრებულობითა და სპეციფიურობით სულიერი განწყობილების შესაბამისად ვლინდებიან.

“ვეფხისტყაოსანში” ვხვდებით ლოცვის რამდენიმე სახეს: 1) იმგვარი ლოცვა, მიმართება ღვთისადმი, როცა გაცნობიერებულია უფლის ყოვლისმცოდნეობა; 2) თხოვნითი; 3) სამადლობელი; 4) სადიდებელი.

პოემის პერსონაჟები ლოცულობენ, ევედრებიან უფალს, ადიდებენ და მადლობენ მას. უცხო მოყმის უეცარი გამოჩენითა და გაუჩინარებით დანადვლიანებული არაბთა მეფე სიმძიმილის ჟამს მაინც უფალს მადლობს: “მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება” (99,4).

ღვთის განგებულებისადმი მორჩილება შემოქმედის სიყვარულს ასაცნაურებს. დათმენის სათნოება უფლის თანაზიარს ხდის ადამიანს: ავთანდილი

“კვლავცა იტყვის: “დათმობა სჯობს, და თავსავე ეუბნების... უდმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების, განგებასა ვერვინ შეცვლის, არ სათქმელი არ იქმნების...” (190).

ამგვარი სულიერი მდგომარეობა თავის ნაყოფს ხორციელადაც გამოავლენს – ავთანდილი პოულობს უცნობ რაინდს.

“დათმობის” სათნოებითაა გამშვენებული ტარიელის შინაგანი სამყაროც-მისი ლოცვაც ასეთივე განწყობილებითაა ცხადჩენილი: “თმობა ვთხოვე შემოქმედსა... ღმერთო ნუ გამწირავ, აჯა ჩემი შეისმინე, მომეც ძალი დათმობისა” (354).

მოყვასის სიყვარულით გულგანხურვებული ასმათი ღმერთს დიდებისმეტყველებს: “...ღმერთო... გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელო სმენითა” (317).

ავთანდილი სამადლობელს აღუვლენს ღმერთს: “მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა...” (1050). ვაჭართა ქარავანიც მადლობელია დამბადებელისა: “თქვეს: უფალო, მადლი შენდა!” (1048).

“ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთათვის დამახასიათებელია მადლობის შეწირვა შემოქმედისადმი, რაც დვთისადმი სიყვარულის გამოხატულებაა. ავთანდილმა დვთის შეწევნით, ფატმანის დახმარებითა და საკუთარი ღწვით მიაკვლია ნესტან-დარეჯანის აღგილსამყოფელს. დიდია სიხარული და ამ დიდი სიხარულის უამს, უპირველეს ყოვლისა, სამადლობელი მსხვერპლი დვთისადმია აღვლენილი. ავთანდილმა, რომელმაც

“შეწირა ღმერთსა მადლობა”... “თქვა: “ღმერთო, გმადლობ,  
რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი,  
ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი” (1250).

მეგობრების უნახავმა ფრიდონმა “ღმერთსა ხელაპყრობით უსაზომო მადლი მისცა” (1381). ზღვათა სამეფოს მბრძანებელმაც, მიჯნურთა ამბის კეთილგანსრულების შემდგომ: “მისცა მადლი და დიდება ღმერთსა, მართლისა მბრჭობელსა” (1432).

დიდება დვთისა არა მხოლოდ გულით და სიტყვით არის შესაძლებელი, არამედ გარეგნული ნიშნითაც. ავთანდილი “ცრემლით ღმერთსა ადიდებდა”.

განსაცდელთაგან შეჭირვებული ნესტან-დარეჯანიც, რომელსაც მიჯნური ცოცხალი აღარ ეგონა, ტარიელის ამბის მსმენელი შემოქმედს ადიდებს: “...აწ რა მესმა შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე” (1296).

დვთის სიყვარული საწუთოსეულ სიბნელეს განიოტებს და მოაქვს ცოდნა ბოროტის სიმოკლისა და კეთილის უსასრულობისა: “ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი” (1435), – ამბობს ფატმანი.

“ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟებს გამუდმებით ახსოვთ ღმერთი როგორც განსაცდელში, ასევე დიდ სიხარულშიც. ამქვეყნიური სიმძიმილის თუ ბედნიერების მიღმა ისინი ყოველთვის შემოქმედს ჭვრეტენ, რითაც ასე ცხადად წარმოაჩენენ კურთხეულ დვთისმოსაობას.

დვთისადმი სიყვარული განაცხოველებს ადამიანის მოელ შესაძლებლობებს და წარმართავს ამ უკანასკნელთ მოყვასის სამსახურებლად. “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთა მოყვასისადმი სიყვარულს, წმინდა წერილის ზნეთსწავლულების შესატყვისად, სწორედ დვთის სიყვარული განაპირობებს. ადამიანების საკეთილდღეოდ მსახურება დვთისადმი სიყვარულის რეალიზაციაა.

ეპლესიის მამები გვმოძღვრავენ: დმერთში ქრისტიანს უყვარს მოყვასი, მოყვასში – დმერთი.

მაცხოვრისეული სწავლების მიხედვით, დვთის სიყვარულის შემდგომ, უმნიშვნელოვანესია მოყვასისადმი სიყვარული (მთ. 22,39), იოანე მახარებელიც მოწმობს: “...ყოველმან რომელმან არა ქმნეს სიმართლე, იგი არა არს დმრთისაგან და რომელსა არა უყუარდეს მმავ თჯსი...” (1 იოან. 3,10-11).

პავლე მოციქული, გვითვალისწინებს რა სჯულის დვთაებრიობას, ცხადყოფს, რომ ყოველი მცნება ძმათმოყვარების რეალიზებით აღესრულება: “...ყოველი სჯული ერთი სიტყვთა ადესრულების: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჯსი” (გალ. 5,14). იმავე მოციქულის მიხედვით, სასურველია, ადამიანებს ერთმანეთის სიყვარულის გარდა, არანაირი ვალი არ პქონდეთ: “ნურარადმცა ვისი თანა-გაც, გარნა ურთიერთას სიყუარული” (რომ. 13,8).

მოყვასისადმი სიყვარული უცილობლად გულისხმობს ერთმანეთის პატივისცემას, სიწრფელეს (რომ. 12,10). ურთიერთსიყვარულით დაიფარება მრავალი ცოდვა (1 პეტ. 4,8).

პავლე მოციქული არაერთგზის გვაუწყებს, რომ მოყვასის სიყვარული, რომლის მიზეზიც დმერთია, სარწმუნოებით საზრდოობს და მტკიცდება. შეუძლებელია სარწმუნოების გარეშე ჭეშმარიტი სიყვარულის მოაზრება და პირუკუ-სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია სარწმუნოება. ამას ცხადყოფენ ეფესელთა, კოლასელთა თუ თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლები. უფრო მეტიც – სიყვარულის გარეშე ყოველივე ამაოა: ანგელოზებრივი ენა, წინასწარმეტყველების ნიჭი თუ თვით უღრმესი სარწმუნოება (1 კორ. 13,1-2).

უსიყვარულოდ არც ერთი მსხვერპლი არ არის დვთივსათნო: “და შე-დათუ-გაჭამო ყოველნი მონაგები ჩემი და მივსცნე ჭორცნი ჩემნი დასაწუკელად და სიყუარული არა მაქუნდეს, არარავე არს ჩემდა” (იქ.3).

ძმათმოყვარება უცილობლად გულისხმობს, აგრეთვე, ერთსულოვნებას, სიწმიდისმიერ თანაზიარებას: “ერთსულ და ერთზრახვა იყვენით” (ფილიპ. 2,2) – გვმოძღვრავს პავლე მოციქული. “ერთზრახვისათვის” ლოცულობს პეტრე მოციქულიც (1 პეტ. 3,8)

ურთიერთსიყვარული შეჭირვებას ამსუბუქებს. შესაძლებელი ხდება განსაცდელთა ძლევა, სასოების განმტკიცება (1 კორ. 1,4).

“ვეფხისტყაოსნის” მოყვასობა ძმათმოყვარების ყველა იმ ნიშნითაა აღბეჭდილი, რასაც წმიდა წერილი მაუწყებლობს. ურთიერთსიყვარული,

ურთიერთშეწევნა, ზიარი სიხარული და მწუხარება, ერთი გონება, სული და გული – ყოველივე ეს პოემის პერსონაჟთა დიდბუნებოვნებას, მოყვასისადმი მათს ჭეშმარიტ სიყვარულს ცხადყოფს. მათთვის უცხო არ არის ბიბლიისეული ცოდნა და სიბრძნე: “ურთიერთას სიმძიმე იტპრთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი” (გალ. 6,2). ისინი, სამოციქულო სწავლების მიხედვით, ერთმანეთს შეეწევიან სიმშვიდით, სიმდაბლით, სულგრძელებით. მათს სულიერ ერთობას თანაზიარების საკრველები ამშვენებს, რაც ჰუარავს ადამიანურ სისუსტეებს და ნაკლოვანებებს. როგორც პავლე მოციქული გვმოძღვრავს: “...სიყუარულმან დაფარის სიმრავლე ცოდვათავ” (1 პეტ. 4,8).

ამგვარი სიყვარულით ჰუარავს ტარიელის ერთგვარ სისუსტეს ასმათი, როცა ინდოელი რაინდი პირობას დაარღვევს და დათქმულ ადგილას არ დახვდება არაბ მოქმექს (“წასლვა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ”). მოყვასის სიყვარულით გამსჭვალული და მისი მწუხარებით დამწუხერებული ტარიელის საქციელს ადარ “ასამართლებს” და განკითხვისაგან განრიდებული სიყვარულისმიერ მიმტევებლობას წარმოაჩენს (848-850). ასმათისეულ სულგრძელებას სწორედ ძმათმოყვარება განაპირობებს, რამეთუ “სიყუარული სულგრძელ არს...” (1 კორ. 13,4).

“ულოცევდით ურთიერთას...” (იაკ.5,16), – განსწავლის მსმენელს მოციქული. მსგავსად ამისა, “ვეფხისტყაოსნის” გმირები ხშირად ლოცულობენ ერთმანეთისათვის. ეს ლოცვა მხოლოდ სიტყვიერი მშვენიერება როდია მათი მხრიდან, ისინი საქმით ცხადყოფენ ლოცვით განწყობილებას. ეს ცხადყოფა, უპირველეს ყოვლისა, მოყვასისთვის თავშეწირვაში მდგომარეობს. “თანა-გუაც ძმათათვეს სულთა ჩუენთა დადებად”, – ამბობს ოთანე მახარებელი (1იოან. 3,16). პოემის პერსონაჟებიც, “სულს სდებენ” მოყვასთათვის, რისი ბრწყინვალე მაგალითებია ავთანდილი და ასმათი. ამ უკანასკნელს შეეძლო არ გაჰყოლოდა სამშობლოდან გადახვეწილ ტარიელს და არ გაეზიარებინა მასთან ერთად უდაბნოს მკაცრი ყოფა, მაგრამ იგი ჭეშმარიტი მოყვასია, რომელსაც ავთანდილის თუ ფრიდონის მსგავსად, ღრმად აქვს გულსა და გონებაში ჩაკირული საღვთო უწყება მოხარულთა თანა სიხარულისა და მტირალთა თანა ტირილისა (წმ. პავლე მოციქული).

მოყვასთა ინტერესების სფერო ერთია, მთლიანია, ეს ერთობა “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთა დახვეწილი სულის მოთხოვნილებაა. მაღალადამიანური გრძნობა რუსთველის მიერ ასეა ფორმულირებული:

“სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:  
პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,  
მიცემა და არა შური, ჩუქებისა არ მოწყენა,  
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა ” (777).  
მოყვასობის ამ უცილობელ თვისებებს გამოხატავენ პოემის გმირები.  
“სიახლის ნდომა” აკაგშირებს ავთანდილს ტარიელთან. “სიშორის ვერ მოთმენა”  
წრფელი ცრემლებით ატირებს ფრიდონს (1008).

ცალკე უნდა აღინიშნოს “ავთანდილის ანდერძი” – ძმათმოყვარების  
აპოლოგია, რაც ქრისტიანული ზნეობითი სწავლებიდანაა ამოზრდილი.  
“ანდერძი” ლამაზი სიტყვების კრებული როდია, არამედ – ის დვთივებმნული  
ქვაკუთხედი, რომელზედაც დაშენებულია ავთანდილის პიროვნული მოღვაწეობა.  
არაბი რაინდის თეორიული განაცხადი, ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოცემული  
მოყვასის სიყვარულის კრედო, პრაქტიკულად ხორშესხმულია და საქმით  
აღსრულებული.

ქრისტიანულ ოიკუმენაში ქრისტესთან თანაჯვარცმა გულისხმობს არა  
მხოლოდ ქრისტეს სახელისათვის მოწამებრივ აღსრულებას, არამედ დვთის  
მცნებებით ცხოვრებასაც. ავთანდილი თუ ასმათი (ამ შემთხვევაში,  
განსაკუთრებულად ეს ორი პიროვნება) ჯვარცმულნი არიან მოყვასისათვის,  
სხვისი ბედნიერების ძიებით საკუთარი ბედნიერების მომპოვებელნი.

“ვეფხისტყაოსნისეული” ძმათმოყვარება არა მხოლოდ ვიწრო, ინტიმური  
გრძნობაა, არამედ იგი იმავდროულად საზოგადოებრივი პარმონიის საფუძველია.  
ეს პარმონია აისახება სოციალურად სხვადასხვა ფენის ურთიერთმიმართებისას  
(პატრონული დამოკიდებულება).

პოემაში მოყვასისადმი სიყვარულის უაღრესად მკაფიო ნიმუშებია:

“ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად” (703);

“ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა” (706);

“კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა” (789);

“ვერ ვეცრუები (მოყვარეს, მ.გ.), ვერ ვუზამ საქმესა

საძაბუნოსა”(797);

“არ დავიწყება მოყვრისა აროდეს მოგვცემს ზიანსა...”(798);

და სხვა უამრავი მაგალითი ძმათმოყვარებისა.

საყურადღებოა ფატმანის მიერ გამოჩენილი სიყვარული მოყვასისადმი. მისმა შეწევნამ, დახმარების მასშტაბმა ათქმევინა ქაჯეთის შემმუსრველ გმირებს, რომ ფატმანისაგან დიდად დაგალებულნი იყვნენ (1427).

მოყვასისადმი სიხარულით გამსჭვალული ადამიანი, რომელსაც მსხვერპლად მიაქვს საკუთარი კეთილდღეობა “ძმის” მსახურების სამსხვერპლოზე, თვით როდი იცლება სულიერი თუ ხორციელი ძალისაგან, პირიქით, ძლიერდება და უფრო მეტად მდიდრდება სულიერ-ზნეობითი თვალსაზრისით. მაკარი დიდი ამბობს: “ვერ შესაძლებელ არს წარსლვად გზასა მას ქალაქისასა (ზეციური იერუსალიმი, მ.გ.), არა თუ თანაგივიდოდის თქუენ სიყუარული”. “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟებს, როგორც ამას მოწმობს მათი ცხოვრების წესი, წინ სწორედ სიყვარული მიუძღვით, რომლის კვალობაზეც იმკვიდრებენ ისინი ზეციური ქვეყნის მოქალაქეობას.

ქრისტიანული მოძღვრება მტრის სიყვარულსა და შემცოდეთა მიმართ შენდობას განაჩინებს. მაცხოვრისეული სწავლაა: “გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელი გმბლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ” (მათ. 5,44). იქვე ამ სათხოებათა საღვთო მიზანიცაა უწყებული: “რათა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათავსა” (იქვე).

მტერთა მიმართ “არა ბოროტის ყოფა” დამახასიათებელია “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთათვისაც, რასაც განსაკუთრებული სიცხადით წარმოაჩენს პოემის ერთ-ერთი თავი – “წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა”.

ხატაელთა მეფე-რამაზი თავის პატრონს ეურჩა. ურჩობის ნაყოფი მწარე აღმოჩნდა: ხატაელთა ჯარი დამარცხებულია, რამაზი-დატყვევებული. შფოთისათვის იგი უნდა დაისაჯოს, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად ვითარდება. გამარჯვებულთა მხრიდან ნაცვალგება იოლია და ხელს ვერაფერი შეუშლის, მაგრამ, მოულოდნელად, ინდოთა მეფე შვილივით ეპყრობა რამაზს. ეს უკანასკნელი “ტკბილად ნახა ხელმწიფემან ვითა შვილი სააკვანე” (468). ამ დიდბუნებოვანმა საქციელმა განსწავლა ხატაელი. მაღალი ზნეობის მაგალითი გაკვეთილად ექცა მას. ორგულისა და მოღალატის მოყვრად შემობრუნება რაინდული ეთიკის მწვერვალია, რუსთველის თქმით - “მამაცისა მეტისმეტი სიგულვანე”. ამის კვალობაზე, რაინდობის განმსაზღვრელი მხოლოდ ფიზიკური ძალმოსილება კი არ არის, არამედ სულიერ-ზნეობითი სიმდიდრეც. უფალს ხომ

“არათუ ძლიერებად ცხენისად უნდა, არცა სხვილბარკალნი მამაკაცისანი სონდეს, არამედ სონდეს მოშიშნი მისნი და რომელნი ესვენ წყალობათა მისთა” (ფს. 146, 10-11).

მტრის მოყვრად შემოქცევა მხოლოდ სიყვარულითაა შესაძლებელი, შიშისა და იძულების ნაყოფი დროებითია და ხანმოკლე. რამაზის შეწყალება ფარსადანის მიერ ასეთი სიყვარულითაა განპირობებული. იგი “სააკვანე შვილივით” ეპყრობა ხატაელს. “მასპინძლობს” და “უალერსებს” მას.

ტარიელს ეკითხებიან, ისიც შეუნდობს თუ არა რამაზს, “აქანამდის შენამტერს?” ხატაელს განზრახული პქონდა მისი დალატით მოკვდინება და აღასრულებდა კიდეც, რომ არა ტარიელის კეთილისმყოფელის შეწევნა. ამდენად, ტარიელს საკმაო არგუმენტი აქვს, მოითხოვოს მისი მკვლელობის განმზრახის დასჯა, მაგრამ მისი სულგრძელება სხვას განაჩინებს:

“...დმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა,

‘უყვით თქვენცა წყალობა მას დონე გაცუდებულსა...’” (470).

ეს სიტყვები ცხადყოფს, რომ ტარიელი ქრისტიანული სჯულით ბჭობს. მისი ამგვარი ზნეობითი სიმაღლე კონკრეტული (ქრისტიანული) სარწმუნოებრივი წიაღიძან მომდინარეობს (მათ. 5,44-48).

პოემის ამ თავის მიხედვით, რამაზიც აფასებს ამ სულგრძელებას. ინდოელთა კეთილშობილება მისი შინაგანი ტრანსფორმაციის მიზეზი ხდება (472).

ინდო-ხატაელთა ეს ამბავი, ურჩთა შეწყალება – შენდობის მხრივ, ძალიან პგავს “მეოთხე მეფეთას” წიგნში აღწერილ ერთ ეპიზოდს (4 მევ. 6,21-23).

წმიდა წერილის მიხედვით, ლვთისაა შურისგება. ადამიანი კი მოწოდებულია კეთილი მიაგოს ბოროტის წილ, რადგან ბოროტისადმი ბოროტის მიგება ორმაგი ბოროტებად და არა ამ უკანასკნელის მოსპობა. “...პშიოდეს თუ მტერსა შენსა, პური ეც მას და სწყუროდეს თუ, ასუ მას, რამეთუ ესე რავ პყო, ნაკუერცხალი ცეცხლისად შეჰკრიბო თავსა მისსა. ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ სძლე კეთილითა მით ბოროტსა მას” (რომ. 12,20-21). ბოროტისადმი კეთილისმყოფელობას არაერთგზის ასაცნაურებს საღვთო სჯული, რომლის ზნეობითი სიმართლის “მემკვიდრეცა” “ვეფხისტყაოსნის” სულისკვეთება. შენდობა-შეწყალება ერთობ მახლობელია პოემის პერსონაჟთათვის. ისინი რაინდები არიან არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერ-ზნეობითი თვალსაზრისითაც.

სამყაროსადმი სიყვარული “გეფხისტყაოსანში” ღვთივმომდინარე “აგაპეს” ერთ-ერთი სახეობაა. პოემა ცხადყოფს, რომ ნაწარმოების პერსონაჟთათვის ქვეყანა მხოლოდ ესთეტიკური ფენომენი როდია, არამედ იგია დვაწლის ასპარეზი, სადაც ასტრონომიული დრო მარადისობის შესამზადებელი საშუალებაა.

საღვთო სწავლების მიხედვით, ადამიანი შემოქმედის მიერ დადგენილია ყოველივე ამქვეყნიურის მუზედ. გრიგოლ ნოსელის თხზულების (“კაცისა შესაქმისათვის”) მიხედვით, ადამიანის უმაღლესობა ცნაურდება იქიდანაც, რომ იგი უფალმა ყვალაზე ბოლოს შექმნა, განუმზადა რა მანამდე ყოველივე, როგორც მეფეს: “...და ვითარ განმზადა დამბადებელმან ყოველთა მან საუნჯე სამეუფო... ამისა შემდგომად გამოაჩინა სოფელსა შინა (ადამიანი, მ.გ.), რათა იყოს მხედველ საკვირველებათა მათ, რომელნი არიან მათ შინა, და იყოს კეთილთა მათ ზედა უფალ”.

ადამიანი დადგენილია ამქვეყნიურ ქმნილებათა მეფედ. იგი მეუნჯეა ყოველივე არსებულისა, რაც სამყაროს ჭვრეტას, ცოდნას, შემოქმედებით პროცესს გულისხმობს. ადამიანი მოვალეა, მთელი თავისი შესაძლებლობანი გამოიყენოს ზნეობითი სრულყოფისათვის.

დოგმატური თუ ზნეობითი ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოები, წმიდა წერილისა და ეკლესიის მამათა ნააზრევის კვალობაზე, ერთხმად გვესიტყვებიან: ადამიანის მაღალი დანიშნულებაა ღმერთთან რელიგიურ კავშირში ყოფნა, ღვთივსათნოდ ცხოვრება, საკუთარ შესაძლებლობათა სრულყოფა, გამუდმებული სწრაფვა სულიერ-ზნეობითი სიმაღლისაკენ.

ადამიანის პირველყოფილი ცოდვის შედეგად სამყაროსეული სახეც შეირყვნა. სოფელი, გარკვეულწილად, სატანის მეუფებას დაექვემდებარა, მაგრამ იგი “უიმედო ბოროტება” როდია, არამედ მაღლის და ცოდვის, კეთილისა და ბოროტის ასპარეზი.

იესო ქრისტემ სოფლის ცოდვები “ადიხვნა”. საწუთრო, სამყარო უფალს შეარიგა. მიუხედავად იმისა, რომ სოფელს მაინც აქვს შერჩენილი ცოდვითდაცემის ტვიფარი, მას უკვე, ღვთის გამომხსნელი ძალით, ძალუბს გარდაიქმნას ღვთის სასუფეველში. “გეფხისტყაოსნის” პერსონაჟთათვის ორგანულია ამის ცოდნა. ამიტომაც არის, რომ სოფლისადმი საყვედურის მოქმედი ავთანდილი საწუთროსეული დისპარმონიის მძლეველი და პარმონიის

აღმდგენელი უფლის შეწევნას ცხადყოფს: “...მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან (სოფლისგან, მ.გ.) განაწირსა” (951).

პოემის პერსონაჟებისთვის დამახასიათებელია სამყაროს მართებული ჭვრება. მათთვის უცხოა ამქვეყნიურობის სამგვარი გაუკულმართებული გაგება:

1. თეოკრატია, (იგულისხმება დვთის სასუფევლის განხორციელება დედამიწაზე);
2. სატანოკრატია (როცა მთელი სამყარო ბოროტების სადგურად მიიჩნევა); 3. ე.წ. ანთროპომეტრული ჰუმანიზმი (როცა სამყაროში გაღმერთებულია ადამიანი და დვთის არსებობის აუცილებლობა იგნორირებულია).

სამოციქულო სწავლების მიხედვით, სოფელი არ წარმოადგენს ბოროტებას. უფრო მეტიც, იგი ადამიანისათვის სარწმუნოებრივ-ზნეობითი სრულყოფილების აუცილებელი საფუძველია, რათა კაცობრიობის ცხოვრება ქრისტეს ცხოვრების მსგავსად გარდაიქმნას.

“ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟების მიმართებას სოფლისადმი, სამყაროსადმი უფლისეული სწავლება განაპირობებს, რაც მოციქულის პირით ასეა გახმიანებული: “...რომელნი იმსახურებდენ სოფელსა ამას, ვითარმცა არა იმსახურებენ” (1.კორ. 7,21).

ქრისტიანობა უარყოფს ადამიანისაგან სამყაროს მიუდებლობას, “მოკვეთას”, მაგრამ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ მიუდებელია სოფელი, სამყარო, როგორც “თვითმყოფადი სიცოცხლის მქონე” (ს. ზარინი). ამგვარია “ვეფხისტყაოსნის” ხედვაც, რომლის მესიტყველი “ავთანდილის სიმღერა” – დაკარგული პირველხატების აღდგენის ნიმუში, სადაც სიტყვიერი არსების სულიერი მოძრაობა მთელ სამყაროს განეფინება და თვით უტყვ არსებებსაც აღწევს:

“რა ესმოდის მღერა ქმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,

მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან...” (967).

ასეთია “ვეფხისტყაოსნის” კოსმოსისადმი მიმართება. პოემის ხედვა, ქრისტიანული ხედვის მსგავსად, ბუნებისეულ მოვლენებსა თუ სამყაროში მყოფ უტყვ არსებებში ჭვრებს შემოქმედს და მისი მარადიული ძალის ტვიფარს. სამყაროს ამგვარ ხედვას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ზნეობითი განვითარებისათვის.

ზნეობითი სრულყოფა პიროვნების მხრიდან უცილობლად გულისხმობს საკუთარი თავის იძულებას, გარკვეულ სურვილთა მოკვეთას, ასკეზს.

“ვეფხისტყაოსანში” არის ასეთი ტაქტი: “დმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს” (306,3). ამ სტრიქონთან დაკავშირებით, რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, სხვადასხვა დროს გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ვახტანგ მეექვსის განმარტებით, “...თუ დმერთი კაცს არ წარწყმედს, მეორეს რა შიში ექნება, რომ ცხონდეს”. თეიმურაზ ბატონიშვილი მიიჩნევს (ტაქტის კონტექსტიდან გამომდინარე), რომ მოყვასის მსახურებისას ადამიანი თავის “ხორცს წაწყმედს”, მაგრამ კეთილი საქმისათვის დმერთი “აცხოვნებს”, ანუ მოყვასის შეწევნა შეუძლებელია, თუ მისთვის თავს არ გაიმუშებს. ნიკო მარის აზრით: “დმერთს შეუძლია ცოცხალი დასტოვოს ერთი მეგობართაგანი, ერთი ძმადშეფიცულთაგანი, თუ მეორეს დაღუპავს იგი.” კორნელი კეპელიძე ფიქრობს, რომ საუბარია არა საიქიო ცხონება-წარწყმედის შესახებ, არამედ აღნიშნულია კონტრასტი სიცოცხლისა და სიკვდილისა. მეცნიერის მიერ მოხმობილია პროკლეს სიტყვები, რომ სიკვდილი ერთის წინამდგარია და აუცილებელი პირობა მეორეს სიცოცხლისა. ასევე მოყვანილია ნემესიოს ემესელის მსგავსი შინაარსის სწავლება, რომლის აზრიც, პკეპელიძის მიხედვით, პავლე მოციქულის სწავლების (დათესილი ვერ იცოცხლებს, თუ არ მოკვდა) გამეორებაა.

ვიკტორ ნოზაძის თვალსაზრისით, ტაქტის მართებული წაკითხვაა: “დმერთმა ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმიდოს”. მეცნიერის თქმით, “ვით” (“როგორ”) ფორმა საცილოა, რადგან იგი ერთის საცხოვნებლად მეორის წაწყმედის აუცილებლობას გულისხმობს, არადა დმერთს არანაირი აუცილებლობა არ შეიძლება პქონდეს. შემოთავაზებულ ტაქტს, ვნოზაძის აზრით, ორგვარი განმარტება აქვს: პირველი მას იაზრებს მიწიერ პლანში, სიკვდილ-სიცოცხლის ჩვეულებრივი მნიშვნელობით (“ამქვეყნად დმერთმა ერთი რად აცოცხლოს,... თუ მეორე არ დაღუპოს...”), მეორეს მხრივ, აქ არის “პრედესტინაციოს, წინარი განჩინების საკითხი, რაც საიქიოში ცხონებას და წაწყმედას ეხება”.

ნაშრომში ჩვენს მიერ განხილულია, თუ რას ნიშნავს დვთისმიერი წინასწარი განჩინება ადამიანთან დაკავშირებით. წარმოჩენილია ამგვარი განჩინების მიმართება ბედისწერასთან და ამ უკანასკნელის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები. აღნიშნულია, რომ, ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, “ის, რაც აუცილებლობის მიხედვით კეთდება, არც სათნოებაა, არც ბოროტება”, დვთისმიერი წინასწარგანჩინება არ აბრკოლებს ადამიანის თავისუფალ ნებას. ეს

უკანასკნელი არ არის შეზღუდული დვთის აბსოლუტური უპირობო ნებით. წინასწარგანჩინება თვით ადამიანთა საქმეებიდან, მათი ცხოვრებიდან გამომდინარეობს.

ჩვენი მოსაზრებით ზემორე აღნიშნული ტაეპის მართებული წაკითხვაა: “ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს”.

აქ ნახსენები “ერთი” და “მეორე” ნიშნავს არა სხვადასხვა, ორ ადამიანს, არამედ ერთსა და იმავეს.

წმიდა წერილში უფალი ამბობს: “მე მოვაკუდინი და მე ვაცხოვნი...” (2.სჯ. 32,39. შდრ.1 მეც. 2,6). წმ. ბასილი დიდის განმარტებით, “...არა თუ სხუასა მოაკუდინებს და სხასა აცხოვნებს, არამედ მასვე”, ანუ, რაც უფრო “იხრწება” “გარეგანი კაცი”, მით უფრო განახლდება “შინაგანი კაცი”. ღმერთი მოაკვდინებს ადამიანს ცოდვების ქმნისაგან და ააღორძინებს სიმართლით. ეს მოკვდინება – ცხონება სხვადასხვა ადამიანს კი არ ეხება, არამედ ზოგადად ერთს. ასე რომ, ადამიანში დვთისაგან “ცხონებული ერთი” (“ერთი ვით აცხოვნოს”) ეს არის “შინაგანი კაცი”, სულიერება, ხოლო წარწყმედული მეორე (“მეორე წაწყმიდოს”) “გარეგანი კაცი”, ცოდვით დასწეულებული ხორციელება.

ხორციელ სიკვდილს ხორციელი დაბადება უძღვის წინ, რადგან, ვინც არ დაბადებულა, ის არც მოკვდება. სულიერი თვალსაზრისით კი, სულიერ დაბადებას წინ უძღვის ქვენა ეგოიზმით დაავადებული სამყაროს მოკვდინება. ბასილი დიდის თქმით: “სიკუდილითა ხორცთავთა მოგვეცემის ჩუენ შობავ სულისავ”.

ასე რომ, “ვეფხისტყაოსნის” სტროფში: “...ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,/ ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს,/ ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს” (306), – საუბარია ადამიანის ზნეობითი მოვალეობის შესახებ: მოყვასისადმი თვითშეწირვა შეუძლებელია “ქვენა-მე”-ს შემუსრვის გარეშე, რის კვალობაზეც სიცოცხლეკურთხეული, “ცხოვნებული” ხდება ადამიანში არსებული სულიერება, “შინაგანი კაცი”.

ვეფხისტყაოსნის” დამოკიდებულება სიცრუისადმი ერთმნიშვნელოვანია. პოემის პერსონაჟთა განჩინებით, სიცრუე უკეთურებაა და სრულიად მიუღებელი. მიუხედავად იმისა, რომ თვით “რჩეული” გმირებიც ეცემიან ამ ცოდვით, ეს უკანასკნელი მათთვის ორგანულად, არსებითად დამახასიათებული არ არის. არსებითად ისინი მოლიანად ემიჯნებიან ამ უკეთურებას.

ყოველგვარი არაეთიკური საქციელის გაანალიზება ადამიანის მხრიდან იწვევს სირცხვილის განცდას, გრძნობას, რომელიც ზნეობითი ცნობიერების ერთ-ერთი მახასიათებელია. სირცხვილი ზნეობითი სჯულის ფონზე ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერებაა, რომლის მიზეზი, შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. სირცხვილი ცოდვით დაცემის შედეგია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის განცდა, ადამიანს შესაძლოა პქონდეს უზნეოდ მოქცევის შიშიც, რომლის სასირცხვილო შედეგიც მომავალს განეკუთვნება.

“ვეფხისტყაოსანში” სიცრუის შესაძლებლობა არც თუ იშვიათად აყენებს პოემის პერსონაჟებს სირცხვილის საშიშროების წინაშე და ისინიც მაქსიმალურად ერიდებიან სულის წარმწყმედელ უპეთურებას.

წმინდა წერილი არაერთგზის ამხელს სიცრუის ცოდვას და უმძიმეს განჩინებას განუკუთვნებს მას (იობ. 31, 5-8; იგ. 30,8; ფს. 118,29, 110,7 და ა.შ.). ქრისტიანული სწავლების მიხედვით, სიცრუის მიზეზი ყოველთვის ეშმაკია. იგი უბიძგებს ადამიანს უსჯულოებისაკენ. ადამიანის ბუნებაც სიცრუისაკენ არის მიდრეკილი (პირქველქმნილი ცოდვის გამო), ამიტომაც უზნეობის ამ გამოვლინებასთან (სიცრუესთან) ბრძოლა მძიმეა. მაგრამ ბრძოლის გარეშე ცოდვის ამ სახეობის ძლევა ყოვლად შეუძლებელია. ღმერთში დაბადება ყოველთვის გულისხმობს სიმართლეს, სიცრუესთან განშორებას.

ერთობ მძიმეა ცრუთა საბოლოო ხვედრი: “დაიყო პირი, რომელი იტყოდა სიცრუვესა” (ფს. 62,11); “ენად უწესოდ შეიმუსროს” (იგ. 10,31). ამდენად, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულია ცრუთა სასჯელი: “წაწყმიდენ შენ ყოველნი, რომელი იტყოდიან სიცრუვესა” (ფს. 5,6).

სიცრუისადმი ასეთივე მიმართებას ცხადყოფენ “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟებიც. პოემის პერსონაჟთა მიხედვით, სიცრუე “თავია ყოვლისა უბადობისა”. “სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა” (ნაშრომში წარმოჩენილია პლატონის ავტორობით სახელდებული ამ სწავლების რეალური სახეობრივი გენეზისი).

მკაცრია “ვეფხისტყაოსნისეული” განჩინება ცრუთადმი: “კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად” (162). სიცრუისადმი ავთანდილის ამგვარი დამოკიდებულება, ზოგადად, პოემის პერსონაჟთა ზნემადალ განწყობილებას საცნაურყოფს. პოემის გმირები არა მხოლოდ სიცრუესა და ცრუ

ადამიანებს განუჩინებენ მსჯავრს, არამედ სიცრუის შემთხვევაში საკუთარ თავსაც შეაჩვენებენ (133;413;417).

პოემის მიხედვით, სიცრუე სჯულის წარწყმედის ტოლფასია. ცრუს უფალი მიაგებს მისაგებელს. სიცრუე ღვთის გმობაა (776). სიცრუე, პირობის დარღვევა, ფიცის გატეხა ყოველთვის მარცხთანაა დაკავშირებული (736).

ასკეტური გამოცდილება ყოვლადსამართლიანად მიიჩნევს, რომ განლალების ნაყოფია სიცრუე. ეს უკანასკნელი მხოლოდ სინაწელით აღიხოცება.

ზნეობითი სჯულით გამდიდრებული ცნობიერება ამშვენებს პოემის პერსონაჟებს: “ვერ ვეცრუები”, – ამბობს ავთანდილი მოყვასის შესახებ. ვერ ეცრუება, რადგან, მისივე თქმით, საუკუნოდ შერცხვება.

სიმბოლური გაგებით, სირცხვილის ერთ-ერთი “ასპექტი” ესქატოლოგიურია. ამ თვალსაზრისით, სირცხვილი არის არა მხოლოდ განცდა ჩადენილი დანაშაულისა, არამედ სინდისის ძრწოლაც ღვთის საშინელი სამსჯავროს წინაშე. ამ პარადიგმას ასაცნაურებს ავთანდილის სიტყვები:

“ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა,

პირისპირ მარცხვენს ორნივე მივალთ მართ საუკუნოსა” (717).

აქ მოიაზრება, ერთის მხრივ, მოყვასისადმი არსებული ბუნებითი, ზნეობითი სჯული, მოყვასისადმი თავგანწირვა, მეორეს მხრივ კი, შიში სირცხვილისა, როგორც ადამიანთა, ასევე ღვთის წინაშე.

ასეთია “ვეფხისტყაოსნისეული” განჩინება სიცრუისადმი. ასეთია სირცხვილისადმი მისი ესქატოლოგიური მიმართება.

“ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთა ურთიერთმიმართებანი, მათი დამოკიდებულება ცოორმილი სიტყვისა თუ საქმისადმი, განცდა ჩადენილი ცოდვისა შესაძლებლობას იძლევა, ვისაუბროთ პოემაში წარმოჩენილი სინდისის, როგორც ზნეობითი კატეგორიის შესახებ.

პოემის გმირებს, უმეტესწილად, სინდისი, ღვთის შინაგანი ხმა, თან სდევთ და ისინიც ცდილობენ, არ მიაჩუმათონ ეს ხმა. პერსონაჟთაგან ზოგი ბუნებითა და პიროვნული ძალისხმევით სრულ თანხმობასთანაა სინდისის ხმასთან (მაგ.: თინათინი), ზოგში “მიძინებულია” სინდისის ხმა და მის აღსადგენად ან განსაცდელია აუცილებელი ან დიდბუნებოვან ადამიანთა ჭვრეტა (მაგ.: ფატმანი).

სინდისი, ანუ “შჯულის საქმე” ადამიანთა “გულთა შინაა” შთაბეჭდილი.

პავლე მოციქული ბრძანებს: “რომელნი გამოაჩინებენ საქმესა შჯულისასა დაწერილსა გულთა შინა მათთა თანა მოწამებითა მათდა გონებისა

მათისავთა...” (რომ. 2,15). უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თარგმანი ბერძნული “სინდისის” შესატყვისად გვთავაზობს ტერმინ “გონებას”. რაც შეეხება თვით ტერმინ “სინდისს”, იგი ბერძნული სიტყვაა. ელინურ სამყაროსთან შეხვედრამდე ბიბლიაში ეს სიტყვა არ გვხვდება. იგი ჩნდება მხოლოდ სეპტუაგინტაში (ეკლ. 10,20; სიბრ. სოლ. 17,10). ძველ აღთქმაში “სინდისის” გამომხატველი სიტყვა გახლავთ “გული”, რომელშიც ჩატვირთული იყო ყოველივე ის, რასაც ზნეობითობა გულისხმობდა. „გული“ ნიშნავდა “შინაგან კაცეს”.

ქრისტიანობამ ზნეობის ახალი საზომი შემოიტანა კაცობრიობის ისტორიაში: ეს არის ცხოვრება სულიწმიდის მადლსა და სიყვარულში. სინდისი არა მხოლოდ პიროვნული სჯაა აღსრულებული საქმეებისა, არამედ იგი გულისხმობს ასევე ადამიანის რელიგიურ სამყაროს, პიროვნების მიმართებას სამყაროსა და ყოფიერებასთან, რომელიც განიჭვრიტება სარწმუნოებრივი თვალით, ანუ სინდისი ხდება ქრისტიანული მსოფლედვა.

როცა ავთანდილი თმობს პირად ბედნიერებას მოყვასის საკეთილდღეოდ, იგი ზნეობითი სჯულისა და მისი უნივერსალური თვისების—სინდისის გაცნობიერებით მოქმედებს. მისი მართებული ცხოვრების წესი არა მხოლოდ წესია უბრალოდ, არამედ ცხოვლად განცდილი სჯული და სიყვარულით განცხოველებული მცნებაა.

როცა ადამიანი შინაგანი ხმის შესატყვისად ცხოვრობს, როცა ეს ხმა წინამძღვრობს მას, მაშინ მას შეიძლება ეწოდოს “სუფთა” სინდისი, სხვა შემთხვევაში სინდისი იწოდება “მიძინებულად”, “მიჩუმათებულად”, “დაკარგულად”, თუმცა, როგორც ღვთივბოძებული ნიჭი, შეუძლებელია “სრულიად” აღმოიფხვრას ადამიანში.

თუ ცხოვრების წესი გაუცხოებულია ზნეობისაგან, ადამიანს ყოველთვის ჰყავს მამხილებელი — ღვთის ხმა საკუთარ თავში. ასეთი განცდა “სინდისის ქენჯნადა” სახელდებული. სინდისის ქენჯნა სინანულია რეალიზებული უზნეობის გამო. ამ მხრივ, “ვეფხისტყაოსანში” საყურადღებოა რამაზ მეფისა და ფატმანის სახეები.

რამაზ მეფე თავის პატრონს ეურჩა. გარდა ამისა, ხატაელთა დასალაშქრად წასული ინდოელი ამირბარის დალატით მოკვდინებაც განიზრახა და, რომ არა ტარიელის კეთილისმყოფელი, ამ განზრახვას ხელს ვერაფერი შეუშლიდა. საბოლოოდ დამარცხებული ხატაელი გამარჯვებულთა წინაშე დგას. მსჯავრი, მოსალოდნელია, უწყალო იყოს. მაგრამ ინდოთა მეფემ შვილივით მიიღო რამაზი.

ტარიელმაც, საღვთო სიბრძნის შესატყვისად, შეუნდო შეცოდებულს. პოემაში არ არის აღწერილი რამაზ მეფის განცდები, მაგრამ მისი საბოლოო სიტყვები მოწმობენ დიდბუნებოვან ადამიანთა სულგრძელებით გამოწვეულ მის ზნეობით კათარზისს:

“მოახსენა: “ორგულობა თქვენი ღმერთმა შემანანა,  
თულა ოდეს შეღა-გცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა!” (472).

ზნეობითი კათარზისის, “აღდგენილი” სინდისის ხმის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, ასევე, ფატმანის სახეც. მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონი ხორციელი განლადების, მრუშობისა და ნაყროვანების ცოდვითაა დანოქმული, მაგრამ “მაღალი და მაღლად მხედი” ნესტან-დარეჯანის გამოჩენის შემდეგ იწყება მისი შინაგანი სამყაროს ტრანსფორმაცია. პოემის სიუჟეტური ამბის განვითარების კვალობაზე, ერთ დროს ხორციელი ქინით მცხოვრები დიაცი სულიერ-ზნეობითად მაღლდება. მას “დედად” იხსენიებს ნესტანი, “გარდაუხდელი მუქაფა” აქვთ მისი რაინდებს. ფატმანის სულიერ სამყაროში არსებული, მანამდის უჩინარი და მივიწყებული ზნეობითი ფასეულობანი წინა პლანზე გამოდის, რაც ჭეშმარიტებას შეამეცნებს ფატმანს. ბოროტის სიმოკლისა და კეთილის მარადიულობის შემცნობი, თავისი სოციალური კეთილდღეობის სანაცვლოდ ნესტანის და ტარიელის მოახლეობას ნატრობს. ეს “მოახლეობა” სხვა არაფერია, თუ არა “გარეგანი კაცის” მოკვდინება და “შინაგანი კაცის” შემოსვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პოემის მთავარ პერსონაჟთათვისაც (ნესტან-დარეჯანი, ტარიელი, ავთანდილი) არ არის უცხო სინდისის ქეჯნა. მათი საქმეებიდან გამომდინარე, დაუშვებელია მათი ყოველი ქმედების თუ სიტყვის იდეალიზება. ასე რომ, არც ისინი არიან ყოვლითურთ იდეალური გმირები. მათს ცოორილებებს მიუთითებენ: კორნელი კეკელიძე, ქართველი ერის სულიერი მწევემსმთავარი კალისტრატე ცინცაძე, ვიკტორ ნოზაძე, ზვიად გამსახურდია, მარიამ კარბელაშვილი, ზურაბ კიკნაძე, ნესტან სულავა და სხვები.

ტარიელისა და ნესტანის უბედურება მათივე მხრიდან დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობებს. მათმა “მართალმა სამართალმა” ვერ იმართლა, მაგრამ განსაცდელთა ზვაობამ, ცოორისათვის გაანალიზებამ და სულიერ სამყაროში “ჩაბრუნებამ” ისინი სინანულამდე აამაღლა. სინდისის ქენჯნამ მათ სიმართლე დაუბრუნა, რასაც მოჰყვა კიდევ მათი ხორციელი ბედნიერებაც.

სცოდა ავთანდილმაც, მოყვასობის კოდექსის გამომთქმელმა. კიდევ ერთხელ დადასტურდა ბიბლიისეული სიმართლე: “ყოველი კაცი ცრუ არს” (ფს. 115,2). მან შეურაცხეო თინათინის სიყვარული და გრძნობის სიწმინდე, თუმცა მრუშობამდე, თავად სხვის მკურნალს და მრჩეველს, თვითონვე ჰქონდა, ეთიკური თვალსაზრისით, შეცდომები დაშვებული. მომაკვდინებელი ცოდვები, ხშირ შემთხვევაში, შეუმჩნეველი, ვერგაცნობიერებული ცოდვებით მწიფდებიან. ფატმანთან დაცემას ავთანდილის მხრიდან წინ უძღვდა სიცრუე როსტევან მეფესთან, სიმკაცრე ცრუ ადამიანისადმი (და არა მხოლოდ სიცრუისადმი), ერთგვარი განკითხვა მოყვასისა (845), შეფარული ხიბლი სჯულმდებლისა. ყოველივე ამას მოპყვა მომაკვდინებელი ცოდვა - მრუშობა, გარეგნულად იოლად დასანახი, მისი განმაპირობებელი ცოდმებისაგან განსხვავებით. მაგრამ ავთანდილმა შეძლო გადაერჩინა თავი. მას, ფატმანთან მწოლიარეს, “ჰქლავს თინათინის გონება, ძრწის იდუმლითა ძრწოლითა” (1252), იგი “...მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად” (1253), “მუნ ცრემლი, მისგან ნადენი, ქვათაცა დასალბონია...” (1254). ამ ძრწოლამ და ცრემლმა იხსნა ავთანდილი, სინდისის ქენჯნამ და სინანულმა განწმიდა იგი მომაკვდინებელი ბიწისაგან.

პოემის პერსონაჟთა სასოებას განაპირობებს სარწმუნოება, ისევე როგორც, ზოგადად, რწმენა გახლავთ ქრისტიანული სასოების საფუძველი. როცა სწამო არსებობა დვთისა, სასოებენ კიდევ მას და ეს იმედი განმსჭვალავს ადამიანის მიმართებას ყოველივე არსებულისადმი.

ქრისტიანული სასოება, უპირველეს ყოვლისა, დვთისა და მისი განგებულებისადმი იმედს გულისხმობს. ამგვარი მდგომარეობისას პიროვნება არ ამყარებს იმედს საკუთარ გონებრივ თუ ფსიქიკურ შესაძლებლობებზე. საკუთარი თავის მოიმედე ადამიანს წმინდა წერილი “უგუნურს” უწოდებს (ლპ. 12,16-21).

ჭეშმარიტი სასოება ადამიანში ბადებს სიხარულსა და სიმშვიდეს. განსაცდელის უამს იგი წყაროა მხედობისა, კეთილგონიერებისა და მოღვაწეობისა.

ჩვენს მიერ ნაშრომში განხილულია წმინდა წერილში ცხადჩენილი ძირითადი სწავლანი სასოების შესახებ. ძველი თუ ახალი აღთქმიდან მოხმობილი მაგალითები შესაძლებლობას ქმნის, დავასკვნათ შემდეგი: სასოებას, მრავალგვარ სათნოებასთან ერთად აპირობებს, აგრეთვე, დვთის კეთილისმყოფელობა და უფლის ახლომყოფობის შეგრძნება. მსასოებელნი,

რომლებიც “ნეტარად” არიან წოდებულნი, “გარეშეცულნი” არიან საღვთო შეწევნით, გაძლიერებულნი არიან არა მხოლოდ სულიერად, არამედ ხორციელადაც. უფლის მსასოებელი მტკიცეა და აქტიური მოღვაწეობით მცხოვრები. იგი ჯილდოვდება ღვთისგან როგორც ამქვეყნიურ ცხოვრებაში, ისე – ზესთასოფელში. სასოება სიმართლეს და მშვიდობას უმკვიდრებს ადამიანს. განაპირობებს საღვთო ცოდნას, სულიერ სიხარულს, ლოცვით სათნოებას, სამეუფო გზით მსლველობას. ღვთისადმი მსასოებელი არა მხოლოდ ნეტარებითაა აღსავსე, არამედ უდიდესი ზნეობითი პასუხისმგებლობის წინაშეც დგას. იგი მოვალეა მიემსგავსოს შემოქმედს.

წმიდა წერილის სწავლათა შესაბამისად მოიაზრებენ სასოებას, აგრეთვე, ეკლესიის მამები. ამ სათნოების შესახებ უმნიშვნელოვანეს სწავლებებს გვაწვდიან წმ. იოანე სინელი, ამბა თალასე, წმ. ეფრემ ასური და ა.შ. მათი მოძღვრების მიხედვით, ჭეშმარიტი სასოება აღბეჭდილია წარუგალობით. იგია ძალა სიყვარულისა, უცნაური და უხილავი სიმდიდრე, ზეციური ქალაქის ხატი. სასოწარკვეთილების შემმუსრველი და ადამიანის განმამბრძნობელი, არა მხოლოდ ზნეობითი სამყაროს თვისება, არამედ საქმით რეალიზებული უხილავი ნიჭი.

ასეთივეა “ვეფხისტყაოსნისეული” სასოებაც. საღვთო იმედი ასულდგმულებთ პოემის პერსონაჟებს. მათი ცხოვრების წესი, სიტყვა და საქმე ერთხმად მიუთითებს იმ სასოების შესახებ, რაც წმინდა წერილითაა უწყებული.

უცხო მოყმის უეცარი გამოჩენითა და ასევე უეცარი გაუჩინარებით დამწუხერებულმა როსტევანმა უსასოება ღვთისადმი იმედით დათრგუნა (99).

სასოებით განწყობილებას ასაცნაურებს ავთანდილი შერმადინთან (163). ყოველივე არსებული ღვთის ყოვლადკეთილ განგებულებას ექვემდებარება. ამის გაცნობიერება იმედით აღავსებს ავთანდილს, რის კვალობაზეც იგი ღვთისადმი სრულ მინდობას და სასოებას წარმოაჩენს (164).

სამი წლის განმავლობაში ამაռდ “დაშვრა” ავთანდილი – უცხო მოყმე ვეღარ იპოვა. ამოწურულია ადამიანური შესაძლებლობანი. მდგომარეობა უნუგეშოა, მაგრამ ავთანდილის პირით საღვთო სასოების გამომხატველი სიტყვები ხმიანდება (190, 192).

ტარიელის მწუხარების გამზიარებელი ასმათი გაუსაძლის მდგომარეობაშიც კი ღვთისადმი სასოებას წარმოაჩენს (302).

მიჯნურის მაძებარი ტარიელი ხშირად ამხელს თავის სასოწარკვეთას, მაგრამ ნიშნეულია, რომ იგი უიმედობის უამს არასოდეს დვთის გმობამდე არ მიდის. იგი სულში ყოველთვის ინარჩუნებს იმედს. უმძიმეს მდგომარეობაშიც კი ასე ამბობს: “...ღმერთსა ვერას ვკადრებ, რაც სწადდეს, აგრე ვყოცა”(588).

თავისი სულიერი ძმების მსგავსად, არც ფრიდონისათვის არის უცხო RvTisadmi სასოება. სიმძიმილის მიუხედავად, იგი არ კარგავს შემოქმედისადმი იმედს (633).

დვთივსათნო სასოების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, “ავთანდილის ანდერძი” (793, 795, 796).

სასოებითი განწყობილების ერთგვარი შესაკრებელია, ასევე, ავთანდილის ლოცვაც.

დვთის იმედი ასულდგმულებს ტყვეობაში მყოფ ნესტან-დარეჯანს (1190). “კეფხისტყაოსნის” პერსონაჟებს თვით სიკვდილის ნატვრაშიც არ ტოვებს უფლისადმი სასოება (882,1303-1304,1305).

ასეთია პოემაში ცხადჩენილი სათნოება სასოებისა, – პიროვნების სულიერზნეობითი ძალის წყარო, ადამიანის შესაძლებობათა ამამოქმედებელი და განმამტკიცებელი.

“vefxistyaosniseuli” keTilgonierebis gaazrebisaTvis, aucilebelia keTilgonierebisadmi wminda werilis damokidebulebis gaTvaliswineba. imTaviTve aRvniSnavT, rom keTilgoniereba erT-erTi mniSvnlovani saTnoebaa, rasac zrdis da ganamtkicebs RvTisadmi sasoeba.

ზნეობითი დვთისმეტყველება გვესიტყვება, რომ კეთილგონიერია, უპირველესად, ის, ვინც შეიცნო ჭეშმარიტი ღმერთი, ვისაც სწამს მისი და სასოებს მას. მაგრამ ეს დამოკიდებულება იძულებითი კი არ არის, არამედ ბუნებითი სულიერი მოთხოვნილებაა ადამიანისა.

კეთილგონიერების მართებული გააზრების თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიღრმით საუბრობს იგავთა წიგნი, რომლის მიხედვით, სიბრძნეა შვილისადმი მშობლის მიერ ნამცნები, რომლის მისაღებად სრული გულისყურია საჭირო (იგ.4,1).

კეთილგონიერების სათავე უფლის შიშია (იქვე, 1,7). კეთილგონიერი ადამიანი გამუდმებით მდვიძარეა სულით და თავის ყოველ სიტყვას თუ საქმეს მკაცრად აკონტროლებს (იქვე, 14,8). მისთვის არაფერია შემთხვევითი და ქაოტური, იგი ყოველთის გაცნობიერებულად მოქმედებს, რადგან, სადაც კეთილგონიერებაა, იქვეა ცოდნისმიერი სინათლეც.

კეთილგონიერების სულიერი სიმართლე აუცილებლად აისახება ადამიანის ცხოვრებისეულ გზაზე (იქ., 15,21). იგი ყოველთვის გულისხმობს შინაგან, უსასრულო ზრდას, სულიერ-ზნეობითი ცოდნით გამდიდრებას.

ამპარტაგნებისგან გაუცხოებული კეთილგონიერება სიმშვიდეს, ურისხელობას სძენს ადამიანს, განსწავლის სიმდაბლით და სულგრძელსა და მიმტევებელს ხდის მას. კეთილგონიერს სოლომონი “მეცნიერების საყდარს” უწოდებს (იქ., 12, 23).

კეთილგონიერება განაპირობებს ადამიანის საზრიანობას, მიხედრილობას, მჭვრეტელობას. სიბრძნისეული სიმდიდრე იცავს მას განსაცდელისაგან (იქ., 2, 11-15).

კეთილგონიერება ერთგვარი მიზეზია სიცოცხლისა (იქ., 16, 22), რომელსაც ვერანაირი მატერიალური საუნჯე ვერ შეედრება (იქ. 16, 16 შდრ. იობი 28, 15; ფს. 18, 10; იქ. 118, 72).

ამგვარია, წმინდა წერილის მიხედვით, კეთილგონიერების კრიტერიუმი. ჰეშმარიტ სიბრძნეს, უნდა აღინიშნოს, მხოლოდ სიმდაბლით ეზიარება ადამიანი, რადგან არსებობს, ასევე, დვთისაგან განშორებულთა “სიბრძნეც” და “გონიერებაც”. მათი “გონიერება” მიუდებელია უფლისათვის, როგორც უსჯულო, უზნეო, წარმწყმედელი ცოდნა. ასეთ ადამიანებზე ამბობს წმინდა წერილი: “ვად, რომელნი ბრძენ არიან თავით თვალით” (ეს. 5, 21). ამასვე ამბობს აბდიაც (1, 8) და პავლე მოციქულიც (რომ. 12, 16). ამიტომაც არის, რომ არსებობს “გასულელებული სიბრძნე” და “ბრძნული სისულელე” (1 კორ. 3, 18-19).

საღვთო კეთილგონიერებას ცხადყოფენ სხვა ადგილებიც წმინდა წერილისა (რომ. 16, 19; 2ფილიპ. 2, 15; გვ. 5, 15-17) უპირველესად კი, სახარება – წყარო ყოველგვარი კეთილი სწავლებისა (მთ. 7, 24-25; ლკ. 14, 28-32).

ამგვარია დვთივსათნო კეთილგონიერება და მისი ნაყოფი, რომელიც ამშვენებს ზნეოსწავლულებას. სწორედ ამგვარი კეთილგონიერება უდევს საფუძვლად “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთა სულიერ და ყოფით სიბრძნეს.

“ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟთა სასოება, მორჩილება, დაომენის სათნოება, უპირველეს ყოვლისა, მათს კეთილგონიერებას მეტყველებს. ჩვენს ნაშრომში მიმოვინალავთ კეთილგონიერების გამოვლენის ერთ ასპექტს, ყოფით ურთიერთმიმართებაში გაცხადებულს. ახლადგამეფებულ თინათინს სხვა ღირსებებთან ერთად ღრმა კეთილგონიერების სათნოებაც ამშვენებს. დვთის ნების მჭვრეტელისათვის მიუდებელია ამაო ჭმუნვა და მწუხარება, ამიტომაც

უცხო მოყმის ხილვით და გაუჩინარებით შეწუხებულ როსტევანს პრობლემის მოგვარებას ურჩევს და არა უიმედობაში ყოფნას (114).

ავთანდილმა, ხანგრძლივი ძებნის მიუხედავად, ტარიელს ვერ მიაკვლია. მას საკმაო საფუძველი აქვს, წუხილს და უიმედობას მიეცეს, მაგრამ, კეთილგონიერების წყალობით, უფალს ანდობს თავის საზრუნავს და უარყოფს შინაგანი სიმძიმილით გამოწვეულ მწუხარებას.

ავთანდილის კეთილგონიერებას მიუთითებს, ასევე, ისიც, რომ მან აგრესიულ უცხო მოყმესთან ჯიქურ შეხვედრას, ფრთხილი დამოკიდებულება არჩია (215). არაბი რაინდის კეთილგონიერებას მეტყველებს მისი პირველი შეხვედრა ასმათთან. ამ უკანასკნელმა არც ვედრებით, არც დაშინებით, არც სიკვდილის მუქარით არ გათქვა ტარიელის ვინაობა. ავთანდილს სასურველი ინფორმაცია და ასმათის კეთილგანწყობილება სიბრძნემ, კეთილგონიერებამ, ადამიანის ფსიქიკის ღრმა ცოდნამ მოუპოვა (251).

თვით ასმათის კეთილგონიერებას ცხადყოფს მისი “ვაზირობა” ტარიელისა: იგი ტყიური ცხოვრებისაგან განრიდებას და შემწე მეგობრის მოძიებას ურჩევს ინდოელ ამირბარს (272, 273). ასმათის სიბრძნე ჩანს, ასევე ტარიელისა და ავთანდილის პირველი შეხვედრის მომზადებისას. ნესტანის ერთგულ მეგობარს ღრმად აქვს გაცნობიერებული, რომ სევდითა და ცრემლით გულში მოტყინარე ცეცხლი არ მინავლდება. საჭიროა მკურნალი, მოყვასი, რომელიც შეეწვა ტარიელს და ამ უკანასკნელმაც არ უნდა თქვას უარი ამ შეწვნაზე (301).

კეთილგონიერების თვალსაზრისით, საგულისხმოა ნესტან-დარეჯანის პირვენება. იგი, ბრძენი, “მააღლი და მაღლად მხედი” (1184) სიყვარულით დაუძლურებულ ტარიელს მოქმედებისაკენ მოუწოდებს (37,379). მამაკაცის წინაშე დედაკაცის კრძალვის შემცნობს მართებულად არ მიაჩნია გრძნობათა შენიდბვა (412), მისთვის უცხოა უგონო და არაფრისმოქმედი სენტიმენტალიზმი (525, 526).

გონიერება სიჩქარეს უფრთხის, ანალიზი სიბრძნის დამახასიათებელი თვისებაა (539).

უიმედობა არღვევს ადამიანის შინაგან სამყაროს. ფხიზელი განსჯის უნარი კლებულობს, ითრგუნება კეთილგონიერება. ამიტომაც აუცილებელია მოძღვარი, მკურნალი, შემწე, რომელსაც ძალუძს სხვისი შეცდომებისა და სისუსტეების მართებული ჭვრეტა და ამას მაუწყებლობს ავთანდილი (662).

კეთილგონიერებას მიუთითებს, აგრეთვე, ასმათის მხრიდან ტარიელის განუკითხელობა, რადგან განკითხვა როდი მეტყველებს სიბრძნის შესახებ (847).

ასმათის კეთილგონიერება თავის მაქსიმალურ გამოვლენას ჰპოვებს, როცა იგი მსჯელობს გულის, ცნობის და გონების შესახებ (848).

ავთანდილის სიბრძნის ცხადყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია თავი “პოვნა ავთანდილისაგან ტარიელისა”. თავისი კეთილგონიერებით, უბადლო ფსიქოლოგიური მიმართებით არაბმა რაინდმა ინდოელი მოყვასი არა მხოლოდ ხორციელად, არამედ სულიერადაც “ჰპოვა”, სასიცოცხლო ხსნაში დაამკვიდრა იგი.

საყურადღებოა ფატმან-ხათუნის გონიერებაც. მიუხედავად იმისა, რომ მისი თავდაპირველი მიმართება ავთანდილთან მთლიანად მოცულია ხორციელი ნდომითა და უინით, ერთგან მეტად მნიშვნელოვან ფრაზას გამოთქვამს, რაც მისი “მიმალული” სიბრძნის გამოვლინებაა: “მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს” (1083),- ამბობს იგი.

ზოგ შემთხვევაში, შეჭირვების უამს, ადამიანი მოკლებულია საღი განსჯის უნარს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ნებტან-დარეჯანი. რომლის სიბრძნე ურთულესი სიძნელების დროსაც ცნაურდება (1191).

ადნიშნული მაგალითები ცხადყოფებ პოემის პერსონაჟთა კეთილგონიერებას, პრაქტიკულად რეალიზებულს, რომელიც ეფუძნება საღვთო, ზეციურ სიბრძნეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ზნეობითი დვთისმეტყველება უცილობლად გულისხმობს ადამიანის პიროვნებაში მოცემულ მსოფლხედვასა და რეალურ ცხოვრებას. „იჩქარე, რათა გახდე სრულყოფილი!“-ამბობს წმიდა გრიგოლ დვთისმეტყველი(თხზულებები 1885:99). აღვნიშნავთ, რომ პოემის საუკეთესო პერსონაჟთა მსოფლხედვასა და რეალურ ცხოვრებას შორის არავითარი მკვეთრი ზღვარი არ არსებობს. გმირები მოქმედებენ ზნეობითი სჯულის შესაბამისად. მათი ზნეობა არ არის განყენებული, ზოგადი რამ, მხოლოდ თეორიებში მოცემული კატეგორია, არამედ ეს არის საქმით ამეტყველებული სულიერ-ზნეობითი მცნებებისა და ცნებების მშვენიერება. ნაწარმოების პერსონაჟთა ქრისტიანული მსოფლხედვა განაპირობებს მათ ქცევასა და მოქმედებას, თუმცა თვით მაღალი ზნეობის მქონე პიროვნებებიც კი, რასაკვირველია, არ არიან შეცდომათაგან დაზღვეულნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმთავრესი ის არის, რომ ისინი ისტრაფვიან ზნეობითი სრულყოფისაკენ, სულიერი ზრდისაკენ, რადგანაც მათი ცნობიერება უფლის მოწოდებითაა დაპურებული: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათავ სრულ არს“(მთ., 5,48).

## **დამოწმებული ლიტერატურა**

1. აბულაძე 1973: აბულაძე ილია, ბერები ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ალექსიძე 1990: ალექსიძე ლელა, „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“, ცისკარი, 8, 1990.
3. ახალი აღთქმავ, თბილისი, 1963.
4. თეიმურაზ 1979: ბაგრატიონი თეიმურაზ, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, I, თბ., 1979.
5. ბარამიძე 2000: ბარამიძე რევაზ, დაკვირვებები მოტივირებისა და დეტალების ოსტატობაზე „ვეფხისტყაოსანში“, შოთა რუსთაველი, I, თბ., 2000.
- 6.. ბასილი 1993: ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1993.

7. ბეზარაშვილი 2003: ბეზარაშვილი ქეთევან, „ვეფხისტყაოსნის“ საღვთო სიყვარული და „ტურფა საჭვრეტელი“, წერილი მეორე, რუსთველოლოგია, II, თბ., 2003.
8. ბროსე 1979: ბროსე მ. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, თბ., 1979.
9. გაბაშვილი 1956: გაბაშვილი ტიმოთე, მიმოსლვა, ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956.
10. გამსახურდია 1984: გამსახურდია ზვიად, ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე, თბ., 1984.
11. გოგებაშვილი 1979: გოგებაშვილი იაკობ, შოთა რუსთაველი, რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, I, 1979.
12. გუგუშვილი 1966: გუგუშვილი მერი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966.
13. გუგუშვილი 2000: სასულიერო საზოგადოების დამოკიდებულება ვეფხისტყაოსნისადმი, შოთა რუსთაველი, I, თბ., 2000.
14. ეკაშვილი 1966: პ-ეკაშვილი, ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966.
15. ვაჟა-ფშაველა 1979: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ორ ტომად, ტ.1, თბ., 1979.
16. ვახტანგ მეექვსე 1979: ვახტანგ მეექვსე, თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“, რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, I, თბ., 1979
17. თალასე 1989: წმ. ამბა თალასე, სიყვარულის, მარხვის და სულიერი მოქალაქეობის შესახებ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1989.
18. თვარაძე 2000: თვარაძე რევაზ, „სიბრძნის დარგი“ და „ამაოდ დაშვრა“, ლიტერატურული ძიებანი, XXI, თბ., 2000. 44. წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2000.
19. თქუმული 1979: თქუმული წმიდისა დანეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ ებისკოპოსისაი კაცისა შესაქმისათვის, რომელი მიუწერა ძმასა თვისსა პეტრეს ებისკოპოსსა სებასტიელსა, შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ. 1979.

20. იმნაიშვილი 1986: იმნაიშვილი იქართული ოთხთავისწ სიმფონია ლექსიკონი, თბ., 198644. წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2000.
21. წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2000.
22. წმ. იოანე ოქროპირი, ოქროს წყარო, თბ., 1905; მისივე, თარგმანებაი მათეს სახარებისაი, წიგნი I, II, თბ., 1996
23. წმ. იოანე სინელი, კლემაქსი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1986.
24. კარბელაშვილი 2000: კარბელაშვილი მარიამ, რუსთველოლგია XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე, XX ს-ის პრობლემები და XXI ს-ის პერსპექტივები, შოთა რუსთაველი, I, თბ., 2000.
25. კეკელიძე 1952: კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1952.
26. კეკელიძე 1968: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, თბ., 1968.
27. კიკნაძე 2001: კიკნაძე ზურაბ, ავთანდილის ანდერძი, თბ., 2001.
28. კონდაკი 1899: კონდაკი, თბ. 1899. . 1899.
29. ლოცვანი 1992: ლოცვანი, თბ., 1992.
30. მატვეევი 1968: მატვეევი ა. ზნეობითი ღვთისმეტყველება, ე. გიუნაშვილის თარგმანი, თბ., 1968.
- 
31. მენაბდე 2000: მენაბდე ლევან, რუსთველის აღმსარებლობისა და „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიური წყაროების შესწავლის ისტორიიდან, შოთა რუსთაველი, I, თბ., 2000.
32. მცხეთური ხელნაწერი, II ნაკვეთი, გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1982.
33. მცხეთური ხელნაწერი, III ნაკვეთი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1983.
34. მცხეთური ხელნაწერი, IV ნაკვეთი, გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.
35. მცხეთური ხელნაწერი, V ნაკვეთი, ტექსტი გამოპსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1986.

36. ნადირაძე 1958: ნადირაძე გიორგი, რუსთველის ქსოვიტიკა, თბ., 1958.
37. ნათაძე... 1966: ნათაძე ნ., ცაიშვილი ს., შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.
38. ნოზაძე 1963: ნოზაძე ვიკტორ, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963;
39. ნოზაძე 2004: ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, I, გურამ შარაძის წინასიტყვით, გამოკვლევითა და რედაქციით, თბ., 2004.
40. ორბელიანი 1993: ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993.
41. პავლეს 2003: პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, გამოკრებული იოანე თქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2003.
42. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957;
43. სამოციქულოს... 2006: სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე თქროპირის და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ.2006;
44. სულავა 2000: ნესტან სულავა, განგების რუსთველური კონცეფცია, პირველი წერილი, შოთა რუსთაველი, I, თბ., 2000;
45. სულავა 2004: სამყაროს მშვენიერების რენესანსული გააზრება „ვეფხისტყაოსანში“, რუსთველოლოგია, III, თბ., 2004;
46. სულავა 1999: „ლოცვა ავთანდილისა“, ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ., 1999;
47. სულავა 2004: გამოქვაბულისა და უდაბნოს მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“, ლიტერატურული ძიებანი, XXV, თბ., 2004.
48. ფსალმუნი, თბ., 1995.
49. ფსევდომაკარის 1982: ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო გულნარა ნინუამ, თბ., 1982 .

50. ქადაგებანი 1913: ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტ. I, ქუთაისი, 1913.
51. ღირსისა 1902: ღირსისა მამისა ჩვენისა აბბა დოროთესი – სულთა სასარგებლო სწავლანი და ებისტოლენი, ფოთი, 1902.
52. წერეთელი 1979: აკაკი წერეთელი, სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე, რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, I, თბ., 1979;
53. წერეთელი 1986: რჩეული ნაწერები, ტ. 4, თბ., 1986;
54. წერეთელი 1989: რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, II, ტბ., 1989.
55. წიგნი ძველისა აღთქუმისანი, ნაკვეთი I, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, თბ., 1989.
56. წიგნი ძველისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 2, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, თბ., 1990.
57. წიგნი ძველისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 3, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ციალა ქურციკიძემ და უჩა ცინდელიანმა, თბ., 1991.
58. ჭაბაშვილი ჭაბაშვილი მიქაელ, დეკანოზი, ამბროსი ნეკრესელის შეხედულება „ვეფხისტყაოსანზე“, რუსთველოლოგია, III, თბ., 2004.
59. ხინთიბიძე 1975: ელგუჯა ხინთიბიძე, ეთიკის მირითადი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, „მიმომხილველი“, თბ., 1975;
60. ხინთიბიძე 1993: შუასაუკუნოებრივი და რენენასანსული „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1993;
61. ხინთიბიძე 2003: ლანსელოტი და ავთანდილი, რუსთველოლოგია, II, თბ., 2003.
62. ხვედელიანი 2002-2003: თამარ ხვედელიანი, „მაგრა პირველ შემომფიცე... საფიცარი მომე მტკიცე“, ფიცის ფუნქცია „ვეფხისტყაოსანზი“, კლასიკური და თანამედროვე მწერლობა, 5-6, თბ., 2002-2003.
63. ანტონი 1967: Антоний Митрополит - Нравственное Учение Православной Церкви, Нью-Йорк, 1967.
64. vetelevi 1970: Ветелев, Протоиерей, Краткий Курс Нравственного Богословия, Загорск, 1970.
65. ბუნებითი 1858: Естественное Нравственное Учение об Обязанностях к Самому Себе, Санкт-Петербург, 1858.

66. ҃аңбабо 1996: Зарин С., Аскетизм по Православно-Христианскому Учению, Москва, 1996.
67. Әңғәбебеңбо 1890: Мартенсен Г., Христианское Учение о Нравственности, перевод А. П. Лопухина, С. Петербург, 1890.
68. Әдәмзәфәәдә.. 1914: Опытъ Нравственного Православного Богословия въ Апологетическом Освящении Проф. Прот. Н. Стелецкого, т. 1, Харьков, 1914.
69. Әләғәмбо 1994: Платон, Архимандрит, Православное Нравственное Богословие, Свято-Троицкая Лавра, 1994.
70. Әрүән... 1903: Полное Собрание Творений Святого отца Нашего Иоанна Златоуста, т.9, С.-Петербургъ, 1903.
- 71.Әртәләмәфәәдә..1994: Православное Нравственное Богословие, Свято-Троицкая Лавра, 1994.
72. marTmadideblur-dogmaturi... 1868: Православное-Догматическое Богословие, Д. М. Макария, Архиепископа Харьковского, т. 1, С. Петербургъ, 1868.
- 73.Әртәләмәфәәдә.. 1895: Православно-Догматическое Богословие, Макария Митрополита Московского, т. 1, С.-Петербургъ, 1895.
- 72.Txzulebebi... 1885: Творение Григория Богослова Издательство П.П. Сайкина.1885
74. Әбдәрәбәто... 1913: Толковая Библия, или коментарий на все книги Свю Писания Ветхаго и Новаго Завета, издание преемниковъ А. П. Лопухина, Петербургъ, 1913, т.3(11).
75. ganmarkebebi... 1885: Толкования на Новый Заветь, Блаженнаого Теофилакта, издательство П. П. Сайкина; С. Петербургъ.1885
76. Әбдәрәбәто... 1883: Толковая Псалтирь Евфимиа Зигабена, переводъ съ Греческаго, издание Киево-Печерской Лавры, Киевъ, 1883.